

# ენდრეი კლატონოვი

## ფ რ მ

მ ო თ ხ რ ო ბ ა

რუსულიდან თარგმნა სოლომონ ღემურხანაშვილმა

უორს გაუმგზავრა იგი, დიდი ხნით, თითქმის სამუდამოდ. ჩქარი მატარებლის ორთქლმავალმა შეჰკივლა და ნელა დაიძრა. გამცილებლებმა დატოვეს ბაქანი და თავიანთ ჩვეულებრივ ყოფას დაუბრუნდნენ. ცოცხით ხელში მოვიდა მეეზოვე და ისე შეუდგა ბაქნის მოსუფთავებას, თითქოს მეჩეჩზე გაჩხირული ხომალდის გემბანს აკრიალებსო.

— გაიწიეთ იქით, მოქალაქევ! — მიაძახა მეეზოვემ განცალკევებით მღვარ წვილ ფუნთულა ფეხს.

ქალი კედელს აეკრა. კედელზე საფოსტო ყუთი ეკიდა და ზედ ეწერა, რომელ საათებში ამოაქვთ იქიდან წერილები. თურმე საკმაოდ ზშირად ამოაქვთ, ისე რომ შეიძლება ყოველდღე სწერო ბარათი. ქალმა თითებით მოსინჯა რკინის ყუთი: იგი მაგარი და საიმედო იყო, წერილის სული თავის ნებაზე ვერსად გაფრინდებოდა იქიდან.

სადგურს გადაღმა ახალი სარკინიგზო ქალაქი მდებარეობდა. სახლების თეთრ კედლებზე ირხეოდა ფოთლების ჩრდილები. ზაფხულის ჩამავალი მზე ისე სევდიანად ანათებდა არემარეს და რკინიგზელთა საცხოვრებელ ბინებს, გეგონებოდა, გამჭვირვალე სიცარიელეს მოუცავს ყოველივე და სუნთქვა აღარ შეიძლებაო.

წინა დამეს სამყაროში ყველაფერი ისე თვალისმომჭრელად და ზღაპრულად ბრწყინავდა, თითქოს ეს სამყარო მართლაც არარსებული ყოფილიყოს!

მზის ამ საოცარი შუქით მოჯადოებული ქალი შეჩერდა. ოცი წელია ამქვეყნად ცხოვრობს და არ ახსოვს, ასე დაცარიელებული, ასე აციაგებული და მღუმარე ყოფილიყოს სამყარო. ანაზღად იგრძნო, როგორ აუჩუყა გული ამ მჩატე ჰაერმა, როგორ აღავსო იმ იმედით, საყვარელი ადამიანი ისევ დამიბრუნდებაო. საპარიკმახეროს ფანჯარაში თავისი ორეული დაინახა. წასულიყო, გაფრენილიყო ძველი მომხიბლაობა; ახლა კი რაღა დარჩა! საზიზღარი გარეგნობა, ჯერ აჩეჩილი და შემდეგ დატალღავებული თმა (ოდესღაც, მეცხრამეტე საუკუნეში რომ ატარებდნენ), თვალები კი ნაცრისფერი და უძირო, თითქოს ნაძალადევი სინაზით რომ გამოიყურებოდნენ. ქალს უკვე ჩვევად ქცეოდა შორს



გამგზავრებული ადამიანის სიყვარული. სურდა იმასაც ჰყვარებოდა, რათა მხურვალე სხეული და გათოშილი სული ალერსით დაეყუჩებინა და აღმოცენებულიყო მეორე ლამაზი სიცოცხლე. მაგრამ ვაი რომ არ შეეძლო ჰყვარებოდა ისე თავდავიწყებითა და გამუდმებით, როგორც უნდოდა. ხანდახან ამ გრძნობას ვეღარც უძლებდა, იქანცებოდა და მწარედ ტიროდა, ასეთი ხარბი გული რად მაქვსო.

ახალ სამოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. ერთში მისი ქვრივი მამა იყო, ორთქლმავლის მემანქანე, ხოლო ორი ოთახი მასა და მის ქმარს ეკავათ, ახლა რომ შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრა იმ იღუმალის ელექტროხელსაწყოების ასაწყობად და ასამუშავებლად. იგი მთელი ცხოვრება მანქანათა საიდუმლოებებს სწავლობდა და სწამდა, რომ მექანიზმების მეშვეობით მთელ სამყაროს გარდაქმნიდა კაცობრიობისა და კიდევ რაღაცის საკეთილდღეოდ, — თუმცა რის, ქალმა არ იცოდა.

მოხუცებულობის ჟამს მამას იშვიათად უხდებოდა გამგზავრება. იგი სათადარიგო მექანიკოსად ითვლებოდა. ხან იმათ შეენაცვლებოდა, ვინც ავად გახდებოდა, ხან ახლად შეკეთებული ორთქლმავლები გაჰყავდა გამოსახმარებლად, ხან მოკლე მანძილზე გააქროლებდა მსუბუქ მატარებელს.

ერთი წლის წინათ შესთავაზეს მოხუცს, პენსიაზე გადიო. მოხუცმა არ იცოდა, თუ ასე გაუძნელდებოდა, და დაეთანხმა. მაგრამ ოთხი დღე უქმად ყოფნის შემდეგ გავიდა შუქნიშანთან, ლიანდაგის შორიანლო ბორცვზე ჩამოჯდა და დაბინდებამდე იქ დაჰყო. ცრემლიანი თვალებით მიაცილებდა ორთქლმავლებს, ქშენით რომ მიათრევდნენ ვაგონებს. მას აქეთ ყოველდღე მიდიოდა იმ ბორცვზე, რომ მანქანისათვის ეყურებინა და ოცნებით ეცხოვრა, ხოლო საღამოთი შინ დაღლილი მოდიოდა, თითქოს შორეული მგზავრობიდან დაბრუნდო. დაიბანდა ხელებს, მერე ვითომ სულს მოითქვამდა და მოჰყვებოდა, ამა და ამ დაღმართში ერთ-ერთ ვაგონს მუხრუჭმა უმტყუნაო, ანდა რაღაც ამის მსგავსს გამოიგონებდა, მერე ქალიშვილს მორცხვად სთხოვდა მალამოს, რომ მარცხენა ხელისგული დაეზილა, ვითომდა რეგულატორმა დამიყუჟაო, მერე ივახშმებდა, ცოტა ხანს კიდევ წაიბუზღუნებდა და მალე ნეტარებით ჩაიძინებდა. დილით კი გაღამდგარი მექანიკოსი ისევ იმ ბორცვზე წავიდოდა და ოცნებაში ჩაფლული ცრემლიანი თვალებით მიაცილებდა მატარებლებს. თუ გამვლელ ორთქლმავალს რაიმე უწესრიგობას შეამჩნევდა, ან თუ მემანქანეს უდიერად მოჰყავდა მანქანა, თავის სათვალთვალოდან გადმოჰყვირებდა და თან ხელით ანიშნებდა: „წყალი გადატუმბე, გააღე ონკანი, დოყლაპიაჟ! სილა დაზოგე: აღმართი იწყება, რას ფანტავ, სულელო! დაჭიმე მილტუჩი, ორთქლს გაუფრთხილდი! რა არის, მანქანა თუ აბანო?“ როცა მატარებლის თავში ან შუაში მსუბუქი ღია ვაგონები იყო მოქცეული და უეცარი დამუხრუჭებისას შეიძლება ერთმანეთს მიჭყლეტოდნენ, ბებერი მექანიკოსი მუშტებით ემუქრებოდა ბორცვიდან ბოლო ვაგონის კონდუქტორს. ხოლო თუ თავად ძველი მემანქანის მატარებელი გამოჩნდებოდა, მის ყოფილ თანაშემწე ვენიამინს რომ მოჰყავდა, მოხუცი უსათუოდ შეამჩნევდა, რომ ორთქლმავალი მთლად რიგზე ვერ იყო, რაც მის დროს არ მომხდარა, და მემანქანეს ურჩევდა რამე ეღონა, რომ თავისი დაუდევარი თანაშემწე ჭკუაზე მოეყვანა. „ვენიამინ, ვენიამინ, მოსცხე მაგას დრუნჩში!“ — ყვიროდა მოხუცი მექანიკოსი ამ თავისი სათვალთვალო გორიდან.

ავდრიან დღეს ქოლგით მიდიოდა იგი გორაზე, ხოლო სადილი მის ერთ-



დერთ ქალიშვილს მიჰქონდა. შვილს ძალზე ენანებოდა მამა, საღამოთი შიმშილით გადალასლასებული და გულმოკლული რომ ბრუნდებოდა შინ.

მაგრამ ამას წინათ გულნატკენ მექანიკოსს იმ გორაკზე დეპოს პარტორგი ამხანაგი პიმკუნოვი ეწვია, მოჰკიდა ხელი და დეპოში მიიყვანა. იგი კვლავ მემანქანედ დანიშნეს. მოხუცი მექანიკოსი ახლდა მანქანის კაბინაში, მიუჯდა გაციებულ ქვაბს, ცალი ხელი შემოხვია, როგორც ძვირფას არსებას, კვლავ რომ დაუბრუნა ბედმა, და ბედნიერებით ცასწეულმა ჩათვლიდა.

— ფროსია! — უთხრა ქალიშვილს, როცა ის სადგურიდან დაბრუნდა, — ფროსია, გამიმზადე რამე, თორემ ვინ იცის, უდროო დროს გამომიძახონ.

მოხუცი ყოველ წუთს ელოდა, სამგზავროდ გამომიძახებენო. მაგრამ მას იშვიათად თუ გაიხსენებდნენ ხოლმე, ისიც სამ-ოთხ დღეში ერთხელ, როცა სადმე ახლო მანძილზე იყო მატარებელი გადასაყვანი. მოხუცს კი მაინც ეშინოდა, სამუშაოზე გამოძახებისას უქეიფოდ არ ვიყო. ამიტომაც ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ჯანმრთელად და მხნედ ყოფილიყო, რადგან თავს კვლავაც ნამდვილ რკინიგზელად თვლიდა.

— ამხანაგო მექანიკოსო! — დინჯად და მკაფიოდ ეტყოდა ხოლმე ხანდახან თავის თავს და პასუხს განზრახ აგვიანებდა, თითქოს ტაშსა და მხიარულ შეძახილებს ელისო.

ფროსიამ ღუმელიდან საჭმელი გამოიღო და მამას მიართვა. ჩამავალ მზეს მთელი ოთახი გაენათებინა, უთბობდა ფროსიას სხეულსა და გულს, შეუსჯინებლივ რომ ექაჩებოდა ძარღვებში გამდინარე სისხლს და შიგ უამრავ გრძნობას ჰბადებდა. ფროსია თავის ოთახში გავიდა. მაგიდაზე მისი ქმრის ბავშვობის სურათი იდო. მას ხომ ბავშვობის შემდეგ ერთხელაც არ გადაუღია სურათი, რადგან თავისი თავი არც არასოდეს ენაღვლებოდა და არც მაინცდამაინც მოსწონდა. გაქუცულ სურათზე იდგა დიდთავა, ფეხშიშველი ბიჭი, ეცვა უბრალო შარვალ-ხალათი — უკან კი ჯადოსნური სილამაზის ხეები, დიდი სასახლე და მჩქეფარე შადრევანი მოჩანდა. ბიჭი დაკვირვებით უცქერდა მისთვის ჯერ კიდევ უცნობ ქვეყანას. იგი ვერ ამჩნევდა მის უკან, ფოტოგრაფის ტილოზე ასახულ მშვენიერ სამყაროს, რადგან ლამაზი სამყარო თვით ამ ბიჭის სულში იყო, ფართო შთაგონებული პირისახე რომ ჰქონდა, მორცხვად რომ იყურებოდა, ხელში კი ბალახის ღერო ეჭირა სათამაშოს ნაცვლად და შიშველი ფეხებით მიწას დანდობოდა.

დაღამდა. სოფლის მწყემსმა მინდვრიდან მეწველი საქონელი მორეკა. ძროხები ბლადნენ, პატრონებს დაბინავებას სთხოვდნენ. დიასახლისები ჭიშკრებში ერეკებოდნენ საქონელს. გრძელი დღის მხურვალეობა ღამის სიგრილემ შეცვალა. იჯდა ფროსია სიბნელეში და ნეტარებით იგონებდა შორს გამგზავრებულ ადამიანს. ფანჯრის გადაღმა ცის ბედნიერ სიღრმისაკენ მიილტვოდნენ ფიჭვები, რომელიღაც ჩიტები მისუსტებული ხმით გალობდნენ ძილისპირულს, სიბნელის დარაჯნი — ჭრიჭინობელები ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მშვიდობიანად იუწყებოდნენ, ყველაფერი დიდებულად მიედინება, ჩვენ ვფხიზლობთ და ყოველივეს ვხედავთო.

მამამ ჰკითხა ფროსიას, კლუბში ხომ არ წახვალო. იქ დღეს ახალი წარმოდგენა იყო: რკინიგზის კონდუქტორთა რეზერვები გამოვიდოდნენ და ატყდებოდა ყვავილების სროლა.

— არ წავალ, — უპასუხა ფროსიამ, — შინ დავრჩები და ქმარზე ვიფიქრებ.

— ფედკაზე ამბობ? — თქვა მექანიკოსმა, — ნუ გეშინია, ერთი წლის შემდეგ



დაგიბრუნდება... იღარღე, იღარღე! მე რომ ორი ღლით წავიდოდი, საწყალი დგა-  
დაშენიც დარდობდა ზოლმე. რას იზამ, მეშხანი ქალი იყო!..

— მე მეშხანი არა ვარ, მაგრამ მაინც ვდარდობ, — გაოცებით წაილაპარაკა  
ფროსიამ, — არა, ალბათ მეც მეშხანი ვარ!

მამამ დაამშვიდა:

— აბა სადაური მეშხანი შენ ხარ!.. ახლა ისინი აღარ არიან, კარგა ხანია  
გადაშენდნენ; შენ რომ ისეთი გახდე, კიდევ დიდხანს უნდა იცხოვრო და ბევრი  
ისწავლო. ისინი კარგი ქალები იყვნენ...

— მამა, გადი შენს ოთახში, — უთხრა ფროსიამ, — ახლავე გავახშმებ. რა-  
ტომღაც მარტო მინდა ვიყო.

— დროც არის ვახშმობისა, — დაუთანხმა მამა. — იქნებ დეპოდან მომაკი-  
თხონ, შეიძლება ვინმე ავად გახდა, ან დათვრა ან ოჯახში აურზაური ატეხა,  
ამისთანები ცოტა ხდება? მაშინ მე მყისვე უნდა გამოვცხადდე, მიმოსვლა ზომ არ  
შეჩერდება. ეჰ, შენს ფედკას ახლა მატარებელი მიაქროლებს, ყველგან მწვანე  
სინათლე ხვდება, ორმოც კილომეტრზე გზას უთმობენ. მექანიკოსი შორს იყუ-  
რება, მისი მანქანა ელექტრონით არის განათებული, ერთი სიტყვით, ყველაფე-  
რი რიგზე აქვს!..

მოხუცს თავის ოთახში გასვლა ეზარებოდა და ყბედობით დროს იგებდა.  
როცა ორთქლმავალზე ფიქრი აღარ აწუხებდა, უყვარდა ქალიშვილთან ან სხვა  
ადამიანთან ყოფნა.

— მამა, წადი, ივახშმე! — უბრძანა ქალიშვილმა. მას უნდოდა ესმინა ჭრი-  
ჭინებისთვის, ეცქირა ფანჯრის მიღმა ბინდში ჩაბირული ფიჭვებისათვის და  
ეფიქრა ქმარზე.

— ეეჰ, სულ წახდი ქალი! — წყნარად თქვა მოხუცმა და შვილს გაეცალა.

მამა ავახშმა ფროსიამ და შინიდან გავიდა. კლუბში დიდი ზეიმი იყო.  
უკრავდა მუსიკა და ისმოდა კონდუქტორთა გუნდის სიმღერა: „ო, ნაძვო, ნაძვო!  
ეს რა ნაძვია, ეს რა გირჩი ასხია ზედა!“ „ორთქლმავალი: ტუ-ტუ-ტუ, თვით-  
მფრინავი: რუ-რუ-რუ, ყინულმჭრელი: პირ-პირ-პირ! ჩვენთან ერთად აფრინდი,  
ჩვენთან ერთად დაფრინდი, დაიძახე: ტუ-ტუ-რუ-რუ!“ კლუბი ხალხით იყო სავ-  
სე, ისინი გაუბეღავად ჩურჩულებდნენ და იტანჯებოდნენ მსახიობებთან ერთად.

ფროსიამ კლუბს მხარი უქცია. იქით უკვე ხალხი აღარ იყო. მთავარი გზის  
ორთავ მხარეს ახალი დარგული ხეები მოჩანდა. აღმოსავლეთიდან მატარებელი  
გამოჩნდა. იგი კივილით მოარღვევდა სივრცეს და ორთქლმავლის ჩახჩახა თვა-  
ლი მოციმციმე გრძელ ზოლს აფენდა თავის გზაზე.

ალბათ ამ ორთქლმავალს შეხვდა შორეულ აღმოსავლეთში მიმავალი ჩქა-  
რი მატარებელი, ამ ვაგონებმა ფროსიას შემდეგ იხილეს მისი საყვარელი ადა-  
მიანი, გვერდით ჩაუარეს მის ქმარს. ფროსია ერთხანს გულის ფანცქალით შეჰ-  
ყურებდა მატარებელს და მერე უკან გამობრუნდა სადგურისკენ, მაგრამ ვეღარ  
მიუსწრო. მატარებელი ცოტა ხნით შეჩერდა და მალევე დაიძრა, აგერ, ბოლო  
ვაგონიც ჩაიძირა წყვლიადში, და სამუდამოდ მიივიწყა ყველა, ვისაც შეხვდა და  
ვისაც ჩაუარა გვერდით. სადგურის ბაქანზე უცხო მგზავრი ვერ და-  
ინახა ფროსიამ. ეტყობა, იმ მატარებლიდან არავინ ჩამოსულა, რომ შემხვედრ  
მატარებელსა და ქმარზე ეკითხა რამე. ეგებ ვინმემ ნახა იგი, ეგებ მასზე იცის  
რაიმე! სადგურში მხოლოდ ორი დედაბერი იჯდა და შუადამისას მიმავალ



გარეუბნის მატარებელს უცდიდნენ. ის ნაცნობი მეეზოვეც აქ იყო და კვლავ ფეხებში აყრიდა ნაგავს. ამით ხომ ერთთავად ცოცხი უჭირავთ ხელში, არ გაცლიან იდგე და შენთვის იფიქრო. არავინ ეპიტნავენათ. ფროსია განზე გადგა, მაგრამ მეეზოვე ისევ და ისევ მისკენ მოიწევდა.

— თქვენ ხომ არ იცით, — ჰკითხა მეეზოვეს, — მეორე ნომერი ჩქარი მატარებელი მშვიდობიანად მიდის თუ არა? იგი შუადღისას გავიდა აქედან. სადგურში ცნობა ხომ არ მოსულა?

— ბაქანზე მაშინ გამოდიან, როცა მატარებელი ჩამოდგება, — უპასუხა მეეზოვემ. — ახლა მატარებელს აღარ მოველით, ისე რომ შებრძანდით სადგურში, მოქალაქევე. ნეტა რას დაძრწიან, არა სჯობია წამოწვენენ შინ, ტახტზე და გაზეთი იკითხონ? მაგრამ შეასმენ რამეს?! მაინცდამაინც აქ უნდა იწანწალონ და მოგინაგვიანონ!

ფროსიამ გზა განაგრძო, ლიანდაგებს გაჰყვა და სადგურის მეორე მხარეს აღმოჩნდა, სადაც სატვირთო ორთქლმავლების დეპო იყო. იქაურობა წილის ორმოებით მოფენილიყო. მაღალ ბოძებზე დაკიდებულ ფარნებს ირგვლივ ყველაფერი გაეჩახჩახებინა. მათ შუქზე ნათლად ჩანდა მაღლა ავარდნილი ორთქლი და კვამლი. გასამგზავრებლად გამზადებული ორთქლმავლები ქშენა-ქშენით აფრქვევდნენ ორთქლის ბოლქვებს, ზოგი კი უკვე დაბრუნებულიყო, შიშინით იცლებოდა ორთქლისაგან და ცივდებოდა.

ფროსიას გვერდით ჩაუარა ოთხმა ქალმა, რკინის ნიჩბები ეჭირათ, უკან კი მამაკაცი მოჰყვებოდა. როგორც ჩანდა, ბრიგადირი იყო.

— ვის ეძებ, ლამაზო? — ჰკითხა მან ფროსიას, — სულ ერთია, ველარ იპოვნი. ვინც მიდის, აღარ ბრუნდება. წამოდი ჩვენთან, ხელი წაგვაშველე.

ფროსია შეეყოყმანდა.

— მომეცით ნიჩაბი! — უთხრა მან.

— აგერ ჩემი ნიჩაბი, — და ბრიგადირმა თავისი ნიჩაბი გადასცა, — ქალე-ბო, — მიუბრუნდა დანარჩენებს, — წადით მესამე ორმოსთან, მე პირველთან ვიქნები...

მან ფროსია წილის ორმომდე მიაცილა, სადაც ორთქლმავლები საწვავის ნარჩენს ჰყრიდნენ, სამუშაო მიუჩინა და წავიდა. ორმოსთან უკვე ორი ქალი მუშაობდა, ცხელ წიდას ჰყრიდნენ ორმოდან. ფროსიაც ჩავიდა მათთან და მუშაობას შეუდგა. იგი კმაყოფილი იყო, რომ გვერდით უცნობი მეგობრები ჰყავდა.

ორთქლის ბულზე სუნთქვა ჭირდა, ორმო ვიწრო იყო და წილის ამოყრა ძნელდებოდა. მაგრამ ფროსიას მაინც ცოტა მოეშვა გულზე. აქ ის ერთობოდა, ტრიალებდა თავის ტოლქალებთან და უცქერდა ვარსკვლავებითა და ელექტრონათურებით განათებულ წყნარ ღამეს. სიყვარულს მშვიდად ეძინა მის გულში. შორს, ციმბირის ველებზე გაიჭრა ჩქარი მატარებელი, საერთო ვაგონის ზედა საწოლზე ეძინა მისთვის საყვარელ ადამიანს. დაე, ეძინოს და ნურაფერზე იფიქრებს, დაე, წინ იყუროს მემანქანემ, რომ ფათერაკს არაფერს გადაეყაროს.

მაღე ფროსია და ერთი ქალი ორმოდან ამოხიზდნენ. მაღლა ამოყრილი წიდა ახლა ბაქანზე უნდა გადაეტანათ. ქალები უხმოდ მუშაობდნენ. ცხელ წიდაში ნიჩბებს ურევდნენ და დროდადრო ერთმანეთს გაესაუბრებოდნენ ხოლმე. ასეთ დროს ისინი ისვენებდნენ და სუფთა ჰაერს ყლაპავდნენ.



ფროსიას მეგობარი ოცდათი წლისა იყო. სიცვიისაგან იბუზებოდა და თავის ღარიბულ ტანსაცმელს დარცხვენით ისწორებდა. სწორედ დღეს გამოუშვეს თურმე ციხიდან. ვილაც ბოროტი ადამიანის ენამ ტყუილუბრალოდ მიიყვანა საპატიმროს კარამდე. მისი ქმარი დარაჯი იყო, ბერდენის თოფით ყარაულობდა ღამლამობით მაღაზიას და თვეში სამოც მანეთს იღებდა. როცა ქალი ციხეში იჯდა, დარაჯი ტიროდა, მიდიოდა უფროსებთან და სთხოვდა, ჩემი ცოლი გამოუშვიტო. პატიმრობამდე ქალს საყვარელი ჰყავდა, ალბათ საყვარელმა თავისი ცოდვები უამბო, შემდეგ კი შეეშინდა, არსად დამაბეზლოსო, და გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა, რომ პირზე არ დადგომოდა. მაგრამ ის კაცი ბოლოს მაინც ჩავარდა. ჰოდა, თავად იტანჯოს ახლა, ქალი კი ბედნიერად იცხოვრებს ქმართან. სამუშაო იშოვება, პური თავისუფლად იყიდება, ტანსაცმელს კი ერთმანეთის შემწეობით რამენაირად შეიძენენ.

ფროსიამ თავისი სადარდელიც გაუმჟღავნა ქალს, უთხრა, ჩემი ქმარი შორს გაემგზავრაო.

— მერედა, ხომ არ მომკვდარა, წავიდა და ისევ დაბრუნდება, — გაამხნევა ქალმა ფროსია, — მე კი იქ, პატიმრობაში, ჯაჟურისაგან ლამის გადავირიე... მიჩვეული რომ ვყოფილიყავი, არ ვიჯავრებდი ასე. თანაც მე არასოდეს არაფერი დამიშავებია, ხელისუფლებაც ხელს არ მახლებდა... გამომიშვეს, მოვედი შინ, ქმარი სინარულით ატირდა, თუმცა გულში არ ჩამიკრა, ფიქრობდა, იქნებ მართლა დამნაშავე არისო. საღამოს ის სადარაჯოზე იყო წასასვლელი. ისევ მოვიწყინეთ, აილო ბერდენა და მეუბნება: წამოდი, ტკბილ წყალზე უნდა დაგპატიყო. მე კი დარდი გულს მიღრღნის, ვერა და ვერ გადავიყარე, ვეუბნები: წადი თავად, ერთად მაშინ წავიდეთ, როცა ბევრ ფულს მოვიგდებთ და ეს დარდიც გამივლის-მეთქი, აი, ასე ვუთხარი ქმარს; მე კი აქეთ გამოვწიე, ვიფიქრე, ღამეა, მაგრამ სამუშაო სადგურზე მაინც იქნება და ხალხთან გულს გადავაყოლებ-მეთქი. აი ახლა შენ ღვიძლ დასავით გაგანდე ყველაფერი, აბა, მოდი, მოვრჩეთ და წავიდეთ კანტორაში, ფულს მოგვცემენ. დილით პურს ვიყიდი. ფროსია! — ჩასმახა მან წიღის ორმოში, სადაც მუშაობდა მეორე ფროსია, — კიდევ ბევრი დაგრჩათ?

მეორე ფროსიამ ამოსძახა, ცოტაღააო.

— ამოდი, მოვათავოთ საქმე და ფულზე ერთად წავიდეთ, — უთხრა თოფიანი დარაჯის ცოლმა.

გარშემო ორთქლმავლები ქშინავდნენ, ძალას იკრებდნენ შორეული მგზავრობისათვის, ზოგი კი შორი გზიდან მოსულიყო და ისვენებდა, ოფლს იშრობდა და მძიმედ ხვნეშოდა.

მოვიდა ბრიგადირი.

— როგორ მიღის საქმე, ქალებო? მოამთავრეთ ორმო? აბა, მაშ კანტორისაკენ მოჰკურცხლეთ, მეც ახლავე მოვალ. იქ ფულს მიიღებთ და გაარკვევთ, ვინ კლუბში წავა, ვინ შინ, ბავშვების მოსავლელად. თქვენ, ქალებს, საქმე ბევრი გაქვთ!

კანტორაში ქალებმა ხელი მოაწერეს: ეფროსინა ევსტაფიევა, ნატალია ბუკოვა, შემდეგ სამი ასო იყო დასმული, სიტყვა „ევას“ რომ ჩამოგავდა. მეორე ეფროსინამ ნამგალი და ჩაქუჩი ჩახატა, რადგან წერა-კითხვაში თურმე მოიკოჭლებდა.

თვითეულმა მიიღო სამი მანეთი და ერთი აბაზი. გასწიეს შინისკენ. ფრო-



სია ევსტაფიევა და დარაჯის ცოლი ნატალია ერთად წავიდნენ. ფროსიამ ახალი მეგობარი შინ მიიპატიჟა: იქ ხელ-პირს დაიბანდნენ და გასუფთავდებოდნენ.

მამას სამზარეულოში ეძინა. ის ტანისამოსიანადვე მიწოლილიყო ზანდუკ-ზე, საზამთრო ქურქი ზედვე ეცვა და რკინიგზელის ქუდიც ზედ ეხურა. ფიქრობდა, ვაითუ ტექნიკური ავარია მოხდა სადმე და გამომიძახონო, მაშინ ხომ სასწრაფოდ უნდა გამოცხადებულყო. ქალებმა დაიბანეს პირი, გასუფთავდნენ, ცოტა გაიპუდრენ კიდევ, ერთმანეთს გაუღიმეს და წავიდნენ.

გვიან იყო. კლუბში ალბათ უკვე დაიწყებოდა ცეკვაც და ყვავილების სროლაც. ვიდრე ფროსიას ქმარი შორსაა, სძინავს მაგარ ვაგონში და მისი გული არაფერს განიცდის, არ ახსოვს ცოლი და არ უყვარს იგი, მანამდე ფროსია მართლა ამქვეყნად, შეუძლია იბედნიეროს, შეუძლია ინალვლოს. ჰოდა, რახან ასეა, მაშ მოდი ფროსიამ ახლა ცოტა მაინც იცეკვოს, მოუსმინოს მუსიკას, ვიღაცას ჩასჭიდოს თავისი ხელი. დილით კი, როცა შორს გამგზავრებული ადამიანი გაიღვიძებს და გაახსენდება ცოლი, იქნებ ფროსიამ კიდევ წაიტიროს.

ქალები სირბილით მივიდნენ კლუბამდე. ჩაიარა ადგილობრივმა მატარებელმა. შუალამეა, არც ისე გვიან არის ჯერ. კლუბში კვლავ უკრავდა თვითმოქმედი ჯაზ-ორკესტრი. ფროსია მყისვე გაიწვია ვიღაც მემანქანის მოადგილემ ვალსის საცეკვაოდ. ჯაზი „რიო-რიტას“ უკრავდა. ფროსია მხიარული სახით გაჰყვა კავალერს. მას ძალზე უყვარდა მუსიკა. ეჩვენებოდა, რომ მუსიკაში სევდა და სიხარული ისეა ერთმანეთში გადახლართული, როგორც ეს ცხოვრებაში არის, ან როგორც მის საკუთარ სულში. ცეკვისას სასიამოვნოდ გაბრუვდებოდა ხოლმე, თითქოს ტკბილ ნეტარ სიზმარშიაო. ფროსია დანდობილად მიჰყვებოდა მუსიკის ხმას და მელოდია სისხლს უთბობდა.

— უკვე იყო ყვავილების სროლა? — ჩუმი ხმით შეეკითხა სუნთქვააზშირებული ფროსია კავალერს.

— ეს-ეს არის დამთავრდა, თქვენ რატომ დაიგვიანეთ? — მრავლისმეტყველად უთხრა მემანქანის მოადგილემ, თითქოს ფროსიას სიყვარული დიდი ხანია სტანჯავსო.

— სამწუხაროა! — თქვა ფროსიამ.

— თქვენ მოგწონთ აქაურობა? — ჰკითხა კავალერმა.

— რა თქმა უნდა, დიდებულია! — უპასუხა ფროსიამ.

ნატაშა ბუკოვამ ცეკვა არ იცოდა. ახლა ის დარბაზის კედელთან იდგა და ხელთ ფროსიას ქუდი ეჭირა. როცა ორკესტრმა შეისვენა, ფროსიამ და ნატაშამ ორი ბოთლი სიტრო დალიეს. მხოლოდ ერთხელ იყო ნატაშა ნამყოფი ამ კლუბში და ისიც დიდი ხნის წინათ. ახლა ის ბალღური გაოცებითა და სიხარულით ათვალიერებდა ამ მორთულ-მოკაზმულ დარბაზს.

— ფრო, გესმის, ფრო, — ჩასჩურჩულა მან, — სოციალიზმის დროს ყველა თათხი ასე იქნება ვითომ მორთული?

— აბა რა, — უთხრა ფროსიამ, — შეიძლება ცოტა უკეთესიც იყოს.

— რა კარგი იქნება, — თქვა ნატალია ბუკოვამ. შესვენების შემდეგ ფროსიამ კვლავ იცეკვა. ამჯერად სამანევრო განმრიგემ გაიწვია. მუსიკა უკრავდა ფოქსტროტს „ჩემი ბები“. განმრიგეს მაგრად ჩაებლუჯა ქალი და ცდილობდა ლოყით თმაზე შეხებოდა. მაგრამ ფროსიას სულაც არ აღელვებდა ეს მალული ალერსი, რადგან მას ვინც უყვარდა, ის კაცი უკვე შორს იყო და მისი გულის კარი თითქოს დაყრუვდა და დაიხშო სხვებისათვის.



— რა გქვიათ? — ყურში ჩასჩურჩულა კავალერმა, — როგორ მეცნობით! ოღონდაც ვისი შვილი ხართ, აღარ მახსოვს.

— ფრო! — უთხრა ფროსიამ.

— ფრო?... მაშ რუსი არა ხართ?

— რა თქმა უნდა, არა!

კაცი ჩაფიქრდა.

— როგორ, მამათქვენი ხომ რუსია, ევსტაფიევი.

— მერე რა! მე ფრო მქვია.

ისინი მღუმარედ ცეკვავდნენ. ხალხი კედელთან იდგა და მოცეკვავეებს თვალს ადევნებდა. ცეკვადა მხოლოდ სამი წყვილი. დანარჩენები ან მორცხვობდნენ, ან ცეკვა არ იცოდნენ. ფროსიამ თავი დახარა და ლამის მკერდზე მიეყრდნო კაცს. ფროსიას ხშირი, ლამაზი თმა მოღურად დაევარცხნა. ქალი თითქოს მიენდო და სწორედ ეს მინდობა იყო განსაკუთრებით ამო და სასურველი. კაცს უნდოდა თმაზე ხელი გადაესვა, მაგრამ ხალხისა მოერიდა. ესეც არ იყო, მისი დანიშნულიც იქვე ტრიალებდა და ის ალბათ შავ დღეს დააყრიდა, ამ ქალთან ასე რომ იყო ჩახუტებული. ამიტომაც განმრიგე ოდნავ განზე გადგა, მაგრამ ფროსია კვლავ მიეყრდნო მკერდზე. განმრიგეს ჰალსტუხი გვერდზე მოექცა, პერანგის გულისპირიც გაეხსნა და მკერდი გადაელეღა. მამაკაცს ცოტა არ იყოს შერცხვა და თან შეეშინდა, მაგრამ ცეკვა მაინც განაგრძო. მოუთმენლად მოელოდა, როდის დამთავრდებოდა მუსიკა. მუსიკა კი უფრო და უფრო ეშხში შედიოდა. ქალიც კვლავ ეკვროდა თავის კავალერს. დისპეჩერმა შიშველ მკერდზე სისველე იგრძნო, რაღაც წვეთები ჩამოეღვარა და მკერდის ბალანზე დაეკიდა.

— თქვენ სტირისხართ? — გაოცდა დისპეჩერი.

— ცოტათი, — წაიჩურჩულა ფროსიამ, — მიმაცილეთ კარამდე, აღარ მინდა ცეკვა.

კავალერმა ცეკვა-ცეკვით მიაცილა ფროსია გასასვლელამდე. ქალი უცებ გავარდა დერეფანში, იქ ცოტა იყო ხალხი. ნატაშამ ქუდი გამოუტანა მეგობარს. ფროსია შინ წავიდა, ნატაშა კი კოოპერატივის საწყობისკენ გაემართა, სადაც მისი ქმარი დარაჯად მუშაობდა. საწყობის მომიჯნავე ეზოში სამშენებლო მასალა ეწყო. მას ერთი სანდომიანი ქალი დარაჯობდა. ნატაშას უნდოდა გაეგო, მისი ქმარი ამ ქალს ხომ არ ეკურკურებოდა.

მეორე დღეს ფროსიამ ციმბირის ერთ-ერთი სადგურიდან დეპეშა მიიღო:

„ძვირფასო ფრო, — სწერდა ქმარი, — მიყვარხარ და მესიზმრები“:

მამა შინ არ იყო. იგი დეპოში წავიდა, რათა წითელ კუთხეში ცოტა ხანს დამჯდარიყო, ესაუბრა იქ და წაეკითხა გაზეთი. გაეგო, როგორ გაატარეს ღამე მემანქანეებმა, მერე შეეველო ბუფეტში და ვინმე ნაცნობთან ერთად ლუდი გადაეყრა.

ფროსიას კბილები აღარ გამოუხეხავს. პირიც უგულოდ დაიბანა, ცოტა-ოდენი წყალი შეისხურა და დიდად აღარ უზრუნია თავის გამოკოხტავებაზე. უნდოდა მხოლოდ თავის სიყვარულზე ეფიქრა გაუთავებლევ, ქალურ კოპწი-აობას არად დაგიდევდა. ფროსიას ოთახის მალლა, მესამე სართულიდან ტუჩის გარმონის ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა. მალე მუსიკა მიყუჩდა, მერე ისევ გაისმა. ფროსიამ გარიჟრაჟზე გაიღვიძა და, როცა კვლავ ჩათვლიმა, ბუნდად ჩაესმა ეს მარტივი მელოდია. იგი მინდვრის რომელიღაც უბრალო ჩიტის გალობას



წააგავდა, მთელი დღის ნაჯაფარს სიმღერის თავი რომ აღარა აქვს... იქ, ზემოთ, ცხოვრობდა პატარა ბიჭი, დეპოს ზეინკლის შვილი. ალბათ მამა სამუშაოზეა, დედა თეთრეულს რეცხავს და ბიჭმა კი მოიწყინა.

ფროსიას არ უსაუბრია, ისე წავიდა რკინიგზის კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის კურსებზე სამეცადინოდ.

ეფროსინა ევსტაფიევა ოთხი დღეა მეცადინეობაზე აღარ მისულა და მისმა და-ქალებმა ალბათ უიმისოდ მოიწყინეს. ფროსია ნიჭიერი იყო, თითქოს კარგად ერკვეოდა ტექნიკურ მეცნიერებაში და ამის გამო ბევრ რამეს აპატიებდნენ ხოლმე, თუმცა თვითონაც არ იცოდა, ეს როგორ გამოხდებოდა. იგი ბევრ რამეში ბაძავდა თავის ქმარს, ორი ტექნიკური ინსტიტუტი რომ დაემთავრებინა და საკუთარ გულისცემასავით გრძნობდა მანქანის მექანიზმს.

პირველად ფროსია ცუდად სწავლობდა, მის გულს არ იზიდავდა პუბინის კოჭები თუ სარელეო ბალთა. მაგრამ მის მეუღლეს ერთხელ ამოსცდა პირიდან ეს სიტყვები და ფროსიას მეხსიერებაში ეს მკვდარი საგნები მაშინათვე გაცოცხლდნენ, გახდნენ უწმინდესი საგნები, თითქოს სული შთაბერეს მანქანებს.

ზოგჯერ ცუდ გუნებაზე ბრუნდებოდა შინ ფროსია და ნაღვლიანად ეტყოდა ხოლმე ქმარს: „ფედორ, იქ მიკროფარადაზე და კიდევ მოხეტიალე დენზე გველაპარაკეს, მე მომწყინდა“. ფედორს მაშინვე ავიწყდებოდა, რომ ცოლი მთელი დღე არ ენახა და თავად გადაიქცეოდა ხოლმე მიკროფარადად და მოხეტიალე დენად, — და ფროსიაც ცოცხალივით ხედავდა იმას, რის ვაგებასაც ასე ცდილობდა და ვერ კი გაეგო. ეს ისეთივე სადა და მიმზიდველი საგნები იყო, როგორიც არის მინდვრის ფერად-ფერადი ყვავილები.

ღამიამობით ფროსია ხშირად წუხდა, რომ ის მხოლოდ ქალია და არ შეუძლია თავი იგრძნოს მიკროფარადად, ორთქლმავლად, ელექტროდენად, ფედორს კი შეუძლია. ჰოდა, თითებით ფრთხილად ეფერებოდა ქმრის მხურვალე ზურგს, ქმარს კი ეძინა და არ იღვიძებდა. მას მუდამ მხურვალე ტანი ჰქონდა. უცნაური იყო, უყვარდა წვრილმანებზე სულელურად ფულის ხარჯვა, ეძინა ხმაურშიც, სჭამდა ყველანაირ საჭმელს და არასოდეს ავად არ ხდებოდა. იგი ამ ბოლოს დროს სამხრეთ საბჭოთა ჩინეთში წასასვლელად ემზადებოდა, რომ იქ ჯარისკაცად ემსახურა...

ახლა კურსებზე ევსტაფიევა უყურადღებოდ იჯდა, უგულოდ იხატავდა დაფიდან დენის რეზონანსის ვექტორულ დიაგრამას და მოწყენილი უსმენდა მასწავლებელს. ფედორი აღარ იყო მასთან, ამიტომ აღარ ხიბლავდა კავშირისა და სიგნალიზაციის ამბები, ელექტრობაც უცხო გახდა მისთვის, მიკროფარადებიც და უიტსტონის ხიდებიც. ყურში მხოლოდ ტუჩის გარმონის ერთფეროვანი და გულის გამაწვრილებელი ხმა ჩაესმოდა: „დედა რეცხავს თეთრეულს, მამა სამსახურიდან მალე არ დაბრუნდება, მეც მომწყინდა სულ მარტოობა“.

ფროსია აღარ უსმენდა ლექციას; ის ახლა რვეულში თავის აზრებს იწერდა: „მე ერთი უჭკუო საცოდავი გოგო ვარ, ფედია, ჩამოდი, ჩამოდი, თორემ მოვკვდები, მერე დამმარხე და ისე წადი ჩინეთში“.

მამა შინ დაუხვდა. ჩვეულებრივ წასასვლელად იყო გამოწყობილი. დეპოში დღეს უსათუოდ დამიბარებენო, ასე ფიქრობდა მოხუცი.

— მოხვედი? — შეეკითხა ის ქალიშვილს. მოხუცს უხაროდა, როცა ვინმე მოვიდოდა შინ, მოუთმენლად ელოდა ხოლმე კიბეზე ფეხის ხმას, თითქოს ვინმე



უჩვეულო სტუმარი უნდა მოსულიყო და ბედნიერება მოეტანა, — ფაფა გაგიცხელო, გინდა? ახლავე გაგიმზადებ.

ქალმა უარი უთხრა.

მამა ცოტა ხანს დადუმდა. მერე უფრო მორიდებით ჰკითხა:

— იქნებ ჩაი დალიო? ახლავე ავიღულებ.

ფროსიას ხმა არ გაუღია.

— არც გუშინდელი მაკარონი გინდა? ისევ ხელუხლებელია, შენ შეგინახე.

— დამანებე თავი ახლა, — უთხრა ფროსიამ, — ნეტავ ერთი შორეულ აღმოსავლეთში მიგავლინებდნენ.

— ვთხოვე და არ გამიშვეს, დაბერდიო, თვალი აღარ გიჭრისო, — აუხსნა მამამ.

მოხუცს ეშინოდა, ფროსია მეორე ოთახში არ გავიდესო, სურდა შვილი მასთან ყოფილიყო, ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდა როგორმე შეექცია.

— დღეს რატომ აღარ წაისვი პომადა? — შეეკითხა იგი, — თუ გაგიტავდა, ახლავე წავალ აფთიაქში და მოგიტან.

ფროსიას ნაცრისფერი თვალები ცრემლებით ავესო, ადგა და თავის ოთახში გავიდა. მარტოდ დარჩენილი მამა აფუსფუსდა, სამზარეულო მიალაგა, მერე ჩაცუცქდა, ღუმელში შერგო თავი, სადაც მაკარონით სავსე ტაფა იდგა, და ატირდა.

კარზე მოაკაკუნეს. ფროსიას არ გაუხედავს. მოხუცმა ღუმელიდან გამოყო თავი, მოათვალიერა მჩვრები — ყველა ჭუჭყიანი იყო — ცრემლიანი პირისახე ცოცხს შეახოცა და კარისაკენ გაემართა. კართან დეპოს შიკრიკი იდგა.

— ხელი მოაწერე, ნეფედ სტეფანოვიჩ: დღეს რვა საათზე უნდა გამოცხადდე, ორთქლმავალს გაჰყვები, შესაკეთებლად უნდა დავაყენოთ, სამას მეთე ნომერს მიაბამენ. თან საგზალი წამოიღე და ტანსაცმელიც, ერთი კვირა ვერ დაბრუნდები...

მოხუცმა ხელი მოაწერა დავთარში და შიკრიკი გაისტუმრა. მერე გაალო თავისი პატარა რკინის ზანდუკი — იქ უკვე იღო საგზალი: გუშინდელი პური, ხაზვი და შაქრის ნატეხი. მექანიკოსმა დაუმატა მას ორი ვაშლი, ცოტაოდენი ფეტვის ბურღული, ერთხანს ჩაფიქრდა და მერე უშველებელი ბოქლომით დაკეტა ზანდუკი. ამ ამბებს რომ მორჩა, მოკრძალებით დაუკაკუნა ფროსიას ოთახის კარზე.

— გამოდი, შვილო, და ჩაკეტე კარი, მე ორი კვირით მივდივარ. ორთქლმავალი ჩამაბარეს, თუმცა შესაკეთებელია, მაგრამ რა უჭირს.

ფროსია მოგვიანებით გამოვიდა ოთახიდან. მამა უკვე წასულიყო. ქალმა ჩაკეტა კარი.

— დაუკარი კიდევ, რატომ აღარ უკრავ, — ჩურჩულით მიმართა ფროსიამ იმ ბიჭს, ზემო სართულზე რომ ცხოვრობდა და ტუჩის გარმონზე უკრავდა ხოლმე. მაგრამ ბიჭი ალბათ უკვე სადმე სასეირნოდ იყო წასული.

ზაფხულის გრძელი დღე ილეოდა. საღამოს ნიავი ნეტარებით თვლებდა გალურსულ ფიჭვებში. მუსიკოსი პატარა იყო და ამ სამყაროში ჯერ არ ამოურჩევია სამარადისო სიყვარულის საგანი. მისი გული ლაღად, თავისუფლად ბგერდა, ამქვეყნიურ სიკეთეთაგან თავის წილად ჯერ არაფერი მიუტაცია.

ფროსიამ გაალო ფანჯარა, წამოწვა ლოგინზე და ჩათვლიდა. ესმოდა, როგორ არწევდა ზენა ქარი ტანმაღალ ფიჭვებს, შორით მიჰქონდა ჭრიჭინობელას



ჭრიჭინი, დაღამებისათვის რომ აღარ დაეცა და აღრევე შეღვომოდა თავის საქმეს.

ფროსიას გაელვიდა, დაბინდებამდე ჯერ შორს იყო. თვალი ვერ მოსწყვიტა ცას, ჯერ კიდევ სითბოთი სავსეს, სადაც ჩამავალ მზეს ისეთი ცინცხალი კვალი დაეტოვებინა, თითქოს იქ იყო ბედნიერება, ბუნებას რომ თავისი უწმინდესი ძალებით შეექმნა, რათა ამ ბედნიერებას ადამიანის გულამდე ჩაეღწია.

ორ ბალიშშუა ფროსიამ იპოვნა თმის მოკლე ღერი. ის ნამდვილად ფედორისა იყო. სინათლეზე გახედა თმის ღერს, ჭაღარა იყო: ფედორი ოცდამეცხრე წელში გადადგა და უკვე გარეული ჰქონდა ჭაღარა. მამასაც აქვს ჭაღარა, მაგრამ ის ხომ ცოლ-ქმრის სარეცელს ახლოსაც არ ეკარება. ფროსიამ დაყნოსა ბალიშს. ბალიშს ქმრის თმის სუნი უდიოდა, ეს ფედვას ბალიშში იყო, მის მეტი არც არავინ შეჰხებია. ფროსიამ ქმრის ბალიშში ჩარგო თავი და გაიღურსა.

მესამე სართულზე დაბრუნდა ბიჭი და ტუჩის გარმონი ააწრიპინა. იმასვე უკრავდა, რასაც ღღეს, დილაუთენია. ფროსია წამოდგა და ქმრის თმის ღერი თავის მაგიდაზე პატარა კოლოფში შეინახა. ბიჭმა დაკვრა შეწყვიტა, ალბათ მისი დაძინების დრო მოვიდა, ის ხომ აღრე ღგება ხოლმე. ან იქნებ მამა დაბრუნდა სამუშაოდან და მასთან ერთობა, ალბათ მუხლებზე უზის, დედამისი კი შაქარს ამტვრევს და ამბობს, რომ თეთრეულია საყიდელი, რომ ძველი უკვე გაწყალდა რეცხვისაგან და დაიხა. მამა კი ღუმს და გუნებაში ამბობს: უიმისოდაც იოლად გავალთო.

მთელი საღამო ხან რკინიგზის ლიანდაგს მიუყვებოდა, ხან ახლომახლო ჭალებსა და მინდვრებში დასეირნობდა ფროსია. წიდის ორმოებთანაც მივიდა, სადაც გუშინ წაიშუშავა. ისინი კვლავ სავსე იყო, მაგრამ აღარავინ მუშაობდა. ნეტავ სად ცხოვრობდა ნატაშა ბუკოვა? გუშინ აღარ ჰკითხა ფროსიამ. და-ქალებთან და ნაცნობებთან კი წასვლა არ უნდოდა. მას ხომ არ შეეძლო ყველასთან ელაპარაკა თავის სიყვარულზე? სხვა დანარჩენი კი მისთვის უფერული და მკვდარი იყო. ფროსიამ გვერდით ჩაუარა კოოპერატივის საწყობს, სადაც ნატაშას ქმარი ბერდანიტ ხელში მარტოდმარტო დარაჯობდა. ფროსიას უნდოდა ცოტა ფული მიეცა, რომ ხვალ ცოლთან ერთად ხილის წყალი დაეღია, მაგრამ მოერიდა.

— გაიარეთ, გაიარეთ, მოქალაქევ, აქ სიარული აკრძალულია, საწყობია აქ, სახელმწიფო დაწესებულება, — უთხრა მას დარაჯმა, როცა ფროსია შეჩერდა და ქურთუკის ჯიბე მოიჩხრიკა.

საწყობის იქით გადაგვალული მიწა იყო. იქ მაგარი, ხეშეშა ბალახი იზრდებოდა. ფროსია იქით გაემართა, დიდხანს იდგა დაღვრემილი ამ უბადრუკი ბალახების გავერანებულ სამეფოში და ასე ეგონა, აქედან ვარსკვლავებამდე ორიოდ კილომეტრი თუ იქნებაო.

— ეჰ, ფრო, ფრო, ნეტავ ვინმე ჩაგიხუტებდეს გულში! — უთხრა მან თავის თავს.

დაბრუნდა თუ არა შინ, მაშინვე დაწვა.

მეგარმონე ბიჭი უკვე კარგა ხნის დაძინებული იყო. ჭრიჭინებსაც უკვე შეეწყვიტათ ჭრიჭინი. ფროსიას კი არა და არ ეძინებოდა. ვერ მოისვენა, მერე მიხვდა, თურმე მოსვენებას ბალიშში უკარგავდა, ფედორის ბალიშში. ბალიშს ჯე-



რაც ასდიოდა ნაცნობი სუნი თბილი ტანისა. ეს სუნი ფროსიას გულს უკლავდა. მან ფედორის ბალიში ზეწარში შეახვია და კარადაში შეინახა. მერე დაწვა და ობოლივით დაიძინა.

კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის კურსებზე ფროსია აღარ წასულა, რადგან მისთვის ეს მეცნიერება აწ უკვე მიუწვდომელი გახდა. იჯდა შინ და ელოდა ფედორის წერილს. ეგონა, თუ სადმე წავა, ფოსტალიონი წერილს ან ტელეგრამას უკან წაიღებსო. გავიდა ოთხი დღე, ექვსი, ფედორისა კი არაფერი იხმოდა. მამა დაბრუნდა მგზავრობიდან, ის ბედნიერი იყო, რადგან მან იშრომა, ნახა ხალხი და უცნობი სადგურები. ახლა მას ეს ყოველივე მოსაგონებლად კარგა ხანს ეყოფა. მოიგონებს და მოჰყვება. ფროსიამ მამას არაფერი ჰკითხა. მაშინ მამამ თავად აიწყვიტა ენა. უამბობდა — როგორ მიდიოდა ცივი ორთქლმავალი, როგორ ფხიზლობდნენ ღამით, რომ სადგურებზე ზეინკლებს მანქანის ნაწილები არ აეცანცლათ. ფროსია არაფერზე პასუხობდა. ნეფედ სტეფანოვიჩმა სიტყვა ხან მარკიზეთზე ჩამოუგდო, ხან სვერდლოვსკის ხელოვნურ აბრეშუმზე, მაგრამ ქალიშვილი გულისხმაში მაინც ვერ ჩააგდო.

„ფაშისტია ეს ქალი თუ რა, საიდან გამიჩნდა ასეთი, არ ვიცი!“ — გაიფიქრა მოხუცმა.

რაკი ფედორისაგან ვერც წერილს ეღირსა და ვერც ღებემა მიიღო, ფროსიამ ფოსტალიონად დაიწყო მუშაობა. ქალი ფიქრობდა, ალბათ, წერილები იკარგებაო, და გადაწყვიტა თავად მიეტანა ისინი ხალხისთვის. გარდა ამისა, ფედორის წერილს უფრო ძალე მიიღებდა, ვიდრე სხვა ფოსტალიონი მოუტანდა და არც დაეკარგებოდა. ფოსტაში ყველაზე ადრე მიდიოდა, — ჯერ ისევ ეძინა პატარა მეგარმონეს. კორესპონდენციებს საკუთარი სურვილით არჩევდა, ანაწილებდა. ფედორისაგან არაფერი იყო, ყველა კონვერტი სხვას ეკუთვნოდა და ამ კონვერტებში მისთვის საგულისხმო წერილები არ იყო. და მაინც ფროსიას ხალისიანად დაჰქონდა ისინი სახლიდან სახლში, ეგებ ამ წერილებმა სხვებს მაინც მოუტანოსო ნუგეში.

გარიჟრაჟზე ფროსია ორსული ქალივით მძიმედ დადიოდა ქუჩებში, დიდი ხანთა წინ ჰქონდა ჩამოკიდებული. აკაკუნებდა კარზე და აწვდიდა წერილებს საცვლისამარა გამოსულ მობინადრეებს. ცა ჯერაც მუქი-ლურჯი იყო, ფროსია კი მუშაობდა. უნდოდა ჩქარა მოეღალა ფეხები, რომ სამაგიეროდ მისი მღელვარე გული დამცხრალიყო. ბევრს აიხტერესებდა მისი ვინაობა, ეკითხებოდნენ ოჯახურ ამბებს.

„ოთხმოცდათორმეტ მანეთზე მუშაობთ?“ — „ღიახ,“ — პასუხობდა ფროსია. ჟურნალ „კრასნაია ნოვის“ ერთმა ხელმძღვანელმა ფროსიას შესთავაზა, ცოლად გამომყვიო, ვცადოთ, იქნებ ბედნიერებიც ვიყოთ; ა, რას იტყვითო. მოვიფიქრებო, ფროსიამ უპასუხა, — „რა მოფიქრება გინდათ, — უთხრა ხელმძღვანელმა, — მოდი თხოლმე ჩემთან სტუმრად, ახლოს გამიცანით: ნახი ადამიანი ვარ, კულტურული მკითხველი, ხომ ხედავთ, რა ჟურნალს ვღებულობ! ასე ნუ კი უყურებთ, რედკოლეგიის რედაქციით გამოდის, იქ ჭკვიანი ხალხი მუშაობს, ხომ ხედავთ, იქაც კი ერთად შრომობენ, ჩვენც ნუ ვიქნებით ცალ-ცალად. ასე უფრო დარბაისლური იქნება, თქვენც, როგორც ქმრიან ქალს, უფრო მეტი ავტორიტეტი გექნებათ!.. აბა გასათხოვარი ქალი რაა, დაიარება მარტოდმარტო, საზოგადოებისათვის უსარგებლო“.

ბევრი ხალხი გაიცნო ფროსიამ ამ კარდაკარ სიარულისას. ვინ ღვინოსა



და საუზმეს სთავაზობდა მადლობის ნიშნად, ვინ თავის ბედზე შესჩიოდა. ყველას თავისი საზრუნავი და საფიქრალი ჰქონდა.

გამგზავრებისას ფედორი დაპირდა ფროსიას: ჩემი სამუშაოს მისამართს მალევე გაცნობებო. მაგრამ აგერ მეთოთხმეტე დღე მიიწურა და ფედორისაგან კი არაფერი ისმის. სად გაუგზავნოს წერილი ფროსიამ, როგორ მიაწვდინოს ხმა. მთელ დღეს შეუსვენებლივ მუშაობდა ქალი, ცდილობდა, მუდამ საქმით ყოფილიყო გართული, რომ ფედკაზე ცოტა ეფიქრა და ჩაეკლა სასოწარკვეთა. მაგრამ ერთხელ, როცა ფროსიას უკვე მეორე გზობაზე მიჰქონდა ფოსტა, უნებურად შეჰყვირა შუა ქუჩაში, სული შეეხუთა, გული გადაუქანდა და, ხმამალალი, გაბმული კივილი აღმოხდა. გონს რომ მოეგო, ჩანთიანად გაიქცა მინდვრისაკენ, რომ სული იქ მოეთქვა. დაემხო მიწაზე და კარგა ხანს მოთქვამდა, სანამ გულზე არ მოეშვა. მერე წამოჯდა, გაისწორა ტანსაცმელი და გაიღიმა. ახლას სავსებით დამშვიდებული იყო.

ფოსტა რომ დაარიგა, ტელეგრაფის განყოფილებაში შეიარა, სადაც მისი ფედორის დეპეშა გადასცეს. ფედკა მისამართთან ერთად კოცნას უგზავნიდა. როგორც კი მივიდა შინ, ჭამა არც გახსენებია, მაშინვე წერილის წერა დაიწყო. ვერ შეამჩნია, ფანჯრის იქით როგორ დაიღია და ჩაქრა დღე, აღარ ესმოდა პატარა ბიჭუნას გარმონის ხმა, ძილის წინ რომ უკრავდა ხოლმე.

კარზე მამამ დაუკაკუნა. მოუტანა ჭიქით ჩაი და კარაქწასმული ფუნთუშა. მერე სინათლე აანთო, რომ ფროსიას სიბნელეში თვალები არა სტკენოდა.

ლამით ნეფედ სტეფანოვიჩს სამზარეულოში სკივრზე ჩამომჯდარს ჩასთვლიმა. უკვე მეექვსე დღე გადიოდა — დეპოში კი არ ეძახდნენ. მოხუცი ფიქრობდა, ამ ღამეს აუცილებლად გამომიძახებენო, და ყური კიბისკენ ჰქონდა, შიკრიკის ფენის ხმა როდის გაისმებაო.

ლამის პირველ საათზე სამზარეულოში ფროსია შემოვიდა, ხელში დაკეცილი ქალაღდი ეჭირა.

— მამა!

— რა გინდა, შვილო? — მოხუცს ფხიზლად ეძინა და მყისვე გააგონა.

— დეპეშა წაიღე ფოსტაში, მე დადლილი ვარ.

— მერე და დეპოდან ვინმე რომ მოვიღეს?!

— მოგიცდის, — უთხრა ფროსიამ, — შორს ხომ არ არის, ოღონდ ნუ წაიკითხავ დეპეშას, ისე ჩააბარე.

— არ წავიკითხავ, — თქვა მოხუცმა, — შენ ხომ წერილსაც წერდი, მოიტა და ერთად წავიღებ.

— შენი საქმე არ არის, რასა ვწერდი... ფული გაქვს?

მამას ფული ჰქონდა, აიღო დეპეშა და წავიდა.

„უნდა წავიკითხო, აბა არ წავიკითხო, იქნებ ჩემი ქალი სისულელეს წერს, არ უნდა ვიცოდე?“ — გაიფიქრა მოხუცმა.

დეპეშა ფედორს ეგზავნებოდა: „გამოემგზავრე პირველსავე მატარებლით შენი ცოლი ფროსია კვდება სასუნთქი გზების კატარის გართულება აქვს მამა ნეფედ ევსტაფიევი“.

„ეეჰ, ახალგაზრდები არიან“, — გაიფიქრა ნეფედ სტეფანოვიჩმა და დეპეშა სარკმელში გადააწოდა.

— კი მაგრამ, მე ხომ დღეს ვნახე ფროსია, — ჰკითხა ტელეგრაფისტმა ქალმა, — ნუთუ ავად გახდა?



— ალბათ გახდა, — უპასუხა მემანქანემ.

დილით ფროსიამ კვლავ სთხოვა მამას, ფოსტაში განცხადება წაიღეო. განცხადებაში ეწერა, რომ ავადმყოფობის გამო ფროსია თავს ანებებდა სამუშაოს.

მოხუცი წავიდა. მას ისედაც უნდოდა დეპოში წასვლა. ფროსია კი შინ დატრიალდა: წინდები ამოკემსა, იატაკი მორეცხა და ბინა დაალაგა. ორი დღის შემდეგ მოვიდა ელვა: „გამოვდივარ ვიტანჯები ვწუხვარ უჩემოდ ნუ ღამარხავთ ფედორი“.

ფროსიამ ზუსტად გამოთვალა ქმრის ჩამოსვლის დრო. დეპოშის მიღებიდან მეშვიდე დღეს ის უკვე მხიარულად დასეირნობდა ბაქანზე. აღმოსავლეთიდან ზუსტად, დანიშნულ დროზე გამოჩნდა ციმბირის ექსპრესი. მოხუციც ბაქანზე იყო, მაგრამ რატომღაც ქალიშვილისაგან მოშორებით იდგა.

ექსპრესის მემანქანემ ლამაზად შემოაგელვა მატარებელი სადგურში და მარჯვედ დაამუხრუჭა. ნეფედ სტეფანოვიჩს ამის დანახვაზე ცრემლიც კი მოერია, ლამის დაავიწყდა, რისთვის იყო აქ მოსული.

მატარებლიდან ერთადერთი მგზავრი ჩამოვიდა. მგზავრს ქუდი ეხურა. ეცვა ლურჯი, გრძელი ლაბადა, თვალეხანთეებული ვილაცას ეძებდა.

ქალი მისკენ გაქანდა.

— ფრო, ფრო! — შეჰყვირა მგზავრმა და ჩემოდანი დააგდო.

ეს ჩემოდანი მამამ აიღო შემდეგ და შვილსა და სიძეს უკან გაჰყვა.

შუა გზაზე ქალიშვილი მამას მოუბრუნდა:

— მამა, წადი დეპოში, სთხოვე, სადმე გაგაგზავნონ, ხომ მოგწყინდა შინ ჯდომა...

— მომწყინდა, — დაეთანხმა მოხუცი, — ახლავე წავალ. გამომართვი ჩემოდანი.

სიძემ მოხუც მემანქანეს შეხედა.

— გმადლობთ, ნეფედ სტეფანოვიჩი..

— გამარჯობა, ფედია, მომილოცავს მშვიდობით დაბრუნება.

— გმადლობთ, ნეფედ სტეფანოვიჩი..

ფედკას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოხუცმა ფროსიას ჩემოდანი გადასცა და დეპოსკენ გასწია.

— მთელი ბინა დავალაგე, ძვირფასო, — ეუბნებოდა ფროსია ქმარს, — განა მართლა ვკვდებოდი.

— მატარებელშიღა მივხვდი მაგას... — უპასუხა ქმარმა, — ჰირველად კი შემეშინდა ცოტა...

— მაშ რად ჩამოხვედი? — გაუკვირდა ფროსიას.

— იმიტომ, რომ მიყვარხარ და უშენოდ მომეწყინა, — ნალვლიანად თქვა ფედორმა.

ფროსია დაღონდა.

— მეშინია, როდისმე არ შეგბუღდე, მაშინ მართლა მოვკვდები.

ფედორმა ლოყაზე აკოცა.

— თუ მოკვდები, მაშინ ყველანი დაგავიწყდება, მათ შორის მეც. — უთხრა ფედორმა.

ფროსია ცოტა დამშვიდდა.

— სიკვდილი განა რა სანატრელია, ეს ხომ სულმდაბლობაა!



— რა თქმა უნდა, სულმდაბლობაა, — გაიღიმა ფედორმა. მას უყვარდა ფროსიას მაღალფარდოვანი, დაზეპირებული სიტყვები.

წინათ ფროსია საგანგებოდ სთხოვდა, ჭკვიანური ფრაზები მასწავლეო, და ფედორმაც მთელი რვეული აუჭრელა უშინაარსო სიტყვებით: „ვინც თქვა „ა“, მან უნდა თქვას „ბეც“. „კუთხის თავში მოქცეული ქვა“, „თუ ეს ასეა, ეს კი სწორედ ასეა“ — და ასე შემდეგ. მაგრამ ფრო მიხვდა, რომ ქმარი ატყუებდა, და შეეკითხა: „ასო „ა“-ს შემდეგ რატომ უნდა ითქვას „ბ“? იქნებ არ არის საჭირო და მეც არა მსურს“.

შინ ისინი მაშინვე დაწვნენ დასასვენებლად. სამი საათის შემდეგ მამამ დაუკაკუნა. ფროსიამ კარი გააღო და დაელოდა, ვიდრე მამა თავის ჩანთაში საგზალს ჩაალაგებდა და წავიდოდა. ალბათ ისევ გაგზავნეს სადღაც. ფროსიამ კარი დაკეტა და ხელახლა დაწვა. შუალამით გაიღვიძეს, ცოტა წაისაუზმეს, მერე ფედორმა გულში ჩაიხუტა და დილაძღე ასე იყვნენ.

მეორე დღეს ფროსიამ ადრიანად გაამზადა სადილი, პური აჭამა ქმარს და თვითონაც დანაყრდა. ამჟამად მან ყველაფერი ნაუცბათევად გააკეთა, კერძიც უგემური გამოვიდა, მაგრამ ორივესთვის სულ ერთი იყო, რასა სჭამდნენ და რას დალევდნენ, ოღონდაც ერთმანეთის ალერსისათვის დრო ბევრი დარჩენოდათ.

ფროსია ეუბნებოდა ქმარს, ამიერიდან სწავლას გულმოდგინედ მოვკიდებო ხელს, ბევრს ვისწავლი და ბევრს ვიშრომებ, რომ ქვეყნად ყველა ადამიანი უკეთ იცხოვროსო.

ფედორი უსმენდა მეუღლეს და მერე დაწვრილებით უამბობდა თავის გეგმებსა და ფიქრებს. უხსნიდა, როგორ გადაეცემა ელძალის ენერგია უმავთულოდ, იონიზირებული ჰაერის მეშვეობით, ეუბნებოდა, როგორ გაიზრდება ულტრაბგერების ტალღებით დამუშავებული ლითონების სიმტკიცე, თუ რა იშვიათი პირობებია ხანგრძლივი სიცოცხლისათვის ასი კილომეტრით მაღლა სტრატოსფეროში, როგორ ისხამს ფრთებს ადამიანის ოდინდელი ოცნება უკვდავებაზე. კიდევ ბევრი ამისთანების განხორციელებას ფიქრობდა თურმე ფედორი ფროსიას და ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

ფროსია ნეტარებით უსმენდა ქმარს, გაოცებისაგან პირდაღებული. საუბრობდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ, სურდათ ახლავე, ამწუთშივე სწეოდნენ იმ ბედნიერებას, მათ ბეჯით შრომას რომ უნდა მოჰყოლოდა მომავალში. ვერავისი გული ვერ იტანს ლოდინს, შფოთავს და ეჭვი ღრღნის. ფროსიას უნდოდა შვილები ჰყოლოდა, იგი მათ დაზრდიდა და ისინი დააბოლოვებდნენ თავიანთი მამის საქმეს — კომუნიზმისა და მეცნიერების საქმეს. ფედორი იღუმალებით ეჩურჩულებოდა ფროსიას ბუნების საიდუმლო ძალებზე, კაცობრიობას რომ მიანიჭებენ კეთილდღეობას და ადამიანის მოწყენილ სულს გადაახალისებენ... მერე ისევ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, ეფერებოდნენ და ნეტარების ზღვაში ისეთი სიამით იძირებოდნენ, თითქოსდა ამწუთშივე აუცხადდათ ყველაფერი.

სალამობით ფროსია ცოტა ხნით გამოვიდოდა სახლიდან და სურსათს ყიდულობდა. მადა თანდათან ემატებოდა ორივეს. უკვე ოთხი დღეა ერთმანეთს არ მოსცილებიან. მამა არ ბრუნდებოდა, ალბათ კვლავ შორს წააყვანინეს ორთქლმავალი.

კიდევ ორი დღის შემდეგ ფრომ უთხრა ქმარს: ჩვენ ცოტა ხანს კიდევ ვიქნებით ერთად და მერე საქმეს მოვეკიდოთო.



— ხვალ ან ზეგ მე და შენ ნამდვილად უნდა მოვკიდოთ საქმეს ხელი! — ეუბნებოდა ფედორი და ფროს იხუტებდა.

— ჰო, ზეგ, ზეგ! — ჩურჩულით ეთანხმებოდა ფრო.

მერვე დღეს ფედორმა ცუდ გუნებაზე გაიღვიძა.

— ფრო, დავუბრუნდეთ შრომას, შენ კვლავ კავშირგაბმულობის კურსებზე უნდა შეხვიდე.

— ხვალ! — თქვა ფრომ და ქმარს თავზე შემოხვია ხელები.

ქმარმა გაიღვიძა და დამორჩილდა.

— მაშ როდისლა, ფრო, როდისლა, აბა? — ეუბნებოდა მეორე დღეს ფედორი ცოლს.

— მალე, მალე, — პასუხობდა ფრო და ქმარს ხელზე ხელს უჭერდა. იმ დღეს ფროსიამ გვიან გაიღვიძა. კარგა ხანია უკვე გათენებულიყო, ფრო შინ მარტოდ-მარტო იყო. ახლა, მგონი, მეათე თუ მეთორმეტე დღე გადიოდა ქმართან უწყვეტი პაემანისა. ფროსია სწრაფად ადგა ლოგინიდან, ფართოდ გამოაღო ფანჯარა და გაიგონა გარმონის წრიპინი, უკვე მივიწყებული რომ ჰქონდა. ხმა ზემო სართულიდან აღარ მოდიოდა. ფროსიამ გადაიხედა ფანჯარაში: ფარდულთან მორი ეგდო, მორზე ფეხშიშველა დიდთავა ბიჭი იჯდა და გარმონს უკრავდა.

მთელ ბინაში უცნაური სიჩუმე სუფევდა. ფედორი სადღაც გამქრალიყო. ფროსია სამზარეულოში გავიდა. იქ ტაბურეტზე მამა იჯდა და ეძინა. ფროსიამ გააღვიძა იგი.

— შენ როდის მოხვედი?

— ჰა? — წარმოთქვა მოხუცმა, — დღეს, დილაუთენია.

— მერე, ვინ გაგიღო კარი, ფედორმა?

— არავინ, — თქვა მოხუცმა, — კარი ღია იყო, სადგურში ფედორმა მიპოვნა. ძელსკამზე მეძინა.

— მერე რატომ იძინებდი სადგურზე, შენ რა, სახლი არა გაქვს? — გაუჟავდა ფროსია.

— რა მოხდა, იქ დაჩვეული ვარ, — თქვა მამამ, — მეგონა, ხელს შევიშლიდით.

— ჰო, კარგი, გეყოფა! ფედორი სადღაა, როდის მოვა?

მამას უმძიმდა პასუხის გაცემა.

— ის აღარ მოვა, — თქვა მამამ — ის წავიდა...

ფრო დუმდა. მოხუცი კი სამზარეულოს ძონძებს მიჩერებოდა და ისე განაგრძობდა:

— დილას ჩქარი მატარებლით შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრა. იქნებ იქიდან ჩინეთშიც გადავიდეს, ჯერ არ ვიცი, ასე თქვა.

— კიდევ რა თქვა? — ჰკითხა ფროსიამ.

— არაფერი, — უპასუხა მამამ, — მითხრა, წადი შინ და ფროს ყურადღება მიაქციე. როგორც კი დაამთავრებს საქმეს, ან დაბრუნდება და ან შენ წავიყვანს, ასე თქვა.

— რა საქმეებს? — ჰკითხა ფროსიამ.

— არ ვიცი, ასე თქვა, ფრომ ყველაფერი იცის, კომუნიზმით თუ რალაცაა! ფრო გასცილდა მამას. იგი თავის ოთახში გავიდა, ფანჯრის რაფაზე გადაწვა და იმ ბიჭს მიაჩერდა, ტუჩის გარმონს რომ უკრავდა.

— ბიჭიკო, — დაუძახა მან, — მოდი ჩემთან, ბიჭი!



— ახლავე, — უპასუხა მეგარმონემ. იგი აღვა, გარმონი პერანგის უბეში ჩაიღო და ფროსიასკენ გასწია. ფრო შუა ოთახში იდგა ღამის პერანგისამარა და სტუმრის მოლოდინში იღიმებოდა.

— მშვიდობით, ფედორ!

ეგებ ფრო სულელია, ეგებ მისი ცხოვრება ერთ გროშადაც არა ღირს და არც საჭიროებს სიყვარულსა და სინაზეს, მაგრამ ერთი რამ კი იცის: ის ერთი გროში როგორ უნდა გადააქციო ორ მანეთად.

— მშვიდობით, ფედორ, შენ ისევ დამიბრუნდები, მე მოგიცდი, უშენოდ არ მომწყინდება.

კარზე მორიდებით დააკაკუნა პატარა სტუმარმა. ფროსიამ შემოიყვანა ბიჭი, წინ დაისვა იატაკზე, მისი ხელი თავის ხელებში მოიქცია და სიყვარულით მიაჩერდა. ეს პატარა ბიჭი იყო ალბათ ის კაცობრიობა, ფედორი რომ ასეთი სიყვარულით ღაპარაკობდა.





# ფრანგი პოეტი

ლ ე მ ს ე ბ ი

ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა

## ფრანსუა ვიონი

(1431 — 1480?)

### სულის მოსახსენიებელი ბალადა

პატივცემულო ნოევი, ხალისით  
რომ გაახარე ვენახის ფესვი,  
შენ, ლოტოვი, თურმე თვით შენს  
ქალიშვილს  
რომ მიუჩოხდი, იმდენი შესვი;  
შენც, არქეტრიკლენ, შეუდარებო,  
რადგან შენსავით სვამდნენ ცოტანი,  
თქვენ შეიფარეთ, გემუდარებით,  
კეთილი სული მეტრ ჟან კოტარის.

გქონდათ კავშირი ნათესაური,  
თქვენსავით სვამდა, თუმცა  
მრავალჯერ  
არ უჭყიოდა ერთი შაურიც  
და ვერ იყიდდა თუნდაც სავარცხელს.  
ვერ წაართმევდით ღვინის ხელადას,  
ის იყო მისთვის შვების მომტანი,

დე, სამოთხეში თქვენთან ღელავდეს  
კეთილი სული მეტრ ჟან კოტარის.

ის ქანაობდა ღამის დარაჯთან  
და ბევრჯერ თავიც გადაუქანდა,  
მე ვნახე, კოპი როგორ დააჯდა,  
რომ გაიშხლართა ყასბის დუქანთან.  
ის იყო ღვინის მსმელთა რჩეულში  
კაცი უბადლო და საოცარი,  
როცა გაიგებთ ყვირილს, შეუშვით  
კეთილი სული მეტრ ჟან კოტარის.

პრინცი, ყვიროდა,  
მომეცით ჭიქა!  
ყელი გამშრალი და ნალოთარი,  
და თურმე წყურვილს ვერ იკლავს იქაც  
კეთილი სული მეტრ ჟან კოტარის.

### უკანასკნელი ბალადა

მორჩა, წერტილი დასვა ფრანსუამ  
და აქ თავდება მისი ანდერძი.  
ზარების რეკვით თუკი აღსრულდა  
და გაერია მალე ლანდებში,

სურს, რომ წითელი გეცვათ სამოსი,  
თუ დაესწრებით იმის პანაშვილს,  
მას სიყვარულით სული ამოსძვრა  
ლიმით მიმავალს იმ ქვეყანაში.



არ ტყუის, როგორც ბინძურს და  
წუნკალს,  
სულ ყველგან ქვებით ბედშავ ვიიონს  
გააფთრებულნი მისდევდნენ უკან:  
ისე მიადგა ის რუსილიონს,  
რომ სულის მოთქმა არვინ აცალა,  
და ყოველ ბურქნარს, როგორც ფალასი  
მან შეატოვა ქვედა საცვალნი  
აწ მიმავალმა იმ ქვეყანაში.

ვერ უფარავდა სხეულს ძონძები,  
როცა ეახლა მიქელ-გაბრიელს,

და სიყვარული, ღვთით ნაბოძები,  
სულს უჯიჯგნიდა გზაში დაბნეულს;  
ვერ გადაუყვლევს ბალთა მეომარს  
სხეულს იმგვარად, ანდა ქარქაში,  
მაგალითია მართლაც მხნეობის  
ის, მიმავალი იმ ქვეყანაში.

პრინცო, თუ გითხრეს,  
ალბათ ძალიან  
არ გაგაოცებს სიტყვა ხალასი,  
რომ ბოლოს ისევ ღვინო დალია  
მან, მიმავალმა იმ ქვეყანაში.



## პიერ ლე რონსარი (1524 — 1585)

### ო ღ ა

ვანდომუაში, როცა თვეობით  
იძულებითი მოცალეობით  
მესევა ფიქრი და მანადგურებს,  
სინდისის ქენჯნით თავაწყვეტილი  
და ზრუნვით სავსე შევტირი კლდეებს,  
ტყეებს,  
მღვიმეებს და ნაკადულებს.

კლდეებო,  
თქვენ ხართ სამი ათასის  
და ამ ასაკსაც უკვე გადასცდით,  
მაგრამ რა უყო გრანიტს ასაკმა?  
მე კიდევ ჟამის ცვალებადობამ  
ახალგაზრდობა აღარ მადროვა  
და ჩემს სახეზე ჰპოვა ასახვა.

ტყეებო, თუმცა თოვლში  
გაშიშვლდით,  
თმა არ გაქვთ, მაგრამ რაა საშიში,  
მოდის აპრილი, რომ მოელოდით,  
თქვენ ქორორს ისევ გაგიშლით ქარი,  
მე ქორრის ნაცვლად დავიდებ პარიკს,  
რომ დავიფარო თავი მელოტი.

ო, მღვიმეებო, სავსე ძალღონით,  
მე თქვენს კედლებში ხშირად  
ვლალობდი,  
რომ ეგ წყვდიადი ისევ მეხილა,  
დღეს ეს მუხლები თითქოს ქვებია,  
მაგ კედლებივით გამციებია  
და რა ვქნა-მეთქი, ჯანგატეხილმა.

ო, ნაკადულო, მაგ წყლის ნაკადით  
მოხვალ და წახვალ, ქვევით გაქანდი,  
ნუ მოიხედავ დაულალავი;  
მეც ზვირთს მივყვები, რომ არ  
მასვენებს,  
იქ, სადაც ყველა მიდის ასევე  
და არ ბრუნდება უკან არავინ.

მაგრამ არ მინდა ქცევა ვეება  
კლდედ ან ტყეებად ან მღვიმეებად, —  
სიბერე დაღს თუ არ დამასვამდა,  
ვთქვათ, გავქცეოდი სიკვდილს, მერედა  
გულს თრთოლვით ვინლა  
ამიბგერებდა,  
ვინ მომიღებდა ბოლოს, კასანდრავ.



ა ი ვ ა ნ ი

მოგონებათა დედაო და დიასახლისო,  
ო, შენ ხარ ჩემი სიხარული! რაც სულს უყვარდა,  
მოდის და ქრიან კარეტები შენს დაძახილზე,  
დგება სალამო უნაზესი და თრთის ბუხართან,  
მოგონებათა დედაო და დიასახლისო!

სალამოების ნაკვერჩხლების შუქზე გიზგიზი  
და სიზმარივით ვარდისფერი ნისლი აივნის,  
გული კეთილი და შიშველი მკერდის კისკისი!  
კიდევ სიტყვები, უგზოუკვლოდ რომ არ ჩაივლის,  
სალამოების ნაკვერჩხლების შუქზე გიზგიზი.

რა შეედრება მზის დაისებს, ასე ზღაპრულებს!  
ცა რა ღრმა არის! შენ გეკუთვნის, არავისია!  
შენკენ გადმოხრილს, დედოფალო, მე რომ მაბრუებს  
დამათრობელი სურნელებით, შენი სისხლია!  
რა შეედრება მზის დაისებს, ასე ზღაპრულებს!

ირგვლივ წყვდიადი იდგა ღამის, როგორც ტიხარი,  
გეძებდა თვალი, გაურბოდა მზერა ობლობას,  
მე თითქოს ვსვამდი შენი სუნთქვის შხამს და სიხარულს,  
ჩემი ხელები შენს ფეხებთან კვლავ მეგობრობდა.  
ირგვლივ წყვდიადი იდგა ღამის, როგორც ტიხარი.

მე შემიძლია აღვადგინო ის დრო თავიდან,  
დღე ბედნიერი, რომ გართხმულა შენს თეთრ მუხლებთან,  
მშვენიერების საძებნელად სადღა წავიდე,  
ის შენს სულში და სხეულშია კვლავ ხელუხლებლად!  
მე შემიძლია აღვადგინო ის დრო თავიდან...

ო, ის სურნელი, ან ის ფიცი, ან ის ალერსი  
ნუთუ ამოვა, ჩაძირული ფსკერზე ლოტივით,  
როგორც ამოდის განბანილი ოკეანეში  
მზე მორევიდან სიხარულით და მოლოდინით?  
ო, ის სურნელი ან ის ფიცი, ან ის ალერსი!





მ ო თ ხ რ ო ბ ა

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

**ჰ**ერ კიდევ ერთი ციდა ბიჭი ვიყავი, შინ რომ ტელეფონი დაგვიდგეს. იმ დროს მთელ ჩვენს სამეზობლოში ეს ერთადერთი ტელეფონი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას, კიბის ბოლოს კედელზე მიკრული მუხის პრიალა ყუთი და მის გვერდზე ჩამოკიდებული შავი ყურმილი. აი, უკვე რა ხანი გავიდა, მაგრამ იმ ტელეფონის ნომერი „1-05“ დღესაც ზეპირად მახსოვს. მაშინ ისე პატარა ვიყავი, ყურმილს ვერ ვწვდებოდი, ამიტომაც ტელეფონს თითქმის არ გავკარებოვარ, ეს კია, დედაჩემის საუბარს მუდამ გაფაციცებული ვუსმენდი. ერთხელ დედამ ხელში ამიყვანა და ყურმილი ყურზე მომადო. უცბად საიდანღაც მამაჩემის ხმა ჩამესმა, თუმცა კარგად ვიცოდი, ამ დროს იგი ჩვენგან ძალიან შორს რომ იყო. აი საოცრება! ტელეფონი კი არა, სასწაული ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში.

გავიდა ხანი და ერთ მშვენიერ დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იმ ღამას მუხის ყუთში ცხოვრობდა ვიღაც საოცარი არსება, ვისაც უფროსები „ალო, ალოს“ ეძახდნენ. ღმერთო, რა არ იცოდა იმ საოცარმა „ალო, ალომ!“ ჩვენს პატარა ქალაქში დედას რომელი ტელეფონის ნომერიც არ უნდა ეკითხა, იმწამსვე უპასუხებდა; საათი თუ გაგვიჩერებოდა, არც დაფიქრებოდა, ზუსტად ეტყოდა, რა დროც იყო. მახსოვს, ერთ დღეს რაღაც საქმეზე დედა მეზობელთან გავიდა და პირველად სწორედ იმ დღეს გავეცანი ახლოს ჯადოქართელეფონს. მე დაბლა, სარდაფში ვთამაშობდი, რომ უცბად ჩაქუჩით თითი დავიწეწე. მართალია, ძალიან მეტკინა, მაგრამ ხმა არ ამომიღია, არც მიტირია, არც მიყვირია. ან რა აზრი ჰქონდა, როცა შინ ჩემ გარდა არავინ იყო. დავდიოდი წინ და უკან და დაწეწვილ თითს ვწუწნიდი. კიბესთან რომ მივედი, ერთბაშად ჩვენი ტელეფონი გამახსენდა. მაშინვე სასტუმრო ოთახში შევვარდი, პატარა სკამი ტელეფონთან მივათრიე, ზედ შევდექი და ყურმილი ჩამოვხსენი.

— ალო, ალო!.. — ჩავძახე მიკროფონში, ჩემზე კარგა მალლა რომ იყო ჩამოკიდებული. უცბად რაღაცამ გაიჩხაკუნა და ყურში ქალის წყნარი ხმა ჩამესმა:

— გისმენთ, რა გუნებავთ?

— იცით, თითი დავიწეწე, — ავსლუკუნდი ყურმილში და თვალებიდან



ცრემლი ღაპაღუპით წამომცვივდა. ახლა უკვე მარტო აღარ ვიყავი, შემედლო ჩემი სატკივარი სხვისათვის შემეჩივლა.

— განა დედა შინ არ არის?

— არა, მარტო ვარ, შინ ჩემ გარდა არავინ არის, — ვუპასუხე სლუკუნით.

— სისხლი ხომ არ მოგდის?

— არა, ჩაქუჩით დავიწეწე და ძალიან მტკივა.

— შეგიძლია, მაცივარი გააღო? — მკითხა „ალო, ალო“.

— კი, როგორ არა, — ვუპასუხე მე.

— მაშინ ყინულს ცოტა წაატეხე, დაწეწვილ თითზე დაიდე და უმაღლესად დაგიაძვება. ოღონდაც ყინული ფრთხილად მოტეხე, ხელი არ იტკინო. ნუ ტირი, ყველაფერი კარგად იქნება.

ეს იყო და ეს. მას აქეთ, რაც არ უნდა გამჭირებოდა, მაშინვე „ალო ალოს“ ვურეკავდი და ისიც დიდი ხალისით მიხსნიდა, სად იყო, ვთქვამთ, ქალაქი ფილადელფია ან ფანტასტიკური მდინარე ორინოკო (როცა გავიზრდებოდი, ეს მდინარე მე უნდა აღმომეჩინა). „ალო, ალო“ არითმეტიკაშიაც მეხმარებოდა. ერთხელ ისიც კი მასწავლა, რა უნდა მეჭმია ჩემი საყვარელი ბურუნდუკისათვის, ამას წინათ აქვე, პარკში რომ დავიჭირე. როდესაც ჩემი საყვარელი იადონი პიტი მომიკვდა, მე მაშინვე „ალო, ალოს“ დავურეკე და ეს სამწუხარო ამბავი ვაუწყე. მან ჯერ ყურადღებით მომისმინა, მერე კი დამამშვიდა, უფრო სწორად, ის მითხრა, რასაც დიდები პატარებს სანუგეშოდ ეტყვიან, მაგრამ მე მაინც ვერაფერმა ვერ მანუგეშა. ეს სადაური სამართალია, — ვკითხულობდი გულმოკლული, — ასე მშვენივრად გალობდეს ჩიტი, ყველას ასე ატკობდეს, ბოლოს კი გალიაში იმ ჩიტისგან ბუმბულის მეტი აღარაფერი რჩებოდეს!.. „ალო, ალო“ ალბათ მიხვდა ჩემს გულისტკივილს და ასე მითხრა:

— პოლ, გახსოვდეს, რომ არის კიდევ სხვა სამყარო, სადაც ჩიტი ძველებურად იგალობებს.

მისმა ნათქვამმა ცოტა დამამშვიდა, გულზე ოდნავ მომეშვა.

მეორე დღეს ისევ დავრეკე.

— გისმენთ, რა გნებავთ? — მიპასუხა ჩემთვის კარგად ნაცნობმა ხმამ.

— როგორ იწერება სიტყვა „ფიკსი“? — ვკითხე მე მას.

— როგორ და ეფ-აი-იკს.

ამ დროს ჩემი პატარა, ანცი, მოუსვენარი დაიკო ისეთი წივილ-კივილით მომვარდა, შიშისაგან სკამიდან გადმოვვარდი, ზონარი აპარატს მოსწყდა და ყურმილი ხელში შემრჩა. „ალო, ალო“, ეტყობა, ვერ მიხვდა, რა დამემართა, ასე უცბად რატომ გავჩუმდი. მე კი ვიფიქრე, ალბათ ნაწყენი თუა, ხმას იმიტომ აღარ იღებს-მეთქი.

მაგრამ არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ ჩვენი სახლის კარს ვიღაც კაცი მოადგა.

— მე ტელეფონის შემკეთებელი ხელოსანი ვარ, აქვე, თქვენი ქუჩის ბოლოში ვმუშაობ. ტელეფონისტმა ქალმა დამირეკა და მითხრა, ესა და ეს ნომერი არ მუშაობსო, — თქვა მან და ყურმილი, ისევ ხელში რომ მეჭირა, გამომართვა. — აბა ერთი, მაჩვენე რა მოხდა, რა მოუვიდა?

სხვა რა გზა იყო, ავდექი და ყველაფერი თავიდან ბოლომდე ვუამბე.

— არაფერია, მაგ საქმეს ახლავე ვუშველი.



ხელოსანმა ჩვენი მუხის ყუთი გახსნა, იქიდან რაღაც მავთულის ხვეულები და კოჭები ამოიღო, ის პატარა ხრახნიც მოუშვა, ზონარი რომ იყო დამაგრებული, დაწყვეტილი მავთულები მოაცილა, ზონარს ბოლო გადააჭრა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩასძახა მიკროფონში:

— სალამი, მე პიტი ვარ, ას ხუთი უკვე მუშაობს. ბიჭუნა თავისმა პატარა დაიკომ შეაშინა და მისდა უნებურად ზონარი მოგლიჯა. — ხელოსანმა ყურმილი ჩამოკიდა, მერე მე გამიღიმა, თავზე ხელი გადამისვა და წავიდა.

ეს ამბავი წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ერთ პატარა ქალაქში მოხდა. ცხრა წლისა რომ გავხდი, ჩვენი ოჯახი ბოსტონში გადასახლდა. რომ იცოდეთ, როგორ მაკლდა ჩემი იქაური დამრიგებელი და მეგობარი! ჩემი ბავშვობის ქალაქში „ალო, ალო“ კედელზე დაკიდულ ხის პრიალა ყუთში იმყოფებოდა, ახლა კი ჩვენი ახალი ტელეფონი ჰოლში, მომცრო მაგიდაზე იდგა. მაგრამ ერთხელაც არ მომსვლია თავში, ახლოს მივსულიყავი და ყურმილი ამეღო. გავიდა ხანი, გავიზარდე, წლები მომემატა, მაგრამ ჩემი ძველი მეგობარი „ალო, ალო“ და მისი ტკბილი საუბარი არ დამვიწყნია. როცა რაიმე გამიჭირდებოდა, მაშინვე ფიქრი მისკენ გამექცეოდა, მაშინვე ყურში მისი წყნარი, მშვიდი ხმა ჩამესმოდა. ვიცოდი, იქ რომ ვყოფილიყავი, შემეძლო ყოველ წუთს დამერეკა და, რაც მაინტერესებდა, ყველაფერი მეკითხა. მხოლოდ ახლა დავაფასე მისი კეთილი გული, მისი საოცარი მოთმინება, მხოლოდ ახლა მივხვდი, რამდენ დროს, რამდენ ძვირფას წუთს კარგავდა იგი ჩემი გულისათვის.

გაიარა რამდენიმე წელმა, მე უკვე სკოლა დავამთავრე. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, კოლეჯში რომ მივფრინავდი, გზად ჩვენი თვითმფრინავი სიეტლში დაჯდა. თვითმფრინავის გაფრენამდე სულ რაღაც ნახევარი საათი იყო დარჩენილი და ამ ნახევარი საათიდანაც მთელი თხუთმეტი წუთი ჩემს დასთან საუბარს მოვანდომე (იგი უკვე ორი შვილის დედა იყო და სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობდა). მასთან საუბარს რომ მოვრჩი, არც დავფიქრებულვარ, ყურმილი ავიღე და ჩემი მშობლიური ქალაქის ტელეფონების სადგურში დავრეკე. რომ იცოდეთ, რა სიხარული ვიგრძენი, როდესაც ჩემი საყვარელი, დღემდე დაუვიწყარი წყნარი ხმა გავიგონე: „გისმენთ, რა გნებავთ?“...

— ხომ ვერ მეტყვით, როგორ იწერება სიტყვა „ფიქსი“?

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი ყურში ჩამესმა:

— იმედია, თითი უკვე მოგიჩაბა!

მე გამეცინა:

— მაშასადამე, ისევ მანდა ხართ? რომ იცოდეთ, როგორ მაკლიხართ, რომ იცოდეთ, რას წარმოადგენდით, რა ნუგეში იყავით ჩემთვის!

— მე კი არა, თქვენ იყავით ჩემი ნუგეში! მე ხომ არასოდეს მყოლია შვილი... რომ იცოდეთ, რა მოუთმენლად ველოდი თქვენს ზარს, კაცმა რომ თქვას, სისულელეა, არა?

მე ეს სისულელედ სულაც არ მომჩვენებია, მაგრამ არაფერი მითქვამს. ის კი ვუთხარი, მთელი ამ წლების მანძილზე რა ხშირად ვიგონებდი. ბოლოს, ვთხოვე, პირველი სემესტრის შემდეგ, არდადაგებზე დასთან რომ ჩამოვალ, ნება მომეცით, ერთხელ კიდევ დაგირეკოთ-მეთქი.

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა მან. — ოღონდაც პირდაპირ სალი იკითხეთ, კარგი?



— ნახვამდის, სალი! — ვუთხარი და გუნებაში გავიფიქრე: — „ალო, ალოს“ თურმე სახელი ჰქონია“.

— თუ კიდევ ოდესმე ბურუნდუკს დავიჭერ, მხოლოდ ხილსა და კაკალს ვაჭმევ.

— უთუოდ ეგ აჭამეთ. მე კი სულ ვუცდი, ორინოკოს აღმოსაჩენად როდის წაზვალთ. აბა, ნახვამდის...

სამი თვის შემდეგ მე კვლავ სიეტლის აეროდრომზე დავფრინდი და მაშინვე სადგურში დავრეკე. მაგრამ ამჯერად სრულიად უცნობმა ხმამ მიპასუხა.

— თუ შეიძლება, სალის დაუძახეთ, — ვთხოვე უცნობს.

— თქვენ მისი მეგობარი ხართ?

— დიახ, ძალიან, ძალიან დიდი ხნის მეგობარი.

— იცით, ეს რამდენიმე წელია სალი ავადმყოფობდა, თითქმის კარგა ხანია, რაც ნახევარ ცვლაზელა მუშაობდა; იგი ამ ხუთი კვირის წინ გარდაიცვალა, — თქვა ქალმა და დასძინა: — უკაცრავად, თქვენ ვილარდი ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ...

— სალიმ თქვენთვის გადმოსაცემად ბარათი დაგვიტოვა.

— ბარათი? რაო, რა წერია? — ვკითხე მე, თუმცა გულმა მაშინვე მიგრძნო, იმ ბარათში რაც ეწერებოდა.

— ახლავე წაგიკითხავთ: „როდესაც ვილარდი დარეკავს, უთხარით, რომ არის სხვა სამყარო, სადაც ჩიტი ძველებურად იგალობებს. ის უთუოდ მიხვდება, ამით რის თქმაც მინდა“.

რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, სალის რის თქმაც სურდა, ქალს მადლობა გადავუხადე და ყურმილი ჩამოვკიდე.





# ვესაკლ ასალოვი

## გრძნობათა ფერები

ლ ე მ ს ი

თარგმნა ზრილონ ხალვაშმა

თუ გააჩნია ფერები გრძნობებს,  
სულში დუდილით რომ იხარჯვიან?  
სხვები არ ვიცი, თუ რას ამბობენ,  
მე კი მგონია, რომ გააჩნია.

შენში ვისკისით როცა წკრიალებს  
ჰანგი ბულბულთა ტკბილი სიმღერის  
და ძმურ ღიმღის გზიბლავს სიამე, —  
აღბათ, მაშინ რომ გრძნობა იალებს,  
ის ლაყვარდევით ღრმია, ცისფერი;

ან თუ ნაღველი კაცს დაგერია,  
სუნთქვა გიჭირს და ხარ  
დაფარდნილი, —

მაშინ კვამლივით დარდი მწარეა,  
გრძნობა შავია მაშინ ჭვარტლივით;

როდესაც გული სილაღით ღვივის  
და სიხალისემ ფიქრი მოქსოვა,

ბედნიერების ამსხლტარი სხივი  
შეღებელია ისევ ოქროსფრად.

ყოველი გრძნობის თქმა ვით გავბედო,  
სიტკბო-სიმწარის მოთვლა ძნელია,  
აღბათ რამდენი გრძნობაც არსებობს,  
ქვეყნად იმდენი ფერის ფერია.

ო, ბედო ჩემო! შენ იცი აღბათ,  
არ დავუწოქებ მტერს თუ

ქარიშხალს,  
მე შენგან, ბედო, ცოდვად თუ მადლად  
ყოველი გრძნობა მივიღო მზად ვარ,  
თვით შავი ფერიც ვერ შემაშინებს.

და თუნდ ადვილად გამწირო, მაინც  
აღარ დავიშლი ბედთან დაობას, —  
იმგვარ მომავალს უარყყოფ, რაიც  
მოჰგავდეს ფერით — არარაობას!





# პოლონელი პოეტები

## ლ ე მ ს ე ბ ი

პოლონურიდან თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ

თანამედროვე პოლონურ პოეზიას ჩვენში, სამწუხაროდ, ნაკლებად იცნობენ და თუ იცნობენ, მხოლოდ რუსული თარგმანებით. ქართულ ენაზე დღემდე არა გვაქვს ი. ტუვიმის, ი. ივაშკევიჩის, ლ. სტაფის, ვ. ბრონევსკის, მ. იასტრუნის და სხვა, უფროსი თაობის პოლონელი პოეტების ლექსების კრებულები. აღარაფერს ვამბობ „პოლონური პოეზიის ანთოლოგიაზე“, რუსეთში უკვე რამდენჯერმე რომ გამოიცა. ცხადია, ასეთ ვითარებაში, ყოველი ახალი თარგმანი — სასიხარულო მოვლენაა.

მე მიყვარს პოლონური პოეზია. ამ სიყვარულმა ენა შემასწავლა და აი, უკვე რამდენიმე წელია შეძლებისდაგვარად ვთარგმნი პოლონურ ლექსებს ქართულად. ამ მუშაობის შედეგი — 1973 წელს „საბჭოთა საქართველოში“ გამოცემული, ცნობილი თანამედროვე პოლონელი პოეტების თადეუშ რუჟევიჩის და ზბიგნევ ჰერბერტის ლექსების პატარა წიგნი „ხე და ვარსკვლავი“ იყო.

წინამდებარე ციკლში წარმოდგენილია ცნობილი პოეტი-ქალის ვისლავა შიმბორსკაიას და ზ. ჰერბერტის ახალი, დღემდე ქართულად უთარგმნელი პოეტური მინიატურები.

## ვისლავა შიმბორსკაია

### მ უ ზ ე უ მ ი

თეფშები არი... მაგრამ რა გინდა, — არავინ მოდის ჭამის მადაზე!  
თასები არი... მაგრამ არავინ ფიქრობს ღვინოზე და თამადაზე!  
და ეს ნივთები — სამასწლისანი — ასე იქნება კიდევ ათასწელს.

არის მარაო, მაგრამ სადღაა ცეკვით დაღლილი ტურფა ქალები?  
არის ხანჯალი, მაგრამ სადღაა ახანძრეული რისხვით თვალები?  
არის ბარბითი, მაგრამ როგორი — მტვერწყარილი და გულჩახვეული  
და სამუდამოდ დადუმებულან სიმები — თითებს გადაჩვეული.



მარადისობის დასამტკიცებლად აქ მოიტანეს ძველი ნივთები,  
რასაც ოდესღაც ერქვა ქონება, შესაწირავი, ძღვენი, მზითევი;  
რაც კი ოდესღაც გამოდგებოდა სიყვარულის და ხსოვნის დასტურად,  
რაც არსებობდა არსებობისთვის და არსებობა არ დაასრულა...

მუხის ავეჯი, ძვლის ქანდაკება და იარაღი ვერცხლით ნაფერი, —  
ჟამთა ბრუნვაზე თვის გამარჯვებას უხმოდ ზეიმობს აქ ყველაფერი:  
გვირგვინი თავზე გამძლე გამოდგა, ტახტი — საჯდომზე უფრო დღეგრძელი,  
ფეხი ფეხსაცმელს ვერ მოერიდა და დაამარცხა ფერმა — ფერმწერი.

რაც შეეხება ჩემს პიროვნებას, გთხოვთ დამიჯეროთ: მე ცოცხალი ვარ  
და ჩემს კაბასთან ჩემი ჭიდილი კაბის იდუმალ განზრახვას აჩენს:  
რა ჯიუტია და რა კერპია, არც კი მალავს, რაც დასამალია, —  
ო, როგორ უნდა რომ მომინელოს და ჩემზე დიდხანს ამქვეყნად დარჩეს!

### საავადმყოფოში ვისვლა

ჩვენ წილი ვყარეთ ასანთებით: ვინ წავა მასთან.  
მე მომიწია და იმწამსვე დავტოვე სუფრა.  
საავადმყოფო იქვე იყო, რესტორნის გვერდით  
და მნახველების მიღების დრო ახლოვდებოდა.

მან არაფერი მიპასუხა მისალმებაზე  
და როს მარჯვენა გავუწოდე, — ხელი წაიღო  
სწრაფად, ისე, ვით დამშეულმა ნაგაზმა — ძვალი.

ისეთი სახე და ისეთი იერი ჰქონდა,  
თითქოს რცხვენოდა საკუთარი გარდაცვალების.  
რა უნდა მეთქვა, არ ვიცოდი და ჩემი მზერა  
მის თვალებს ასცდა, როგორც ჭერში ნასროლი ტყვია.

იგი არ მთხოვდა არც დარჩენას, არც წასვლას მთხოვდა.  
თქვენნი ამბავიც არ უკითხავს: არც შენი, ვლოდეკ,  
არც შენი, მარეკ, და არც შენი, ჩემო ირენა.

თავი ამტკიცდა. ვინ კვდებოდა? ვის უკვდებოდა?  
რატომ და რისთვის? დაბნეული, ხოტბას ვასხამდი  
თანამედროვე მედიცინას და სამ გვირილას  
ფანჯრის რაფაზე გამჭვირვალე ლარნაკში ჩადგმულს...

მადლობა გამჩენს! რა კარგია, კიბე არსებობს  
და შეგიძლია სულ სირბილით ჩახვიდე ქვევით!  
მადლობა გამჩენს! რა კარგია, კარი არსებობს  
და შეგიძლია გააღო და გახვიდე გარეთ!

მადლობა გამჩენს! აქვე ახლოს რესტორანია,  
სადაც თქვენ, ჩემო მეგობრებო, ამჟამად მიცდით!..  
საავადმყოფოს სუნს ვერ ვიტან... გული მერევა.



## ბ ა ლ ა დ ა

აი, ბალადა მოკლული ქალის, —  
მოჰკლეს და მაინც წამოდგა იგი...

აი, ამბავი, რომელიც მერე  
მე გამახსენდა და ჩავიწერე.

და როცა მკვლელმა დასტოვა ბინა,  
და აჩქარებით დაუყვა კიბეს,

ადგა ეს ქალი, თითქოს ჯერ კიდევ  
ცოცხალი იყო, ეძინა მხოლოდ.

ადგა,  
სარკის წინ თმა გაისწორა

და წამწამებში ჩასმული ბეჭდის  
თვლები მოავლო ოთახის კედლებს.

არ უფრენია ჰაერში,  
არა.

საგულდაგულოდ დაკეტა კარი,  
და გამოალო მაგიდის უჯრა.  
მერე კი — წყნარი და ფიქრიანი  
ბუნარს მიუჯდა და ცეცხლში დასწვა  
ყველა წერილი და სურათები,  
რომ მკვლელის ველარ ეპოვნათ კვალი.  
და როს წარსული აქცია ფერფლად,  
სულგანაბული და უგრძნობელი  
პირქვე დაემხო საწოლზე ისევ.




## ზ ბ ი ბ ნ ე ჯ კ ი რ ბ ე რ ტ ი

### ნ ი შ ა რ ა

მშობლების საწოლ ოთახში, სარკის წინ ვარდისფერი ნიჟარა იდო, ფეხაკრეფით მივეპარებოდი ხოლმე, ხელს დავტაცებდი და სწრაფად ყურთან მივიტანდი. მინდოდა მიმესწრო ისეთ დროს, როცა ნიჟარა არ მოსთქვამდა რაღაცას თავისი გაბმული ერთფეროვანი ხმით.

პატარა ვიყავი, მაგრამ უკვე ვიცოდი: როგორც არ უნდა გვიყვარდეს ვინმე, არის წუთები, როცა ესეც გვავიწყდება.



### მ კ მ რ ა ვ ი

ჩილიდან წვიმს. დღეს ასაფლავებენ იმ დედაკაცს, პირდაპირ რომ ცხოვრობდა. მკერავი. საქორწილო ბეჭედზე ოცნებობდა და მიცვალებულს, მხოლოდ სათითო შერჩა, თითზე, მეტი არაფერი. ყველას ეციინება ამ ამბავზე. გულკეთილი წვიმა ცისა და მიწის ამოკემსვას ცდილობს, მაგრამ ამ საქმიდანაც არაფერი არ გამოვა.






## ვარდი და ქარი

წალკოტში გაზრდილი ვარდი ქარს შეუყვარდა. ისინი სულ არ გავდნენ ერთმანეთს: ქარი მსუბუქი და გამჭვირვალე იყო, ვარდი — უძრავი და სისხლივით მძიმე. ერთ დღეს ჩექმებიანი კაცი მოვიდა და უხეში ხელით ვარდი მოწვიტა. ქარი გაექანა მისკენ, მაგრამ კაცმა ცხვირწინ მიუკეტა კარი. — ნეტა გავქვავებულიყავიო, — ატირდა უბედური ქარი. მთელი ქვეყანა რომ შემომეველო, წლობით რომ არ დავბრუნებულიყავი, ერთი რამ მაინც ვიცოდი: აქ ვარდი დამხვდებოდა.


ქარმა ისიც იცოდა, რომ ჭეშმარიტი ტანჯვა მხოლოდ ერთგულთა ხვედრია.



## მხატვარი

ქრის ტყესავით თეთრ კედლებს სურათები გვიმრასავით მოსდებია. სკიპიდარისა და ზეთის სუნით გაჟღენთილი მირონი ლიმონის დრამას გადმოგვცემს, — იგი განწირულია იცხოვროს მისთვის არასასურველ მწვანე ტილოს ნაჭერთან. იქვეა შიშველი ქალის სურათიც.

— ჩემი საცოლუა, — ამბობს მირონი, — ოკუპაციის დროს ვხატავდი. იმ ზამთარს არც პური იყო, არც შეშა. სისხლი ეყინებოდა ძარღვებში და თეთრი კანი ულურჯდებოდა. მაშინ მე თბილი ვარდისფრად ვღებავდი სურათის ფონს.



## სპილო

ქრსებითად, სპილო მეტად მგრძნობიარე არსებაა. მდიდარი ფანტაზია მას საშუალებას აძლევს ზოგჯერ დაივიწყოს თავისი გარეგნობა. წყალში რომ შედის, თვალებს ხუჭავს. საკუთარი ფეხების დანახვაზე ბრაზი ერევა და სტირის.

მე პირადად ერთ სპილოს ვიცნობდი — კოლიბრი უყვარდა. არაფერს ჭამდა, ძილიც დაჰკარგა, გულმა ვეღარ გაუძლო და მოკვდა.

ტლანქი არისო, — ამას მხოლოდ ის იტყვის, ვინც სპილოს ბუნებას არ იცნობს.





# Xონ სტაინბუკი

## ტირტილა ფლეთი

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

— ზოგჯერ მშვენიერ საჭმელს აძლევენ ხოლმე რესტორნებში, — ხმა-  
მალლა განაგრძო ფიქრი პაბლომ, — იმ დღეს ბიფშტექსი დავუნახე ხელში,  
სულ ცოტა ჰქონდა ჩამოციცქნილი.

— ის კი არადა, შეიძლება ორასი დოლარიც იყოს, — შენიშნა პი-  
ლონმა.

დენიმე თავი მოიფხანა:

— ძაღლებს რაღა ეშველება — ძაღლებსაც მოიყვანს?

— მშვენიერი ძაღლებია, — უპასუხა პილონმა, — ყველაფერს უჯერე-  
ბენ. ადექი და ერთი კუთხე მოუხაზე, პირდაპირ უთხარი, მაგ მოხაზულში  
გყავდეს ძაღლები-თქო. გააფრთხილებს ძაღლებს, და არც გამოვლენ.

— ერთ დილას შევხვდი, თითქმის მთელი ნამცხვარი ეჭირა ხელში,  
ყუა ჰქონდა მარტო ყავით დამბალი, — თქვა პაბლომ.

საკითხი თავისთავად მოგვარდა. სახლი უცებ კომიტეტად იქცა და  
მთელი ეს კომიტეტი მეკობრეს ეწვია.

საქათმე სულ გაიჭედა, როცა შელაგდნენ. მეკობრე ბუზღუნით ცდი-  
ლობდა სიხარულის დაფარვას.

— საძაგელი ამინდი დაგვიდგა, — საუბრის წამოწყება სცადა მას-  
პინძელმა და მაშინვე დასძინა: — იქნებ არც კი დაიჯეროთ: რუდოლფს  
კისრიდან მტრედის კვერცხის სიმსხო ტკიბა მოვაგლიჯე, — მერე თავისი  
სახლი ახსენა აგდებულად, როგორც ნამდვილ მასპინძელს შეეფერება, —  
ერთი ციცქნაა ეს ოხერი. მეგობრებიც ვეღარ მიგიღია, თუმცა თბილი და  
მყუდრო კია, განსაკუთრებით ძაღლებისათვის.

ახლა პილონმა ჩამოართვა სიტყვა. მეგობრებს შენი დარდი გვკლავ-  
სო, უთხრა. ჩვენთან თუ გადმოხვალ საცხოვრებლად, მოსვენებული ძილი  
მაინც დაგვიბრუნდებაო.

ეს დიდი ელდა იყო მეკობრისათვის. ხელებზე დაიხედა, ძაღლებს გა-  
დახედა გასამხნევებლად, მაგრამ ძაღლებმა თვალი აარიდეს. მერე ხელის

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 2



ზურგით ამოიწმინდა ბედნიერება თვალებიდან და ხელი თავის გაბურღულ შავ წვერზე შეიხოცა.

— ძაღლები? — იკითხა მან მოკრძალებით, — ძაღლებსაც მიიღებთ? ძაღლების მეგობრებიც ხართ?

პილონმა თავი დაუქნია.

— ჰო, ცალკე კუთხეს მივცემთ ძაღლებს.

მეგობრე ამაყი კაცი იყო. ეშინოდა, ვაითუ ღირსეულად ვერ დავიჭიროთ თავიო.

— ახლა წადით, — შეეხვეწა იგი, — შინ წადით. ხვალ მეც მოვალ.

მეგობრები მიხვდნენ, რა გრძნობებს მოეცვა ახლა მისი გული. კარბში გამოძვრნენ და მარტო დატოვეს.

— ბედნიერი იქნება ჩვენთან, — თქვა ხესუს მარიამ.

— საწყალი უთვისტომო კაცი, — დასძინა დენიმ, — რომ მცოდნოდა, ადრევე ვთხოვდი, თუნდა სულაც არა ჰქონოდა ის განძი.

სახე ყველას სიხარულით უბრწყინავდა.

მაღე შეუთვისნენ ერთმანეთს. დენიმ ლურჯი ცარციით შემოხაზა მათი წილი ფართობი, ოთახის მთელი ერთი კუთხე. ძაღლებისათვის გამოჰყო ეს ადგილი, მაგრამ მეგობრესაც თავის ძაღლებთან ეძინა.

სახლი ცოტა არ იყოს დავიწროვდა, როცა ერთბაშად ხუთი ადამიანი და ხუთი ძაღლი გაჩნდა. მაგრამ დენი და მისი მეგობრები თავიდანვე მიხვდნენ, რომ მეგობრის მოპატიჟება მათ შთააგონა იმ ქანცგაწყვეტილმა და გატანჯულმა ანგელოზმა, მათივე ბედ-იღბალს რომ დარაჯობდა და ყოველგვარი ბოროტისაგან იფარავდა.

ყოველ ცისმარე, დიდი ხნით ადრე, მანამ მეგობრები გაიღვიძებდნენ, მეგობრე თავისი კუთხიდან გამოძვრებოდა, ძაღლებიც თან გამოჰყვებოდნენ, და მთელ რესტორნებსა და ნავსადგურებს შემოივლიდა. ისეთი კაცი იყო, ყველას რომ ებრალება ხოლმე. ნაჩუქარი პარკები ახლა უფრო გაიზარდა. მეგობრებიც სარგებლობდნენ მისი გულუხვობით. ახალი თევზი, ღვეზლის ნაჭრები, ხელუხლებელი გამომხმარი ფუნთუშები, ხორცი, რასაც ცოტაოდენი სოდიანი წყალი სჭირდებოდა სიმწვანის მოსაცილებლად... ნამდვილი ცხოვრება ახლა დაიწყო.

მეგობრეს გული აუჩუყა იმან, რომ მეგობრები მის საჩუქრებს არ თაკილობდნენ; რა გინდ სიკეთე ექნათ მისთვის, ასე არ გაახარებდა, რომ დაინახავდა, როგორ შეექცეოდნენ მის მოტანილ საუზმეს, თვალები გაუბრწყინდებოდა და გულში ღმერთს მადლობას სწირავდა.

საღამოთი, როცა მეგობრები ღუმელს შემოუსხდებოდნენ და გამაძლარი ღმერთების სიზანტით ტორტილა ფლეტის ამბების განსჯას შეუდგებოდნენ, მეგობრის თვალები ხან ერთი მოსაუბრის ტურებს მიაშტერდებოდა, ხან მეორისას, და თავადაც აუცმაცუნდებოდა ბაგე — ჩურჩულით იმეორებდა მეგობრების ნათქვამს. ძაღლები ეჭვიანად შემოეკვროდნენ ხოლმე.

რა მეგობრები მყოლია, ამბობდა იგი გულში, როცა სახლი სიბნელეში გაეხვეოდა და ძაღლები ახლოს მიიყუყებოდნენ მასთან, რათა ყველა კარგად გამთბარიყო. ისე ჰყვარებია ამ ხალხს, რომ მისმა მარტობამ მოსვენებაც კი დაუკარგათ. წარამარა იმეორებდა და იმეორებდა ამას,



რადგან საოცარი ამბავი იყო, დაუჯერებელი. მისი ურიკა უკვე დენის ეზოში იდგა, ახლაც ყოველ დილით აგროვებდა კვარს და ჰყიდდა. მაგრამ ისე ეშინოდა, თუნდაც ერთი სიტყვა, მეგობრების ნათქვამი, არ გამოემეპაროსო, მეგობრული სიტბო თუნდა ერთი წუთით არ მომაკლდესო, რომ რამდენიმე დღე გამოტოვა — თავის განძს ამ დღეებში ნაშოვნი ფული ვეღარ დაუმატა.

მეგობრები გულკეთილობას იჩენდნენ მის მიმართ, ალერსიანად და თავაზიანად ექცეოდნენ. მაგრამ ვისიმე ფხიზელი თვალი მაინც მუდამ უთვალთვალებდა. ურიკას რომ გააგორებდა ტყისკენ, რომელიმე მეგობარი შორიასლო გასდევდა, ჯირკზე ჩამოჯდებოდა და თვალყურს ადევნებდა. ძილის წინ, ხრამში რომ გადავიდოდა, დენი ან პაბლო, ან პილონი, ან ხესუს მარია მარტოკას არასდიდებით არ გაუშვებდა. ღამით კი, რაგინდ ჩუმად და უხმაუროდ გამოსულიყო სახლიდან, აჩრდილი მაინც უსათუოდ აედევნებოდა.

ერთი კვირა ისე გავიდა, შორიდან ადევნებდნენ თვალყურს. მაგრამ ამდენი უმოქმედობა მობეზრდათ. ჯიქურ მივარდნაც არ შეიძლებოდა, ეს თვითონვე კარგად იცოდნენ. ასე რომ, ერთ საღამოს, საუბარში, სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ რამდენად გონივრული იყო ფულის გადამაღვა.

პილონიმა წამოიწყო.

— ერთი ბიძა მყავდა, გამოუსწორებელი კრიჟანგი. რაც ოქრო ებადა, სულ ტყეში მალავდა. ერთხელ წავიდა, დავხედავო, და აღარ დახვდა. ვილაცას მიეგნო და მოეპარა. სიბერეში იყო უკვე შესული, რომ ნახა აღარაფერი დამიტოვესო, ადგა და თავი ჩამოიხრჩო.

პილონიმა კმაყოფილებით შეამჩნია, რომ მეგობრეს სახეზე შიშმა გადაურბინა.

დენიმაც შეამჩნია ეს და პილონს სიტყვა ჩამოართვა:

— ვიხოსაც მიწაში ჰქონდა ჩაფლული ფული — პაპაჩემს, ამ სახლის პატრონს. ვერ გეტყვით, რამდენი ექნებოდა, მაგრამ ისე მდიდარი კაცის სახელი ჰქონდა, სამასი-ოთხასი დოლარი მაინც ექნებოდა. ამოთხარა დიდი ორმო და ფული შიგ ჩადო, მიწა დააყარა და ზევიდან წიწვები მოაპნია. კაციშვილი ვერ მიაგნებსო, იფიქრა, მაგრამ მეორედ რომ მიბრუნდა, ორმო ამოთხრილი და ფული წაღებული დახვდა.

მეგობრის ტუჩები სულ იმეორებდნენ ამ სიტყვებს. სახეზე შიშის ჩრდილი გადაეფინა. სენიორ ალეკ თომპსონის კისერს მიწვდა და სქელი ბეწვები გაუსინჯა. მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს და ამ საგანს დროებით მოეშვნენ. კორნელია რუიზის სასიყვარულო ამბები წამოიწყეს.

ღამით მეგობრე გამოიძურწა სახლიდან და ძაღლებიც მასთან ერთად გამოიძურწნენ. სულ ბოლოს პილონი გამოძვრა. მეგობრე ჩქარი ნაბიჯით მიჯლიგინობდა ტყისკენ, გულარხეინად ახტებოდა ჯირკებსა და ბურქებს. პილონი უკან მიბრძიკობდა. ორიოდ მილი რომ გაიარეს, პილონს ღამის გული ამოუვარდა, ბარდებში ერთიანად დაიკაწრა. ერთი წუთით შედგა და სული მოითქვა. დააყურა — ჩამიჩუმი აღარ იხმოდა. ცოტა შეიცადა, კიდევ დაძაბა სმენა, ცოცვით მიდგა-მოდგა. მეგობრე გამქრალიყო.

ორი საათის შემდეგ უკანვე მოლასლასდა პილონი, ქანცგაწყვეტილი და მოლაყლაყებული. მეგობრე ძაღლებს შორის გაწოლილიყო და ტკბი-



ლად ფშვინავდა. ოთახში რომ შევიდა, ძაღლებმა თავი წამოსწიეს და პილონს მოეჩვენა — დამცინავი ღიმილით შემომხედესო.

მეორე დილას ხრამში თათბირი გაიმართა.

— მაგისი დევნა შეუძლებელია, — მოახსენა თათბირს პილონმა, — ხელად გაჰქრება ხოლმე. სიბნელეში მშვენივრად ხედავს. ტყეში ყველა ხესა ცნობს. სხვა რამე უნდა ვილონოთ.

— ერთი კაცი ვერაფერს გახდება, — შენიშნა პაბლომ, — ყველანი გავყვეთ და ერთი ჩვენგანი მაინც არ დაჰკარგავს კვალს.

— ამალამაც გავუბათ ლაპარაკი, — თქვა ხესუს მარიამ, — ოღონდ უფრო საშინელი ამბები ვუთხრათ. ერთი ნაცნობი ქალი ღვინოს შემპირდა, — მორცხვად დასძინა მან, — ცოტა რომ დავალევინოთ მეკობრეს, იქნებ ისე ადვილად ვეღარ გაგვეპაროს.

ასე გადაწყდა.

ხესუს მარიას მთელი გალონი ღვინო უძღვნა ნაცნობმა ქალბატონმა. მეკობრის ნეტარებას რა შეიძლება შევაღაროთ იმ ღამეს, როცა მურაბის ქილით ღვინო მიაწოდეს, როცა მეგობრებში არხეინად იჯდა, ღვინოს წრუპავდა და საუბარს ისმენდა? ასეთი სიხარული იშვიათად თუ განუცდია მეკობრეს თავის სიცოცხლეში. სურვილმა წამოუარა — გულში ჩაეკრა ეს ძვირფასი ხალხი და ეთქვა, ძალიან მიყვარხართო. მაგრამ ამას ვერ იზამდა, მთვრალი ეგონებოდათ. ინატრა, ისეთი უსაშველო რამე გამაკეთებინა, რომ მეგობრებს ჩემი სიყვარული დავუმტკიცოო.

— წუხელ მიწაში ჩაფლულ ფულზე ვლაპარაკობდით, — წამოიწყო პილონმა, — დღეს მომაგონდა, ერთი ბიძაშვილი მყავდა, ჭკვიანი კაცი. ვინმეს თუ შეუძლია ქვეყნად მიუგნებელ ადგილას ფულის დამალვა, პირველი ეს კაცი იქნებოდა. აილო და დამალა თავისი ფული. ალბათ ნახული გეყოლებათ, ერთი გაუბედურებული კაცი რომ დაცოცავს ნავსადგურში და თევზის თავებს თხოულობს წვნიანის გასაკეთებლად. სწორედ ის გახლავთ ჩემი ბიძაშვილი. ვილაცამ მოპარა მიწაში ჩაფლული ფული.

ისევ დაელმიჭა სახე მეკობრეს.

ამბავს ამბავი ცვლიდა და სულ ერთი და იგივე განსაცდელი — ფულის გადამნახველს არა და არ სწყალობდა ბედი.

— ყველაფერს ისა სჯობია, სულაც არ მოიშორო თავიდან ფული, ცოტ-ცოტა ხარჯო და მეგობრებსაც უწილადო, — დაასრულა დენიმ.

თვალი არ მოუშორებიათ მეკობრისათვის, და ერთი ყველაზე საშინელი ამბის გულში რომ იყვნენ, დაინახეს, როგორ ერთბაშად მოშორდა სახიდან ჭმუნვის ღრუბელი. ნაცვლად შვების ღიმილი გადაეფინა. წრუპავდა ღვინოს და თვალები სიხარულით უციმციმებდა.

მეგობრები სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. მთელი მათი გეგმები ჩაიფუშა. გული ჩაწყდათ. ამდენი სიკეთისა და გულმოწყალების სანაცვლოდ საქმე ერთბაშად ასე დატრიალდა. რალაცნაირად თავი დააღწია მეკობრემ მთელ იმ სიკეთეს, რასაც მეგობრები უმზადებდნენ. ღვინო გამოსცალეს და უგემურად მიწვნენ დასაძინებლად.

იშვიათად რომ რამე გამოჰპარვოდა პილონს ღამით: მთელ სხეულს ეძინა, ყურები კი მაინც დაცქვეტილი ჰქონდა. ხელად გაიგო, როგორ გაიღალნენ სახლიდან მეკობრე და მისი ძაღლები. წამოხტა და მეგობრები



დააღვიძა. ერთი წუთიც არ გასულა, ოთხივე მეგობარი ტყისკენ მიეშურებოდა, მეგობრის კვალდაკვალ. ნაძვნარში რომ შევიდნენ, ერთიანად ჩამოსკვარამდა. წარამარა ხეებს ეხეთქებოდა ოთხი მეგობარი, ფეხებში ბურქები ებლანდებოდათ. მაგრამ წინ მიმავალი მეგობრის ფეხის ხმა კიდევ დიდხანს ესმოდათ. ამათაც მიაღწიეს იმ ადგილს, სადამდეც წუხელ პილონმა მისდია, და უცებ სიჩუმე ჩამოწვა — მხოლოდ ტყის ჩურჩული და ღამის მსუბუქი ნიავის შრიალი. სულ დაჩხრიკეს ბურქები და ბარდები, მაგრამ მეგობრე ახლაც უკვალოდ შთაინთქა.

ბოლოს, გათოშილები და სასოწარკვეთილები ერთად შეჯგუფდნენ და მონტერეისკენ წალაყუნდნენ. მანამ ჩააღწევდნენ, იციალა კიდევ. ზღვის უბეს მზემ მიაწათა. დილის ცეცხლის კვამლი უკვე დაიძრა მონტერეის ქუჩებიდან ამათ შესახვედრად.

მეგობრე პარმალზე გამოვიდა შესაგებებლად, ბედნიერი სახე ჰქონდა. უხმოდ ჩაუარეს და ოთახში შელაგდნენ. მაგიდაზე ტილოს დიდი პარკი იდო.

მეგობრეც შეჰყვა ოთახში.

— მე ტყუილი გითხარი, პილონ, — სთქვა მან, — ფული არ მაქვს-მეთქი! შემეშინდა და იმიტომ. მაშინ რას ვიფიქრებდი, ამდენი მეგობარი თუ მყავდა. ახლა, როცა გავიგე, რამდენს დაჰკარგვია ასე გადამალული ფული, შემეშინდა. წუხელიდა მივხვდი, რა უნდა გავაკეთო. მეგობრებს მივანდობ და არაფერი არ მოუვა ჩემს ფულს. ველარავინ მომპარავს.

მეგობრებმა თვალები ჭყიტეს, შიშით მიაშტერდნენ სახეში.

— უკანვე წაიღე ეგ ფული, ტყეში დამალე, — გაავებით უთხრა დენიმ, — სულაც არ გვეპიტნავენა მაგისი გუშაგობა.

— აჰ, — აიტკიცა მეგობრე, — რაღა მომასვენებს. მეგობრების ხელში რომ დავიგულებ, მაშინ ვიქნები გულდაარხეინებული. ვიცი, არ დამიჯერებთ, მაგრამ ეს ორი ღამე ვიღაცა მომდევდა ტყეში, ფულის მოპარვა უნდოდა.

ხომ საშინელი დარტყმა იყო, მაგრამ პილონმა, ამ ჭკუით გატენილმა კაცმა, მაინც სცადა მოგერიება.

— მანამ მოგვაბარებდე ამ ფულს, იქნებ ცოტა შენთვის ამოიღო, სახარჯავად, — შეპარვით უთხრა მან.

მეგობრემ თავი გააქნია.

— არა. მაგას ვერ ვიზამ. აღთქმა მაქვს მიცემული. სულ ოცდახუთცენტიანები მაქვს პარკში. ათასს ბევრი აღარ ეკლება. ათასი რომ შეგროვდება, ოქროს შანდალი უნდა ვიყიდო და წმინდა ფრანცის ასიზელს მივართვა. ერთი მშვენიერი ძაღლი მყავდა, ავად გამიხდა, მაშინ აღვუთქვი, მთელ ათას დღეს ვიშრომებ და ოქროს შანდალს მოგართმევ, ოღონდ ეს ძაღლი გადამირჩინე-მეთქი. და მართლაც, — მეგობრემ თავისი დიდი ხელები გაშალა, — მორჩა ძაღლი.

— ერთ-ერთი ამათგანია? — ჰკითხა პილონმა.

— არა, — უპასუხა მეგობრემ, — ცოტა ხნის შემდეგ საბარგო მანქანამ გადაუარა.

მორჩა, ყოველგვარი იმედი ფულის თავიდან მოშორებისა გადაწყდა. დენიმ და პაბლომ ქუშად ასწიეს ვერცხლის ფულებით გატენილი პარკი



და მეორე ოთახში გაიტანეს, დენის სასთუმალქვეშ ამოდეს. იმის შეგნებამ, რომ ფული ბალიშის ქვეშ ჰქონდათ ამოღებული, თანდათანობით სიამე მოჰგვარა მათ, მაგრამ ამჟამად მარცხის სიმწარე ძნელი გამოდგა. ვერც ვერაფერს გახდებოდნენ, ვერაფერს იღონებდნენ. ბედმა თითქოს ერთი კი გაუღიშათ, და ისევ გასხლტა.

წინ მეგობრე აეტუზათ, თვალთაგან ბედნიერების ცრემლები სცვივოდა, რადგან ის-იყო მეგობრებს სიყვარული და ერთგულება დაუმტკიცა.

— წარმოგიდგენიათ, — თქვა მან, — რამდენი წელიწადია იმ საქათმეში ვეგდე და სიხარული რა იყო, არ ვიცოდი. ახლა კი, — დასძინა მან. — ო, რა ბედნიერი ვარ!

როგორ ეძებდნენ დენის მებობრები ფ. ენდრიუს დენსასწაულის წინა ღამეს ჯადოსნურ განძს. როგორ იკონა იგი პილონა და, საბოლოოდ, სარჯის შარვალი როგორ გადავიდა პატრონიდან პატრონის ხელში

გმირი რომ ყოფილიყო ჯო, ჯარში საშინლად გაიტანჯებოდა. მაგრამ დიდი ჯო პორტუგალიელი გახლდათ, წინასწარ კარგი წვრთნა ჰქონდა მიღებული მონტერეის ციხეში, და ყველაფერმა ამან არა მარტო იხსნა მიუღწეველი პატრიოტიზმის ტანჯვისაგან, არამედ რწმენაც განუმტკიცა, რომ, როგორც დღე აქვს ადამიანს განაწილებული ნახევარ ძილად და ნახევარ ღვიძილად, ასევე მთელი ცხოვრება კაცისა თრად არის გაყოფილი — ნახევარი ციხე და ნახევარი გარეთ ყოფნა. თუმცა ომის განმავლობაში დიდმა ჯომ გაცილებით უფრო მეტი დრო ციხეში გაატარა.

სამოქალაქო ცხოვრებაში ადამიანი თავისი მოქმედების გამო ისჯება; სამხედრო კოდექსი კი ამას ახალ პრინციპებს უმატებს — უმოქმედობის გამოც სჯიან ხოლმე. ჯო პორტუგალიელი ვერაფრით ვერ ჩახვდა ამის სიბრძნეს. თოფი არ გაწმინდა, არ გაიპარსა, ერთი-ორჯერ შევებულებიდანაც არ დაბრუნდა. ამ ცოდვებს ისიც დაემატა, რომ დიდ ჯოს, — როცა მას დასატუქსავად გამოიძახებდნენ ხოლმე, — უფროსებთან შელაპარაკების მიდრეკილებაც აღმოჩნდა.

ჩვეულებრივ, ნახევარ დროს ატარებდა იგი ციხეში. ჯარში სამსახურის ორი წლიდან კი ციხეში თვრამეტი თვე გაატარა. ჯარის ციხემ სულაც ვერ დააკმაყოფილა იგი, მონტერეის ციხეში მოსვენებასა და კეთილ მეგობრობას იყო დაჩვეული. ჯარის ციხეში მარტო მუშაობა შეხვდა. მონტერეისში ყოველთვის ერთსა და იმავე ბრალდებას წაუყენებდნენ ხოლმე — სიმთვრალე და წესრიგის დარღვევა. ჯარში წაყენებულმა ბრალდებებმა კი ისე აურიეს ტვინი, რომ ალბათ სამუდამო კვალი დააჩნიეს მის გონებას.

ომი რომ გათავდა და დემობილიზაცია გამოცხადდა, დიდ ჯოს ექვსი თვის პატიმრობა კიდევ ჰქონდა დარჩენილი. ბრალდება ასეთი იყო: „მორიგეობის დროს სიმთვრალე. სერჟანტისათვის სანავთის ჩარტყმა. საკუთარი ვინაობის უარყოფა (სულ გადაავიწყდა, ვინ იყო, და ყველაფერს



უარპყოფდა). ცერცვის კონსერვების გატაცება და თვითნებური გაქცევა მაიორის ცხენით“.

სულზე მოუსწრო დაზავებამ, თორემ ალბათ დახვრეტდნენ კიდევ დიდ ჯოს. როცა დაბრუნდა, ომის ვეტერანები დიდი ხნის ჩამოსულები დახვდა, უკვე ეგემნათ მთელი სიტკბო გამარჯვებისა.

მატარებლიდან რომ ჩამოხტა, ჯარისკაცის ფარაჯა, სამხედრო ქურთუკი და სარყის ლურჯი შარვალი ეცვა.

ქალაქში ბევრი არაფერი შეცვლილიყო, ეს არის მშრალი კანონი შემოედოთ, მაგრამ, ტორელის რესტორანში მშრალი კანონიც ვერა სჭრიდა. ჯომ იქვე გადაცვალა თავისი ფარაჯა ერთ გაღონ ღვინოში და მეგობრების მოსაძებნად გაემართა.

ჭეშმარიტი მეგობრები არ უნახავს იმ საღამოს, ყალთაბანდი და გაიძვერა ბევრი შეხვდა, რომლებიც სულ იმის ცდაში არიან, პატიოსანი კაცი „წუმპეში“ ჩაითრიონ. ჯომ თვითონაც არ გამოირჩეოდა დიდი ზნეობით, ამიტომ „წუმპეში“ ჩათრევის წინააღმდეგი არა ყოფილა, მოსწონდა კიდევ.

გავიდა რამდენიმე საათი, ღვინო გათავდა, ფული ხომ არა ჰქონდა. ყალთაბანდებმა სცადეს, „წუმპიდან“ ამოეგდოთ ჯომ, მაგრამ ეს თვითონ არ ინდომა. ძალიან კარგად გრძნობდა თავს.

როცა ძალით მოინდომეს ამოგდება, სავსებით სამართლიანად გაგულისებულმა და გაცოფებულმა ჯომ ავეჯი დალეწა და დაამტვრია, ფანჯრები ჩაამსხვრია, ნახევრად ტიტველი გოგოები გამორეკა და ქუჩაში აწივლა. მერე კი, თითქოს გვიან გაახსენდაო, ადგა და სახლს ცეცხლი წაუკიდა. ჯოს ცთუნება უხიფათო საქმე არ გახლდათ და თვითონაც არ გაურბოდა ხოლმე ცთუნებას.

ბოლოს პოლიციელი ჩაერია საქმეში და წაიყვანა. პორტუგალიელმა შვებით ამოისუნთქა: ახლა კი ნამდვილად იგრძნო, რომ შინ იყო.

მოკლე სასამართლო პროცესის შემდეგ, რაც უნაფიცმსაჯულებოდ ჩატარდა, ჯოს ოცდაათი დღის ციხე მიუსაჯეს. წამოწვა არხეინად ტყავის საწოლზე და ერთი მუათუდი პატიმრობის ვადისა გადაბმულად იძინა.

პორტუგალიელს უყვარდა მონტერეის ციხე. ხალხს ხვდებოდა აქა. ცოტა უფრო დიდი ხნით თუ მოუწევდა აქ ყოფნა, სათითაოდ ყველა მეგობარს მოინახულებდა ხოლმე. დრო სწრაფად გარბოდა. წასვლის დრო რომ მოაწია, ცოტა გული დასწყდა, მაგრამ მალევე დაიმშვიდა თავი — გაახსენდა, რომ აქ მობრუნებას ბევრი არაფერი უნდოდა.

ისევ „წუმპეში“ მოუნდა შესეირნება, მაგრამ არც ფული ჰქონდა და არც ღვინო. ქუჩები მოითარეშა, მეგობრების ნახვა ეწადა — პილონისა, დენისა და პაბლოსი — მაგრამ ვერც ერთი ვერ ნახა. პოლიციის სერჟანტმა უთხრა, დიდი ხანია ეგენი არ წამისხამსო.

— ეტყობა, დაიხოცნენ, — თქვა პორტუგალიელმა.

ტორელისთან შეიარა, დაღონებულმა, მაგრამ ტორელი მეგობრულად არ ხვდებოდა ხალხს, რომელსაც არც ფული ებადა, არც ძვირფასი ნივთები. ასე რომ, დიდმა ჯომ ვერაფერი ნუგეში ჰპოვა იქა. თუმცა ტორელისაგან გაიგო, რომ დენის ტორტილა ფლეტში მემკვიდრეობით სახლი მიეღო და ახლა მეგობრებაც მასთან ცხოვრობდნენ.



დიდ ჯოს მეგობრების მონახულების ყინმა და სურვილმა წამოუარა და საღამო ხანს გაემართა კიდევ ტორტილა ფლავისკენ დენისა და პილონის სანახავად. უკვე ბინდ-ბუნდი იყო, როცა გზად პილონი შემოხვდა, საქმიანი კაცივით მიეშურებოდა.

— გამარჯობა, პილონ. სწორედ შენთან მოვდიოდი.

— გაგიმარჯოს, ჯო პორტუგალიელო, — სხაპა-სხუპით მიაყარა პილონმა, — სად დაიკარგე?

— ჯარში ვიყავი.

პილონის ტვინი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

— საქმეზე მეჩქარება, — უთხრა მან.

— მეც გამოგყვები.

პილონი შედგა და ახედ-დახედა.

— არ გახსოვს მაინც, დღეს რა ღამეა?

— არა, რა ღამეა?

— წმინდა ენდრიუს დღესასწაული.

პორტუგალიელი ერთბაშად მიხვდა ყველაფერს: ენდრიობა ღამეს ყველა პაისანო, თუ კი ციხეში არა ზის, გათენებამდე ტყეში დაეხეტება ხოლმე. ამ ღამეს მიწაში ჩაფლული განძი, ყველა უკლებლივ, ფოსფორის სუსტ ციაცს უშვებს მიწის ზემოთ. ტყეში კი განძს რა გამოლევს. უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში მრავალჯერ შეესიენ მტრები მონტერეის და განძეულობას ყოველთვის მიწაში ფლავდნენ.

ნათელი ღამე იყო. პილონს თავისი დღის უხეში ნაჭუჭი გაეხადა და მოეშორებინა — ასე იცოდა ხოლმე ზოგჯერ. იგი ამ ღამით იდეალისტი იყო, ყოველგვარი საჩუქრების მბოძებელი, ქველმოქმედი ხდებოდა.

— თუ გინდა, გამომყევი, ჯო პორტუგალიელო, მაგრამ განძი თუ ვიპოვეთ, მე უნდა დამიჯერო, მე თვითონ გადავწყვეტ, რა ვუყოთ იმ განძს. თუ ეს პირობა არ მოგწონს, შენთვის წადი და შენი საკუთარი განძი მარტოკა ეძებე.

დიდი ჯო დაჩვეული არ ყოფილა, საკუთარ ჭკუაზე ევლო და ეკეთებინა საქმე.

— შენ გამოგყვები, პილონ, — უთხრა მან, — განძი სულაც არ მენადვლება.

ტყეში რომ შევიდნენ, ღამე უკვე ჩამოწვა. ფეხები ნაძვის წიწვების სარეცელში ეფლობოდათ. და პილონმა იგრძნო, რომ ეს იყო სრულყოფილი ღამე. ცას თხელი ნისლი გადაჰკროდა, მთვარეც დაეფარა, და ხეებს მთვარის სხივები სიფრიფანა ლერაქივით მოჰფენოდა. მკაფიო გამოკვეთილობა საგნებისა, რაც ჩვენ სინამდვილედ მიგვაჩნია, გამქრალიყო. ხეები შავი სვეტებივით კი არ იდგა ტყეში, არამედ რბილი, ჰაეროვანი ჩრდილებივით. მონარნარე სინათლის შუქზე ბურქებს ფორმა დაჰკარგოდათ და გამოსახულებას წარამარა იცვლიდნენ. სულელებს ახლა არხეინად შეეძლოთ სიარული, ადამიანთა ურწმუნოების შიში არ უნდა ჰქონოდათ, რადგან სწორედ რომ მოჩვენებათა ღამე იყო, უგრძნობელი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ეს არ სცოდნოდა.

პილონი და დიდი ჯო რამდენჯერმე სხვა მაძიებლებსაც შეხვდნენ, ისინი დაუღალავად მოაბიჯებდნენ, ზიგზაგებს ხაზავდნენ ნაძვების ირ-



გვლივ. თავი ჩაექინდრათ, ხმას არ იღებდნენ და არც ესალმებოდნენ ერთმანეთს. აბა, ვინ იტყოდა, ესენი ხორცშესხმული ადამიანები არიანო? პილონმა და ჯომაც იცოდნენ, რომ ზოგი ამათგანი არიდელი იყო, სული იმ ადამიანებისა, რომელთაც ოდესღაც მიწაში განძი ჩაეფლათ. წმინდა ენდრიუს დღესასწაულის წინა ღამეს ისინი მიწაზე ჩამოდიან და უთვალთვალებენ, ჩვენს ოქროს ხელი არავინ ახლოსო. პილონს ყელზე, ტანსაცმელს ზემოდან, წმინდანის სატი დაეკიდა, ასე რომ სულების შიში აღარა ჰქონდა. დიდ ჯოს კიდევ თითები ჯვარის გამოსახულებით დაეღაგებინა. შიშით შეიძლება უნებურად მაინც შეშინებოდათ, მაგრამ ისე კი გული დაჯერებული ჰქონდათ, რომ ამ მოჩვენებათა ღამეში დაცულებიც იყვნენ და უფრო მეტიც.

ქარი ამოიჭრა და მიბნედილ მთვარეს ნისლი მოაცალა, თითქოს წყალში გახსნილი თეთრი საღებავით ჩამოერეცხოთ. დაძრულმა ნისლმა ტყეც დასძრა ადგილიდან, თითქოს ყოველი ხე ფეხაკრეფით მიიპარებო. ბურქებიც ისე განაბული დაცოცავდნენ, დიდი შავი კატები გეგონებოდათ. ხეთა კენწეროები ხმაჩახრინწულები ქადაგებდნენ ქარში, ბედისწერას ამხელდნენ, სიკვდილს იუწყებოდნენ. პილონმა იცოდა, რომ ხეებისათვის ამხელდნენ, დაგდება არ იყო კარგი საქმე. მომავლის წინასწარ ხილვით ხეირი არავის დაყრია. თანაც ეს ჩურჩული ეშმაკისეული იყო. ამიტომაც არ უგდებდა ყურს.

პილონმაც ზიგზაგების მოხაზვა დაიწყო ტყეში და დიდი ჯო ვეებერთელა, განაბული ძალღვივით მიჰყვებოდა გვერდით. განმარტოებული ადამიანები ჩაუვლიდნენ და უხმოდ, უსალმოდ გასცდებოდნენ. მკვდრებიც ასევე მდუმარედ ჩაივლიდნენ და არც ისინი ეტყოდნენ სალამს.

შორს, ქვემოთ, ზღვის უბეში შუქურაზე ნისლის მაუწყებელმა სირენამ მორთო წივილი, წუხილი მოჰფინა დიდებულ გემებს, რომლებიც ოდესღაც ულმობელ მერჩეებს შენარცხებოდნენ და ჩაძირულიყვნენ; ხსვა გემებსაც, რომელთაც მომავალში ასეთივე ბედი ეწერათ.

პილონს ცივმა ყრუანტელმა დაუარა, თუმცა თბილი საღამო იყო. სუნთქვაშეკრულმა „ავე მარია“ წაიჩიფჩიფა.

კიდევ ერთი გაცრეცილი კაცი შემოხვდათ, თავჩაქინდრულმა უსალმოდ ჩაიარა.

გავიდა ერთი საათი. პილონი და დიდი ჯო ისევ ისე შეუსვენებლივ დაეხეტებოდნენ, როგორც მკვდრები, რომელთაც ეს ღამე გაევისოთ.

უცებ პილონი შედგა. მისმა ხელმა დიდი ჯოს მკლავი მოძებნა.

— ხედავ? — წასჩურჩულა მან.

— აბა, სადა?

— ეგერ, შენს წინ.

— ჰო-ო, მგონი ვხედავ.

ათიოდე იარღზე, წინ, პილონს ღია ცისფერი, ჰაეროვანი სვეტი მოეჩვენა, ეს სვეტი მიწიდან ამოდიოდა და ანათებდა.

— ჯო, — წასჩურჩულა მან ამხანაგს, — ორი ჯოხი გამოძებნე, სამი-ოთხი ფუტის სიგრძისა, არ მინდა თვალი მოვაცილო ამ სვეტს, არ დამეკარგოს.

მწევარი რომ გაინაბება ხოლმე, ისე შემართული იდგა პილონი. მანამ



დიდი ჯოჯოხების მოსატანად გავარდებოდა, პილონმა გაიგონა, როგორ მიატეხა მან ორი ხმელი ტოტი ნაძვის ხეს. მერე წკაპანის ხმაც გაისმა — დიდი ჯოჯოხებმა წკირებს აცლიდა ჯოჯოხებს. პილონი კი კვლავ შემართული იდგა და სინათლის ნისლოვან სვეტს მიშტერებოდა. ისეთი მქრქალი იყო ეს ნათელი, რომ ზოგჯერ თითქოს სულაც ქრებოდა. რამდენჯერმე ეჭვიც კი შეეპარა პილონს — ნამდვილად ვხედავ თუ არაო. დიდმა ჯომ ისე მიაჩერა ჯოჯოხები ხელში, პილონს ოდნავადაც არ მოუბრუნებია თავი. ჯოჯოხები ერთმანეთზე გადააჯვარედინა, წინ გაიშვირა და მძიმედ დაიძრა. რომ მიუახლოვდა, სინათლე თითქოს აორთქლდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, საიდანაც ამოდინდა — მიწაში პატარა ორმო შეამჩნია, ნაძვის წიწვები ჩაწეული ჩანდა.

— ყველაფერი, რაც აქა დევს, ჩემი აღმოჩენილია და მე მეკუთვნის. კუდიანებო და ავო სულეზო, განვედით! განვედით, სულნო კაცთა, ვინც ეს განძი ჩაფლა! In Nomen Patris et Filius et Spiritu Sancti<sup>1</sup>. — მერე ერთი მაგრად ამოიხვნეშა და მიწაზე ჩამოჯდა.

თავისი ჯვარი ამ ორმოს დაადო პილონმა.

— ხომ ვიპოვნეთ, ჩემო ძვირფასო ჯო, — შესძახა მან, — რამდენი ხანია დავეძებ და აჰა, ვიპოვნე.

— ამოვთხაროთ ბარემ, — უთხრა დიდმა ჯომ.

მაგრამ პილონმა ნერვიულად გააქნია თავი.

— ახლა ამოვთხაროთ, როცა სულელები თავისუფლად დაძრწიან? როცა აქ ტყუილა ყოფნაც კი სასიფათოა? შენ სულელი ხარ, ჯო. დილაძე უნდა ვისხდეთ აქა, მერე რაიმე ნიშანი დავადოთ ამ ადგილს და ხვალ ღამით ამოვთხაროთ. ახლა კაციშვილი ვეღარ დაინახავს იმ ნათელს, რაკილა ჯვარი დავადევით. ხვალ უკვე აღარაფერი იქნება საშიში.

ნაძვის წიწვებზე რომ დასხდნენ, ღამე კიდევ უფრო საშიში გამოჩნდა, მაგრამ ჯვარი თითქოს მიწაზე დანთებული პატარა კოცონი ყოფილიყო — სიწმინდის სითბოსა და სულის დამაშოშმინებელ სიმშვიდეს ასხივოსნებდა. ოღონდ ცეცხლის მსგავსადვე იგი მხოლოდ წინა მხარეს ათბობდა, ზურგი კი სიცივისა და ტყეში მოთარეშე ავი სულელებისთვის ჰქონდათ მიშვერილი.

პილონი წამოდგა და დიდი წრე შემოხაზა, მთელი ის ადგილი შიგ მოაყოლა; წრის პირი რომ შეჰკრა, თვითონაც შიგ მოჰყვა.

— სახელითა წმიდისა იესოსი ვერა ბოროტეულმა სულმა ვერ გაბედოს ამ წრის გადმოლახვა, — წაიღიღინა მან.

მერე ისევ დაჯდა. ისიცა და დიდი ჯოც ახლა უფრო კარგად გრძნობდნენ თავს, ესმოდათ გაწამებული მოხეტიალე სულელების დახშული ფეხის ხმა. ხედავდნენ მბჟუტავ სინათლეებს, რასაც ტყეში მოფარფატე სულელები გამოსცემდნენ. მათი მცველი წრე შეუვალი იყო. ვერავითარი ბოროტი სული ვერც სააქაოსი, ვერც საიქიოსი ამ წრეს ვერ გადალახავდა.

— ფულს რა უნდა უყო? — ჰკითხა დიდმა ჯომ.

პილონმა ზიზღით შეხედა.

— ეტყობა, არასოდეს გამოსულხარ განძის საძებნელად, ჯო პორტუ-

<sup>1</sup> სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! (ლათ.).



გალიელო, არც კი იცი, როგორ ხდება ხოლმე ეს. ჩემთვის კი ვერ დავიტოვებ განძს. ჩემთვის დატოვება რომ დავაპირო, სულ დაბლა და დაბლა ჩაიწვეს განძი, როგორც მოლუსკის ნიჟარა მიცურავს ხოლმე სილაში, ველარ მივწვდები. არა, ასე განძის ძებნა სად გაგონილა! დენისთვის უნდა ამოვთხარო ეს განძი.

ერთბაშად იფეთქა პილონის იდეალიზმმა. მან დიდ ჯოს უამბო, რა სიკეთეს იჩენდა დენი მეგობრების მიმართ.

— ჩვენ კი არაფერს არ ვუკეთებთ, — განაგრძო მან, — ბინის ქირასაც არ ვუხდით. ზოგჯერ გავილეშებით და ავეჯს ვუმტვრევთ. ვერხუბებით კიდევ; როცა გული მოგვივა, რას არ ვეძახით. ეჰ, ძალიან ცუდი ხალხი ვართ, ჯო. ბოლოს ავდექით და მოვილაპარაკეთ, გეგმა დავაწყეთ — პაბლომ, ხესუს მარიამ, მეგობრემ და მე. ტყეში ვართ ამაღამ ყველანი გამოკრეფილები, განძს დავეძებთ. დენისთვის გვინდა. რომ იცოდე, რა კარგი ბიჭია, ჯო. რა კეთილი! ჩვენ უვარგისები ვართ. მაგრამ ერთი დიდი ტომარა განძი რომ გვაპოვნინა, გაეხარდება. ასე წმინდა და უანგარო გულით რომ ვეძებდი, იმიტომაც ვიპოვნე.

— სულ არ დაიტოვებ შენთვის? — უნდობლად ჩაეკითხა დიდი ჯო, — ერთი გალონი ღვინის ფულსაც არა?

ამ სადამოს პილონის არსებაში ნატამალიც კი არ დარჩენილიყო იმ ცუდი პილონისა.

— აჰ, არა. ერთ ნამცეც ოქროსაც არა! ერთ პენიანსაც არ ვახლებ ხელს! სულ დენისაა, ერთიანად.

ჯოს იმედი გაუცრუვდა.

— ამდენი გზა მომატარე, ერთ ჭიქა ღვინოსაც არ დამალევინებ? — წაიბუზღუნა მან.

— დენის რომ მივცემთ ამ ფულს, — სასოებით წარმოთქვა პილონმა, — ვინ იცის, იქნებ თვითონ გვიყიდოს ცოტაოდენი ღვინო. მე, რაღა თქმა უნდა, კრინტსაც არ დავძრავ, ეს განძი მთლიანად მისი საკუთრებაა. მაგრამ არა მგონია, ცოტა ღვინო არ იყიდოს. კარგი ბიჭი თუ იქნები, შენც დაგალევინებს.

დიდი ჯო დამშვიდდა, რადგან დენის ძალიან კარგად იცნობდა. მასაც ეუბნებოდა გუმანი, რომ დენი ბლომად ღვინოს იყიდდა.

ღამე ილეოდა. მთვარე ჩავიდა და ტყე წყვდიადში გაეხვია. ნისლის სირენა წიოდა და წიოდა. ისე მიიწურა ღამე, რომ პილონის სულს ერთი ბეწო მწიკვლი არ მისცხებია. ცოტა უქადაგა კიდევ დიდ ჯოს, როგორც ახალმოქცეულებს სჩვევიათ.

— კაცი კეთილი და დიდსულოვანი უნდა იყოს, ეს არის თავიდათავი, — ეუბნებოდა იგი. — სიქველე და სათნოება განა მარტო ზეცაში დაგვიმკვიდრებს სასუფეველს, აქაც, ამ ქვეყნადაც მალე მოგვეზღვება სამაგიერო. ისე დაგივლის ოქროს სითბო გულგვამში, თითქოს ცხარე პილპილით შეზავებული ენჩილადა მიგერთმიოს. ისეთ ფაფუკ ქურთუკს ჩაგაცვამს ღმერთი, გეგონება აქლემის ბეწვი მაცვიაო. მე თვითონ მუდამ როდი ვყოფილვარ კარგი კაცი, ჯო პორტუგალიელო. აგერ ვალიარებ შენს წინაშე.



დიდმა ჯომ ეს ისედაც იცოდა.

— ცუდი კაცი ვიყავი, — მგზნებარედ განაგრძო პილონმა. ეშხში შევიდა, — სიცრუე მითქვამს, მიქურდნია, მიმრუშნია, ღვთის სახელი დამიგმია.

— მეც, — სიხარულით შესძახა დიდმა ჯომ პორტუგალიელმა.

— რა მოვიძვეტ მერე, ჯომ პორტუგალიელო? სულ ცუდის მოლოდინში ვიყავი. ვიცოდი, რომ უსათუოდ ჯოჯოხეთში მოვხვდებოდი. ახლადა ვხედავ, რომ არ არსებობს ცოდვა, რისი მიტევებაც არ შეიძლებოდა. ჯერ აღსარება არ მიმიღია, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემს არსებაში მომხდარი ცვლილება ღმერთს ახარებს, უკვე გავხდი მისი წყალობის ღირსი. შენც თუ შეიცვლები, ჯომ, ლოთობასა და ჩხუბს თუ მოიშლი, დორა უილიამსის სართოსკიპოში წანწალს თუ დაანებებ თავს და იმის გოგოებს ჩამოცილდები, იქნებ შენც დაგეუფლოს ჩემნაირი განცდა.

მაგრამ დიდ ჯომს უკვე ჩასძინებოდა. უმოძრაოდ დიდ ხანს ვერაძლებდა, ხელად ძილი მოერეოდა ხოლმე.

პილონი ისე აშკარად ველარ გრძნობდა ღვთის წყალობას, რაკი საშუალება მოესპო დიდ ჯოსათვის გაეზიარებინა ეს. იჯდა და განძის ორმოს მიშტერებოდა, მანამ ცას მტრედისფერი არ შეეპარა და განთიადინისლიდან არ გამოძვრა. ნაძვები თანდათანობით გამოიკვეთა და ბურუსს გამოეყო. ქარი ჩადგა, ბურჩქებიდან პატარა, ცისფერი ბაჭიები გამოძვრნენ და წიწვებზე სკუპსკუპს მოჰყვნენ. პილონს თვალები ებლანდებოდა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო.

როცა კარგად ინათლა, დიდ ჯომ პორტუგალიელს წაჰკრა ფეხი.

— ადექი, დენისთან უნდა ჩავიდეთ. გათენდა, — ჯვარი გადააგდო, რადგან უკვე აღარ იყო საჭირო, წრეც წაშალა.

— ნიშანს ველარ დავტოვებთ ახლა, — თქვა მან, — მაგრამ ისე კი უნდა დავიმახსოვროთ აქაურობა, ხეები და ქვები ვინიშნოთ.

— ბარემ ახლავე ამოგვეთხარა, — უთხრა დიდმა ჯომ.

— გინდა, რომ მთელი ტორტილა ფლეტი მოვიდეს და ხელი წამოგვაშველოს, არა?! — დასცინა პილონმა.

საგულდაგულოდ მიათვალ-მოათვალა იერეს ყველაფერი და თქვეს:

— მარჯვნივ სამი ხე უდგას, მარცხნივ — ორი, იქით ერთი ბურჩია, აქაც, აგერ, ლოდი გდია.

ბოლოს მოსცილდნენ განძს და წამოვიდნენ, გზას დაკვირვებით იმახსოვრებდნენ.

დენის სახლში ქანცგაწყვეტილი მეგობრები დახვდნენ.

— იპოვეთ რამე? — ჰკითხეს მეგობრებმა.

— ვერა, — დაასწრო პილონმა ჯომს.

— პაბლოს რაღაც სინათლე მოეჩვენა, მაგრამ რომ მიუახლოვდა, გაქრა. მეკობრემაც ნახა ერთი დედაბრის აჩრდილი, მისი ძაღლი ახლდა.

მეკობრე გაიბადრა:

— დედაბერმა მითხრა, შენი ძაღლი ახლა ბედნიერიაო.

— აგერ, დიდი ჯომ პორტუგალიელი მოვიყვანე, ჯარიდან დაბრუნდა, — გამოაცხადა პილონმა.



— გამარჯობა, ჯონ.

— კარგად კი მოწყობილხართ, — თქვა პორტუგალიელმა და სკამზე წამოიჭიმა.

— ჩემს ლოგინს არ გაეკარო, — გააფრთხილა დენიმ: ხელად იაზრა, რომ ჯონ პორტუგალიელი აქ დასაბინავებლად იყო მოსული. ისე არხეინად გადაედო ფეხი ფეხზე, რომ აქედან წამსვლელს არა ჰგავდა.

მეკობრემ ურიკას დასტაცა ხელი და ტყეში წავიდა კვარის შესაგროვებლად, დანარჩენი ხუთი ვაჟკაცი კი მზეს მიეფიცხა, რომელმაც ის იყო, ნისლიდან გამოაჭყიტა, და ცოტა ხანში ჩაეძინათ კიდევ.

ისე დაშუადლდა, არც გაუღვიძიათ. ბოლოს გემრიელად გაიზმორეს, წამოდგნენ და ზანტად გადახედეს უბეს: ყავისფერი ტანკერი მძიმედ შედიოდა ზღვაში. მეკობრეს მაგიდაზე პარკები დაეტოვებინა, მეგობრებმა გახსნეს და მეკობრის შეგროვებულ სანოვაგეს შეექცნენ.

დიდი ჯონ ბილიკზე გამოვიდა და გვერდზე გადაბრეცილ ჭიშკრისკენ გაემართა.

— მოგვიანებით გნახავ, — გამოსძახა მან პილონს.

პილონი მოუსვენრად გაჰყურებდა, მანამ არ დარწმუნდა, დიდი ჯონ ტყეში არ წასულაო — ქვემოთ ჩაუხვია და მონტერეისკენ დაეშვა. ოთხმა მეგობარმა იქვე მოიკალათა, ძილმორეულები საღამოს მოსვლას ელოდებოდნენ.

შებინდებული იყო, ჯონ პორტუგალიელი რომ დაბრუნდა. პილონმა ეზოში გაიმართოხელა, საიდანაც ხმა არავის მისწვდებოდა, და იქ გამართეს მოლაპარაკება.

— იარაღები მისის მორალესისაგან ვინათხოვროთ, — უთხრა პილონმა, — ბარი და წერაქვი საქათმეზე აქვს მიყუდებული.

სულ რომ დაბნელდა, გაემართნენ.

— გოგოებს ჩავურბენთ, ჯონ პორტუგალიელის მეგობრებს, — დაიბარა პილონმა.

მისის მორალესის ეზოში შეძვრნენ და იარაღები ინათხოვრეს. მერე გზისპირა შამბნარიდან დიდმა ჯომ გალონით ღვინო გამოაძვრინა.

— განძი გაყიდე? — დასცეცხლა პილონმა, — მოლალატე! ძაღლის გაგდებულო!

დიდმა ჯომ დააშოშმინა.

— განა განძის ადგილსამყოფელი ვუთხარი! — ამაყად განაცხადა მან, — განძს წავაწყდით-მეთქი, ასე ვუთხარი, მაგრამ დენისა არის-მეთქი. ჩავაბარებთ დენის, მერე დოლარს დავესესხები და ღვინის ფულს გადავიხდი-მეთქი.

პილონი სულ გადაირია.

— დაგიჯერეს, მერე? გენდნენ ღვინოს? — ჩაეკითხა იგი.

— ახლა... — შეჭოჭმანდა დიდი ჯონ, — ბედ რაღაც დავუტოვე, მანამ იმ ერთ დოლარს მივუტანდე.

პილონი ელვასავით მიუტრიალდა და ყელში სწვდა.

— რა დაუტოვე?



— ბევრი კი არაფერი, ერთი საბანი, — წამოიკნავლა ჯო პორტუგალიელმა, — მხოლოდ ერთი.

პილონმა შენჯღრევა დაუპირა, მაგრამ იმსიმძიმე იყო დიდი ჯო, პილონი თვითონვე შეინჯღრა.

— რომელი საბანი? — დასჭექა მან, — რომელი საბანი მოიპარე?

დიდი ჯო აზლუქუნდა:

— დენის ერთი საბანი წავიღე, მხოლოდ ერთი. ხომ ორი ჰქონდა. უფრო თხელი შევარჩიე. ნუ წამახრჩვე, პილონ. სქელი საბნისთვის ხელი არ მიხლია. ამოვთხრით ამ განძს და დენი იმასაც გამოიყიდის.

პილონმა ერთი კი დაატრიალა და მარჯვედ ამოარტყა ჭიტლაყი.

— ღორი! — შესძახა მან, — ჭუჭყიანი ქურდი ძროხა. დააბრუნე ის საბანი, თორემ სულ დაგშლი და დაგლუწავ.

დიდმა ჯომ მისი გულის მოღობა სცადა.

— ვიფიქრე, მაინც დენისთვის ვცოდვილობთ-მეთქი, — წაიჩურჩულა მან, — ვიფიქრე, დენის ისე გაეხარდება, რომ ას ახალ საბანს იყიდის-მეთქი.

— ხმა ჩაიკმინდე, — შეულრინა პილონმა, — დააბრუნე ის საბანი, თორემ სულ ქვით დაგჩერქვავ.

ბოთლი აიღო, საცობი მოხადა და ცოტა მოსვა, გაცეცხლებული გული გაიგრილა, მერე ისევ დაუცო თავი და დიდ ჯოს ერთი ყლუპიც არ აღირსა.

— ახლა მიგაყენებ და სულ შენ გათხრევილებ! აბა, რა გეგონა, რომ ქურდობდი! აიღე ეს ხელსაწყოები და გამომყევი.

დიდმა ჯომ ლეკვივით წამოიწკავწკავა და დაემორჩილა. პილონის სამართლიან გაგულისებას ვეღარ შეებრძოლა.

დიდხანს ეძებეს განძი. როდის-როდის პილონმა ინიშნა სამი ხე და შესძახა:

— აჰა!

ბევრი უტრიალეს და ორმოსაც მიაგნეს. იმ ღამეს ცა გადაწმენდილი იყო და მთვარის მკრთალმა შუქმა უშველათ.

რაკი თხრა მას აღარ ევალეობოდა, პილონმა განძის ამოღების ახალი თეორია განავითარა.

— ზოგჯერ ტომრებში ინახავენ ხოლმე ფულს, — თქვა მან, — ტომრები მიწაში ღებება. პირდაპირ თუ ჩაარტყი ბარი, შეიძლება ჩაიპნეს.

კარგა მოზრდილი წრე შემოავლო.

— ღრმად შემოუთხარე ირგვლივ და განძს ქვეშიდან მივადგეთ.

— შენ არ აპირებ თხრას? — შეეკითხა დიდი ჯო.

პილონი ისევ გაცოფდა.

— მე მოვიპარე საბანი? — დასჭექა მან, — ჩემს მფარველ მეგობარს მე მივეპარე და ლოგინიდან მე ავაცალე?

— მე მართლ არ ვიმუშავებ, — განაცხადა დიდმა ჯომ.

პილონმა ნაძვის ტოტს დასტაცა ხელი, ეს ტოტი წუხელ ჯვარის ერთი ფრთა იყო. შემართა და გაბოროტებით დაიძრა ჯო პორტუგალიელისაკენ.

— ქურდო! — შეჰბღავლა მან, — ჭუჭყიანო ღორო, მეგობრის გამყიდველო! ბარი აიღე!



დიდი ჯონს მამაცობა ხელადვე დაიფშუკა, დაიხარა და ბარს დასწვდა. სინდისი რომ წმინდა ჰქონოდა, იცოცხლე, არ გატყდებოდა. მაგრამ სიმართლითა და ნაძვის კეტიტ შეიარაღებული პილონისა ახლა მაგრად შეეშინდა.

საერთოდ, მიწის თხრის მიმართ საშინელ ზიზღსა გრძნობდა დიდი ჯონ. აბა რა მომხიბლაობა შეიძლებოდა ჰქონოდა ბარის ტრიალს! თვით საბოლოო მიზანი — ტალახის ერთი ადგილიდან ამოღება და მეორე ადგილზე დაგდება — არ შეიძლებოდა ამაღლებული მისწრაფებების ადამიანს სისულელედ და უგუნურებად არ მოსჩვენებოდა. მთელი შენი დღე და მოსწრებაც რომ ატრიალო ეს ბარი, აბა რას უნდა მიაღწიო?! თუმცა დიდი ჯონს რეაქცია ცოტა უფრო მარტივი იყო — უბრალოდ, არ უყვარდა თხრა. ჯარშიაც საომრად ჩაეწერა და ბარი კი მიაჩერეს ხელში.

მაგრამ პილონი ადგა თავზე, თხრილი განძის ირგვლივ წრედ იკვრებოდა. ავადმყოფობის, შიმშილისა თუ სისუსტის მომიზეზება ვერა სჭრიდა. პილონი შეუბრალებელი იყო და საბნის ქურდობაც წარამარა წამოსაძახებელი გახდა. დიდი ჯონს კუთვა, წუწუნი, ხელების წარამარა გაშლა — ნახე, როგორ გადამეყვლიფაო, სულ ამო გამოდგა: პილონი თავზე ადგა და ათხრევიანებდა.

დაშუალამევდა. თხრილი სამ ფუტზე ჩავიდა. მონტერეის მამლებმა ყვილი გააბეს. მთვარე ხეებს მიეფარა. ბოლოს და ბოლოს პილონმა ბრძანება გასცა ქვეშიდან გამოეთხარათ განძი. მიწა სულ უფრო და უფრო მძიმე-მძიმედ ამოდოდა. დიდ ჯონს ქანცი გაუწყდა. ზედ რიჟრაჟის წინ ბარი რაღაც მაგარს მოხვდა.

— აჰა, — შესძახა მან, — მივაღექით, პილონ.

დიდი, ოთხკუთხა საგანი გამოდგა. ფაცხაფუცხით ეცნენ იმ სიბნელეში და გამოთხრა დაუწყეს, დანახვით კი ვერაფერს ხედავდნენ.

— ფრთხილად, — აფრთხილებდა პილონი, — არ დააზიანო.

თავზე დაათენდათ, და ჯერ არც კი ამოეთხარათ. პილონმა მოსინჯა და ხელში ფოლადი იგრძნო, დაიხარა და განთიადის ბინდბუნდში გარჩევა სცადა. კარგა დიდი კვადრატული ბეტონი აღმოჩნდა. ზემოდან მრგვალი, ყავისფერი ლითონის ფირფიტა ეკრა. პილონმა ჩამარცვლით ამოიკითხა ზედ ამოკვეთილი სიტყვები:

„შეერთებული შტატების გეოდეზიური სამმართველო — 1915 — სიმალლე 600 ფუტი“.

პილონი თხრილის პირზე ჩამოჯდა და მხრები საცოდავად ჩამოუშვა.

— არ არის განძი? — შესაბრალისად ჰკითხა დიდმა ჯონმა.

პილონს არ უპასუხნია. პორტუგალიელმა ცემენტის ბეტონი მოსინჯა და შუბლი ფიქრებით დაუნაოჭდა. დანადგლიანებულ პილონს მიუბრუნდა:

— მოდი, ეს ლამაზი ფოლადის ნაჭერი ავაგლიჯოთ და გავყიდოთ.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა პილონმა ქვემოდან ამოხედა.

— ჯონი პომ-პომმაც იპოვნა ამნაირი ნივთი, — გულგატეხილი კაცის სიმშვიდით მიუგო პილონმა, — წაიღო ასეთი ფოლადის ნაჭერი ჯონი პომ-პომმა და გაყიდვა დააპირა. ამისთანა რამის ამოთხრაზე ერთი წლის ცისეა, — გულამოსკვნით განაგრძო პილონმა, — ერთი წლის ციხე და ორი ათასი დოლარი ჯარიმა.



გატანჯულ პილონს აღარაფერი უნდოდა, ოღონდ კი ამ საშინელ ადგილს გასცლოდა. წამოდგა, იქვე შამბი დაგლიჯა, ბოთლი გაახვია და ფერდობზე დაეშვა.

მეგობრის მჭმუნვარებით შეწუხებული დიდი ჯოც უკან მიჰყვა ბაჯბაჯით.

— საით მიდიხარ? — ჰკითხა მან.

— არ ვიცი, — მიუგო პილონმა.

ზღვისპირას რომ ჩავიდნენ, უკვე კარგა გათენებული იყო. მაგრამ პილონი აქაც კი არ შედგა. ქვიშას გაჰყვა ნაპირ-ნაპირ და, მანამ მონტერეი უკან არ ჩამოიტოვა, არც შეჩერებულა. აქ კი სისაიდის დასილულ დიუნებსა და მოლივლივე ტალღებსღა შეეძლოთ მისი მწუხარების დანახვა. მშრალ ქვაზე ჩამოჯდა და მზეს მიეფიცხა. დიდი ჯო გვერდით მიუჯდა, ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს პილონის მდუმარე მწუხარების მიზეზი თვითონ ყოფილიყო.

პილონმა ბალახი მოაცილა ბოთლს, საცობი მოხადა და დააცხრა. მაგრამ მწუხარება ხომ თანაგრძნობის დედაა, ადგა და არამზადა ჯოს მისივე ღვინო გადააწოდა.

— რა იმედებს ვაგებდით! — შესძახა პილონმა, — ოცნებამ სად არ გაგვიტაცა. რა სასოებით ვფიქრობდი, დენის ოქროს პარკებს მივუტან-მეთქი. ვხედავდი კიდევ, როგორი სახე გაუხდებოდა. სახტად დარჩებოდა. დიდხანს არ დაუჯერებდა თვალებს.

უკანვე გამოართვა ბოთლი ჯო პორტუგალიელს და კიდევ ხარბად დაეწაფა.

— მორჩა, ჭირი მოგჭამა, ღამის სიბნელეს გაჰყვა თან.

მზე მაგრად აცხუნებდა ქვიშას. მწარე იმედგაცრუების მიუხედავად, პილონს გულში ვერაგული ნუგეში შეუძვრა, მოღალატური სურვილი აღეძრა, რომ მომხდარი საქმისათვის რაიმე დადებითი ახსნა გამოეძებნა.

დიდმა ჯომ თავისებურად, ჩუმ-ჩუმად იმაზე მეტი დალია, ვიდრე ეკუთვნოდა. გაგულისებულმა პილონმა ბოთლი გამოგლიჯა და დაეწაფა და დაეწაფა.

— თუმცა ვინ იცის, — ფილოსოფიურად შენიშნა მან, — ოქრო რომ გვეპოვნა, იქნებ არც ყოფილიყო კარგი დენისათვის. მთელი ცხოვრება სიღარიბეში გაუტარებია. ერთბაშად გამდიდრება თავგზას აურევდა.

დიდმა ჯომ დინჯად დაუქნია თავი. ღვინო სულ დაბლა და დაბლა იწევდა ბოთლში.

— სიმდიდრეს ბედნიერება ჯობს, — განაგრძო პილონმა, — ვცადოთ ბედნიერება მივანიჭოთ დენის, ყოველგვარ ფულს ეს აჯობებს.

დიდმა ჯომ კიდევ დაუკანტურა თავი და ფეხსაცმელები წაიძრო.

— მართალს ამბობ — ბედნიერება მივანიჭოთ.

პილონმა ნაღვლიანად გადახედა.

— ღორი ხარ, ხალხში გარევის ღირსი არა ხარ, — წყნარად უთხრა მან, — დენის საბნის მომპარავი კაცი საღორეში უნდა ეგდო და კარტოფილის ნაფცქვენს თქვლუფავდე.

მცხუნვარე მზეში გდებამ ძილი მოჰგვარა ორივეს. სუსტი ტალღები ნაპირს ეჩურჩულებოდა. პილონმაც წაიძრო ფეხსაცმელები.



— ძმურად გავიყოთ, — თქვა დიდმა ჯონმ, და ბოთლი სულ დაიწურეს. ზღვის სანაპირო ნაზად ირწეოდა, აიწევდა-დაიწევდა, დიდი ზვირთების რხევასა ჰგავდა.

— შენ ცუდი კაცი არა ხარ, — უთხრა პილონმა. მაგრამ დიდ ჯონ პორტუგალიელს უკვე ჩასძინებოდა. პილონმა ქურთუკი გაიხადა და სახეზე გადააფარა. რამდენიმე წუთში მასაც ტკბილად ეძინა.

მზე ცაზე ბრუნავდა. მოქცევის ტალღები ნაპირს მოაწყდა და უკანვე შებრუნდა. მძინარეებთან ჭვავჭრელების გუნდი მიიჭრა, კარგად დაათვალიერეს. მერე მაწანწალა ძალღი მივიდა და დასუნა. ორმა ხანშიშესულმა ქალმა, ნიჟარებს რომ აგროვებდნენ, რა დაინახეს ნაპირზე გაშოტილი მამაკაცები, ფეხი ააჩქარეს და გაშორდნენ — ვაითუ აგზნებულებმა გაიღვიძონ და ავი განზრახვით გამოგვენთონო! სამარცხვინოაო, ერთმანეთს დაუმოწმეს, რომ პოლიცია ამისთანა რამეებზე ყურსაც არ აპარტყუნებსო.

— გალემილები არიან, — თქვა ერთმა.

მეორემ თავი მიატრიალა და მძინარეებს გახედა.

— გალემილი პირუტყვები, — დაემოწმა ისიც.

როცა მზე მონტერეის თავზე შეფენილ ნაძვნარს მოეფარა, პილონმა გაიღვიძა. პირი გამომშრალი ჰქონდა, თითქოს შაბი ამოუსვამთო. თავი უსკდებოდა, ქვიშაზე წოლისაგან ტანიც ერთიანად დაბეჟოდა. დიდი ჯონ არხეინად ხვრინავდა.

— ჯო! — ჩასძახა პილონმა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არც განძრეულა. პილონი ნიდაყვს დაეყრდნო და ზღვას გახედა. — „ერთი ყლუპი მისწრება იქნებოდა ახლა ჩემი გამომშრალი პირისათვის“, — გაიფიქრა მან. ბოთლი ტურებზე გადმოიპირქვაავა, მაგრამ წვეთიც არ აღმოჩნდა, რომ გამშრალი ენა მაინც გაესველებინა. ჯიბეები მოიჩხრიკა — ხომ შეიძლება ბოლში რაღაც სასწაულთ ფული გასჩენოდა! მაგრამ არავითარი სასწაული არ მომხდარიყო. გატეხილი ჯიბის დანა აღმოაჩნდა, ამ დანაში ერთი ჭიქა ღვინოც კი არ აღირსეს, ბარე ოცგან უთხრეს უარი. გამოქექა აგრეთვე საცობში გაჭედილი ანკესი, გაზინთული კანაფის ნაგლეჯი, ძალღის კბილი და რამდენიმე გასაღები, რომლებიც პილონისათვის ცნობილ ვერც ერთ კლიტეს ვერ მოერგო. ერთი სიტყვით, ისეთი არაფერი გამოდგა, რაც ტორელის თვალში შეიძლებოდა მოსვლოდა.

პილონმა დაფიქრებით შეხედა დიდ ჯონს.

„საწყალი ბიჭი, — გაიფიქრა მან, — გაიღვიძებს ახლა პორტუგალიელი და პირი ჩემსავით გამომშრალი ექნება. ცოტა ღვინო რომ მაშოვნინა, როგორ გაეხარდება!“

რამდენჯერმე მაგრად შეანჯღრია მეგობარი, მაგრამ რაკი პორტუგალიელმა მხოლოდღა წაილულლულა რაღაც და ისევ ხვრინვა განაგრძო, პილონი მოდგა და ჯიბეები დაუჩხრიკა. ერთი სპილენძის დიდი აღმოუჩინა შარვლისა, ერთიც ლითონის მომცრო ბალთა, ზედ ამოკვეთილი იყო: „პოლანდიელთან გემრიელად ისადილებ“, ოთხი თუ ხუთი თავმომწვარი ასანთის ღერი და საღეჭი თამბაქოს ნაგლეჯი.

პილონი ჩაცუცქდა. ვერაფერს გახდა. უნდა ჩამოჭკნეს აგერ, მზეში და ყელიც წყურვილით გაუხმეს.

პორტუგალიელის სარჩის შარვალი მოხვდა თვალში, ხელი გადაუსვა.



„მშვენიერი ნაჭრისა ყოფილა, — გაიფიქრა მან, — ბინძური პორტუგალიელი ამისთანა შარვალში გამოწკეპილი უნდა დადიოდეს, მის მეგობრებს კი ბამბაზიაც ენატრებათ!“

გაახსენდა, რა ულაზათოდ ადგა ტანზე ეს შარვალი დიდ ჯოს — წელზე საშინლად უჭერს, ორი ზევითა დილიც რომ გაიხსნას, მაინც მოკლე აქვს! „უფრო ნორმალურ ადამიანს რომ ჩააცვა, მშვენივრად მოადგება!“

გაახსენდა, რა ცოდვა მიუძღოდა დიდ ჯოს დენის მიმართ, და უცებ შურისმაძიებელ ანგელოზად იქცა. როგორ გაბედა ამ გამურულმა პორტუგალიელმა ჩვენი დენის შეურაცხყოფა! „გაიღვიძოს ერთი, ისე მივაძვალ-რბილო!.. თუმცა... — უფრო ფრთხილი პილონი წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას, — მაგან ხომ იქურდა: ისეთი გაკვეთილი უნდა ასწავლო, კარგად შეიგნოს, რას ნიშნავს ქურდობა. დასჯას რა აზრი აქვს, თუკი არ შეაგნებინე კაცს თავისი დანაშაული?“

პილონის პოზიცია საოცრად განმტკიცდა: თუკი ერთი ხელის მოქნევით დენისთვისაც იძიებს შურს, დიდ ჯოს ჭკუაზე მოიყვანს და ეთიკის გაკვეთილს მისცემს, თან ცოტა ღვინოსაც თუ გამორჩება, ამისთვის პილონს ვინ დაძრახავს?!

მთელი გამეტებით შეანჯღრია პორტუგალიელი, მაგრამ იმან ხელილა აიქნია, თითქოს ბუზს იგერიებსო. პილონმა მოხერხებულად ჩააძრო შარვალი, დაახვია და სილიან სანაპიროს დაუყვა.

ტორელი შინ არ იყო, მისის ტორელიმ გაუღო კარი. პილონი ისე შემპარავად მიადგა და ისე ფრთხილად ირჯებოდა, თითქოს დიდი საიდუმლო ჰქონოდა. ბოლოს შარვალი გაშალა და ქალს გაუწოდა.

ქალმა ჯიუტად გააქნია თავი.

— კარგად დააკვირდით, — არ მოეშვა პილონი, — თქვენ მარტო ჭუჭყსა და ლაქებს უყურებთ, რა დიდებული ნაჭერია, ვერ ამჩნევთ. რა ბრძანებაა, სენიორა! ჯერ ეს ლაქები მოაცალეთ, კარგად დააუთოვეთ!.. შემოდის ტორელი! ჯერ ხმას არ იღებს! გუნებაზე ვერ არის. თქვენ ეს შარვალი გამოგაქვთ! მაშინ ნახეთ, როგორ გაუბრწყინდება თვალები, რას გაიხარებს! ხელად კალთაში ჩაგისვამთ! მაშინ ნახეთ, როგორ გაგიღიმებთ, სენიორა! ნუთუ ასეთი ბედნიერება ერთი გალონი წითელი ღვინო აღარა ღირს!

— საჯდომი სულ გაცრეცილი აქვს, — შეესიტყვა ქალი.

პილონმა ასწია და სინათლეზე დაიჭირა.

— ხედავთ რამეს? არა! რაც სიმქისე და მოუხეშაობა ჰქონდა, ის მოშორდა და დაიხვეწა. სწორედ ახლა აქვს პეწი!

— არა, — ცივად მოუჭრა ქალმა.

— რა გულქვად ექცევით, სენიორა, თქვენს ქმარს. მისი ბედნიერება არა გსურთ. არც გამიკვირდება, რომ ადგეს და უფრო კეთილ ქალებთან დაიწყოს სიარული. გალონი ნუ იქნება, ერთი კვარტი მაინც მომეცი.

ბოლოს მაინც გატეხა ქალის ჯიუტობა და ერთი კვარტი ღვინო გამოართვა. იქვე გამოსცალა.

— თქვენ სიამოვნების ფასსა სცემთ, სენიორა, — გააფრთხილა პილონმა, — ნახევარი გალონი მაინც უნდა მოგეცათ.



მისის ტორელი ქვასავით მაგარი გამოდგა. ერთი ყლუპიც არ მიუმატა. პილონი სამზარეულოში იჯდა, ნალვლიან ფიქრებს მისცემოდა.

„ნამდვილი ებრაელია. მუქთად დამცინცლა დიდი ჯოს შარვალი“.

ნალვლიანად გაიხსენა ზღვის პირას დაგდებული მეგობარი. რა უშველება ახლა იმას? ქალაქში რომ გამოჩნდეს, იმ წუთში დაიჭერენ. არადა ამ სვავმა რა არ მოიმოქმედა, რომ მისი შარვალი ჩაეგდო ხელში. სცადა ერთ უბადრუკ კვარტ ღვინოდ ეყიდნა პილონის მეგობრის შარვალი. პილონმა იგრძნო, როგორ თანდათანობით ეკიდებოდა ცოფი.

— ახლავე უნდა წავიდე, — განუცხადა მან მისის ტორელის. შარვალი სამზარეულოს ნიშში ეკიდა.

— ნახვამდის, — არც კი მოუხედავს, ისე გამოსძახა მისის ტორელიმ და საკუჭნაოში შევიდა სადილის თადარიგის დასაჭერად.

პილონმა ნიში გაიარა და მარტო შარვალი კი არ ჩამოუხსნია, დენის საბანიც გააყოლა ხელს.

ზღვის სანაპიროს აუყვა, იქითკენ გაემართა, საცა დიდი ჯო დასტოვა. შორიდანვე შენიშნა, რომ იმ ადგილას კოცონი გაეჩაღებინათ. რომ მიუახლოვდა, პატარა შავი ლანდებიც გააჩნია, ცეცხლთან ფუსფუსებდნენ. ძალიან ბნელოდა და ორიენტირად სწორედ ეს კოცონი აირჩია. სულ ახლოს რომ მივიდა, ნახა, სკაუტი-გოგონები იყვნენ, პიკნიკი მოეწყოთ. აქედან უკვე ფეხაკრეფით წავიდა.

ჯერ ვერ მიაგნო დიდ ჯოს, ბოლოს ნახა, რომ სილაში ჩაფლულიყო სანახევროდ, სიცივისა და შიშისაგან ენა ჩავარდნოდა. პილონი მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა და შარვალი გაუწოდა.

— აჰა, გამომართვი, ჯო, და ღმერთს მადლობა უთხარი, რომ უკანვე დაგიბრუნე.

ჯო კბილებს აკაწკაწებდა.

— ვინ მომპარა შარვალი, პილონ? მთელი დღე ასე ვგდივარ, ვეღარც კი წამოვმდგარვარ ამ გოგონების გადამკიდე.

პილონმა დახმარება არ დაიზარა, ჩამოეფარა, კოცონთან მოხტუნავე პატარა გოგონებისაგან დამალა. პორტუგალიელმა ცივი, ნოტიო სილა ფეხებიდან გადაიბურტყა და შარვალი ჩაიცვა. ჩაბნელებულ სანაპიროს დაუყვნენ, მხარდამხარ გაემართნენ მონტერეისაკენ, სადაც მძივებივით ასწმული სინათლეები ქალაქის განაპირა ფერდობზე მწკრივებად გაეჭიმათ, ერთმანეთის მიყოლებით. ნაპირის სიღრმეში სილის დიუნები დაქანცული მწვერებივით გაწოლილიყვნენ. ტალღები მსუბუქი რხევით თითქოს ნაპირზე ხეთქებაში ვარჯიშობდნენ და წყნარად შიშინებდნენ. ღამე ცივი და რადაცნაირად შორეული გამხდარიყო, მისი მჩქეფარე სიცოცხლე გამქრალიყო და ახლა მწარე სისასტიკით მოაგონებდა ადამიანს თავის სიმარტოვეს, ამდენ ხალხში ტრიალებ და მაინც ეული ხარ, ნურსაიდან ნუგეშს ნუ ელიო.

პილონი კვლავ ფიქრებს მისცემოდა და დიდი ჯოც სწვდებოდა ამ ფიქრების სიღრმეს. ბოლოს პილონმა მეგობრისკენ მიაბრუნა თავი.

— გაკვეთილად გამოგვადგება: ქალის ნდობა უდიდესი სისულელეა!

— ქალმა მომპარა შარვალი? — აღელვებით იკითხა ჯომ, — რომელმა ქალმა? მითხარი და ჯოჯოხეთს დავუტრიალებ!



მაგრამ პილონმა თავი ნაღვლიანად გააქნია ბებერ იელოვასავით, მე-  
შვიდე დღეს რომ დაისვენა და მაშინლა მიხვდა, ძალიან მოსაწყენი ქვეყანა  
შემიქმნიაო.

— უკვე დაისაჯა, — უპასუხა პილონმა, — შეიძლება ითქვას, თვითონ-  
ვე დაისაჯა თავი, და ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს! სიხარბით დააცხრა  
შენს შარვალს, იყიდა, მაგრამ აღარ შერჩა.

ამისთანა მსჯელობას ველარა წვდებოდა დიდი ჯო, იდუმალების ბუ-  
რუსი ეკრა და ჯობდა სულაც არ შეეწუხებინა თავი ამეების გაგებით. პი-  
ლონსაც ეს უნდოდა.

— შენი მადლობელი ვარ, რომ შარვალი დამიბრუნე, პილონ, —  
უთხრა მან მოკრძალებით. მაგრამ პილონი ისე ჩაღრმავებოდა თავის ფი-  
ლოსოფიას, რომ მადლობასაც კი აღარ ჰქონდა მისთვის ფასი.

— სათქმელადაც არ ღირს, — მიუგო მან, — მთელი ამ ამბიდან ყვე-  
ლაზე კარგი ის არის, რომ გაკვეთილი მივიღეთ.

ზღვის პირი ამოიარეს და გაზის ქარხნის ვებბერთელა ვერცხლისფერ  
კოშკს გასცდნენ.

დიდი ჯო პორტუგალიელი თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ პილონ-  
თან ერთად იყო.

„კაციც ამას ჰქვია, მეგობრებზე ზრუნავს, — ფიქრობდა იგი, — შენ  
გძინავს და ის კი მაინც ფხიზლობს, რომ არაფერი ფათურაკი შეგემთხვეს“.

გადაწყვიტა, ოდესმე რაიმე სიკეთე გამოეჩინა პილონის მიმართ.

როგორ გაეგა დანი მტვირსასრუტის მახეში და როგორ იხსნეს იგი  
მეგობრებმა

დოლორეს ენგრასია რამირეცი თავის საკუთარ პატარა სახლში ცხოვ-  
რობდა, ტორტილა ფლეტის განაპირას. მონტერეის დიასახლისებს შველო-  
და ხოლმე საოჯახო საქმეებში და ოქროს დასავლეთის ერთ-ერთ  
მკვიდრ ქალიშვილად ითვლებოდა. ლამაზი არ ეთქმოდა ამ პირხმელ პაი-  
სანოს, მაგრამ მინვრა-მოხვრაში შეატყობდი, ავხორცი უნდა ყოფილიყო.  
ხმაშიაც ხრინწი გარეოდა, და ეს ზოგიერთ მამაკაცს ძალიან მოსწონდა.  
ზოგჯერ თვალებს ვნებიანად მიბნედა, და ამაზეც გიჟდებოდნენ ამქვეყ-  
ნიური სიამტკბილობის მოყვარული კაცები.

როცა გაცხარდებოდა, მტრისას მაშინ, ზედაც არ შეხედავდი. მაგ-  
რამ ხშირად ისეთი სანდომიანი იყო, რომ ტორტილა ფლეტში თაფლისკვე-  
რი შეარქვეს.

მართლაც რომ ნახვად ღირდა, როცა მხეცური ჟინი მოუვლიდა. უნდა  
გენახათ, როგორ გადმოაწვებოდა ხოლმე ჭიშკარს! რა მიბნედილი ხმით  
აკრუტუნდებოდა! რა ნაზად შეარხევდა თეძოებს! ჯერ როგორ მიეკვროდა  
ღობეს, მერე უკან დაიწევდა და კვლავ მიეკვროდა, თითქოს ზაფხულის  
ზღვის ტალღები ნაპირს აწყდებიანო. აბა, ვინ წარმოთქვამდა ისე მიბნედი-  
ლად: Ai, amigo, A'onder yas? <sup>1</sup>.

<sup>1</sup> გამარჯობა, მეგობარო. საით გაგიწევია? (ესპ.).



ისიც მართალია, რომ ჩვეულებრივ წრიბინა ხმა ჰქონდა, პირისახე — ნაჯახივით მაგარი და ბასრი, ტანი — დაკოშტოლებული, ზრახვა — ეგოისტური, ის მეორე — უფრო ნაზი ხასიათი კი კვირაში ერთი-ორჯერ თუ გაუღვიძებოდა და ისიც საღამოობით.

თაფლისკვერმა რომ გაიგო, დენიმ მემკვიდრეობა მიიღო, გაუხარდა. ახლა სხვა ტორტილაფლექტელი მანდილოსნებით ისიც იმასლა ოცნებობდა, მისი გულის ქალბატონი გამხდარიყო. საღამო ხანს ჭიშკარს გადმოაწვებოდა და ელოდა, როდის ჩაივლიდა დენი, რათა მახეში გაეხა. მაგრამ დრო გადიოდა და არავინ გაბმულა მის ასასხლექტ მახეში, ინდიულებისა და რამდენიმე პაისანოს გარდა, რომელთაც არც საკუთარი სახლ-კარი გააჩნდათ და ტანსაცმელიც ხშირად სხვათა გარდერობიდან გამოტანილი ეცვათ.

თაფლისკვერი გულდაწყვეტილი იყო. მისი სახლი დენის სახლზე უფრო მომაღლოდ იდგა ფერდობზე. ასე რომ დენის ხშირად არ უწევდა იქით გავლა. არადა ვერც თაფლისკვერი ჩააკითხავდა და დაუწყებდა ძებნას. ბოლოს და ბოლოს ღირსეული ქალი გახლდათ და მტკიცედ უნდა დაეცვა ზნეობის ყოველგვარი წესები. სულ სხვა საქმე იქნებოდა, დენი თუ აივლიდა ზევით, როგორც ძველი მეგობრები ერთმანეთს გამოელაპარაკებოდნენ, დენი ერთი ჭიქა ღვინოზე დაეწვეოდა... და მეორე თუ ადვილად დამყოლი აღმოჩნდებოდა, ეს უკვე ზნეობის დიდ დარღვევად აღარ ჩაითვლებოდა. ჭიშკართან თავისი ქსელის მიტოვება და წასვლა კი წარმოუდგენლად მიაჩნდა.

თვე თვეს მისდევდა და ქალი ამოდ იდგა საღამოობით ჭიშკართან, იძულებული ხდებოდა, შემთხვევით ჩავლილ ბამბაზიის შარვლიანებს დასჯერებოდა. მაგრამ ტორტილა ფლექტში ამდენი ქურჩაც აღარ არის! ადრე თუ გვიან, დენისაც უსათუოდ უნდა გაევილო დოლორეს ენგრასია რამირეცის ჭიშკართან, და გაიარა კიდევც.

რამდენი ხნის ნაცნობობა ჰქონდათ და ჯერაც არ მომხდარა, რომ თაფლისკვერისათვის ასე მარჯვე და ხელსაყრელ პირობებში გაევილოს დენის: სწორედ იმ დილით მთელი ყუთი სპილენძის ლურსმანი ეპოვნა, ცენტრალური მომარაგების კანტორის კუთვნილება. რაკი მახლობლად არავინ დაუნახავს კანტორის წარმომადგენელთაგან, გადაწყვიტა, რომ ყუთი უპატრონო იყო. ადგა და ლურსმანი ყუთიდან ტომარაში გადაცალა. მეორე მეკობრისაგან ურიკა ინათხოვრა, თვითონ მეკობრეც თან წაიყვანა და თავისი ნადავლი დასავლეთის მომარაგების კანტორაში გადაატანინა, ლურსმანი სამ დოლარად გაჰყიდა, ყუთი კი მეკობრეს აჩუქა.

— რასაც გინდა შეინახავ ამ ყუთში, — უთხრა მან და მეკობრეც სიხარულით ცას ეწია.

და აჰა, ფერდობზე ეშვებოდა დენი, გეზი პირდაპირ ტორელის რესტორნისაკენ აეღო. ის სამი დოლარი ჯიბეში ედო.

დოლორესის ჩახრინწული ხმა კრაზანას ბზუილივით ტკბილად აჟღერდა:

— Ai, amigo, a'onder yas!

დენი შედგა. მისი გეგმები თავდაყირა დატრიალდა.

— როგორა ხარ, თაფლისკვერო?

— ნეტა მაგას რა მნიშვნელობა აქვს! ჩემს მეგობრებს სულაც არ ენალ-



ვლებათ, მე როგორა ვარ, — ეშმაკურად უთხრა ქალმა და თქმობი ზვირთუ-  
ბივით შეარხია.

— ვითომ რადაო? — ჩაეკითხა დენი.

— აბა რა, ჩემი მეგობარი დენი მოსულა განა ჩემი ამბის საკითხა-  
ვად?

— მოვედი და ეგ არის, — თავაზიანად უთხრა დენიმ.

ქალმა ცოტათი გამოალო ჭიშკარი.

— არ შემოხვალ? მეგობრობის სადღეგრძელოდ თითო ჭიქა ღვინოს  
დავლევდით.

დენი სახლში შეჰყვა.

— ტყეში რა გინდოდა? — წაიღულუნა ქალმა.

აქ კი შეცდომა მოუვიდა დენის. მედიდურად განუცხადა, ასეთი და  
ასეთი საქმე გავარიგეო, და წაიტრაბახა კიდევ, ჯიბეში სამი დოლარი  
მიდევსო.

— იმდენი ღვინოც კი არა მაქვს, — თქვა ქალმა, — ორ სათითურს  
თუ გაგვივსებს.

თაფლისკვერის სამზარეულოში მიიყუვნენ და თითო ჭიქა ღვინო და-  
ლიეს. ცოტაც, და დენიმ ჭეშმარიტი მგზნებარებითა და გულადობით შე-  
უტია ქალის სათნოებას. მაგრამ, თავისდა გასაკვირად, ისეთ წინააღმდე-  
გობას წააწყდა, რაც სულ არ შეეფერებოდა არც ქალის აღნაგობასა და არც  
მის სახელს. ჭაბუკის არსებაში მხეცურმა ვნებამ გაიღვიძა. გული მოუვიდა,  
და წასვლა რომ დააპირა გაგულისებულმა, მაშინდა გაირკვა საქმე.

ჩახრინწულმა ხმამ ასე უთხრა:

— იქნებ ამალამ ამოხვიდე, დენი, — თაფლისკვერის თვალები ნდომის  
ბურუსში მიიბნინდა, — ხომ იცი, მეზობლები!.. — მრავლისმეტყველად  
თქვა ქალმა.

დენიც ხელად მიუხვდა.

— ისევ მოვალ, — აღუთქვა მან.

ნაშუადღევი იქნებოდა. დენი ფერდობს დაუყვა, კვლავ ტორელისკენ  
აიღო გეზი. მხეცურმა ვნებამ სახე იცვალა — ახლა გამძვინვარებულ ღრე-  
ნია მგლის ნაცვლად დიდ, ბანჯგვლიან, მგრძნობიარე დათვად იქცა.

„მოდე, ღვინოს წავუღებ ჩემს თაფლისკვერს“, გაიფიქრა მან.

გზაში ვის უნდა შეხვედროდა, თუ არა პაბლოს. პაბლოს საღეჭი რეზი-  
ნის ორი ჩხირი ეჭირა ხელში. ერთი დენის მისცა და აედევნა.

— საით გაგიწევია?

— მეგობრობის დრო არ არის ახლა, — მკვახედ უთხრა დენიმ, — ჯერ  
ცოტა ღვინო უნდა ვიყიდო, ერთ ქალბატონს უნდა მივართვა. თუ გინდა  
გამომყევი, ერთ ჭიქას შენც დაგაღვივებ. მომწყინდა პირდაპირ — ქალე-  
ბისთვის იყიდი ღვინოს და მეგობრებმა უნდა გამოგიცალონ.

პაბლო დაეთანხმა, მართლაც აუტანელი ამბავია, მე პირადად ღვინოს  
რა თავში ვიხლი, შენთან მეგობრობა მწყურიაო.

მივიდნენ ტორელის რესტორანში და ახალნაყიდი გალონიდან თითო  
ჭიქა ღვინო დალიეს. დენიმ აღიარა — დიდი უნამუსობა კია, მეგობარს  
ერთი მოცუცქნული ჭიქით დააღვივინო ღვინო და მეტი არ აღირსოო. პაბ-  
ლომ თავი მოიკლა, არა და არაო, მაგრამ მეორე ჭიქაც მიაყოლეს.



ბევრი ღვინო რაში სჭირდებათ ქალებს, — ფიქრობდა დენი, — ხელად გამოჩურჩუტდებიან. თანაც სწორედ ის გრძნობები უჩლუნგდებათ, რაც ჩვენ, პირიქით, გაღვიძებული უფრო გვიყვარს.

რამდენიმე ჭიქა კიდევ ხუხეს. ძღვნად ნახევარი გალონიც თავზე გადაუვიდოდა, მით უმეტეს, დენი სხვა საჩუქრის ყიდვასაც აპირებდა. კარგად გაზომეს, ნახევარზე თუა დასულიო; რაც მეტი იყო, მოაკლეს, მერე ბოთლი თხრილში ჩამალა დენიმ, ბალახი მოაფარა.

— გამომყევი, რამე საჩუქარი მაყიდინე, პაბლო, — უთხრა მეგობარს.

პაბლო მიხვდა ამ თხოვნის მიზეზს. ჯერ ერთი, დენის მართლაც სიამოვნებდა პაბლოსთან ერთად ყოფნა, და მეორეც, ღვინის დაკარგვის შიში ჰქონდა, პაბლოს თუ თავის ნებაზე გაუშვებდა. საკუთარი ღირსების შეგრძნებით ისინი ამაყად დაეშვნენ მონტერეისკენ.

„სესხების, ანაბრებისა და საიუველირო ნაწარმოებთა საიმონის ფირმის“ კანტორაში მისტერ საიმონი დიდი პატივით შეხვდა მეგობრებს. თვით ფირმის სახელწოდება კარგად განსაზღვრავდა იმ საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხს, რაც აქ გასაყიდად გამოეფინათ: საქსაფონები, რადიომიმღებები, თოფები, დანები, ანკესები, დახლზე დაყრილი ძველი ფულები... მართალია, ყველა ნახმარი გახლდათ, მაგრამ ეს უკეთესიც იყო, ნაწილები უფრო კარგად იყო მომჯდარი.

— ინებებთ რამეს? — ჰკითხა მისტერ საიმონმა.

— დიას, — მიუგო დენიმ.

კანტორის მეპატრონემ თავისი საქონლის ჩამოთვლა დაიწყო, მაგრამ უცებ შუა სიტყვაზე გაუწყდა ხმა. შეამჩნია, რომ დენი ალუმიინის დიდ მტვერსასრუტს მიშტერებოდა. მტვერის ჩანთა ლურჯი იყო, ყვითელი ხაზებით დასერილი. გრძელი ელექტროზონარი ჰქონდა, პრიალა და შავი. მისტერ საიმონი მიუახლოვდა, ხელი გადაუსვა, მერე ოდნავ უკან დაიწია და აღტაცებული თვალთ დაუწყო მზერა.

— მტვერსასრუტის მაგვარს ხომ არაფერს ინებებდით? — ჰკითხა მან.

— რამდენი უნდა?

— ამას? თოთხმეტი დოლარი.

მისტერ საიმონისთვის ფასი კი არ იყო ახლა მთავარი, არამედ იმის გამორკვევა, თუ დენის რამდენი ჰქონდა ფული. დენის კიდევ მტვერსასრუტი მოეწონა, — დიდი იყო, პრიალა. მთელ ტორტილა ფლეტში წამლადაც კი ვერ ნახავდი მტვერსასრუტს. სულ გადაავიწყდა დენის, რომ ტორტილა ფლეტში ელექტრონიც არ იყო გაყვანილი. ამოიღო თავისი ორი დოლარი, დახლზე დადო და დაიცადა, მანამ აფეთქების პირველი ტალღა გადაივლიდა და დაცხრებოდა: გაცოფება, გაგულისება, დაღრუჯა, სიღარიბესა და გაკოტრებაზე წუწუნი, ტყუილები. მარტო ამისი პრიალი რად ღირსო, უთხრეს. ახლა მტვერის ჩანთის ფერსაც შეხედეო; ნახე, რამსიგრძე ზონარი აქვსო; ლითონიც რომ აიღო ცალკე, ჯერ იმისი ფასი იკითხეო! და როცა ეს ყველაფერი დამთავრდა, დენი კანტორიდან გამოვიდა, თან მტვერსასრუტი მოჰქონდა.

ხშირად მოცლილობის ჟამს, თავის შესაქცევად, გამოიტანდა ხოლმე თაფლისკვერი თავის მტვერსასრუტს და სკამზე მიაყუდებდა. მეგობრები



რომ ეწვეოდნენ, გააგორ-გამოაგორებდა, აჩვენებდა, რა თავისუფლად დას-  
რიალებსო. თან ზუზუნს მოჰყვებოდა, ვითომდა ძრავა მუშაობსო.

— მდიდარი კაცია ჩემი მეგობარი, — იტყოდა ხოლმე იგი, — მალე  
ალბათ ელექტრომავთულებსაც გამომიყვანენ სახლში, მერე მოდექი და  
ზუუ-ზუუ!.. ხელად დასუფთავდება მთელი სახლი!

მეგობრები ცდილობდნენ დაემცირებინათ საჩუქარი — „ძალიან  
ცუდია, რომ ვერ აგიმუშავებიაო“, ეტყოდნენ, ან არადა: „რა ბრძანებაა, ცო-  
ცხსა და აქანდაზს რა შეედრება, წესიერად თუ იცი მოხმარაო“.

მაგრამ ამათ შურიანობას მტვერსასრუტისათვის არაფერი დაუკლია.  
მისი წყალობით თაფლისკვერი ტორტილა ფლეტის საზოგადოებრივი კიბის  
სულ ზედა საფეხურზე მოექცა. ვინც მისი სახელი არ იცოდა, პირდაპირ  
ასე მოიხსენიებდა ხოლმე: „აი, ის ქალი, დამგველი მანქანა რომ აქვს“.  
ხშირად, მტრები რომ ჩაუვლიდნენ მის სახლს, თაფლისკვერი ფანჯარაში  
გამოჩნდებოდა, გააგორ-გამოაგორებდა თავის მტვერსასრუტს და თან  
ხმამალლა ზმუკუნებდა. ყოველდღიურად, სახლის დაგვის შემდეგ, იგი  
მტვერსასრუტსაც გადაატარებდა იატაკზე. მასაც თავისი მოსაზრება ჰქონ-  
და: ელექტრონით კი ჯობია, მაგრამ ერთბაშად ყველაფერი ხომ არ გექ-  
ნებაო.

ბევრ სახლში დათესა თაფლისკვერმა შური. ღირსეულად და მედიდუ-  
რად ეჭირა თავი, ცხვირიც მალლა აბზიკა, როგორც მტვერსასრუტის პატ-  
რონს შეუფერება. ლაპარაკში ხშირად ჩაურთავდა ხოლმე: „ამ დილას  
მტვერსასრუტი რომ ჩავრთე, ის იყო რამონმაც ჩაიარა“. „სამი საათიც  
არ გასულა, რაც მე მტვერსასრუტი ჩავრთე, რომ ლუიზი მიტერმა ხელი  
გაიჭრა“.

მაგრამ ამ აღზევების დროს დენი სულაც არ დავიწყებია. ქალის ხმას  
სიმჭახე და მგზნებარება ემატებოდა ხოლმე, როცა დენი მოვიდოდა. რო-  
გორც ნაძვის ხე ქარში, ისე ირხეოდა. და დენისაც ერთი საღამო არ გა-  
მოუტოვებია, სულ თაფლისკვერთან იყო.

პირველ ხანებში ბიჭები ყურადღებას არ აქცევდნენ ამას — ბოლოს  
და ბოლოს ყველას აქვს უფლება თავის საქმეს მოუაროს, მაგრამ კვირე-  
ები გადიოდა და ხედავდნენ, რომ ამ თავგადადებულმა ოჯახურმა საქმიანო-  
ბამ დენის ფერიც დაუკარგა და ხალისიც. მეგობრები დარწმუნდნენ, რომ  
თაფლისკვერის მადლიერება მტვერსასრუტის გამო დენის ჯანმრთელო-  
ბისათვის ვერ იყო მაინცდამაინც სახეირო. ისე გაგრძელდა ეს ამბავი, რომ  
ბიჭებმა უკვე ეჭვიანობა დაიწყეს.

პილონიც, პაბლოც, ხესუს მარია კორკორანიც, ცალ-ცალკე ყველა  
უტევდა დენის საბუდარს, როცა იგი იქ არ ეგულებოდათ. მაგრამ თაფლის-  
კვერი მხოლოდ ქათინაურებს იღებდა მათგან და მეტი არაფერი, ერთგული  
რჩებოდა იმ კაცისა, ვინც ასე აღამალლა და აღაზვეა იგი. ბიჭებთან მეგობ-  
რულ ურთიერთობას მომავლის შიშით არა წყვეტდა. იცოდა ბედის სი-  
მუხთლე და, ვინ იცის, როგორ დამჭირდესო, ფიქრობდა. მაგრამ ცივ უარს  
ეუბნებოდა დენის მეგობრებს იმაზე, რაც მხოლოდ დენის საკუთრება იყო.

ამრიგად, შეშფოთებულმა და გამწარებულმა ბიჭებმა ქალის გასანად-  
გურებლად შეთქმულება მოაწყვეს.

ადვილი შესაძლებელია, დენი სულის სიღრმეში ქვეცნობიერად დაღალა



კიდევ თაფლისკვერის ალერსმა და იმ სავალდებულო ყურადღებამაც, ალერსის წილ რომ მოითხოვდა ქალი. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, იგი საკუთარ თავსაც არ გაუტყდებოდა.

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როცა პილონი, პაბლო, ხესუს მარია და მათ უკან ყანყალით მომავალი დიდი ჯო პორტუგალიელი, თითქმის მთელი დღის დაძაბული საქმიანობის შემდეგ, ზარზეიმით ბრუნდებოდნენ შინ. წინასწარ დასახული გეგმის შესასრულებლად საჭირო გახდა პილონის უღმობელი ლოგიკა, პაბლოს არტისტული ხელოვნება და ხესუს მარიას კეთილშობილება და კაცთმოყვარეობა. დიდ ჯოს მონაწილეობა არ მიუღია გეგმის შესრულებაში.

და აგერ, მონადირეების მსგავსად, ნადირობიდან გახარებულები ბრუნდებოდნენ, რადგან დიდი სიძნელე დაძლიეს და გამარჯვებას მიაღწიეს! მონტერეიში კი თავგზააბნეული იტალიელი თანდათან მოდიოდა გონს, რომ საშინლად მოალორეს.

პილონს სუროს ფოთლებში შეხვეული და დამალული ღვინის ბოთლი მიჰქონდა. მხიარულად შევიდნენ დენის სახლში და პილონმა გალონი მაგიდაზე დადო.

ტკბილად ჩაძინებულ დენის გამოელვიძა, მშვიდად გაიღიმა და ლოგინიდან წამოდგა, მურაბის ქილები გამოიტანა. ღვინო ჩამოასხა. მისი ოთხი მეგობარი მოწყვეტით დაეშვა სკამზე, რადგან დამქანცველი დღე გამოიარეს.

მოგვიანო ნაშუადღევი უცნაური დროა ტორტილა ფლეტში: თითქმის ყველა სულდგმული ისვენებს ამ დროს და გონებაში მთელი დღის ამბებსა სწონის, მოახლოებული საღამოს გეგმებს აწყობს. საფიქრელს რა გამოლევს ნაშუადღევს. ჩვენი ბიჭებიც ისხდნენ და ნელ-ნელა წრუპავდნენ ღვინოს.

— კორნელია რუიზმა სხვა გამოიჭირა ამ დილას, — შენიშნა პილონმა, — ქაჩალია ვიღაც. კილპატრიკს ეძახიან. კორნელია ამბობს, სამი ღამე არ მოსულა ის ძველი იმ კვირიაო. კორნელიას არ უყვარს ეგეთი რამე.

— დღეში ასი პარასკევი აქვს მაგ თქვენს კორნელიას, — თქვა დენიმ და თან გაიფიქრა, მტვერსასრუტის ურღვევ საძირკველზე თვითონ რა მკვიდრად იყო დაბუდებული.

— მამა კიდევ უფრო უარესი ჰყავდა, — შენიშნა პაბლომ, — თავის დღეში ერთი მართალი სიტყვა არ დაცდენია. ერთხელ დოლარიანს მესესხა. ვუთხარი კიდევ კორნელიას, მაგრამ ყურიც არ გააბარტყუნა.

— ერთი სისხლი აქვთ. „დედა ნახე, მამა ნახეო“, ხომ გაგიგონია, — ბრძნულად ჩაურთო პილონმა.

დენიმ ისევ შეავსო ქილები, და ბოთლიც გამოიცალა. ნაღვლიანად შეხედა ცარიელ ბოთლს.

ხესუს მარიამ, ამ დაბადებით კაცთმოყვარე ადამიანმა, მშვიდად წარმოთქვა:

— სუზი ფრანსისკო ვნახე, პილონ. საქმეები კარგად არისო. უკვე სამჯერ უსვირნებია თავის მოტოციკლზე ჩარლი გუზმანს. პირველი ორი მოგზაურობის დროს სიყვარულის სამსალა მიუცია, და ცუდად შეიქნაო.



ეგონა, აღარ გასჭრიდა. მაგრამ ახლა შენთან დამაბარა, მოვიდეს, როცა უნდა, ტკბილეულს ვაჭმევო.

— რა იყო ასეთი იმ სამსალაში? — იკითხა პაბლომ.

პილონმა საიდუმლო დაჰფარა:

— ყველაფერს ვერ გეტყვი. შხამიანი მუხის წვენმა აწყინა ალბათ ჩარლი გუზმანს.

ის ერთი გაღონი ღვინო ხელად გამოიცალა. ისე მოსწყურებოდა ექვსივე მეგობარს, რომ ჭკუას კარგავდნენ. პილონმა თვალი ჩაუკრა მეგობრებს, მათაც თვალის ჩაკვრით უპასუხეს. შეთქმულება მზად იყო.

პილონმა ჩაახველა.

— ეს რა გიქნია, დენი, რომ მთელი ქალაქი შენ დაგცინის?

დენიმე გაკვირვებით შეხედა.

— რაზე მეუბნები?

პილონმა ჩაიცინა:

— ყველას ეს აკერია პირზე — ვიღაც დედაკაცს მტვერსასრუტი მანქანა უყიდაო, მაგრამ მანამ მავთულებს არ გაიყვანენ სახლში, ის მანქანა არ იმუშავებსო. მავთულები კიდევ კარგად ძვირი ღირებულა. ხალხს სასაცილოდ გაუხდია ეს საჩუქარი.

დენი უხერხულად შეიშმუშნა.

— უყვარს იმ ქალს მტვერსასრუტი მანქანა, — თავი იმართლა მან.

— რატომაც არ ეყვარება, — დაეთანხმა პაბლო, — თურმე შენზე ხალხში ლაპარაკობს, მავთულების გაყვანასაც შემპირდა და ჩემი მტვერსასრუტი ამუშავდებაო.

დენი კიდევ უფრო შეწუხდა:

— მართლა ასე უთქვამს?

— ასე მითხრეს.

— მივართმევ! — შესძახა დენიმ.

— მე თვითონ სასაცილოდ მომეჩვენა, თორემ გული მომივიდოდა, ჩემს მეგობარს რომ დასცინიან ასე, — შენიშნა პილონმა.

— რას ეტყვი, მავთულები რომ გთხოვოს? — ჰკითხა ხესუს მარიამ.

— არა-მეთქი, ვეტყვი, — უპასუხა დენიმ.

პილონს გაეცინა.

— ნეტა მეც იქა მქნა იმ დროს. „არას“ ასე ადვილად როდი ეტყვი იმ ქალს.

დენიმ იგრძნო, რომ მეგობრები გადაუდგნენ.

— რა ვქნა აბა? — უმწეოდ იკითხა მან.

პილონი დინჯად და საღად მიუდგა საკითხს.

— მტვერსასრუტი მანქანა თუ არ ექნა, მავთულებიც აღარ დასჭირდება, — თქვა მან.

მეგობრებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკანტურეს.

— ამიტომ, — განაგრძო პილონმა, — საჭიროა ის მტვერსასრუტიც აღარ ჰქონდეს.

— აჰ, მტვერსასრუტს არაფრის დიდებით არ დათმობს! — შეესიტყვა დენი.

— ჩვენ მოგეშველებით, — უთხრა პილონმა, — მე თვითონ წამოვიღებ იმ



მანქანას, შენ კი სამაგიეროდ ერთი გაღონი ღვინო მიუტანე. ვერც გაიგებს, სად გაქრა მანქანა.

— მეზობლები დაგინახავენ.

— მაგის ნუ გეშინია, — დაამშვიდა პილონმა, — შენ აქ დარჩი, დენი, მანქანას მე წამოვიღებ.

დენიმე შვებით ამოისუნთქა. გაეხარდა, რომ მისმა კარგმა მეგობრებმა იკისრეს ამ საქმის მოგვარება.

იშვიათად თუ რაღე მოხდებოდა ტორტილა ფლექში, რომ პილონს გამოპარვოდა. რასაც კი მოჰკრავდა თვალს ან ყურს, ხელად მენსიერებაში ჩაიბეჭდავდა. იცოდა, რომ თაფლისკვერი ყოველდღე, ხუთის ნახევარზე, მალაზიებისაკენ დაეშვებოდა ხოლმე. ქალის ჩვეულება გაახსენდა, როცა მოქმედების გეგმას ადგენდა.

— შენ განზე დადექი, სულაც ნუ ჩაერევი საქმეში, — უთხრა მან დენის.

ეზოში ჯვალოს დიდი ტომარა ჰქონდა პილონს მომზადებული. დანით კარგა მოზრდილი ტოტი შეაჭრა ვარდის ბურქს და ტომარაში ჩასჩარა.

როგორც ვარაუდობდა, ისე მოხდა: თაფლისკვერი მართლაც არ დაუხვდა შინ.

— ეს იქნება ნამდვილად დენის მანქანა, — გაიფიქრა მან.

ერთი წუთის საქმე გამოდგა სახლში შესვლა, ტომარაში მანქანის ჩაგდება და ვარდის ბურქით ტომარის პირის დაფარვა.

ეზოში რომ გამოვიდა, თაფლისკვერი შეეფეთა. პილონმა თავაზიანად მოუხადა ქუდი.

— თავის შესაქცევად შემოვიარე, — უთხრა მან.

— ცოტა ხანს შეიცადე, პილონ.

— ველარ დავიცდი. უკვე გვიანაა. თან მონტერეიშიაც საქმე მაქვს.

— ეს ვარდის ბურქი სად მიგაქვს?

— მონტერეიში უნდა მივყიდო ერთ კაცს. დიდებული ბურქია. აბა, შეხედე.

— მაშ, სხვა დროს შემოიარე, პილონ.

ისე ჩაიარა ქურჩა, რომ გამწარებული ყვირილი არ გაუგონია.

„ალბათ კარგა ხანს ვერც შეამჩნევს“, გაიფიქრა მან.

საქმე ნახევრად მოგვარებული იყო, ახლა მეორე ნახევარი დარჩა.

„დენის რაში სჭირდება ეს მანქანა?!“ ასეთი კითხვა დაუსვა მან საკუთარ თავს. „კიდევ რომ მივუტანო, თაფლისკვერი იფიქრებს, დენიმ მომპარათ. არადა ხომ არ გადავაგდებ? ფული ღირს ბოლოს და ბოლოს. უნდა როგორმე თავიდან მოვიშორო, თანაც ისე, რომ ცოტა სარფას მაინც გამოვრჩე“.

ახლა უკვე ბოლომდე იყო საკითხი გადაწყვეტილი. პილონი ფერდობზე დაეშვა და ტორელის რესტორანს გაუპირდაპირდა.

დიდი და პრიალა მტვერსასრუტი იყო. როცა უკანვე დაბრუნდა პილონი და აღმართს შეუდგა, ორივე ხელში თითო გაღონი ღვინო ეჭირა.

მეგობრები მდუმარედ შეხვდნენ, როცა მან დენის სახლში შედგა ფეხი. ერთი ბოთლი მაგიდაზე დადო, მეორე კი — იატაკზე.



— საჩუქარი მოგიტანე იმ ქალისთვის, — უთხრა მან დენის, — ცოტა-ოდენი ღვინო ჩვენთვისაც წამოვიღე.

მხიარულად შემოუსხდნენ სუფრას, რადგან წყურვილის ცეცხლი წაპკიდებოდათ. ერთი გაღონი რომ ფსკერამდე დაიყვანეს, პილონმა სანთელთან მიიტანა ჭიქა და გახედა.

— ქვეყნად რაცა ხდება, ბევრს არაფერს ნიშნავს, — თქვა მან, — მაგრამ გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ. აქედან ის გაკვეთილი შეიძლება გამოვიტანოთ, რომ საჩუქარი, განსაკუთრებით როცა იგი ქალისთვის მიგაქვს, ისეთი არ უნდა იყოს, კიდევ სხვა საჩუქარიც მოითხოვოს. კიდევ ის გაკვეთილიც გამოგვაქვს, რომ ძვირფასი საგნის გაჩუქება ცოდვას, რადგან სინარბეს აღძრავს.

ერთი ბოთლი სულ დაიცალა. მეგობრებმა დენის გადახედეს, აბა რას იტყვისო. აქამდე იგი უხმოდ იჯდა, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ მეგობრები მის გადაწყვეტილებას უცდიდნენ.

— ხალისიანი ქალი კი იყო, — თქვა მან ჩაფიქრებით, — თანაგრძნობა იცოდა. ჯანდაბას! — განაგრძო მან, — თავი მომაბეზრა!

მეორე ბოთლს დაწვდა და საცობი მოხადა.

მეგობრემ, კუთხეში რომ მიყუჟულიყო ძაღლებთან ერთად, თავისთვის ჩაიციინა და აღფრთოვანებულმა წაიჩურჩულა:

— ჯანდაბას! თავი მომაბეზრა!

ძალიან მოეწონა ეს სიტყვები.

ჯერ ნახევარი ბოთლიც არ დაელიათ და სიმღერაც სულ ერთი-ორჯერ შემოსძახეს, როცა ოთახში ახალგაზრდა ჯონი პომ-პომი შემოვიდა.

— ტორელის რესტორანში ვიყავი, — თქვა ჯონიმ, — უნდა გენახათ, როგორ გაგიყდა ტორელი! ყვირილით დააქცია იქაურობა! მაგიდაზე მუშტებს უბაგუნებდა.

მეგობრებმა უხალისოდ გახედეს.

— რამე მოუვიდა? ახი კია მაგ ტორელიზე!

— თითო ჭიქა ღვინოს არ იმეტებს მუშტრებისათვის.

— მაინც რა მოუვიდა? — იკითხა პაბლომ.

ჯონი პომ-პომმა მიწოდებული ჭიქა ჩამოართვა.

— პილონმა მტვერსასრუტი მომყიდაო, ყვირის, და როცა ჩავრთე, არ ამუშავდაო. შიგ ჩაიხედა თურმე და ძრავა არ აღმოჩნდა. პილონი შემომაკვდებო, ყვირის.

პილონი გაოგნებული იჯდა.

— რა ვიცოდდი, მოშლილი თუ იყო მანქანა, — თქვა მან, — მაგრამ აკი ვთქვი, ტორელიზე ყველაფერი ახია-მეთქი: სამი-ოთხი გაღონი ღვინო მაინც ღირს მაგისტანა მანქანა, მაგან კი ორის მეტი არ გამოიმეტა.

დენი ისევ ემაღლიერებოდა პილონს. ღვინო მოსვა და ტურები გააწლაკუნა.

— რაც დღე გადის, ტორელი სულ უფრო და უფრო აფუჭებს ამ თხლეს, — თქვა მან, — ჯერ ისედაც რა იყო, ქვევრის ნარეცხსა ჰგავდა, მაგრამ ახლა ისე გააფუჭა, რომ ჩარლი მარშიც კი პირს არ დააკარებს.

ცოტათი ყველამ მოიფხანა გული ტორელიზე.

— იცი, რა გითხრათ, — მიმართა დენიმ მეგობრებს, — ეს ტორელი თუ არ მოჭკვიანდა, ამიერიდან სადმე სხვაგან ვიყიდოთ ღვინო.



როგორ ანუგეზებს მამობრება კაცრალი და სამაგიეროდ  
მამობრივი ეტიკის გავრეტილი მიიღეს

ხესუს მარია კორკორანი კაცთმოყვარეობის ხიდი იყო. კაცს ტანჯვას უმსუბუქებდა, მწუნარებას უქარვებდა, ბედნიერებას აზიარებდა. თავის დღეში მოღუშული და შეჭირვებული არავის უნახავს, მისი გული ღია იყო ყველასათვის, ვისაც კი რამე უჭირდა. მისი ჭკუა და გონება მზად იყო ყველას მომსახურებოდა, ვისაც უფრო ნაკლები ჰქონდა ჭკუაცა და გონე-ბაც.

ხოხე დე ლა ნარისმა რომ ფეხი მოიტეხა, ხესუს მარიამ მთელი ოთხი მილი ზურგით ათრია. მისის პალორიკომ რომ გულით საყვარელი, რძისა და ყველის მომცემი თხა დაჰკარგა, სწორედ ხესუს მარიამ მიაგნო ქურდის კვალს: დიდ ჯო პორტუგალიელს მოღერებული დანა დააშვებინა და თხა პატრონისათვის დააბრუნებინა. სწორედ ხესუს მარია გახლდათ, თავისივე სიბინძურეში ამოგანგლული ჩარლი მარში რომ ამოათრია თხრილი-დან, ამ საქმისათვის კი მარტო კეთილი გული როდი კმაროდა.

სიკეთის ნიჭი ერთია. ხესუს მარიას იმის ნიჭიც ჰქონდა მომადლე-ბული, სხვის გაჭირვებას გუმანით მიმხვდარიყო და მაშინვე იქ გაჩენი-ლიყო.

ხალხში იმისთანა სახელი ჰქონდა გავარდნილი, რომ პილონმა ერთხელ თქვა: ხესუს მარია რომ მღვდლად კურთხებულყო, მონტერეის თავის კალენდარში ერთი წმინდანი გაუჩნდებოდა. მითქვამს და დამიჯერეთო.

თავისი სულის უძირო ქისიდან ხესუს მარიას ამოჰქონდა და ამოჰქონ-და სიკეთე, და მაინც გამოუღვეველი რჩებოდა.

ჩვეულება ჰქონდა, ყოველდღე ჩასულიყო ფოსტაში; ჯერ ერთი იმი-ტომ, რომ ქვეყნის ნაცნობს ხვდებოდა იქა, და მეორეც: ფოსტის მოსახვევ-ში დადგებოდა ხოლმე — აქ ქალები ირეოდნენ და ამ ქალების კანჭებს ათვალეებდა. არ იფიქროთ, რაიმე ბინძური ზრახვა სდებოდას გულში. მაშინ ის ხალხიც უნდა დავძრახოთ, ვინც სამხატვრო გაღერებესა და კონ-ცერტებზე დადის. ქალიშვილების ფეხების ჭვრეტა უყვარდა ხესუს მარიას. ეს იყო და ეს.

ერთ დღეს ფოსტის კედელთან მიყუდებული, მთელი ორი საათის ყურყუტის შემდეგ საცოდავ სურათს შეესწრო: პოლიციელი ტროტუარზე თექვსმეთოდე წლის ჭაბუკს მოათრევდა. ჭაბუკს ნაცრისფერ საბანში გა-ხვეული თოთო ბალდი აეტატებინა.

პოლიციელი ეუბნებოდა:

— რა ვქნა, შენს ლაპარაკს თავი და ბოლო ვერ გავუგე. თხრილში მთელი დღე გდება აკრძალულია. შენს ვინაობასაც გავარკვევთ.

ბიჭი ესპანურად უპასუხებდა, რაღაც უცნაურ კილოზე.

— რომ არაფერი დამიშავებია, სენიორ?! რას შემართლები?!

პოლიციელმა ხესუს მარიას მოჰკრა თვალი.

— ჰეი, პაისანო! — გასძახა მან, — მოდი ერთი გამაგებინე, ეს ესპანელი რას დუდღუნებს.



ხესუს მარია მივიდა და ბიჭსა ჰკითხა:

— მე ვერაფერს გიშველი?

ბიჭს ერთბაშად მოეშვა გულზე და სხაპასხუპით მიაყარა:

— სამუშაოს საშოვნელად ჩამოვედი. მექსიკელებმა მითხრეს, იშოვნო, მაგრამ ვერც აქ ვიშოვნე. ჩემთვის ვიჯექი, ვისვენებდი, უცებ ეს კაცი დამადგა თავზე და წამომათრია.

ხესუს მარიამ თავი დაუქნია და პოლიციელს მიუბრუნდა:

— დააშავა ამ ბიჭმა რამე?

— არა, მაგრამ მთელი სამი საათი ალვარადოს ქუჩაზე გდია, თხრილში...

— ჩემი მეგობარია, — უთხრა ხესუს მარიამ, — მე წავიყვან.

— ოღონდ თხრილში არ ჩაჯდეს.

ხესუს მარია და მისი ახალი მეგობარი ტორტილა ფლეტის გორაკს შეუყვანენ.

— სადაც მე ვცხოვრობ, შენც იქ მიგიყვან. საჭმელსაც მოგიხერხებ. ვისი ბაღლია?

— ჩემია, — მიუგო ბიჭმა, — მე კაპრალი ვარ, ეს შვილია ჩემი. ახლა ავად არის. მაგრამ როცა გაიზრდება, გენერალი გახდება.

— რითია ავად, სენიორ კაპრალი?

— რა ვიცი, ავად გახდა, — საბანი გადაუწია და ბაღლის სახე დაანახვა. მართლაც ძალიან ავად იყო.

ხესუს მარიას სიბრაღულით აევსო გული.

— ის სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, ჩემი მეგობრისაა, დენის. ძალიან კარგი ბიჭია, სენიორ კაპრალი. გაჭირვებული თუ ნახა, უსათუოდ დაეხმარება. მივალთ და შენ თვითონ ნახავ... დენი შეგივრდომებს. ჩემს მეგობარ მისის პალოჩიკოს თხა ჰყავს, რძეს ის გვასესხებს ბაღლისთვის.

კაპრალს პირველად გადაეშალა სახეზე იმედის ღიმილი.

— მეგობრებს რა სჯობს, — თქვა მან, — ტორეონში მეც ბევრი მყავს მეგობარი; ჩემი გულისთვის ქუჩაში წაწაღს და მათხოვრობასაც არ ითაკილებენ, — წაუტრაბახა ხესუს მარიას, — მდიდარი მეგობრებიც კი მყავს, მაგრამ იმათ ჩემი გასაჭირი რა იცინან!

ჭიშკარი პილონმა გაულო და ეზოში შევიდნენ. დენი, პაბლო და დიდი ჯო ოთახში ისხდნენ, სასწაულებრივი სადილის მოლოდინში. ხესუს მარიამ ბიჭი ოთახში შეათრია.

— აგერ, ახალგაზრდა ჯარისკაცი მოვიყვანე, კაპრალი, — განმარტა მან, — თან ბაღლი ჰყავს, ავადმყოფი ბაღლი.

მეგობრები წამოიშალნენ. კაპრალმა ბაღლს პირზე ნაცრისფერი საბანი გადახადა.

— მართლა ავად ყოფილა, — თქვა დენიმ, — იქნებ ექიმში მოგვეყვანა.

ჯარისკაცმა თავი გააქნია.

— ექიმი არ უნდა, არ მიყვარს ექიმები. ბაღლი არა ტირის და ბევრს არცა სჭამს. ცოტას რომ დაისვენებს, იქნებ მოიკეთოს.

ამ დროს პილონიც შემოვიდა და ბავშვს დახედა.

— ეს ბავშვი ავად არის, — თქვა მან.



პილონი მაშინვე დატრიალდა. ხესუს მარია მისის პალორიკოსთან აფრინა რძის სასესხებლად; დიდ ჯოსა და პაბლოს ვაშლის ყუთის შოვნა დაავალა, შიგ თივას გაშლიდნენ რბილად და ცხვრის ტყაპუჭს ჩაუფენდნენ. დენიმ თავისი ლოგინი შესთავაზა, მაგრამ არ შეაწუხეს. კაპრალი ოთახში იდგა, ამ კეთილ ხალხს შეჰყურებდა და იღიმებოდა. ბოლოს ჩააწვინეს ბავშვი ყუთში. თვალებს ძლივს ახელდა, რძეც არ მიიკარა.

მოვიდა მეგობრე და ჩანთით დორადი მოიტანა. მეგობრებმა თევზი შეწვეს და ისადილეს. ბალლი დორადსაც არ გაეკარა. ბიჭები წარამარა წამოხტებოდნენ სათითაოდ და ბავშვს დახედავდნენ. ვახშამს რომ მორჩნენ, სამუსაიფოდ ღუმელს შემოუსხდნენ.

კაპრალი უხმოდ იჯდა, თავის ვინაობაზე კრინტიც არ დაუძრავს. ამ ამბავმა მეგობრებს, ცოტა არ იყოს, გული ატკინა, თუმცა იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან იგი თავის თავგადასავალს უსათუოდ მოჰყვებოდა. პილონისთვის ყოველი ახალი ამბავი მიწაში ჩაფლული განძი იყო; ახლაც რამდენჯერმე სცადა გაეზურლა კაპრალის მდუმარება.

— პირველად ვხედავ თოთობავშვიან ახალგაზრდა ჯარისკაცს, — თავაზიანად შენიშნა მან.

კაპრალმა ამაყად ჩაიციინა.

პაბლომ დასძინა:

— ეს ბალლი ალბათ სიყვარულის ბალშია ნაპოვნი. მიტომაც არის კარგი... ცუდს იქ რა უნდა.

— ჯარში ჩვენცა ვყოფილვართ, — ჩაურთო დენიმ, — როცა მოვკვდებით, საფლავამდე ზარბაზნის ლაფეთით მიგვასვენებენ, სალუტს მისცემენ.

დააცადეს კაპრალს, აბა თუ გამოიყენებს ამ შემთხვევას და გულს თუ გადაგვიხსნისო. კაპრალმა აღტაცებით გადახედა ბიჭებს.

— დიდი სიკეთე მიყავით, — თქვა მან, — ამაზე დიდ სიკეთეს ჩემი ტორეონელი მეგობრებიც ვერ გამოიჩენდნენ. ჩემი ბავშვია, ჩემი ცოლის შვილი.

— ცოლი სადღაა? — ჰკითხა პილონმა.

კაპრალს ღიმილი სახეზე შეაცივდა.

— მექსიკაში, — უპასუხა მან და უცვებ ისევ გამოცოცხლდა, — ერთ კაცს შევხვდი, უცნაური რამე მითხრა: სულ უნდა უჩიჩინო ბავშვს, ამ ხელობის კაცი გამოდო და რომ გაიზრდება, უსათუოდ გამოვაო. მეც ჩაეჩიჩინებ: გენერალი გახდები, გენერალი გახდები!... რას იტყვით, მართლა გახდება გენერალი?

მეგობრებმა თავაზიანად დაუქნიეს თავი.

— რატომაც არა! — უპასუხა პილონმა, — თუმცა პირველად მესმის ამისთანა რამე.

— დღეში ოცჯერ ვიმეორებ: „მანუელ, შენ გენერალი გახდები. დიდ ეპოლეტებს დაგაკერებენ, ყაწიმს გადაგკიდებენ, ოქროს ხმალს შემოირტყამ, ბუდაურზე წამოიჭიშები. რა ცხოვრება გექნება, მანუელ!“ ასე მითხრა იმ კაცმა — სულ თუ უჩიჩინებ, უსათუოდ გენერალი გახდებო.

დენი წამოდგა და ყუთთან მივიდა.

— გენერალი გახდები! — უთხრა ბალს, — როცა გაიზრდები, დიდი გენერალი იქნები!



სხვებიც მიცვივდნენ, ჩახედეს, აბა თუ მოახდინა ამ სიტყვებმა რამე გავლენაო.

— გენერალი გახდები! — წაიჩურჩულა მეგობრემ და მაშინვე თავში გაჰკრა — ეს ხერხი ნეტა ძალღმედაც თუ გასჭრისო.

— ავად არის ბაღლი, — თქვა დენიმ, — სითბო უნდა. ისევ ღუმელს შემოუსხდნენ.

— შენი ცოლი მექსიკაშია... — შეახსენა დენიმ.

კაპრალი მოიღუშა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ისევ გაიბადრა.

— ახლავე გიამბობთ. ამისთანა რამეს უცხო ხალხს არ უმხელენ, მაგრამ თქვენ ჩემი მეგობრები ხართ. ჯარისკაცი ვიყავი, ჩიუაუაში ვიდექით. ყველაფერს ბეჯითად ვასრულებდი, სუფთად მეცვა, თოფი მუდამ გაზეთილი მქონდა... აიღეს და კაპრალი მიბოძეს. ერთი ლამაზი გოგონა შევირთე. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, იქნებ ჩემმა ოქრომკედის შევრონებმა მოხიბლა. მაგრამ ისე კი ლამაზი და ქორთა გოგო იყო. თვალები უციმციმებდა, კბილები უელავდა, გრძელი ნაწნავები უპრიალებდა. დიდი ხანი არ გასულა და ეს ბაღლიც შეგვეძინა.

— დიდებული საქმეა, — უთხრა დენიმ, — ნეტა შენს ადგილას მქნა. ბავშვს რა სჯობს ქვეყანაზე.

— ჰო, — განაგრძო კაპრალი, — მეც გამეხარდა. წავიყვანეთ და მოვანათვლინეთ. მე ჩემი სარტყელი მერტყა, თუმცა წესდებაში ამაზე არაფერი სწერია. ეკლესიიდან რომ გამოვდიოდით, ერთმა ეპოლეტებიანმა, ყაწიმიანმა და ვერცხლისხმლიანმა კაპიტანმა ჩემი ცოლი დაინახა. გამოხდა ხანი და ცოლი შინიდან წავიდა. მივედი კაპიტანთან და პირდაპირ ვუთხარი, ცოლი დამიბრუნე-მეთქი. თავი მოგძულებიაო, მიყვირა, შენს უფროსს რეებს უბედავო! — კაპრალი ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა, ბედის მორჩილება გამოხატა.

— ო, ის ქურდი და მაწანწალა! — შესძახა ხესუს მარიამ.

— მერე შეჰყარე ხომ მეგობრები და ჩააძალდე ის კაპიტანი? — ენამ გაუსწრო პაბლოს.

კაპრალი დაიბნა.

— არა, აღარაფერი გაეწყობოდა. პირველ ღამეს ვიღაცამ ფანჯარაში ტყვია შესროლა. მეორე დღეს შემთხვევით ზარბაზანი გაუვარდათ და ყუმბარამ ისე ახლოს ჩამიქროლა, მიწაზე დამანარცხა. მეტი რაღა ჩარა იყო. მოვშორდი იქაურობას და ბაღლიც წამოვიყვანე.

მეგობრები აიღესუნ, თვალები რისხვით აუელვარდათ. მეგობრემ თავის კუთხეში შეიდრინა, ძაღლებმა ყმუილი მორთეს.

— ნეტა იქა ვყოფილიყავით! — შესძახა პილონმა. — გარენის დღეს ვაწყევლინებდით იმ შენს კაპიტანს! მღვდელმა ერთხელ რაღაც აწყენინა პაპაჩემს. აიღო პაპაჩემმა, გაატიტვლა ის მღვდელი და საქონლის ბაკში ბოძს მიაკრა, შიგ პატარა ხბო შეაგდო. ეჰ, რამდენ რამეს მოიგონებს კაცი!

(დასასრული იქნება)



# პრკალი პლაქოვი

## ორმაგი მარყუჟი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

რუსულიდან თარგმნა ელგუჯა მაღრაძემ

თ ა ვ ო I

### ეპეგენ ყვითელ ეშმაკს

ღღეს ძალზე უცნაური ფრაზა გავიგონე. იმდენად უცნაური და გაუგებარი ფრაზაა, რომ უკვე ერთი საათია, რაც ჩვენს განყოფილებაში, ჩემს ოთახში დავდივარ საგონებელში ჩავარდნილი, გადავწყვიტე, კუზმიჩს ჯერ არაფერი მოვახსენო. მე მგონი, პაროლი უნდა იყოს: „ტრეტიაკოვკა, კუინჯის დარბაზში“. ამ ფრაზაში რაღაც იდუმალებით მოცული აზრი უნდა იმაღვოდეს, რა თქმა უნდა, თუ ეს ფრაზა პაროლია. ჩვენ ახლა მეტად უჩვეულო საქმით ვართ დაკავებულნი. მე ასე მგონია; დიდად საიდუმლო ამბავი უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ უეცრად გაქრა, უფრო სწორად, მიიშალა ერთი ადამიანი. კანონსაწინააღმდეგო მას არაფერი ჩაუდენია, არაფერი მოუპარავს, პირიქით, თვითონ გაქურდეს. როდესაც სასტუმროს ნომერში მყოფს შეუნიშნავს, რომ გაქურდული იყო, სასწრაფოდ მიმალულა. დამნაშავე დროზე იქნა დაკავებული. იგი ხელობით სასტუმროებში მოთარეშე ქურდი აღმოჩნდა. მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის სასტუმროების ხშირი სტუმარი ყოფილა. ასეთებს ჩვენ „გასტროლიორებს“ ვეძახით. მის დაპატიმრებაში ჩვენ დაგვეხმარა ტრიკოტაჟის ფაბრიკის თანამშრომელი ვარვარა გლოტოვა, ვისაც ეს ტიპი, გვარად მუშანსკი, გაეცნო და გაარშიყება მოუნდომა. როცა ვარვარასთან პირველად მივედი, იქ ვილაც ტოლიკას გადავეყარე. მან ჩემზე იუჭვიანა. ძალზე უსიამოვნო ამბავი შემემთხვა, ულამაზო. მე მაშინ მაგარ-მაგარი სიტყვებით გამიმასპინძლდა კუზმიჩი, რადგან ტოლიკამ ჩხუბი ამიტუნა და მეც ავყევი. იგი ხარივით ღონიერი გამოდგა, მაგრამ ძალზე მოუქნელი და მე კარგა ლაზათიანად მივბეგვე — ის ხომ დანით იწევდა ჩემზე. მეტად არასასიამოვნო ამბავი გადამხდა, ესლაც კი მრცხვენია, რომ ვიხსენებ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ვარვარა დიდად დაგვეხმარა მუშანსკის დაპატიმრებაში. მუშანსკიმ ჩადენილი ყველა დანაშაული აღიარა. მათ შორის



ბოლოც, „ლუქსის“ გაქურდვა. თუ მას დავუჯერებთ, მხოლოდ და მხოლოდ ორი ზედაკაბა აქვს მოპარული. ხოლო გასაკვირი და საოცარი ისაა, რატომ მიიმალა იმ ნომერში მცხოვრები კაცი. მუშანსკი ხომ ამას ვერ გვეტყოდა.

ის ადამიანი მოსკოვში პენზიდან ჩამოსულა, შინ კი დღემდე არ დაბრუნებულა. მისი გაუჩინარებიდან ორი კვირა გავიდა. თუ ლოლიკის კანონების მიხედვით განვსჯით ყოველივეს, ის კაცი მეტად საეჭვო პიროვნება უნდა იყოს.

ეს დასკვნა ჩვენ მისივე საქციელიდან გამოვიტანეთ: ჯერ ერთი, როგორც კი შეუტყვია, გამქურდესო, სასტუმროდან იმწამსვე გაპარულა; მეორეც, თვითმფრინავის ბილეთთან დაკავშირებული სიცრუე — არც ერთ მხარეს მიმავალ თვითმფრინავში იმ დღეს ნიკოლოვი არ ჩამჯდარა. ხოლო თუ ნიკოლოვი ყალბი პასპორტით გაფრინდა ან სულ არ გაფრენილა და მატარებლით გაემგზავრა, მისი საქციელი მაინც არანაკლებ საეჭვო მოსჩანს; მესამეც, მის ოთახში აღმოჩენილ იქნა ქალაქის ნაგლეჯი, ზედ რომ რაღაც გაუგებარი ციფრებია ჩამოწერილი.

ამ პიროვნებით რომ დავინტერესებულებიყავით, ჩვენ საკმაოზე მეტი საბაბი გაგვაჩნდა. კუზმიჩმა ეს საქმე მე მომანდო.

ვინ არის სინამდვილეში ეს ივანე ხარიტონოვიჩ ნიკოლოვი, ან როგორც ჩემი მეგობარი ამბობს, „საით ფრენს მისი ცხოვრებისეული ინტერესები?“

პენზამ ნიკოლოვზე ვერაფერი საინტერესო ცნობა ვერ მოგვაწოდა, ფორმალურ ცნობას დაჯერდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოქალაქე ნიკოლოვი ან ძალზე ეშმაკურად ნიღბავს თავის შავბნელ საქმიანობას, ჭეშმარიტ „დარგს თავისი ინტერესებისას“, ან მისი ინტერესები და მოქმედების სარბიელი პენზაში არაა საძიებელი. ბოლოს და ბოლოს იქნებ ეს ყველაფერი სისულელეც იყოს. იქნებ მხოლოდ ფაქტების შემთხვევითი თავმოყრადამთხვევა მოხდა და მეტი არაფერი. მაგრამ ეს ბოლო ვარაუდი რაღაც დაუჯერებელი მეჩვენება.

ამგვარად, პენზიდან ჩვენ ჯერჯერობით ვერაფერი ხელმოსაკიდი საბუთი ვერ მივიღეთ.

ამ იდუმალებით მოცულ მოქალაქე ნიკოლოვზე ზოგიერთი ცნობის მიღება სასტუმროდანაც მოხერხდა, სადაც ცხოვრობდა. მართალია, მას სასტუმროში ორი კვირის წინ უცხოვრია და უცებ სადღაც მიმალულა კიდევ, მაგრამ ზოგიერთებს იგი მაინც ახსოვდათ. კერძოდ, გვერდით ნომერში მცხოვრებ ვინმე ვიქტორ სბოკს, იგი „ბ“ კლასის ფეხბურთელთა ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი აღმოჩნდა. გუნდს რაღაც უსიამოვნო ამბავი შემთხვევია და ვიქტორი ფიზკულტურის კომიტეტში აჭახრაკებდა საქმეს.

— იცი, — მითხრა მან, — გაგიყება შეიძლება, რა ლამაზი და ეშხიანი გოგონა მოუვიდა მას ერთხელ ნომერში. ის გოგონა მე ჯერ კიდევ ქუჩაში შევამჩნიე. ჩემ წინ მიდიოდა. ფეხები, ტანი, მხრებზე დაყრილი თმა — ყველაფერი ექსტრავაგანტური ჰქონდა. მერედა რას ვხედავ, ის გოგონა ჩვენს სასტუმროში შედის და მესამე სართულისაკენ მიეშურება. რა გასაკვირია, რომ ძალზე დავინტერესდი. მაძებარივით შეუმჩნევლად მივყვები, — ამბობს ვიქტორი და მხიარულად მიპაჭუნებს თვალს, — ჩემ გვერდით ნომერს მიუახლოვდა. აკაკუნებს. შენ კარგად მომისმინე! როდესაც ნიკო-



ლოვმა კარი გაუღო, გოგონამ ძალზე უცნაური ფრაზა შეაგება: „გამარჯობათ, მე დღეს ტრეტიაკოვის გალერეის კუინჯის დარბაზში ვიყავი“. თან იცინის. წარმოგიდგენია? იმან კი მკაცრად წაიბურტყუნა რაღაც სიტყვები და ოთახში შეუძღვა.

ასე გავიგონე ეს უცნაური ფრაზა პირველად. დასაწყისში არავითარი მნიშვნელობა ამ ფრაზისათვის არ მიმიცია. მე გოგონამ უფრო დამაინტერესა.

ჩემს თანამოსაუბრეს ეს სრულიად ბუნებრივად მოეჩვენა და ისევ თვალი ჩამიბახჭუნა.

— კარგი რამე კი იყო! — ერთგვარი ოცნებითა და სინანულით ჩაილაპარაკა მან. — დიდებული ლუკმა! ასეთი ქალი ალბათ უამრავ ფულს დაგაყაჭინებს კაცს, მე, მაგალითად, მის ხელში ჩასაგდებად არაფერს დავიშურებდი.

ვიქტორი ლამაზი კაცია. ახალგაზრდა, ახოვანი, მზვმოკიდებული. ძვირფასი ტანსაცმელი აცვია, მაგრამ ულაზათოდ. იგი იქნებოდა რომანის იდეალური გმირი, როგორც შესაძლოა მხოლოდ დაგესიზმროს. გაშხლართულა და გრძელ სიგარეტებს ზანტად აბოლებს. ხვეული თმა ბლუჯად დაჭფენია შუბლზე. ვიქტორი თავის აქნევით უკანვე იყრის თმას.

— როგორც მე მესმის, შენ დაინტერესებული ხარ იმ მამაკაცით, — მან ხელი გაიშვირა მეზობელ „ლუქსისაკენ“, — მე კი — იმ გოგონათი, ვინც...

მე მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა, და თავი გავაქნიე.

— არა, მე ქურდობითა და მოსამსახურე ქალის მოკვლის ცდით ვარ დაინტერესებული. შენ ეს საქმე გავგებული გექნება, ამ ამბების გამო ხომ აქ დიდი აურზაური ატყდა.

— აბა, აბა, საუბარი სხვა საგანზე ნუ გადაგაქვს, — მან ეშმაკურად დამიქნია თითი. — შენ ის ბატონი გჭირდება.

— რასაკვირველია, — დავეთანხმე მე, — და თანაც ყველა ის, ვინც მასთან დადიოდა. სწორედ ამ ქურდობასთან დაკავშირებით მაინტერესებს ყველა.

— მერედა არ იცით, სად ცხოვრობს, რომელ ქალაქში? — ინტერესით იკითხა ვიქტორმა. — მან ხომ ჩააბარა თავისი პასპორტი, ანკეტაც შეავსო.

— ეს ყველაფერი ცნობილია. პენზაში ცხოვრობს და ჯერაც არ ჩასულა იქ. ჩვენ კი ყველაფერი სასწრაფოდ უნდა გავიგოთ. შენ ხომ არ იცი, საით აპირებდა მოსკოვიდან გამგზავრებას?

ვიქტორი დაფიქრდა. წამიერად მან სხვაგან გადაიტანა ფიქრი. შემდეგ მხრები აიჩეჩა.

— ვინ იცის?! სულ სხვადასხვა ქალაქს უკავშირდებოდა ტელეფონით.

— არ გახსოვს, რომელ ქალაქებში რეკავდა?

— როსტოვშიც დარეკა და ოდესაშიც. კიდევ ერთი ისეთი ქალაქი დაასახელა, სრულებითაც არ გამიგონია, თუ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებებზე ჩვენ ბევრ ქალაქში დავწანწალებთ.

თავში ერთი აზრი მომივიდა, მაგრამ საუბრის დამთავრება ჯერ ნაადრევად მივიჩინე.

— იმ გოგონას გარდა ვინ დადიოდა მასთან, თუ გახსოვს? — ჩავუძიე მე.

— ერთხელ ისეთ დროს დავბრუნდი სასტუმროში, როცა ის ვიღაც



ტიბს აცილებდა. ისეთი მსხვილ-მსხვილი და ზორბა იყო, რომ ტანზე პი-ჯაკი არ ეკვრებოდა. რაღაცნაირად ჩაფართხუნებული შარვალის მოკლედ ადგა. აღელვებული ჩანდა.

— რა ერქვა, ხომ არ გახსოვს?

— ივან ხარიტონოვიჩმა, მგონი, გრიგორი დაუძახა... შემდეგ კი აღარ მახსოვს. სემიონოვიჩი თუ სერგეევიჩი... ნამდვილად აღარ მახსოვს. ისინი უკვე ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. მსუქანი ელიჯინებოდა: „მხოლოდ არ დამღუპო...“ საზარელი მოსასმენი იყო. ერთი ვიღაც დაეძებდა ივან ხარიტონოვიჩს და მე გადავეყარე...

ვიქტორი უკვე მოგონებებში გადავარდა.

— ნეტავი რატომ უშინოდათ მისი? აი, რისი გაგება მაინტერესებს, — განაგრძობდა ვიქტორი ხმამაღლა ფიქრს და თან ახალ სიგარეტს მოუკიდა. — ის, ვინც დაეძებდა, გამხდარი იყო, ხელში პორთფელი ეჭირა. როგორც კი დამინახა, რომ გვერდითი ოთახიდან გამოვედი, მომიახლოვდა და ძალზე მოკრძალებით, ზრდილობიანად მკითხა: „ხომ ვერ მეტყვით, თქვენი მეზობელი, ივან ხარიტონოვიჩი, შინაა თუ არა?“ მე ვუპასუხე: „დააკაკუნეთ, შესაძლოა ნომერშიც იყოს.“ „ვცადე, მაგრამ ხმა არავინ გამცა. ვიფიქრე, ხომ არ ისვენებს-მეთქი? ასეთ დროს კი ვერ შევაწუხებ, უხერხულია... მოგვიანებით გამოვივლი“. მე ვუბნები: „ის ჩვეულებრივ საღამოობით არის ხოლმე შინ“. „ხომ ვერ მეტყოდით, დღის საათებში როგორ მენახა? საღამოობით ვერაფრით ვერ მოვახერხებ ვერც მოსვლას და ვერც დარეკვას“. „კი, მაგრამ დღე რომ არ არის ხოლმე ნომერში“.

მათმა დიალოგმა ჩამაფიქრა. იმ კაცის საქციელი, დერეფანში რომ შეხვედრია ვიქტორს, მეტად უცნაურად მომეჩვენა. საღამოს ტელეფონით დარეკვა მაინც რატომ არ შეეძლო? რისთვის ეკითხებოდა ნიკოლოვის ასავალ-დასავალს მეზობელს და არა სართულის მორიგეს. სართულის მორიგეზე უკეთ ვის ეცოდინებოდა, ნიკოლოვი ნომერში იყო თუ არა.

უკვე საღამოს ექვსი საათი გახდა. მაშასადამე, უკვე ორი საათია, რაც ვიქტორთან ვლაყობ, მაგრამ ამ დროს ფუჭად მაინც არ ჩაუვლია.

უნლა კი საჭიროა სართულის მორიგეს — ეკატერინა ოსიპოვნას გავესაუბრო. წინასწარ კი სასტუმროს დირექტორის მოადგილის კაბინეტში შევდივარ და სათანადო ნებართვის აღების შემდეგ მისი ტელეფონით ვსარგებლობ. მან მშვენივრად იცოდა, საიდანაც ვიყავი, თავაზიანად მიმიპატიჟა, თვითონ კი მობოდიშებით გავიდა კაბინეტიდან და მარტო დამტოვა.

მე ვალია დენისოვს ვურეკავ, ამ ახალ საქმეში ის ჩემი თანაშემწეა.

სწორედ რომ ვთქვათ, ეს საქმე ერთი მხრივ მეტად უჩვეულოა. ჩვენ იმ ადამიანს ვეძებთ, ვისაც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია — ყოველ შემთხვევაში ეს ასეა ჩვენი ცნობების მიხედვით. ჩვენ იმ ადამიანს ფორმალურად ვეძებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ დავუბრუნოთ თავისი დანაკარგი — ქალის ორი ზედაკაბა, და დავადგინოთ, მეტი ხომ არაფერი მოუპარავთ მისთვის. ისე კი ამ ამბის მიღმა მეტად რთული ამბავი უნდა იმალვოდეს, თუ ჩვენი ოპერატიული ალღო არ გვაცთუნებს.

მე ვალიას დავალებას ვაძლევ და ერთი საათის შემდეგ შეხვედრაზე ვუთანხმდები. შემდეგ კვლავ მესამე სართულზე ავდივარ და სართულის მორიგეს დავეძებ.



ჩემს შეკითხვებზე ის აუღელვებლად და დაწვრილებით მპასუხობს:

— მასთან ყოველნაირი ხალხი დადიოდა, დაიმასხსოვრებოდა თუ რა? აი, ერთხელ მასთან ერთი კაცი მოვიდა. მე მას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე — დარბაისლური შეხედულების იყო, ლაჟღაჟა. წარმოიდგინეთ, პალტო შეკრული არ ჰქონდა, პიჯაკიც გახსნილი მოუჩანდა. ვერ გავიგე, სცხელოდა თუ რა ჯანდაბა იყო მის თავს. შიგნით რა მოხდა, მე არ ვიცი. ის კაცი რომ იქიდან გამოვიდა, პირდაპირ ვიტყვი, ადამიანს აღარ ჰგავდა. მიტკალივით თეთრი იყო, ფეხებს ძლივს მოათრევდა, ხელით კი, პალტოს ქვეშ, თითქოს გულს ისრესდა. ჩემს მაგიდამდე ძლივს მოაღწია, სავარძელში ჩაეშვა და მეუბნება: „გეთაყვა, გულის წვეთები ხომ არ მოგეძვევებათ“. ნეტავი როგორ მივიდა სახლამდე. ერთი-ორი დღე იმ კაცის სახემ მოსვენება ერთიანად დამაკარგვინა.

მე მგონი, ეს შემთხვევა უფრო საინტერესოს ხდის, თუ ვინაა ნიკოლოვი, ვიდრე ის სულელური ფრაზა ტრეტიაკოვის გაღერებაზე. ამ შემთხვევის მიღმა ძალზე საყურადღებო რამ უნდა იმალებოდეს, ისეთი რამ, რაც უფრო სარწმუნოს ხდის, რომ ნიკოლოვის ძებნა აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა.

„კიდევ ერთი ვინმე დაეძებდა მას დღისით...“ მომაგონდა ვიქტორის სიტყვები.

უეცრად ახალმა აზრმა გამიელვა თავში. სწრაფად ვემშვიდობები სართულის მორიგეს და თითქმის სირბილით ვბრუნდები ვიქტორთან. მას, რა თქმა უნდა, გაუკვირდა ჩემი მოულოდნელი დაბრუნება, თითქმის შეშფოთდა კიდევ.

— შენ თუ შესძლებ იმ ადამიანის ცნობას, — მოულოდნელად ვეკითხები მე, — იმისას, ვინც დღისით შემოგხვდა დერეფანში, ნიკოლოვის შეწუხება რომ არ უნდოდა?

— მე ვფიქრობ, შევძლებ, — ყოყმანით მპასუხობს ვიქტორი.

მე შევუთანხმდი ვიქტორს, რომ მეორე დღით ჩვენთან განყოფილებაში მოსულიყო.

სამმართველოში მივრბივარ, სადაც ვალია დენისოვი მელოდება. იგი ჩვეულებრივ სერიოზულია, ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული. მე ვგრძნობ, რომ ვალია თავისი ოდნავ ქალური, ნაზი გარეგნობით უკმაყოფილოა. ალბათ ამიტომაცაა, რომ იგი გაშმაგებით ეუფლება სამბოს ილეთებსა და ცურვაზეც გულმოდგინედ დადის. სპორტის ამ სახეობებში პირველი თანრიგი აქვს მიღებული. თუმცა გარეგნობა ოდნავადაც არ შესცვლია. რა თქმა უნდა, ამის გამო არც არავინ დაიჯერებს, რომ ვალია დროდადრო პეტია შუხმინსაც კი ამარცხებს ხოლმე, მოსკოვის „დინამოს“ ჩემპიონს სამბოში.

ვალიამ დამინახა თუ არა, თავშეკავებით მაცნობა: — შენ სვეტლანამ დაგირეკა...

პეტია შუხმინი ამის თქმაზე უთუოდ თვალს ჩამიკრავდა და რაიმე ხუმრობასაც დააყოლებდა. ვალია კი დინჯი ყმაწვილია, ზრდილი. იგი თავს უფლებას არც მისცემს, რაიმე ზედმეტი თქვას ან ჩაიდინოს.

მე უნებურად საათს დავხედე. მხოლოდ და მხოლოდ რვა საათი ყოფილა.



— აბა, რა არის ახალი? — ვეკითხები ვალიას. — როგორია ნადავლი?  
— აი, შეხედე.

მან ქალაქი გამომიწოდა, ჩემს მოსვლამდე უკვე დიდი ყურადღებით რომ შეესწავლა.

ვალთა საქმეში საშინელი პედანტი და წესიერია. ამ ამბავს ხშირად დიდი სარგებლობა მოაქვს, თუმცა ბევრს ასეთი რამ აღიზიანებს კიდევ და ვალიას დასცინიან ხოლმე. მაგალითად, პეტია შუხმინი. ეს ამბავი გასაკვირიც არაა. პეტია ჰალსტუხსაც კი ვერ გამოინასკვავს ხოლმე წესიერად საზეიმო დღეებში. ჰალსტუხს ჩვეულებრივ ჯიბით დაატრევს, დღესასწაულებზე კი ყელზე ჩამოკონწიალებული აქვს.

ამჯერად ვალიამ მთელი ცხრილი შეადგინა.

— აბა, შეხედე. აქ ის ქალაქებია ჩამოწერილი, ნიკოლოზი რომ დაუკავშირდა, ამ გრაფაში კი ლაპარაკის ხანგრძლივობა წუთებითაა გამოთვლილი. აქ იმ ტელეფონების ნომრებია, მან რომ შეუკვეთა, შემდეგ კი დღეები და საათებია, როდესაც ლაპარაკი შედგა. ეს კი ცარიელი სვეტია. აქ ხვალ იმ ადამიანების გვარებს ჩავწერ, ის რომ სხვადასხვა ქალაქში ელაპარაკა.

რა ყოჩაღია ეს ვალია! ასეთი თანაშემწე რომ გყავს — დიდი სიამოვნებაა. თუ ამ საქმეში იგორთან მუშაობა არ მარგუნა ხვედრად კუზმიჩმა, ვალიაზე უკეთესი სხვა არავინ შეიძლება იყოს. იგორთან შედარებით მას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: საკუთარი ინიციატივა არ გააჩნია, ფანტაზია არ ჰყოფნის, იდეები აკლია. მას არ შეუძლია შთააგონოს და აიძულოს ვინმე სხვადასხვა ვარაუდის შესაქმნელად. ვალია შესანიშნავი, რომ იტყვიან, იდეალური შემსრულებელია. როდესაც კონკრეტულ დავალებას მისცემენ, ჯადოსნურ საზრიანობასა და ცოდნას გამოავლენს, რათა ყველაფერი წარმატებით დააგვირგვინოს, მაგრამ სხვამ რომ დაავალოს ცინცხალი რამის მოფიქრება, ან თვითონ გაუკვალავი გზით წავიდეს, ახალი ოპერაცია შემოგთავაზოთ, რაიმე უვალი გზა აღმოაჩინოს — არ შეუძლია.

ჩვენ ცხრილს დავცქერით. ვცდილობთ, ნიკოლოზის საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრები შევისწავლოთ. თერთმეტი დღე უცხოვრია სასტუმროში. ამ ხნის მანძილზე ნიკოლოზი ხუთ ქალაქს დაკავშირებია. აქაა ვიქტორისაგან დასახელებული როსტოვი და ოდესა, აგრეთვე ლენინგრადი, სარატოვი, ერთიცი ისეთი ქალაქია, არც ვიქტორმა იცის და არც მე. ეს განლავთ პატარა ქალაქი პუნეჟი. ვალიამ ამ ქალაქზე ღიბნა, რაიონული ცენტრიაო, და ერთ-ერთი ჩრდილოეთის ოლქი დამისახელა, სადაც ის ქალაქი მდებარეობდა.

ყველა ქალაქთან, ოდესის გარდა, ნიკოლოზს სამი წუთი ულაპარაკია, ოდესასთან კი შვიდი წუთი. პუნეჟთან მხოლოდ წუთნახევარი. ცხრილში ამ ციფრის გვერდით ასო „ს“ არის მიწერილი.

— სასწრაფოა, — მოკლედ მომიჭრა ვალიამ.

საქმე უკვე თითქოს საინტერესო ხდება. მართალია, პუნეჟთან დაკავშირებისას ყველაზე ნაკლები დრო დაუხარჯავს ნიკოლოზს, მაგრამ, ჩანს, ეს ქალაქი ძალზე საჭირო იყო მისთვის.

საინტერესოა ქალაქების განლაგებაც დღეების მიხედვით. მოსკოვში ჩამოსვლის მეექვსე დღეს ნიკოლოზი სარატოვს ელაპარაკა, მეორე დღეს ლენინგრადსა და ოდესას, მეცხრე დღეს — როსტოვს, გამგზავრების წინა



დღეს კი პუნეჟს. მაგრამ, როგორც ჩანს, ნიკოლოვი უეცრად და მოულოდნელად გაემგზავრა. მიზეზი კი დანაკარგის აღმოჩენა უნდა ყოფილიყო. ორი ზედაკაბის ქურდობა? უცნაური ამბავი კია... შესაძლოა მართო ორი ზედაკაბა არ ყოფილა? ნუთუ მუშანსკიმაც რაიმე დაგვიმალა? ხვალ ჩვენ მას ვიქტორს ვუჩვენებთ.

ეხლა კი ერთი საქმეც გვაქვს გასაკეთებელი. სასწრაფოდ უნდა დავუკავშირდეთ იმ ხუთ ქალაქს და დავაზუსტოთ, ამ ქალაქთა რომელიმე სასტუმროში ხომ არ გაჩერებულა მოქალაქე ივან ხარიტონოვიჩ ნიკოლოვი. ანდა ხომ არ ვსტუმრა და ხომ არ იმყოფება ნიკოლოვი იმ ხალხთან, ვისაც ტელეფონით მოსკოვიდან ელაპარაკა. სამწუხაროა, რომ ვალიას თავიდანვე არ მოაფიქრდა, ბარემ ესეც გაეკეთებინა, დავალების მიცემისას კი მე თვითონაც გამომჩინა ეს მეტად საეჭვო საქმე.

ვალიამ გულდასმით მოისმინა ახალი დავალება. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი დროზე და კარგად იქნება შესრულებული. ვალია სალაპარაკო პუნქტისაკენ გაეშურა, მე კი სვეტას ვურეკავ. ეს ადვილი საქმე როდია.

მალე ბედმა გამიღიმა.

— ვიტიკ! — სიხარულით წამოიძახა სვეტამ. — ძლივს არ დარეკე? გული გადამელია ლოდინისაგან. ძალიან გადაიღალე?

არა, მე, რასაკვირველია, დაღლილი არა ვარ. მე თვალის დახამხამებაში ჩავიცვი პალტო, დავინსურე ქუდი და, როცა სინათლის ჩაქრობა დავაპირე, უმაღვე ჩემი მზერა მაგიდაზე დარჩენილმა ქალაქმა მიიპყრო. ეს ვალიას მიერ შედგენილი ცხრილია.

რას იზამ, უნდა დავყოვნდე. სეიფიდან თხელი საქალაქო ამოვიღე და ისე აჩქარებულად გავშალე, რომ იქიდან პატარა ფურცელი ამოვარდა და ფრიალ-ფრიალით იატაკზე დავარდა. მე უცებ ვიცანი ნიკოლოვის ჩემთვის გაუგებარი გაანგარიშებანი. თუმცა ფურცლის დაწერილი მხარე ეხებოდა იატაკს, ქალაქის ასაღებად დავინარე თუ არა, დაუწერელ გვერდზე რაღაც გაუგებარი, დახლართული ხაზები შევნიშნე.

ამან იმდენად დამაინტერესა, რომ პალტოიანად და ქუდიანად მივუჯექი საწერ მაგიდას და ნათურა ავანთე. როგორც კი ქალაქი სინათლეს მივუახლოვე, ფურცელზე ხაზები იმწამსვე გაქრა — მაშინვე მივხვდი, რომ ეს წინა გვერდზე რაღაც ჩანაწერის ანაბეჭდი უნდა ყოფილიყო. ფურცელი, რომელიც ხელში მეჭირა, უბის წიგნაკიდან იყო ამოხეული. მას ცალი მხარე არასწორი ჰქონდა.

მაგიდაზე დადგმული ელექტრონათურა რაც შეიძლება კიდისკენ გავწიე, ჭერქვეშ დანთებული ნათურა ჩავაქრე და სინათლის ირიბად დაცემულ სხივებში ასოები საკმაოდ ნათლად გამოჩნდა. ამ შემთხვევამ, მე ვიტყვოდი, უხიაკმა შემთხვევამ, უეცარ აღმოჩენამდე მიმიყვანა. ნეტავ ეს შემთხვევა რომ არა, შევამჩნევდით კი ჩვენ ოდესმე ამ ამბავს?!

ძალზე გამიჭირდა ვიღაცის და როდესაც ნაჯღაბნი სიტყვების გარჩევა. სუფთა ქალაქზე დავწერე ჩემ მიერ გაჭირვებით ამოკითხული ზოგიერთი სიტყვა. სულ კი ოთხი სიტყვის გაშიფვრა შევძელი, ხოლო მათ საშინელ აზრს ნელ-ნელა ჩავწვდი.

საათს დავხედე. უკვე გვიანაა! ჩვენი სამმართველოს სამეცნიერო-ტექნი-



კურ განყოფილებაში წასვლას აზრი აღარა აქვს, დაგვიანებულია. ადრე რომ იყოს, სპეციალისტები თავიდან ბოლომდე მთელ ნაწერს გაარკვევდნენ. ალბათ კუზმიჩიც შინ იქნება წასული. მაშასადამე, საქმე ხვალისათვის უნდა გადაიდოს.

დიახ, ძიების ჯაჭვში დენი აღმოჩნდა, თანაც მაღალი ძაბვის დენი უნდა იყოს! ახლა ნიკოლოვის ძებნა არა მარტო გონივრული და საშური საქმეა, არამედ გადაუდებელი და აუცილებელი გახლავთ.

ნაპოვნ ქალაქის ნაგლეჯს სათუთად და მზრუნველობით ვღებ საქალაქში და მერე სეიფში ვინახავ. შევამჩნიე, რომ ნერვიულობისაგან ხელები ოდნავ მიკანკალებს. თვალწინ კი ჩემი ამოწერილი სიტყვები მეღანდება: „არამზადაა... გავთანგოთ... ყველა შევიყრებით...“

ჩანს, რაღაც საშინელება უნდა მოხდეს და ამ საშინელ საქმეს ვიღაც უნდა ამზადებდეს.

## თ ა ვ ი II

### ყველა, ვინც ჩვენ გვჭირდებოდა, გაქრა

კარი სვეტკას დედამ, ანა მიხაილოვნამ, გამიღო. ისინი ორნი ცხოვრობენ. სვეტკას მამა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილა. სვეტკა მამის ჯერ კიდევ სულ პატარა ყოფილა. შემდეგ სვეტკას მამინაცვალი ჰყოლია. მაგრამ არცთუ დიდხანს უცხოვრიათ ერთ ჭერქვეშ. ანა მიხაილოვნას პირადი ცხოვრება კარგად ვერ წარმართულა. მართალია, იგი მშვენიერი ქალია, მაგრამ რას იზამ, ამქვეყნად ყველაფერი ხდება. სვეტკას დედა ერთ დიდ გამოცემლობაში მუშაობს რედაქტორად. როგორც ამბობენ, ძალზე გამოცდილი და საქმის მცოდნე მუშაკია. მრავალი გამორჩენილი მწერალი ითხოვდა და ითხოვს თურმე, რომ ანა მიხაილოვნა იყოს მათი წიგნების რედაქტორი. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ის ყველას უყვარს. არც შეიძლება, ანა მიხაილოვნა არ უყვარდეთ, იმდენად კეთილი და სიცოცხლის მოყვარული ადამიანია. ჯანმრთელობა კი შერყეული აქვს.

მამაჩემმა მრავალჯერ ურჩია, მისულიყო და დაწოლილიყო მათთან კლინიკაში. ანა მიხაილოვნა კი მუდამ თავს არიდებდა ამ რჩევას და სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. არ გამიგონია, რომ იგი რაიმეს ურიოდეს ან სამკურნალოდ წასულიყოს სადმე..

— აი, ვიტალიც მოვიდა! — წამოიძახა ანა მიხაილოვნამ. — აბა, სასწრაფოდ დაიბანე ხელები. კარგა ხანია ვახშმად გელოდებით.

მის ხმაში მშობლიური, დედაჩემისეული კილო გაისმა. ანა მიხაილოვნა და დედაჩემი ხომ სწრაფად დამეგობრდნენ და ერთმანეთისაგან ბევრი რამ გადაიღეს.

სვეტკა, რაღა თქმა უნდა, ტელეფონზე ჰკიდია. როგორც კი ჩემი მისვლა გაიგო, ყურმილში ჩასძახა:

— ზოენკა, გკოცნი! ვიტკა მოვიდა! ხვალ დაგირეკავ!

აბა, ერთ დღეში ლაპარაკის დამთავრება გაგონილა?!

მან სასწრაფოდ დააგდო ყურმილი და ჩემთან გამოვარდა...



ანა მიხაილოვნა ტაქტიკური მოსაზრებით გვტოვებს, სამზარეულოში გადის და იქიდან ყვირის:

— სვეტა, ვიტალის მოეშვი, მშიერია! გეყოფათ, გეყოფათ ამდენი კოცნა, მოასწრებთ! თითქოს საუკუნეა, ერთმანეთი არ გენახოთ!

ვანშმის დროს სვეტკა რაღაც იდუმალებით აღვსილი თვალებით შემომცქერის და შეშფოთებული მეუბნება:

— იცი რა, ალა იგორისაგან წასვლას აპირებს.

მე გავიღიმე.

— ასჯერ დააპირა წასვლა, მაგრამ იგორი იმის ჩიტი არაა, ასე ადვილად შეეღიოს.

— მოიცა, მოიცა, — თავის ქნევით მეუბნება სვეტკა. — ამჯერად ძალიან სერიოზულადაა საქმე. — სვეტამ შეისვენა და მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა: — წუხელ იგორის თურმე ვილაცის სუნამოს სუნი ასდიოდა, წარმოგიდგენია? ტურები კი ირგვლივ საეჭვოდ ჰქონდა შეღებილი.

— რა თქვი?.. — გავიკვირვე მე. — რა სუნამო, რის სუნამო?

— სისულელეა! — შეუვალად აცხადებს ანა მიხაილოვნა. — ალა რაღაცას მიედ-მოედება, ერვენება.

— რასაკვირველია, — მხარი ავუბი მეც. — ტურების შეღებვაც შეუთხზავს.

ერთი სული მაქვს გადავიხარხარო, მაგრამ თავს ვიკავებ.

სვეტამ შუბლზე ჯიუტად ჩამოყრილი თმა უკან გადაიყარა და ისე შეგვეპასუნა:

— დედა, როგორ არ გესმის? იგორს, აშკარაა, ვილაც ულოშნია და უპროშტნია. დამაცადოს, მაგას მე მოვუვლი!

— არც იფიქრო, — მრისხანედ გამოვუცხადე მე, — თორემ ის შენც გაკოცებს. ის ყველას ჰკოცნის. ისეთი გადარეული ცოლი რომ გეყოლება, მას რომ ჰყავს, ელექტრონის ბოძებსაც დაჰკოცნი, ქალებს კი არა.

— დედა, გაიგონე, რაცა თქვა?

— დიახ, მართალს ამბობს, — დაადასტურა ანა მიხაილოვნამ და ხელი ჩაიქნია. — შენ კი გულუბრყვილო და მიამიტი ნუ ხარ, თორემ მე და ვიტალი გუდა-ნაბადს ავიკრავთ, მარტო მიგატოვებთ და ის იქნება!

ვანშამიც დავამთავრეთ. მე დინჯად მოვუკიდე სიგარეტს, მოვქაჩე და ქალებს ვუთხარი:

— მოდით, საქმეს შევუდგეთ.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ უკვე მერამდენეჯერ უნდა განგვეხილა, სად მოგვეწყო ქორწილი, ვინ დაგვეპატიჟნა, რა მიგვერთმია და მრავალსხვა გადაუწყვეტელ საკითხებზე გვემუსაიფა.

— არა, არ მინდა! — კისკისებს სვეტკა. — მეორე დედის გარეშე არაფერი გამოვა. თქვენ ყველაფერზე ზერელედ და არასერიოზულად მსჯელობთ!

ანა მიხაილოვნა აიმრისა. საერთოდ ძალიან ადვილად ეწყინება ხოლმე რაიმე და ასევე უეცრად ავიწყდება წყენა.

გვიანობამდე ვისხედით. წამოსვლა არ მინდოდა. ვატყობდი, სვეტკასაც უნდოდა ჩემი იქ ყოფნა. ეს ნამდვილად არ მომჩვენებია.

მეორე დღით სამსახურში, გაგიხარია, ისეთი გუნება-განწყობილებით გამოვცხადდი. თუმცა ყველა ღონეს ვხმარობ, არაფერი შევიმჩინო.



იგორი თავის მაგიდას მისჯდომია და რალაც ქალაღდს ჩაჰკირკიტებს. დაღონებული ჩანს. ძღივს მესალმება, თითქოს მისი უსიამოვნების მიზეზი მე ვიყო.

ოთახში ვაღია დენისოვი შემოვიღა. როგორც ყოველთვის, თავაზიანად, მშვიღად მოგვესალმა, მერე კი ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი ცხრიღი გაღმომცა. შევამჩნიე, გუშინ რომ ცხრიღში ცარიელი ადგიღები იყო, თითქმის შეუვსია. ცხრიღის კარგად გადახედვა ვერ მოვასწარი, რომ ჩემს მაგიღაზე ტელეფონი აწკრიაღდა.

— სთხოვეთ ამხანაგ ლოსევს! — გაისმა ქაღის უცნობი ხმა.

— გისმენთ.

— ეკატერინა ოსიპოვნა გახღავართ, სართუღის მორიგე, სასტუმროღან... თქვენ გუშინ ჩვენთან იყავით... სასტუმროში...

— დიახ! დიახ! გისმენთ, ეკატერინა ოსიპოვნა. გამარჯობათ!

— წერიღი მოგვივიღა... აი იმის სახელზე... რომელიც გაემგზავრა... ჩვენ საერთოღ ვაღდებუღები ვართ, უკანვე გავაგზავნოთ... მაგრამ მე თქვენ დაგირეკეთ... თქვენ ხომ გაინტერესებღათ... — არეულ-ღარეულად ლაპარაკობს ეკატერინა ოსიპოვნა.

— ძაღიან სწორად მოიქეცით, — ვუბასუხე მე. — პროკურორის ნებართვას ავიღებ და წერიღს მე გამოგართმევთ. არსად არ გადააგზავნოთ.

იმეღის სხივით მოსიღმა ვაღიას გადავხედე.

მაშ ასე, სამუშაო დღე დაიწყო, ჩვენი ჩვეუღებრივი სამუშაო დღე.

ვაღია პროკურორთან წავიღა ნებართვის ასაღებაღ, შემდეგ კი სასტუმროში შეივღის წერიღისათვის. ამის გარღა მას განსაკუთრებული პაკეტი მიაქვს ჩვენს სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფიღებაში. იქ ბართის ანაბეჭღდს ამოიკითხავენ და მთღიან ტექსტს აღადგენენ. მე კი ჩვენს გამომღძიებღელს საშა გრაჩოვს ვურეკავ, ვინც მუშანსკის საქმეს იძიებს.

ვაღია საათნახეღარში დაბრუნღა. მას ფეხდაფეხ შემოჰყვა ფეხბურთის მწვრთნელი ვიქტორ სბოკი. როგორც ყოველთვის, ვიქტორს ეღეგანტურად აცვია, წულში გამართულა. იგი ოღღნავ აგზნებული მოჩანს.

ამ დროისათვის მე უკვე მოვასწარი ვაღია დენისოვის ცხრიღში ახაღი ჩანაწერების გადათვაღიერება. რას არ ნახავს ამ ცხრიღში კაცი. აქ გახღავთ: ნიკოლოვთან ტელეფონით მოსაუბრეების გვარები, მისამართები, პროფესია, სამუშაო ადგიღი. მხოლოდ და მხოლოდ ერთი აბონენტი ვინაობა არაა დაღგენიღი. ამ აბონენტს ჩემთვის უცნობ ქაღაქ პუნეღში უცხოვრია. ოთხი აღამიანის ვინაობა ვაღიას ზუსტად დაუღგენია და ძაღიან დიდ ინტერესსაც იწვევს.

ჯერ საშა გრაჩოვს ვურეკავ, შემდეგ კი ვიქტორს ვუტარებ ინსტრუქტაჟს. მუშანსკის ამოცნობა ოფიციაღურად მიმღინარეობს, ფორმაღურ მხარეს მთღიანად ვიცავთ.

ერთ ოთახში, კეღღის გასწვრივ, ოთხ კაცს ვამწკრივებთ. მათ შორისაა მუშანსკიც. ოთხივენი თითქმის ერთი წლოვანებისა, სიმაღღისა და აგეზუღებისა არიან, სწორედ ისეთები, როგორიც მუშანსკია. არც ერთს არა აქვს წვერ-ულვაში, შავთმიანები და უსათვალონი გახღავან.

აქვე იმყოფება ორი დამსწრე — სრულღად შემთხვევით შემოსულნი



ჩვენს განყოფილებაში. ჩვენს ბიჭებს უთხოვნიათ მათთვის პატარა ხნით დაყოვნება და ისინიც დარჩენილან.

მუშანსკი შექმნილი სიტუაციით შეწუხებულსა ჰგავს, თუმცა ცდილობს არაფერი შეიმჩნიოს. დაძაბულია, ოდნავ მოღუშული.

როდესაც ყველაფერი მზად იყო, ოთახში ვიქტორი შევიყვანეთ.

— შეგიძლიათ ამოიცნოთ ამ ოთხ მამაკაცში ის, ვისაც სასტუმროს დერეფანში შეეჯახეთ? — ეკითხება საშა გრაჩოვი.

ვიქტორი დაძაბულად აკვირდება კედელთან ატუზულთ. მოთმინება აღარა მყოფნის, მაგრამ, რასაკვირველია, არაფერს ვიმჩნევ. ვიქტორი ისე ნელ-ნელა ირჯება, ნამდვილად ცდილობს ჩემს ნერვებზე ითამაშოს. ამ კაცი კაცმა უცებ ის მაინც ამოღერღოს, რომ ვერ იცნო და დაამთავროს.

წუთით დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. საერთო ყურადღებით დამტკბარმა ვიქტორმა ჩაიციინა და ისე თქვა:

— აი, ეს მოქალაქე იყო, ვიცანი, — ხელი მუშანსკის დაადო.

მუშანსკიმ გულგრილად აიჩეჩა მხრები:

— უფრო სწრაფად შეგეძლოთ მაგისი განცხადება, — თქვა მან. — მე, მაგალითად, იმწამსვე ვიცანით.

ამოცნობის ამბავი დამთავრდა. მე საშა გრაჩოვს ვუთხარი, ამ შემთხვევის გამო მუშანსკიც დაეკითხა, მაგრამ მუშანსკიმ სრულიად მოულოდნელად განაცხადა:

— პროტესტს ვაცხადებ, დავილაღე, თანაც სადილობის დროა.

მე მშვენივრად მესმის, რისთვის გვტკიცა ცივი უარი. სადილობა და დაღლილობა მოიმიზღვრა, უნდა კარგად გააანალიზოს, მოიფიქროს, ასწონდასწონოს, გაიგოს, რას უქადის შექმნილი სიტუაცია. ამ ამბავს, ცხადია, მისთვის მნიშვნელობა აქვს.

რას იზამ, უნდა მოიფიქროს.

მე და ვალია ჩვენს ოთახში ვბრუნდებით. ვიდრე სასტუმროდან მოტანილ წერილს გავხსნიდით და წავიკითხავდით, ვალიას ვეკითხები:

— ახალი ხომ არაფერი შეგიტყვია?

— სასტუმროში ისევ მისულა ის კაცი, ეკატერინა ოსიპოვნამ რომ გულის წვეთები დააღვინა, ხომ გახსოვს?

— რასაკვირველია. რაო მერე?

— ეკატერინა ოსიპოვნამ წერილზე ჩამოუგდო თურმე სიტყვა. იმ კაცს უთქვამს, მომეცი წერილი და მე გადავუგზავნიო. ეკატერინა ოსიპოვნას ამაზე უცნობისათვის ცივი უარი უტკეცია. მაშინ იმ კაცს ეკატერინა ოსიპოვნასთვის ასი მანეთი შეუთავაზებია... — ამას რომ ყვებოდა ვალია, წამიერად აღელდა კიდევ.

კონვერტი ამოვიღე. ბარათის გამომგზავნის მისამართი არ აწერია. საფოსტო შტამბიც განზრახ გაუგებრადაა წაჩხაპნილი. გამადიდებელი შუშა მოვიშველიეთ. ძალზე გაგვიჭირდა ამოკითხვა, მაგრამ როგორც იქნა, ჩვენი გავიტანეთ. ეს რაღაც ახალი ამბავია.

— ოო...

ჩვეულებრივი სიფრთხილით ვხსნი კონვერტს. წერილი მოკლე და გაუგებარი აღმოჩნდა: „სალამი! ძალიან კარგი ჰქენი, რომ შემატყობინე, სად გაჩერდი და როგორ. ვფიქრობ, ჩემმა წერილმა უნდა მოგისწროს! ძალიან



საჭირო კი ხარ. დეიდას ჯანმრთელობა საფრთხეშია. არ ვიცი, რა მოვიმოქმედო. ბიძია პეტია“.

— ვიცნობთ ჩვენ ამ დეიდებს! — ღვარძლიანად შენიშნა ვალიამ.

— საქმეც ისაა, რომ არ ვიცნობთ, — შევეპასუხე მე. — ისინი ხომ საერთოდ, როგორც წესი, ბუნებაში სრულიად არ არსებობენ.

— ჭეშმარიტად მართალი ხარ, — დამეთანხმა ვალია. — იმ ქალაქშიც უნდა გავიკითხ-გამოვიკითხოთ ამბავი.

— ალბათ სწორედ მაგრე მოგვიწევს.

ეს ქალაქი ჩემში რატომღაც თავიდანვე ეჭვს იწვევს. საერთოდ ნიკოლოვის ძებნა სულ უფრო და უფრო მალიზიანებს. ნეტავ რა ჯანდაბად გვინდა ეს კაცი? მას ხომ დანაშაული არ ჩაუდენია. მე და ვალია კი საქმეებს ისედაც ვერ ავუდივართ. თან იმასაც ვგრძნობ, ვიდრე იმ ეჭვმიტანილ კაცს არ ვიპოვი, ვერ მოვისვენებ. ყოველი ფაქტის მიღმა, რაც ჩემთვის ცნობილია, რაღაც საიდუმლოება გამოსჭვავის, რაღაც ძალზე უცნაური, აუხსნელი და გაუგებარი. ფაქტები კი თითქმის თვითონვე მივარდება ხელში. თუმცა არც ერთი მათგანი ჯერჯერობით არაფერს მშველის, მთავარ ძაფს ვერ ვპოულობ, ნიკოლოვამდე რომ მიმიყვანს. ძალიან მოძრავი და აქტიური კაცი უნდა იყოს. ვიდრე იმ ოხერს ვიპოვით, ჩვენ ჩვენი დაგვემართება. ალბათ ეს ამბავი უამრავ დროსა და ენერგიას შეიწირავს. იქნებ აჯობოს, ასევე მოვახსენო კუზმიჩს?

პირველ ყოვლისა ხომ ის საქმე უნდა მივიყვანოთ ბოლომდე, რაც დავიწყეთ. ერთი საათის შემდეგ მუშანსკის დავკითხავთ. ყველაფერს რომ თავი მივანებოთ, ეს ამბავი ძალზე საინტერესოა. ნეტავ რა მოიფიქრა, რა გადაწყვიტა გვითხრას და რა დაგვიმალოს. ჯერჯერობით კი ისევ ქალაქებს უნდა მივუბრუნდეთ, იქნებ ამოვხსნათ რაიმე. ვალიას ვარაუდით ნიკოლოვი სწორედ იმ მეუქვსე ქალაქში გაემგზავრა ბიძია პეტიასთან, ვინც არ იცის, უიშისოდ რა მოიმოქმედოს. ეს ვერსია მე საეჭვოდ მიმაჩნია. წერილმა ხომ ნიკოლოვს ვერ მოუსწრო. თანაც სამი დღის წინ არის გამოგზავნილი. მაშასადამე, მისი ჩასვლაც მხოლოდ მაშინ გახდა აუცილებელი, „დეიდაც“ ხომ მაშინ გაუხდათ ავადა და შავად.

ვალიას შედგენილი ცხრილი ერთხელ კიდევ ყურადღებით გადავიკითხე. მაინტერესებს, რომელ ქალაქებს უკავშირდებოდა ტელეფონით ნიკოლოვი. ოდესაში — ვინმე გალინა ოსტაპოვნა კონიერგასთან, საკომისიო მალაზიის გამყიდველთან ულაპარაკნია; როსტოვში — ლეონიდ ვასილევინ პალატოვთან, ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგესთან; ლენინგრადში — ორესტ ანტონოვიჩ სოკოლსკისთან, ერთ-ერთ სამრეწველო ვაჭრობის დირექტორთან; სარატოვში — ოლეგ ივანოვიჩ კლიაჩკოსთან, ქალაქის პოლიკლინიკის ექიმთან; პატარა და უცნობ ქალაქ პუნევთან კი სასწრაფო და ძალზე მოკლე საუბარი გარკვეული არ არის, ვისთან ჰქონია. საქალაქთაშორისო სადგურში ეს ამბავი რატომღაც ჩაწერილი არაა. იქ მომუშავე ქალებმა ვალიას ვერ აუხსნეს, როგორ მოხდა, რომ არ აღუნიშნავთ, ვისთან ილაპარაკა ნიკოლოვმა. „ხდება ხოლმე“, — თქვეს მათ. შეიძლება სწორედ ასეც იყო, ათასობით საუბრის მოწმენი არიან და, ვინ იცის, რანაირად და როგორ გამოჩნათ.

მე და ვალია ისევ და ისევ იმ პიროვნებების სიას ჩაგვირკიტებთ, ვის-



თანაც ნიკოლოვს ულაპარაკნია. ამ სიაში მოხვედრილთაგან ერთის გვარი ამეკვიცა და მოსვენება დამიკარგა. სად შემხვედრია? როდის, რა გარემოებაში? ვერა და ვერ ვიხსენებ. ეს ამბავი ძალიან მალიზიანებს. მახსოვს, ერთხელ დედაჩემის გაზრდილი კაკტუსის უჩინარი ეკალი თითში შემერჭო და თავს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მახსენებდა, როდესაც თითს შევახებდი რაიმეს. ეს მოგონებაც ისეთი გამოდგა. ტელეფონის ზარი გაისმა. საშა გრაჩოვია.

— შემოდი, — მოკლედ მეუბნება იგი.

წელში მოხრილი მუშანსკი საშა გრაჩოვის მაგიდას უზის, ხელები მუხლებშორის მოუქცევია და იატაკს გულმოდგინედ ჩაჰყურებს. მსხვილი, შავი წარბები შეერთებული აქვს. გაუპარსავი ღაწვისთავეები კოპებივით მოუჩანს. გრაჩოვი რალაცას წერს.

ჩემს დანახვაზე ორივემ ასწია თავი.

— დაჰკითხეთ პატიმარი, — ოფიციალური კილოთი მომმართა საშამ და მაგიდიდან წამოდგა.

მის ადგილზე ვჯდები და დაკითხვის ბლანკის პირველ სვეტებს სწრაფად ვავსებ. „უფროსი გამომძიებლის დავალებით... — ვწერ მე. — ...დაკითხვას ახდენს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი ვ. პ. ლოსევი“.

შემდეგ მუშანსკის მივმართავ:

— როგორ გარემოებაში შეხვდით თქვენ მოქალაქე სბოკს?

— უფრო დრამატიული გარემოების წარმოდგენა შეუძლებელია, — ჩაიცინა მუშანსკიმ. — სწორედ იმ წუთს სხვის ნომერში შესასვლელად ვემზადებოდი, რათა გამეჭურდა.

რამდენიმე ხანს ჩუმად ვისხედით.

შემდეგ მუშანსკიმ მშვიდად და სერიოზულად წამოიწყო ლაპარაკი, ოღონდ ეგ იყო, ხელები ისევ მუხლებშუა ჰქონდა მოქცეული და კვლავ იატაკს ჩასცქეროდა.

— კეთილი. მე თქვენ ერთ ამბავში გამოგიტყდებით. ხედავს ღმერთი, მე არ მინდოდა იმ ადამიანის ჩაგდება. ხოლო თქვენ, — მან სწრაფი და დამცინავი მზერა მომაპყრო, — უკვე გაკვალეთ მისკენ ბილიკი და, რასაკვირველია, აღარც მოეშვებით. ხომ ასეა?

მხრები ავიჩეჩე.

— ძალზე მრავალმნიშვნელოვანი შესავალია, — ვეუბნები მე, — და არ მესმის, ვინ გყავთ მხედველობაში.

— თქვენ საერთოდ არაფერი არ გესმით. სხვაგვარად... — მუშანსკიმ ჩაიცინა, — არც დაიწყებდით ამაზე საუბარს. მაშ ბილიკი როგორ მონახეთ. მე მშვენივრად ვიცი და ვხვდები, რა კითხვასაც დამისვამთ ახლა. შესანიშნავად მახსოვს ის შეხვედრა სასტუმროში, თანაც ჩვენი შეხვედრის ყოველი წვრილმანიც კი მახსოვს, მახსოვს ყოველი სიტყვა, რაც იმ ახალგაზრდას ვუთხარი. თქვენ ახლა იმას შემეკითხებით, — ის ცდილობს მზერა გამისწოროს და თვალეში შემომყურებს, — საიდან ვიცი იმ ადამიანის სახელი, „ლუქსში“ რომ ცხოვრობდა. ხომ ასეა?

— დიახ, ასე, — თავი დავუქნიე მე.

— აი, ხომ ხედავთ? — თვითკმაყოფილებით აღსავსე მუშანსკი ილი-



მება. — ბოდიში მომიხდია და არც ისეთი სულელი გახლავართ. დიახ, მისი სახელი ჩემთვის ცნობილი იყო. და არა მარტო სახელი. მე იმედი მქონდა, რომ იმ „ლუქსში“ უფრო ძვირფას ნადავლს მოვიპოვებდი, ვიდრე ის ორი კოფთა იყო. დამიჯერეთ, რომ ასე ვიმედოვნებდი.

მე ხმაგაკმენდილი ვუსმენდი. ჯერ კიდევ არა მჯეროდა წარმატება! და მერე როგორი განსაცვიფრებელი წარმატება!

— ჩემს საკბილოს ვიპოვიდი კიდევ. — განაგრძობდა მუშანსკი, — ნომერში ის დამლაგებელი ქალი რომ არ შემოხეტებულიყო. მისი ხელის ხლება არ მინდოდა. თვითონაც არ მესმის, მაშინ რა მომივიდა. შეგიძლიათ არ დამიჯეროთ — ეს თქვენი საქმეა. ყველაფერი კი სწორედ ისე მოხდა, როგორც გეუბნებით. გონება ამერია, თითქოს რაღაც ჩამწყდა შიგნით, ავიმღვერი...

მე არ ვუშლი ლაპარაკს. დაე, ბოლომდე თქვას, რის თქმასაც აპირებს, დაე, ყველაფერი ამოღერდოს.

— მაშ ასე, — განაგრძობს მან. — გეტყვით იმას, რაც ჯერ არავისთვის გამომხელია, — თქვა ეს და დამცინავად გადახედა საშა გრაჩოვს. — ამ საქმეში მე დამხმარე და ხელის შემწყობიც მყავდა. თანაც, უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან ძვირფასი ვინმე, — უცებ ლაპარაკი შეწყვიტა და გაკვირვებულმა იკითხა: — რატომ არ იწერთ?

— ჩავიწერთ, — ვუპასუხე მე.

— სხვა რა გზა გაქვთ, — რაღაც უცნაური ხმით წარმოთქვა მუშანსკიმ. — თუმცა არცთუ ისე გაგეხარდებათ ამის ჩაწერა, რადგან ჩემი დამხმარე ვარია გლოტოვა ბრძანდებოდა.

მუშანსკი დაჟინებით შემომცქერის.

თავს ვიკავებ და გარეგნულად არას ვიმჩნევ.

— გლოტოვამ მაცნობა, — წყნარად განაგრძობს მუშანსკი, — სად გაჩერდა ეს ივან ხარიტონოვიჩი, ფული რომ ჩერქივით ჰქონდა, ისიც გამანდო და თანაც მირჩია... მომენახულებიანა.

— კიდევ რა იცით ამ ივან ხარიტონოვიჩზე?

მუშანსკი აგდებულად და დამცინავად მპასუხობს:

— პარდონ, მე განზრახული არა მაქვს, თქვენ რაიმეში დაგეხმაროთ. ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ, არ გაგიგონიათ? თქვენ ხომ ამის გულისათვის ჯამაგირს გაძლევენ. იქნებ გინდათ, მეც გადამიხადოთ რაიმე? მაშინ მე მზადა ვარ. რამდენს მომცემთ? თქვენდამი ჩემი სიმპატიისა და სიყვარულის გამო ფასს დაგიკლებთ.

დიახ, მას შეუძლია ასე ილაპარაკოს. მე კი ვერ მივცემ ჩემს თავს ამის უფლებას. არც შემიძლია და არც უფლება მაქვს მას ჯიბრით ვუპასუხო!

სამუდამოდ დამამახსოვრდა ის ამბავი, მილიციაში მუშაობის დაწყების პირველსავე თვეს რომ შემემთხვა. ბანდიტი დავიჭირეთ, ბნელ სადარბაზოში დანით შეიარაღებული ქალს რომ გასაძარცვავად დაესხა. ჩვენ ჯერ კიდევ გაცეცხლებულები ვიყავით, როცა იმ ბინძური ცხოველის დაკითხვას შევუდექით. უცებ მან შიგ სახეში მომაფურთხა. ზიზღმა და სიძულვილმა იმდენად დამაბრმავა, რომ თავი ვერ შევიკავე, გავუშალე და ვლეწე. შემდეგ პირსაბანისაკენ გავიქეცი. ხელები მიკანკალებდა და გული მერეოდა. მეორე დილას კუზმიჩმა მიხმო და სიტყვასიტყვით ასე მითხრა: „შენ,



ყმაწვილო, ჩვენ არ გამოგვადგები, ნერვიული ბრძანებულხარ! რაც მთავარია, არც შენს თავს სცემ პატივს და არც ჩვენ. ვის გაუყადრე თავი? სადამდე დაეშვი? იმას ის დალურჯებული ადგილი ორდენივით გამოსაჩენადა და საჩვენებლად ექნება: „აი, ესეც თქვენი მილიცია!“ თავის მოჭრაა და მეტი არაფერი. მე იმაზე უკვე არას ვამბობ, რომ ის ახლა კრინტსაც აღარ დასძრავს. ჩვენ კი მისი დახმარებით მთელი ჯგუფი უნდა აღმოგვეჩინა. ერთი სიტყვით, დიდ მადლობას გიხდი. კადრების განყოფილებაში მიბრძანდი. არ გამოგვადგები“. დიას, დაახლოებით ასე მესაუბრა მაშინ კუზმიჩი და დააყოლა: „ხელის აღმართვა და ხელის გამოღება იმ ადამიანზე, შენს ხელში რომ იმყოფება, მხოლოდ ლაჩარს, არამზადას და სულელს შეუძლია. დაიმახსოვრე ეს ამბავი და შეგიძლია წახვიდე კიდეც“. ის, რაც მეორე დღეს მოხდა, ახლაც კი მერცხვინება გავიხსენო. როგორ ვემუდარებოდი კუზმიჩს, როგორ სთხოვდნენ ბიჭები ჩემი გულისათვის!..

აი, პირველსავე თვეს რა შემემთხვა. ამიტომაც მუშანსკის ვერ ვპასუხობ, ის კი აბურად გვიგდებას.

საერთოდ მე არ მცალია. უამრავი საქმე მაქვს. ამიტომაც ვამთავრებ დაკითხვას. მუშანსკი საინტერესოს აღარაფერს იტყვის. ვფიქრობ, მან თვითონაც აღარაფერი იცის. თუმცა კი, რაც თქვა, საყურადღებოა. რაც მთავარია — ვარვარას ამბავი!

\* \* \*

ყველაზე მთავარი კი სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტიზის დასკვნა აღმოჩნდა. ბარათის ტექსტი მთლიანად იქნა აღდგენილი. ის ასე იკითხება, თუ გამოვყოფთ ჩემ მიერ გამოცნობილ ადგილებს: „მოდო, საჭიროა მოვითათბიროთ. ეს არამზადა უნდა გავთანგოთ, როგორც კი ყველა შევიყრებით“.

სალამოს თათბირზე ეს ყველაფერი კუზმიჩს მოვახსენე.

— მაშ ასე... — თქვა შეფიქრიანებულმა კუზმიჩმა, მოხსენება რომ დავამთავრე. — მაშ ასე... ნამდვილად საინტერესო ამბებია. როგორ შემოტრიალდა ეს ყველაფერი და მაინც ბნელითაა მოცული...

— ფედორ კუზმიჩ, — ვედარ მოვითმინე მე, — ნება დამრთეთ ვარვარას შევხვდე.

— შეგიძლიათ, — დამეთანხმა კუზმიჩი, — და ეს საჭიროც არის. ხოლო ეს ქალაქები... აბა, გაიმეორე ერთი, ვისთან ულაპარაკნია.

კუზმიჩს მოსვენებას არ აძლევს ეს ქალაქები. რატომღაც მისი ეჭვი და მდელვარება მეც გადმომედო.

მე ვაღიას ცხრილის კითხვას ვამთავრებ, კუზმიჩი რამდენიმე ხანს დუმს, შემდეგ კი ჩაფიქრებული ამბობს:

— დიას, ვარვარასთან შეხვედრა აუცილებელია. შენ კი, — მიუბრუნდა იგი ვაღიას, — გეთაყვა, იქნებ გამოარკვიო, ეს რა ხალხია იმ ქალაქებში. შესაძლოა ჩვენი იქაური ამხანაგები იცნობენ კიდეც მათ. ჩანს, თვითეთლთან ცალ-ცალკე მოგვიწევს ნიკოლოვზე საუბარი. რაღა თქმა უნდა, ეს საუბარი ფრთხილი და შემპარავი უნდა იყოს.

— კი, მაგრამ ვინ ისაუბრებს მათთან? — ეჭვით აღვსილი ვეკითხები მე.



— თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენც ჩავალთ, — მპასუხობს კუზმიჩი. — ვნახოთ, საქმე როგორ წარიმართება. ამ სიბნელეში კი რაღაც ნათელი წერტილი უნდა გამოჩნდეს.

გამოჩნდა კიდეც!

მეორე დღესვე.

სამ საათზე მე და იგორი უეცრად კუზმიჩმა დაგვიბარა. მასთან ვალია დენისოვი დაგვიხვდა...

— აბა გაიმეორე, — უბრძანა ვალიას კუზმიჩმა.

— ცხელ-ცხელი ამბავია, — ამბობს ვალია. — ცხრილში აღნიშნული ყველა ადამიანი სადღაც გაქრა.

ამას წინ უსწრებდა იმ დილით მომხდარი კიდეც ერთი ამბავი.

თ ა ვ ი III

ახალი ფაქტები

იმ დღეს სამსახურში ცოტა მოგვიანებით მივედი. ჯერ ვარვარასთან ვიყავი ბინაზე. ვარვარას დილის ცვლაში ემუშავნა და ჩემი ვიზიტი საღამოსათვის გადაიდო.

დერეფანში პეტია შუხმინს შევეჩრეხე. ჩემი აზრით, ის რაღაცით აღელვებული და შემცბარია.

— მისმინე, — მეუბნება. — გესმის, აქ ასეთი რამ მოხდა... — და ძალზე არასასიამოვნო ამბავს მიყვება.

დილით მორიგესთან ერთი კაცი მოსულიყო და შიშისაგან თავზარდაცემულს ეთქვა, ჩემს ქალიშვილს სიკვდილით ემუქრებიანო. არეულად და გაუგებრად ლაპარაკობდა თურმე, რის გამო მორიგეს მისი ნალაპარაკევიდან ვერაფერი გაერკვია. ამ დროისათვის პეტიაც მოსულა, მორიგეს მხსნელად მოვლენია და იმ მოქალაქის საჩივრისათვის მორიგის თხოვნით მას მოუსმენია. პეტიას უთხოვია და მოქალაქეს თავიდან გაუმეორებია თავისი მონათხრობი ამბავი.

— აბა, ერთ წამს იფიქრეთ! ეშმაკმა უწყის, ეს რას უნდა ნიშნავდეს! ჩემს ნადიუშას ურეკავენ და ემუქრებიან. ერთხელ, მეორედ, მესამედ...

— კი, მაგრამ პირველად როდის დაურეკეს? — უკითხავს პეტიას.

— პირველად? მე ჯერ შინაც არ ვიყავი მისული.

— საიდან?

— როგორ თუ საიდან? — მოქალაქეს გამომცდელად შეუხედავს პეტიასთვის. — ღმერთო ჩემო, ამას რა მნიშვნელობა აქვს? დავუშვათ სამსახურიდან.

— „დავუშვათ“ კი არა, ზუსტად უნდა თქვათ.

მომსვლელს პეტიას გულში უცბად შთაუნერგავს შინაგანი უნდობლობა, მისი დანახვა პეტიას არ ესიამოვნა. მჩხავანას, ანჩხლსა და ამასთან ბინძურს პეტიასთვის მალე შეუბუზრებია თავი. ასე გასინჯეთ, თვითონ პეტიასაც თვალში არ მოსვლია თურმე მისი გარეგნობა, თუმცა არც თვითონ პეტია გამოირჩევა დიდი სიკონტაავით. ამასთან ერთად მომჩივანი უაზროდ



მოლაპარაკე, დობლიანი და გაუპარსავი ყოფილა. ლაპარაკისას კი თურმე მსუქანი ლოყები ერთიანად უცახცახებდა.

— არა ვარ ვალდებული, თქვენ ეს მოგახსენოთ! — დაუკვივლია მას. — რა შუაშია, საიდან მივედი?! ჩემს ქალიშვილს სიკვდილით ემუქრებიან, გასაგებია?! სიკვდილით! ჩემს ქალიშვილს ემუქრებიან, გასაგებია?! აი, რაზე უნდა ვილაპარაკოთ! და არა...

— თქვენზე უკეთ ვიცი, როგორ მოვიქცე, — მკაცრად შეუწყვეტინებია პეტიას. — თუ ღმერთი გწამთ, ტყუილად ნუ ირჯებით და ნუ მასწავლით. მაშ ასე, საიდან მიხვედით შინ იმ დღეს?

იმ კაცის კილო, მისი უსაშველო ჯიუტობა და წივილ-კივილი პეტიას არ მოსწონებია. მაგრამ ეს არ აძლევდა მას უფლებას, ასე ელაპარაკნა მომჩივანთან.

— მე გიმეორებთ, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! — თითქმის წამოუყვირია გაჭარხლებულ მამაკაცს. — თქვენ აბურხად მიგდებთ თუ რა?!

პეტია პირველი მოსულა გონს და წყნარად უთქვამს:

— კეთილი. გავცხარდი და ზედმეტი მომივიდა, ბოდიშს გიხდით. მოდით, ყველაფერი წყნარად გავარჩიოთ და ავწონ-დავწონოთ.

— ბოდიში არ გიშველით, თქვენ დასჯის ღირსი ბრძანდებით ამისთანა საქციელისათვის, — მრისხანედ უთქვამს მომჩივანს. — დიახ, მთელი სიმკაცრით ხართ დასასჯელი. მე ეხლა თქვენს უფროსთან წავალ და გირივლებთ.

— ბოლოს და ბოლოს, იქნებ თქვენც დაწყნარდეთ, ჰა?

— არა, ვერ დავწყნარდები! ვინ არის თქვენი უფროსი?

— მაიორი ცვეტკოვი.

— აი, სწორედ იმასთან წავალ ახლა. ამ საქმეს ასე არ დავტოვებ. დაბნეულ პეტიას თვალი გაუყოლებია საჩივლელად გაქცეულისათვის და მორიგესაკენ წაჩინჩალებულა, გზაზე კი მე შევეჩინებ.

— სად არის ეხლა ის მოქალაქე? — ვკითხე მე პეტიას.

— ზის და კუზმიჩის ელოდება, — მიპასუხა დაბნეულმა პეტიამ. — თუ კუზმიჩთან მიჩივლა, წარმოგიდგენია, რა მოჰყვება ამას. ეგება შენ მოელაპარაკო?

— ხოო, — ამოვიოხრე. — უკვანტოდ მოსაგვარებელი საქმე საკვანტავი გახადე. ნეტავი გამაგებინა, რა ბზიკმა გიკბინა?

— თვითონაც არ ვიცი, რა დამეტაკა. მისი გარეგნობა საოცარ ზიზღსა მგვრიდა. — პეტიამ ბოროტად მოჭუტა თვალები და მერე შეცბუნებულმა თხონით მომმართა: — დამიხსენი როგორმე გასაჭირიდან. ღმერთმა დაიფაროს, რომ კუზმიჩთან მივიდე.

მე ვყოყმანობ, ვორჭოფობ და ვერ გადამიწყვეტია, რა ვქნა. ერთი მხრივ, პეტია მართლაც დაუშვებლად მოიქცა და, თუ სამართალია, გაჯორვის, შეხურებისა და დატუქსვის ღირსია. მეორე მხრივ კი იგი ისეთი თანამშრომელი გახლავთ, ვისაც ამდაგვარი რამ არასოდეს დამართნია. ბოლოს და ბოლოს ამას, თუ საჭიროდ მიიჩნია, კუზმიჩიც კი გაითვალისწინებს. მთავარი მაინც ისაა, რომ იმ მოქალაქეს აურზაურისათვის დიდი ვერაფერი საბაბი და მიზეზი გააჩნია. მართლა და მართლა, რატომ უნდა



დაემალა, საიდან დაბრუნდა იმ დღეს! რა გასაჯიუტებელი და დასამალი ამბავი ეგ იყო.

— კეთილი, — ვეუბნები პეტიას. — ეშმაკმა წაიღოს შენი თავი და ტანი, კარგი ვინმე შენ იყო. ვცდი, თუ გამოვიდა რამე.

პეტიამ პასუხის ნაცვლად დარდიანად ჩაიქნია ხელი და თავის ოთახისაკენ გასწია. მე კი მეორე სართულზე ავედი და დერეფნის ბოლოსაკენ გავეშურე. იქ სკამზე გართხმული, გვერდზე პალსტუხმოქცეული მსუქანი მამაკაცი დავინახე. იგი ოფლად იღვრებოდა, პალტო და პიჯაკი შეეხსნა, უზარმაზარი ღიბი წინ გადმოეგდო და პერანგი ღიბზე რეზინივით შემოტმასნოდა. დაჟღაჟა, წითელი, ლობიოს პარკებივით ჩამოკიდებული ლოყები ჯაგარივით შეჭალარავებული წვერით ჰქონდა დაფარული, მათ შორის სრულიად თეთრი, პატარა ცხვირი მოჰქცეოდა. ოქროს თხელჩარჩოიან სათვალის სქელი შუშების მიღმა შეშფოთებული, ბუსავით უზარმაზარი ჭროლა თვალები მოუჩანდა. ჩემს დანახვაზე მამაკაცი წამოხტა. ფართო, მოკლე შარვალი რალაც სასაცილოდ ჩაფართხუნებული ჰქონდა. ამ ჩაფართხუნებულმა შარვალმა წუთიერად რალაც მოგონება ამოატივტივა ჩემს გონებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოგონება ნისლივით სწრაფად გაჰქრა.

— ეს თქვენა ხართ უფროსი? — გაცხარებით წამოიყვირა მოქალაქემ. იგი გაცეცხლებული და დაბნეული შემომყურებდა. ეს გაძეძებული, სულიერად აწეწილი კაცი ნამდვილად სასაცილო და არასასიამოვნო შესახედაობისა იყო.

— არა, მე არა ვარ უფროსი, მაგრამ მორიგემ მითხრა, რომ თქვენ ძალზე სერიოზულ საქმეზე ხართ მოსული. იქნებ, ვიდრე მაიორი ცვეტკოვი მოვიდოდეს, მე მითხრათ სათქმელი. მე სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი ლოსევი გახლავართ.

ჩემმა ტიტულმა და კეთილგანწყობილებამ, მშვიდმა კილომ, ეტყობა, შთაბეჭდილება მოახდინა და მოქალაქემ თუმცა ნერვიულად, მაგრამ უკვე ერთგვარი ნდობით წამოიძახა:

— დიახ, დიახ, დიახ! მე თქვენ ახლავე ყველაფერს გიამბობთ.

— მაშინ ჩემთან წამობრძანდით.

ოთახში შესვლისას სკამი შევთავაზე და თავაზიანად ვუთხარი:

— უპირველეს ყოვლისა გავიცნოთ ერთმანეთი. ვისთან მაქვს პატივი ვილაპარაკო? — მან სწრაფად წაიღო ჯიბისკენ ხელი, მაგრამ მე დავასწარი და ვუთხარი, პასპორტი არაა საჭირო, უბრალოდ მითხარით, როგორ მოგმართოთ?

— მესმის, მესმის, — თავს აქნევს იგი. მის მსუქან სახეზე დამაბულობა ერთბაშად ქრება, მისმა ლოყებმა ნელ-ნელა დაიბრუნეს ნორმალური ფერი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხვირიც კი ჩვეულებრივი ფერისა გაუხდა.

— ძალზე სასიამოვნოა. პიროჟკოვი გრიგორი სერგეევიჩი.

— შესანიშნავია, რომ ერთმანეთს ასე კარგად გავუგეთ, — ვუთხარი მე. — აბა, სერგეევიჩ, ერთი დაწვრილებით მომიყევით, ვინ ემუქრება თქვენს ქალიშვილს?

— ეს რომ ვიცოდე, მაშინ...

— ეჭვი ხომ არავისზე გაქვთ?



— იცით რა... რაიმე გარკვეული... — პირობები იშმუშნება. — თითქოს ძნელი სათქმელია... არა მგონია, ეს მოგვეხმაროს რამეში...

ვხედავ, რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ გაუბედავს.

— გრიგორი სერგევიჩი, — ვცდილობ ძალზე დინჯად და დამაჯერებლად მივმართო, — თუ თქვენ ნამდვილად შეშფოთებული ხართ ამ მუქარით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გულწრფელი იყოთ, სხვაგვარად ჩვენ ვერას გავხდებით და ვერ დაგეხმარებით. ნუ შეშინდებით, ჩვენ სწორედ გაგიგებთ და თქვენ წინააღმდეგ არას მოვიმოქმედებთ.

— ყველა ასე რომ იყოს... — ნაღვლიანად ჩაიდუღუნა პირობებმა და დაჭმუჭნილი ცხვირსახოცით შუბლი და კისერი მოიწმინდა. — ნეტავი!... აი, თქვენი ამხანაგი, მაგალითად... — მან საყვედურის გამომხატველი მზერა მომაპყრო. მისი ჭროლა თვალები სათვალის შუშების მიღმა არაბუნებრივად გადიდებული, ბუნდოვანი და ცრემლით სავსე მეჩვენა.

იმწამს უფრო ნათლად და ჭეშმარიტად ვიგრძენი, რომ პეტისას საქციელის დამალვა არ შეიძლებოდა, უბრალოდ, ამისი გაფიქრებაც კი შეუძლებელი მეჩვენა.

— ის არასწორად მოიქცა და დაისჯება კიდევ.

— დიახ, მართალი ბრძანებით, — თავის დაქნევით მეთანხმება პირობები და თან მსუქან ხელებს იფშენებს. — რაც შეეხება ჩემს ეჭვებს... ჩემს ნადენკას არა ჰყავს ისეთი ნაცნობები. ეს სრული სიმართლეა. ჭკვიანი გოგონაა.

— რამდენი წლისაა?

— ცხრამეტის.

— მაშასადამე, არავითარი საეჭვო ნაცნობობა არა ჰყავს, არა?

— რასაკვირველია! მას ასეთი ნაცნობები ნამდვილად არა ჰყავს, მაგრამ მე კი... მგონი...

პირობები დაბნეული ჩანს. შეჩერდა, ალბათ ცდილობს აზრი მოიკრიბოს.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ახლა რაღაც საოცარი უაზრობა უნდა წამოროშოს. ჩანს, შიშისაგან სულ მთლად გამოთავყვანებულია. ნეტავ ამ წესიერ, ხნიერ მამაკაცს ისეთი რა ნაცნობები უნდა ჰყავდეს, რომ მის ქალიშვილს ემუქრებიან? შესაძლოა რომელიმე თანამშრომლის ვაჟიშვილი ან ვიღაც ახალგაზრდა თანამშრომელი ემუქრება, რომლის გაარშიყებას გოგონამ ცივი წყალი გადაასხა. თუ მართლაც ასეა, მაშინ ეს სულელური მუქარა გამდნარი თოვლივით გაქრება და ყველაფერი მიწყნარდება.

— ღმერთო ჩემო! — უეცრად წამოიძახა პირობები. — როგორ დამალა ამ ცხოვრებამ! თქვენ რომ იცოდეთ...

შიშს ხომ დიდი თვალები აქვს. იქნებ ამ კაცს ყველაფერი მოეჩვენა. ნამდვილად მეცოდება ეს საბრალო.

— კი, მაგრამ რა ცხოვრება გაქვთ ამისთანა, გრიგორი სერგევიჩი?

— ყველაფერს ვერ აგიხსნით! — ხელი გაიქნია პირობები. შემდეგ აქნეული ხელი ჰაერში შეაჩერა, თითქოს თავში რაღაც ახალმა აზრმა გაუელვა, მაგრამ ისეთი შეშინებული მზერა მომაპყრო და ისე უცნაურად,



გამომცდელად დამაშტერდა, თითქოს დაეჭვდა, ეს კაცი ჩემს აზრებს ხომ არ ჩასწვდაო. დაბოლოს აჩქარებით წამოიძახა:

— შესაძლოა, მართალიც არ ვიყო იმ ადამიანის მიმართ. მან... მან მოსკოვი დასტოვა უკვე. ვინ იცის, როდისღა ჩამოვა. დიახ, დიახ... და საერთოდაც... რა მომდის?...

— ის ადამიანი თქვენთან ერთად მუშაობდა? — მხოლოდ იმისათვის დავუსვი კითხვა, რომ რაღაც შევეკითხო, თორემ ისეთ სულელურ ყოფაში ჩავცვივდით, რომ ამის წარმოდგენა ძალზე ძნელია.

— არა, არა... ისე უბრალოდ, იცით... გზად იყო... — არეულად მპასუხობს პიროჟკოვი. — ის უკვე გაემგზავრა... ეს რა მომდის... თავგზა დამებნა... ის უკვე გაემგზავრა და მორჩა. მისი გამგზავრების შემდეგ იყო, რომ დაგვირეკეს. დარეკეს და თანაც დაგვემუქრნენ. გესმით თუ არა? ღმერთო ჩემო! თუ ნადენკას ჩემი გულისთვის რამე მოუვიდა, მე ამ ამბავს ვერ გადავიტან! თავს მოვიკლავ! მაგრამ ეს ყველაფერი სისულელეა, სისულელე... ნამდვილად გავგიჟდები! გულიც მტკივა... — ხელს იკიდებს გულზე. — ყოველდღე ვგრძნობ ტკივილს. იმ დღეს სასტუმროში წვეთებიც კი დამალევიან...

სიტყვა „სასტუმრომ“, ბუნებრივია, საფიქრალი გამიჩინა. ეს უკვე თითქმის რეფლექსია. ამ სიტყვას საერთოდ დაწყნარებით ვერ ვისმენ. სასტუმროს მაშინვე მუშანსკის ვუკავშირებ. სასტუმრო, ქურდობა, დაკითხვები, მოკლედ, რაღაც საოცრებაა. ამას ახლა წვეთებიც დაემატა. უეცრად თითქოს რაღაცას ვხვდები. მაგიდას დავეყრდენი და ჩურჩულით ვეკითხები:

— გრიგორი სერგეევიჩ, ნუთუ მან დაგლუპათ?

— რა ბრძანეთ?.. ვინ დამლუპა?...

პიროჟკოვი შეკრთა და შეშინებულმა შემომხედა.

— ნიკოლოვმა. ივან ხარიტონოვიჩ ნიკოლოვმა.

— თქვენ... ნუთუ... მაპატიეთ, რომელი ნიკოლოვი?

— აი, ის, ივან ხარიტონოვიჩ ნიკოლოვი, გრიგორი სერგეევიჩ, — მტკიცედ ვპასუხობ და ჩემი ვარაუდის წარმატება თვითონვე არ მჯერა. — ჩვენ ერთი და იგივე ნიკოლოვი გვყავს მხედველობაში, გრიგორი სერგეევიჩ!

— თუ ღმერთი გწამთ!...

— იცით თუ არა თქვენ, რა მიზეზით გაჰქრა ასე მოულოდნელად?

— ბაიბურშიც არა ვარ, მაგრამ თქვენ საიდან?

— ის იქ, სასტუმროში გაქურდეს...

— ნუთუ?

პიროჟკოვმა მოკლე, მსუქანი ხელებით ტაში შემოჰკრა და გაოცებული შემომყურებს.

— წარმოდგინეთ, — ვუბნები და თან კითხვას ვუმეორებ: — ნუთუ მან მართლა დაგლუპათ?

— ოჰ, ღმერთო ჩემო! საიდან მოიტანეთ ეს დაღუპვა და დანელება?

— მაინც ვინ არის ის ადამიანი? სად გაემგზავრა?

პიროჟკოვი თვალს მარილებს, ხელებს ისრესს ჩუმად. ჩანს, აზრს იკრებს. რაღაც შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს ამ კაცის არსებაში. ლოყები ისევ გაუწითლდა, ცხვირიც უცნაურად უთეთრდება.



ბოლოს და ბოლოს პირობებში, როგორც იქნა, გადაწყვეტილება მიიღო. უზარმაზარი წყლიანი ჭროლა თვალები სათვალის მიღმა ახლა უკვე ნაღვლიანად და განდგომილად შემომყურებენ. პირობები თხრობის დროს ძალზე ფრთხილობს, სწონის თვითნებულ სიტყვას, მაგრამ დალაგებულად ლაპარაკობს:

— მე ის სრულიად შემთხვევით გავიცანი. ჩვენთან იყო ტრესტში და ცდილობდა დეფიციტური საშენი მასალა ეშოვნა. ვერ მოახერხა. და აი, სწორედ მაშინ მე შემომთავაზა... როგორ გითხრათ... საეჭვო გარიგება... მოკლედ რომ ვთქვათ, თაღლითური გარიგება. უარი ვუთხარი. მე ისედაც ჩემი საქმეების გამო ღამეები არ მძინავს. მაშინ სიტყვა გადამიკრა, თითქოს ჩემ წინააღმდეგ რაღაც მასალები გააჩნდა და სასტუმროში შეხვედრა შემომთავაზა, რათა ის მასალები ეჩვენებინა. სასტუმროში მივედი. დარწმუნებული ვიყავი ჩემს სიმართლეში, დარწმუნებული ვიყავი, ასეთი მასალა არ არსებობდა, მაგრამ მაინც, ხომ იცით... ცოტა რამ არის? ზედმეტი უსიამოვნება ვის უნდა! მან ნამდვილად მაჩვენა რაღაც-რაღაცა საბუთები. არა, არა! — პირობებში ხელები წინ გაიშვირა და ისე გაასავსავა, თითქოს რაღაცას იცილებდა თავიდან. — არავითარი სისხლის სამართლის საქმე ის არ იყო! მხოლოდ ერთხელ... ერთ ადამიანს, ჩემს უფროსს, რაღაცა დავუთმე და იმის გულისთვის სამმართველოს მკაცრი ბრძანება დავარღვიე... ქრთამი მე არ ამიღია და ძღვენი. ყველაფერი უბრალოდ მოხდა... მან მიბრძანა, მე კი... მოკლედ, დავემორჩილე. გესმით თუ არა თქვენ, მე ნებისყოფა და ძალა არ მეყო უარი მეთქვა. იმის მერე მე... შემდეგ კვლავ მიბრძანა... ერთი სიტყვით, ასე იყო საქმე. ის უფროსი სამმართველოდან წავიდა თუ არა, ყველაფერი გამოსწორდა... და უეცრად... მაგრამ ეს არ არის მთავარი! ამას როგორმე გადავიტანდი. ამ ადამიანმა მითხრა, რომ ჩემი ნადენკა არ მიყვარს და მის სიცოცხლეს არ ვუფრთხილდები. ეს კი უკვე თავხედობა გახლდათ!

— თქვენ შეშინდით?

— რა გასაკვირია, რომ შემშინებოდა. ყველაზე უფრო კი იმან გამოცა, საიდან უნდა სცნობოდა ჩემი ნადენკა?

— საიდან?

— გონს ახლაც ვერ მოვსულვარ. შესაძლოა რომელიმე ჩემმა თანამშრომელმა... მან ხომ ჩემი სამსახურის საბუთების ასლები მიჩვენა. აი ასე. მან მითხრა, მოსკოვში ჩამოვა კაცი, ვინც ნადენკას იცნობს და თუ... მოკლედ, სისულელეა, სისულელე!..

— კი მაგრამ, თვითონ საით გაემგზავრა?

— აბა მე საიდან მეცოდინება?!

— თქვენ ხომ მისთვის წერილის გადაგზავნა გინდოდათ.

— ო, ამას გულისხმობთ? მე თქვენ სრულ სიმართლეს გეტყვით: მორიგის მოტყუება მოვინდომე. მეგონა, წერილიდან გავიგებდი, მოსკოვში ვინ ჩამოდიოდა. რას არ მოვიმოქმედებდი, ოღონდ ის წერილი ხელში ჩამეგდო. გამიგეთ, გეთაყვა. მე ახლაც ძალზე ვშიშობ. ნადენკა რომ არა, რისი უნდა მეშინოდეს. ის კი ისეთი მიაშიტი და მიმნდობია, ადვილად იცის გატაცება... პირდაპირ არ ვიცი, რა წყალს მივცე თავი. მითხარით რამე, გევედრებით, თუ ღმერთი გწამთ...



დიახ, ამბავი ძალზე გულისხმასაყოფი და საეჭვოა. ვგრძნობ, პიროჟკოვი გულწრფელია, სიმართლეს ლაპარაკობს და ნამდვილად შეშინებულია.

— მაშ ასე, სამჯერ დარეკეს, არა? — ვეკითხები მე.

— დიახ, დიახ, სამჯერ.

— სამჯერვე ნიკოლოვის გამგზავრების შემდეგ?

— არა. პირველად, თვითონაც რომ აქ ბრძანდებოდა, მაშინ დარეკეს. ძლივს მოვასწარი სასტუმროდან შინ დაბრუნება.

— ნიკოლოვმა დარეკა?

— არა, არა. სხვა ვიღაც იყო. იცით, ისეთი ახალგაზრდული, უხეში ხმა ჰქონდა. ოდნავ ჩახლეჩილი, ხულიგნური.

— რა ილაპარაკა?

— თქვენ, — მეუბნება, — პაპაშა ბრძანდებით? „ვისი პაპაშა-მეთქი, ვეკითხები, — რომელი პაპაშა?“ „ჩემზე უკეთ იცი, ვისიც. მაშ ასე, გოგოს გაგიუბედურებთ, თუ ძალიან გაჯიქდები. კატის კნუტივით მოვახრჩობთ. იქნებ უარესიც ვუყოთ, გაიგონე?“ ასე პირდაპირ მითხრა, წარმოგიდგენიათ?

— მეორედაც იმანვე დაგირეკათ?

— დიახ! ჯერ ჩემმა მეუღლემ აიღო ყურმილი. მან მე დამიძახა, იმ არამზადამ. თუმცა არა! ეს უკვე მესამედ, გუშინ საღამოს იყო. მეორედ კი ნადენკამ გააგონა. დილით დაურეკია, მე რომ სამსახურში ვიყავი. საღამოს, მისი დავალებით, ნადენკა მომიყვა ყველაფერს. მან სპეციალურად დავალა ნადენკას, ჩემთვის ეამბნა, რაც უთხრა. წარმოგიდგენიათ?

— კი, მაგრამ რა თქვა?

— დაახლოებით იგივე, რაც მე მითხრა. ნადენკა ძალზე შეშინებული იყო. მემუდარებოდა, როგორმე თავიდან მოიცილო ის კაცი. თქვენ თვითონ განსაჯეთ, მე შემეძლო მისი მოცილება?.. და როდესაც მან მესამედ დარეკა, მაშინვე თქვენკენ გამოვეშურე. დამეზნა თავგზა... ჰოდა... არ მსურს ამ გარეწართან რაიმე საქმე ვიქონიო, ამ...

ვუსმენ პიროჟკოვის ამ ამალეღვებულ ამბავს, ვხედავ, როგორ უთრთის ტუჩები და როგორ ღვარად ჩამოსდის ოფლი მსუქან ლოყებსა და საფეთქლებზე და ვგრძნობ, რომ სინამდვილეში ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ის ყვება: გამოძალვა, შანტაჟი, მუქარა და შიში, პანიკური შიში. ყველაფერი ჭეშმარიტად ასე იქნებოდა. რაღა თქმა უნდა, ნადენკას ნამდვილად მოკვლა არავის უფიქრია. ეს ხომ პრიმიტიული შანტაჟი იყო, მეტი არაფერი. პიროჟკოვი კი ისეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისზედაც მუქარას უნდა ემოქმედა და იმოქმედა კიდევ. მაგრამ არც ისე, როგორც ამას ნიკოლოვი ვარაუდობდა. საინტერესო ის გახლავთ, რომ მისი გამგზავრების შემდეგაც დაურეკავთ. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ დაბრუნება აქვს განზრახული და თავის მსხვერპლს ფსიქოლოგიურად ამზადებს, რომ ანკესზე წამოაგოს.

ეს ყველაფერი კიდევ იმაზე მეტყველებს, რომ ნიკოლოვს მოსკოვში ჰყავს თანამზრახველი. ბარათშიც ხომ ასე ეწერა: „მოდი, მოვითათბიროთ“... მაგრამ პიროჟკოვს ის კაცი არ ურეკავს, ვისთანაც ნიკოლოვი და-



თათბირებას აპირებდა. თუ მისი ლექსიკონის მიხედვით განვსჯით, პიროვეკოვის ბინაზე ნამდვილი სისხლის სამართლის დამნაშავე რეკავდა.

პიროვეკოვის ნაამბობიდან კი ერთი მთავარი პუნქტია ნათელმოსაფენი. პიროვეკოვმა ნამდვილად ახლა გაიცნო ნიკოლოვი, თუ მას ადრეც იცნობდა? გულწრფელია თუ არა პიროვეკოვის განცხადება? სწორედ ამ დროს ეკატერინა ოსიპოვნას ნაამბობიდან ერთი დეტალი მახსენდება, ის უცნაური ფრაზა, პაროლს რომ წააგავს.

— გრიგორი სერგეევიჩი, — ვეუბნები, — კი მაგრამ რას ნიშნავს: „ტრეტიაკოვის გალერეაში, კუინჯის დარბაზში“?

პიროვეკოვმა თავი უცვებ ასწია მაღლა და რამდენიმე წუთს გაშტერებით მიყურებდა, შემდეგ კი აკანკალებული ხელით ცხვირსახოცი სახეზე და კისერზე მოისვა.

— მაშ თქვენ გცნობიათ ის კაცი? — ხრინწიანი ხმით იკითხა პიროვეკოვმა და ჩაახველა.

— არა, ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ მორიგემ მოისმინა, ნიკოლოვს რომ უთხარით ეს ფრაზა.

— მაშასადამე...

— დიახ, — თავი დავაკანტურე მე. — ჩვენ შეხვედრაზე ინფორმირებული ვიყავით, მხოლოდ ის არ ვიცოდით, რომ ნიკოლოვი თქვენ შეგხვდათ. ხომ მოგახსენეთ: მის ნომერში ქურდობა მოხდა-მეთქი და ამიტომაც ყველა პიროვნება, ვინც კი მასთან ყოფილა, გვაინტერესებდა. სართულის მორიგემ თქვენც გაგიხსენათ.

— იმედი მაქვს, თქვენი ვარაუდი...

— არა, ასეთი რამ არ გვიფიქრია. მით უმეტეს, რომ ქურდი მაშინვე შევიბყარით, — საკუთარი თავი გამოვიჭირე იმ ამბავში, რომ ამ ფაქტის ხმამაღლა წარმოთქმამ სიამოვნება მომანიჭა, — ნიკოლოვი თვალსა და ხელს შუა გაქრა. საქმისათვის კი საჭირო იყო, რომ დაზარალებულს თავისი ნივთები ამოეცნო.

— გასაგებია, გასაგები, — თქვა შეფიქრებულმა პიროვეკოვმა და უცვებ სიცილს მოჰყვა. — ნამდვილად უცნაური ფრაზაა ტრეტიაკოვის გალერეის შესახებ, არა?

— უცნაურია, — ვეთანხმები. — მაინც რას ნიშნავს?

— ამის თაობაზე მეც ვკითხე ნიკოლოვს. ჯერ მითხრა, — „დაიმახსოვრეთ, შემდეგ გაიგებთ და მაშინ თქვენ ეს გამოგადგებათ“. მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი სისულელე უნდა იყოს. თუმცა თვითონ ძალიან სერიოზული კაცია. — პიროვეკოვმა მხრები აიჩეჩა და სახეზე ისევ დაეტყო შინაგანი მღელვარება. — მაინც რა მოხდება, ამხანაგო ლოსევ? ჩვენ რა უნდა ვიმოქმედოთ?

ვცდილობ დავაწყნარო. ვუმტკიცებ, რომ მის ქალიშვილს არავითარი საშიშროება არ ემუქრება, რომ დარეკვა, მუქარა და ყველაფერი უხეშად გამიზნული შანტაჟია და მეტი არაფერი. ვიმოწმებ ჩემსა და ჩემი ამხანაგების გამოცდილებას, უამრავი მაგალითები მომყავს და, მგონი, ვაღწევ კიდევაც მიზანს. პიროვეკოვი ოდნავ წყნარდება, დარცხვენილია და დამნაშავესავით იღიმება. შემდეგ კი მთავარზე გადავდივარ.

— მოდით, ვიეშმაკოთ და თვითონ ისინი გავაცუროთ, — ვეუბნები



მე. — მოდით, ისე მოვიქცეთ, ვითომ თქვენ მათი მუქარისა შეგეშინდათ, მათ ანკესზე წამოვგვით, დანებდით და მზად ხართ ემსახუროთ. როდესაც ის ხულიგანი ისევ დარეკავს, თქვენ სწორედ ასე უბასუხეთ. მოდით, საცოდავი თევზის ნაცვლად მეთევზეების როლი გავითამაშოთ. ჩვენ თვითონვე დავუგოთ მახე და გადავუგდოთ ანკესი. ერთი გამოჩნდეს ის ნიკოლოვი და მაშინ, როგორც საჭიროა, ისე მოველაპარაკებით. სამუდამოდ დავავიწყებინებთ თავის ბნელ საქმიანობას და ადამიანისთვის ყოველგვარი ვნების მიყენების სურვილს დავუკარგავთ.

— კეთილი, — წელში გამტყდარი მპასუხობს პიროჟკოვი..

ვცდილობ გავამხნევო; ვუმტკიცებ, არავითარი საშიშროება არ მოგელის, ნიკოლოვი ვერც კი გაიგებს, რა როლს ითამაშებ მის მხილებასა და გამოაშკარავებაში: მთავარია, ნიკოლოვი მოვძებნოთ, რადაც არ უნდა დავვიჯდეს, მოვძებნოთ-მეთქი...

საბოლოოდ, როგორც იქნა, დავიყოლიე და ყველაფერში შევთანხმდით. პიროჟკოვმა ერთი ისე ამოიოხრა, თითქოს გულ-ღვიძლი თან ამოაყოლაო, და წავიდა.

მე სუფთა ქალაქი ამოვიღე და, ვიდრე ყველაფერი ნათლად მაქვს გონებაში, ვიწერ. გაგონილიდან, რაც მთავარია, ვცდილობ არაფერი გამომჩრჩეს. ანალიზისა და მოფიქრების დრო კი მაინც არა მაქვს.

ოთახში იგორი შემოვიდა. მომესალმა და თავის მაგიდას მიუჯდა. რამდენიმე ხანს გაშტერებული და მოწყენილი მიყურებს, შემდეგ მზერა სხვა საგანზე გადააქვს და მეუბნება:

— ალას ვეყრები.

— ნუთუ? — უეცრად წამოვიძახე. — შენ რა, გადაირიე?

— ვფიქრობ, ასე უმჯობესი იქნება ორივესათვის.

— შენ რა, ნამდვილად შეიშალე?! — მაგიდას გულმკერდით ვეყრდნობი და ისე ვყვირივარ. — ალას უკვე უთხარი რამე?

— თვითონ შემომთავაზა.

— ალას ეგ ამბავი ათასჯერ მაინც აქვს შენთვის შემომთავაზებული.

— არა, ახლა სერიოზულად დგას საკითხი.

ახლა კი მე მივაშტერდი თვალებში.

— ჯეელო, შენ მე ყველაფერს არ მეუბნები.

— რაღა გითხრა?

— თვითონ უფრო კარგად იცი.

რამდენიმე ხანს ორივენი ვდუმვართ და ნერვიულად ვაბოლებთ.

— ყველა ადამიანის მოთმინებასა და გამძლეობას აქვს საზღვარი, — დაასკვნა საბოლოოდ იგორმა, — მე კარგა ხანია ზღვარზე ვთამაშობდი და ამას გარდა...

— ყველა ადამიანს აქვს ჭკუა-გონება, — შევაწყვეტინე მე, — შენცა გაქვს.

იგორი დაღვრემილად გაიყურება სადღაც და კბილებშუა სცრის:

— ფუჭია ეს საუბარი.

— ალას შენ უყვარხარ. მერე დიმკას რას უპირებ, რას სჩადი?

— ყველაფერი მესმის.



— მაგრამ ყველაფერს არ მეუბნები.

იგორი სდუმს.

— ალას თუ გაუმხილე შენი გადაწყვეტილება?

— თვითონ მითხრა თავისი საბოლოო სიტყვა.

— მან ეს უკვე შეათეჯერ გითხრა. შენ რა უპასუხე?

— ვუპასუხე, თანახმა ვარ-მეთქი.

მართლაც სერიოზულად ყოფილა საქმე. იგორი წინათ არ ეთანხმებოდა ალას ამგვარ გამოსდომებს. უწინ ყოველთვის ხუმრობაში ატარებდა ცოლის ხუმტურიანობას და აწყნარებდა ხოლმე მის ფხუკებს. ახლა კი აღარ ვიცი, რა ვთქვა. მართალი რომ გითხრათ, თვითონ არა ვარ დარწმუნებული, რომ იგორის მიზეზით ხდებოდა რაიმე. ალასთან ცხოვრება მართლაც რომ ძნელი საქმეა. ძალზე ფიცხია, შეიკლა და გააწამა ეს კაცი თავისი ეჭვიანობით. მართალია, იგორს წინათ ცოლისთვის ეჭვის საბაბი არასოდეს მიუცია, მაგრამ კაცნი ვართ, ახლა ალბათ რაღაც მოხდა...

როდესაც ამდაგვარ კონფლიქტზე დამშვიდებით და აბსტრაქტულად ვფიქრობ, ვრწმუნდები, რომ განქორწინება სხვადასხვანაირი არსებობს და შექმნილი მდგომარეობიდან ხანდახან ეს ყველაზე საუკეთესო გამოსავალია. ესლა კი ამბავი იგორს ეხება. ამ გაყრას ვერც დამშვიდებით ვუცქერი და, რაც მთავარია, ვერც აბსტრაქტულად ვუყურებ. იგორი ჩემი მეგობარია, ყველაზე ახლო მეგობარი. მისი განქორწინებით ჩემი საკუთარი ცხოვრების რაღაც ნაწილიც ინგრევა. შეჩვეული, შეთვისებული ცხოვრების ნაწილი მერღვევა და სწორედ ამიტომ მიმაჩნია მისი შენარჩუნება სწორად და აუცილებლად. ამიტომაც მეჩვენება, რომ ეს ამბავი ცუდი იქნება იგორისათვის, ალასათვის, დიმიკასათვის და ჩემთვის.

ახლა კი მე სხვა რამ მაწუხებს და უხეშად და მალაღფარდოვნად ვეკითხები იგორს:

— შენ სხვა შეგიყვარდა? ოღონდ გულწრფელად მიპასუხე.

იგორმა მხრები აიჩეჩა.

— განქორწინება მე არ შემითავაზებია. ალამ შემომთავაზა.

— შენ ჩემს კითხვას არ პასუხობ.

— განქორწინება მისთვის მე არ შემითავაზებია, — იმეორებს გაღიზიანებული იგორი ჯიუტად.

ოთახში ერთ-ერთი ტელეფონის ზარის წკრიალი გაისმა. ეს კუზმიჩი გახლავთ. მე და იგორს გვიბრძანა, იმწამსვე ავსულიყავით მასთან. რაღაც უჩვეულო ხმა ჰქონდა. რაღაც ამბავი მოხდა, ნამდვილად ვიცი, რომ ასე იქნება.

უფროსის კაბინეტში ვალია დენისოვი დაგვიხვდა...

— აბა გაიმეორე, — უბრძანა კუზმიჩმა, როდესაც ჩვენ მაგიდას მივუსხედით.

— ახალი ამბავი ასეთი გახლავთ, — ამბობს ვალია, — ჩემს ცხრილში აღნიშნული ყველა ადამიანი სადღაც გაჰქრა, გაურკვეველი მიმართულებით წავიდ-წამოვიდა.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. მე და იგორი იმას ვცდილობთ, როგორმე მოვიხელოთ ეს ახალი ამბავი. მაგონდება ამ ბარათის ბოლო სიტყვები: „...როდესაც ყველანი შევგროვდებით“. ნუთუ შეგროვდნენ? უთუოდ



ნიკოლოვმა შეკრიბა ისინი, რათა ვილაცასთან ანგარიში გაესწორებინა. ვისთან და რა ანგარიში, ჯერჯერობით ეს ჩვენთვის საიდუმლოებას წარმოადგენს. თვითონ ნიკოლოვი პენზაში არ დაბრუნებულა. მაშასადამე, „შეკრება“ სადღაც სხვაგან ხდება და ეს ყველაფერი შემთხვევითი ამბავი არ არის, არავისი ახირებისა და ჟინის მიხედვით არ ხდება. მოქმედება დაინტერესებით განისაზღვრება, ასეთი დაინტერესების საფუძველი კი ყოველთვის მატერიალურია. რაც უფრო სერიოზულია დაინტერესება, მით უფრო მნიშვნელოვანია მოქმედება, ამ შემთხვევაში კი ძალზე საშიშიც.

— გამოდის, რომ ნიკოლოვმა შეყარა ერთად ყველა, — ვაცხადებ მე.

— ანდა თვითონ გამოიძახეს შეკრებაზე, — შემეპასუხა ვალია და დაუმატა: — ყველა შემთხვევაში რაღაც ბინძური საქმე უნდა იყოს.

საათს დავხედე. ჩემი წასვლის დროა: უთუოდ ვარვარა უკვე დაბრუნდა ფაბრიკიდან.

— აი რას გეტყვით, — ამბობს კუზმიჩი და ვალიას მიმართავს: — დაუკავშირდი ოთხივე ქალაქს. ჩვენმა ბიჭებმა რაიმე იღონონ. შესაძლოა იმათგან რომელიმე მივლინებაში ანდა, დავუშვათ, მშობლებთან გაემგზავრა: უგზო-უკვლოდ ვერ გაქრებოდნენ, ვინმეს მაინც ეცოდინება, რა მიმართულებით გაემგზავრნენ.

— გასაგებია, — მოკლედ პასუხობს ვალია.

— პუნეჟსაც დაუკავშირდი, — მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა კუზმიჩმა. — თეორიები თეორიებია, მაგრამ თვითონაც კარგად იცი...

რომ გვცოდნოდა, მეორე დღეს რა გველოდა!

მე კვლავ ვარვარასთან მივდივარ. ერთი ტროლეიბუსიდან მეორეში გადავჯექი.

ნაცრისფერი, უღიმღამო მოკლე დღე შეუმჩნევლად მიიწურა. ხუთი საათია. ცა მოქუფრულია, ბნელა. ქუჩებში ნელ-ნელა ინთება ფარნები. მალაზიის ვიტრინებშიც იელვა სინათლემ. ქარი ჩადგა და თოვლი წამოვიდა. სველი, მსხვილი ფანტელები ეფინებიან მიწას. ფეხქვეშ თოვლნარევი ჭყაპია. ალბათ ხვალამდე ვერ მოასუფთავებენ ქუჩებს. სრიალით მავალი მანქანებისაგან სველი ჭყაპი და ტალახი მარაოსამებრ იშლება. ყველა შინისაკენ მიიჩქარის.

აი ჩემი გაჩერებაც. ტროლეიბუსიდან გადმოვხტი და მივიხედ-მოვიხედე. მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის გადალმა მოჩანს ნაცნობი, უზარმაზარი შენობა ბნელი შესასვლელიანი ჭიშკრით... ვარვარას ფანჯრებში ყვითელი სინათლე კიაფობს.

რამდენიმე ხანს მის ფანჯრებს შევცქერო და თან იმას ვფიქრობ, როგორ და რანაირად ველაპარაკო.

მაშ ასე, ვარვარა ნიკოლოვს იცნობს. რა იცის მასზე და საიდან? სწორედ ეს არის გამოსარკვევი. ესაა ყველაზე მთავარი. გადავწყვიტე, მუშანსკი არ ვუხსენო. ამას გარდა, მე ვერ დავიჯერებ, რომ ვარვარამ, როგორც იტყვიან, მისცა საქმე მუშანსკის და ნიკოლოვთან მიაგზავნა. უფრო სწორედ, ვარვარამ, ეტყობა, სრულიად შემთხვევით წამოაყრანტალა, ნიკოლოვს ფული ჩერქივით აქვსო. რაც მთავარია, ის ნიკოლოვს იცნობს...

ჭიშკარში შევდივარ. ისე ბნელა, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანს, გამჭოლი ქარი ავი ძალღვივით დამეტაკა. ამ ამბავს მომზადებული შევხვდი;



წელში მოვიღუნე, ქუდი ხელით დავიჭირე, ქარს რომ არ მოეხადა, და, როგორც იქნა, ქარის წინააღმდეგობა დავძლიე.

სიბნელეში ბრმასავით დავბორიალობ. ჩემგან მარჯვნივ გაბლიკებულ, დაკბილულ კედელს ხელის ფათურით მივყვები და ძველი მუშამბით აკრულ კარს ძლივძლივობით ვპოულობ. მერე კარგა ხანს ვაჭერ ხელს გაცეებულ ელექტროდილაკს.

ზარის ხმა არ მესმის. ეს ხმა ჩემამდე ვერ აღწევდა, თუ ხელს ქარის ზუზუნს მიშლიდა, ვერ ვიტყვი. არც ძველისძველი საკეტის გაღების ჩხაკუნს გამიგონია. კარი უეცრად და, როგორც მომეჩვენა, უჩუმრად გაიღო. კარებში თავშალმონხვეული ვარვარა გამოჩნდა. როდესაც მიცნო, მხიარულად შემიპატიჟა:

— შემობრძანდით, შემობრძანდით, სწრაფად. საშინლად უბერავს. დიდი ხანია თქვენთვის თვალი არ მომიკრავს! მე მეგონა, სულ დამივიწყეთ.

ჩვენ ჩაის შევექცევით ჩემთვის ძალიან კარგად ნაცნობ სამზარეულოში. მოვიგონეთ ძველი ამბები. ვილაპარაკეთ ხან მთისა და ხან ბარისა. ჩვენი საუბარი მუშანსკისაც გადასწვდა. ვარვარას მუშანსკის ხსენებაზე სინდისი ჰქეჯნის კი არა, ძალიანაც ამაყობს იმროლით, რაც მან მუშანსკის დაპატიმრების საქმეში შეასრულა. მე დრო ვიხელთე და ვეკითხები:

— ხომ არ იცნობთ თქვენ ვინმე ნიკოლოვს?

ვარვარა გაოცებული მიყურებს.

— არ ვიცნობ და მისი გვარიც კი არ გამიგონია.

ვგრძნობ, რომ ნამდვილად სიმატლეს ამბობს. მან ჭეშმარიტად პირველად გაიგონა ნიკოლოვის გვარი.

— შეეცადეთ გაიხსენოთ, ვარია, — ვეხვეწები მე. — ის შესაძლოა გეარშიყებოდათ ანდა ცდილობდა გაგარშიყებოდათ.

— ეჰ, მაგდაგვარ არშიყ ხალხს რა გამოლევს! ცოტანი არიან თუ რა! — უდარდულად ჩაიქნია ვარიამ ხელი. — ვინ მოსთვლის. შესაძლოა იყო კიდევ. შტამპიან პასპორტს არც ერთი არ მიჩვენებს ხოლმე. დანარჩენები კი ყველანი ერთნაირები არიან, — ვარვარა გამომწვევად იცინის. — ჰო, როგორა თქვით, ნიკოლოვი, არა?

— ნიკოლოვი, ივან ხარიტონოვიჩი, — ვჩქარობ მე, სახელი და მამის სახელი შევაშველე, რადგან ვგრძნობ, შევცდი, ეს ყველაფერი ერთად უნდა მეთქვა.

— აა... — ვარვარას თვალებში მხიარული ნაპერწკლები აუციმციმდა. — მახსოვს, მახსოვს! შევხვედრივართ, როგორ არა!

— ვინ არის?

— ჩვენთან ფაბრიკაში იყო ჩამოსული. დამავიწყდა საიდან. რომელიღაც ქალაქის სავაჭრო განყოფილებიდან იყო გამოგზავნილი. ივან ხარიტონოვიჩი... აწოწილი, გრძელი, გამხდარი, მელოტი. როგორც კავალერს, არა უჭირდა რა! — ვარვარა იფხრიწება სიცხლისაგან, ტკარცალებს. — სხვათა შორის, იმასაც ტოლიკამ შეუშალა ხელი. მაგრამ იგი ძალზე ზრდილობიანად მოექცა ტოლიკას. მგონი, რაღაცას დაპირდა კიდევ. თქვენსავით კი არა!.. — ვარვარა ისევ იცინის.



# ლიტერატურული მემკვიდრეობა

## დანიელ ჰერობილის სიტყვა \*

ქველრუსულიდან თარგმნა თენგიზ ბუაჩიძემ

ძველი რუსული ლიტერატურის ყველაზე საინტერესო და ამასთანავე ყველაზე ამოუხსნელ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება «Слово Даниила Заточника», ანუ სხვა რედაქციით «Моление Даниила Заточника».

უცნობია ავტორის პიროვნება: ზოგი მკვლევარი მას გაბატონებული კლასის წარმომადგენლად თვლის, სხვებს მთავრის ლაშქრის წევრი ჰგონია, ზოგი ამტკიცებს, რომ ჩაგრულთა დაბალ წრეს ეკუთვნის, ზოგი ხელოსანთა რიგებში რიცხავს. ის აზრიც იყო გამოთქმული, რომ დანიელს საერთოდ არ გააჩნდა მყარი სოციალური მდგომარეობა.

გადაუჭრელია საკითხიც, მართლა ჰერობილი (პატიმარი) იყო დანიელი, ერთი დანიელი იყო თუ ორი; ზოგის შეხედულებით ნაწარმოებს არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია, რომ დანიელი წმინდაწყლის ლიტერატურული სახეა, მისტიფიკაციაა. საბოლოოდ დაუდგენელია, ვის მიმართავს ავტორი, ვინაა მისი „სიტყვის“ თუ „ვედრების“ ისტორიულად ცნობილი ადრესატი, რა ჟანრის თხზულებაა — პამფლეტი, ხუმრობა, ანდაზების კრებული, იგავები, ვედრება, ეპისტოლე თუ ყველაფერი ერთად. ერთს ყველანი აღიარებენ: ესაა მაღალპოეტური, მაღალმხატვრული ქმნილება, რომელშიც მკაფიოდ ვლინდება სოციალური უთანასწორობით გამოწვეული დაჩაგრული ადამიანის ჩივილი საკუთარ მწარე სვედრზე.

მცირე მოცულობის ამ თხზულებას უზარმაზარი მეცნიერული ლიტერატურა მიეძღვნა, რომელიც ალბათ მოზრდილ ბიბლიოთეკას შეადგენდა. გამორჩენილი რუსი მკვლევარების მეცადინეობის შედეგად დღეისათვის მეტნაკლები საბუთიანობითა და სიზუსტით დადგენილია შემდეგი:

ნაწარმოების პირველი რედაქცია — „დანიელ ჰერობილის სიტყვა“ შექმნილი უნდა იყოს XII საუკუნეში, მეორე რედაქცია — „დანიელ ჰერობილის ვედრება“ — XIII საუკუნეში. არც ერთი მათგანი დედანი არაა, დედნის სხვადასხვა ფენა ორივეში ასახულია. ერთში უფრო გამოკვეთილია სატირული ნაკადი, მეორე უფრო განყენებულია. ავტორი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია, გაჭირვებაში იმყოფება და მთავარს დახმარებისათვის მიმართავს.

როგორც ბელინსკი სამართლიანად აღნიშნავდა, „ვინც უნდა ყოფილიყო დანიელ ჰერობილი, შეიძლება საფუძვლიანად დავასკვნათ, რომ იგი იმ პიროვნებათაგანია, რომელნიც, თავისდა საუბედუროდ, მეტად ჭკვიანი, მეტად ნიჭიერი, მეტად ბევრის მცოდნენი არიან და, ვერ მალავენ რა თავიანთ უპირატესობას, შეურაცხყოფენ თავმოყვარე უფერულობას, რომელთაც გული შესტკივათ იმ საქმისათვის, რაც მათთვის უცხოა, მაშინ ლაპარაკობენ, როცა დუმილი სჯობს და დუმან, როცა თქმა აჯობებდა; ერთი სიტყვით იმ პირთაგანია, რომელთაც ადამიანები ჯერ აქებენ და აღიდეგენ, შემდეგ დევნიან და, საბოლოოდ სიცოცხლეს რომ მოუსწრაფებენ, კვლავ ქებას დაუწყებენ“.

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი

\* ნაწყვეტი „ძველი რუსული მწერლობის“ II ტომიდან.



ავახშიანოთ, ვითარცა ოქროჭედი-  
ლი საყვირნი, ძალნი გონებისა ჩვენისა  
და ჩვენივე სიბრძნით ავამღეროთ სიამა-  
ყის მოვერცხლილი ორღანო.

განიღვიძე, დიდებო ჩემო, საფსალ-  
მუნითა და ებნითა.

მე განვიღვიძო განთიად და გიამბო.

გავხსნი საგალობელითა იგავებს და  
ვაუწყებ ხალხს ჩემს დიდებას. რამეთუ  
ჭკვიანი კაცის გული სილამაზითა და  
სიბრძნით ჰპოებს სიმტკიცეს.

იყო ენა ჩემი, ვითარცა ლერწამი  
ხელოვანი მწიგნობრისა და ბაგენი ჩე-  
მი — მოალერსე, ვითარცა ტალღა სწრა-  
ფი მდინარისა. ამის გამო ვცადე აღმე-  
წერა სიმძიმე ჩემს გულზე დადებულ  
ბორკილ-ხუნდებისა და გააფთრებულმა  
ვამსხვრიე ისინი, ვითარცა ძველად  
ჩჩვილთა შეახეთქდნენ ხოლმე კლდეს.

მაგრამ ვუფრთხი, ბატონო, გმობას  
შენსას.

რადგამ იმ წყეულ ლელვსა ვგავარ:  
არ გამაჩნია ნაყოფი მონანიებისა; რად-  
გან მაქვს გული, ვითარცა სახე გარეშე  
თვალთა.

გონება ჩემი იმ ღამეულ ყორანივი-  
თაა, ნანგრევებში რომ ფხიზლობს; და  
დასრულდა ცხოვრება ჩემი, ვითარცა  
ცხოვრება ქანაანელ მეფეთა — სირ-  
ცხვილით; და დამფარა სილატაკემ, ვი-  
თარცა ფარათნი ზღვამ მეწამულისამ.

ყოველივე ეს იმისთვის დავწერე,  
რომ გავექცე სიბეჩავეს ჩემსას, ვი-  
თარცა ელტვოდა მხევალი აგარი სა-  
რას — თავის ქალბატონს.

ვიხილე რა, ბატონო ჩემო, შენი ჩემ-  
დამი გულმოწყალება, მივმართე უცვ-  
ლელ სიყვარულს შენსას.

რამეთუ წერილი ამბობს: და რომე-  
ლი გთხოვდეს შენ, მიეც, და რომე-  
ლი ირეკდეს, განუღე.

ნუ უარგყოს შენ სასუფეველმა ცა-  
თა — ვითარცა სწერია: მიანდე ზენაარს  
ნაღველი შენი, რამეთუ მან გაცხოვნოს  
საუკუნოდ.

მთავარო ბატონო!

მე ხომ იმ სარეველა ბალახივით ვარ,  
კედლის ძირას რომ ამოსულა და არც  
მზე ასხივებს და არც წვიმა ასხურებს.  
ყველას მიერ ჩაგრული ვარ, რამეთუ არ  
მიფარავს, ვითარცა კედელი მტკიცე,  
შიში შენი რისხვისა.

მაშ ნუ მიცქერ, ბატონო, ვითარცა  
მგელი კრავს, არამედ შევივრდომე,  
ვითარცა შვილი მშობელმა.

მიხედე ფრინველთა ცისა, რამეთუ  
არა თესენ, არცა მკიან, არამედ სასოე-  
ბენ ღვთით. ასევე ჩვენც, ბატონო, ვე-  
ძიებთ წყალობას თქვენსას.

რადგან, უფალო, ზოგს ბოგოლიუ-  
ბოვო ერგო, ხოლო მე — სასტიკი ჭირი;  
ზოგს ბოლოოზერო შეხვდა, ხოლო ჩემ-  
თვის იგი კუპრზე შავია; ზოგს ლაჩეო-  
ზერო მისცეს, ხოლო მე, მის გვერდით  
მცხოვრებს — მწარე გოდება; ზოგს ნოვ-  
გოროდი აქვს, ხოლო მე ბანი ჩამომექცა  
და ვერ გაიშალა ყვავილი ჩემი ბედისა.

მეგობრებმა და ახლობლებმა მიმა-  
ტოვეს, რადგან უხვად ვერ ვუმასპინძ-  
ლე. ბევრი ხომ იმიტომ მიწევდა მეგობ-  
რობას, რომ ჩემთან ერთად სამარილეში  
თითი ჩაეწო, ხოლო ჭირში მეპყრობოდ-  
ნენ, ვითარცა მტრები და ჩემს წაქცევა-  
საც ლამობდნენ. თვალნი მათი ჩემთან  
ერთად სტირიან, ხოლო გულნი დამცი-  
ნიან. ამიტომ არ უნდა მიენდო მეგო-  
ბარს და არ უნდა იქონიო იმედი ძმისა.

განა სტყუოდა მთავარი როსტისლა-  
ვი, ოდეს მეუბნებოდა:

„სიკვდილი მირჩვენია კურსკში  
მთავრობასო“. ასევე ვაჟკაცნიც იტყვიან:  
სიკვდილი სჯობს სილატაკეში ხან-  
გრძლივ სიცოცხლეს.

ვითარცა უთქვამს სოლომონს: „ხო-  
ლო სიმდიდრესა და სიგლახაკესა ნუ  
მიმცემ მე, რათა არა გაუმადლარი  
მტყუარ ვიქმნე და ვთქუა, ვინ მხედავს  
მე, ანუ დავგლახაკნე, ვიპარო და ვფუ-  
ცო სახელითა ღუთისათა“.

ამიტომ, სილატაკეში მთავარდნილი,



შენ შემოგლადებ: შემოწყალე, დიდი ხელმწიფის ვლადიმერის შვილო, რათა არ გგოდებდე ვითარცა ადამი, სამოთხე რომ გამოიგლოვა; მიეც ღრუბელი მაცოცხლებელი წვიმისა ჩემი სილატაკის ნიადაგს.

რადგან, ბატონო, მდიდარი ყველგან ცნობილია, სხვაგანაც ჰყავს მეგობრები, ხოლო ლატაკი თავის ქვეყანაშიც საძულველია. მდიდარი რომ ხმას ამოიღებს, ყველა ყურს უგდებს, შემდეგ მის ნათქვამს ცამდე აიტანენ; ლატაკი რომ ალაპარაკდება, — ყველა აუყვირდება. ასეა, ვისი სამოსიც სუფთაა, მისი სიტყვაც საპატიოა.

მთავარო ბატონო! მიხსენ ამ სილატაკისაგან, ვითარცა ქურციკი ხაფანგისაგან, ვითარცა ჩიტი მახისაგან, ვითარცა ჭუკი ქორის ბრჭყალთაგან, ვითარცა ცხვარი ლომის ხახისაგან.

მთავარო, მე ხომ გზის პირას მდგარ ხესავითა ვარ: ბევრი აჭრის შტოებს და ცეცხლში ყრის, ყველას მიერ ვარ ჩაგრული, რამეთუ არ მიფარავს შიში შენი რისხვისა.

ვითარცა კალა ილევა ხშირი დნობით, ასევე ადამიანიც — მრავალ ჭირთაგან.

ხომ არავის შესწევს უნარი, პეშვით მარილი ჭამოს და არც საკუთარ ჭირში გონიერება გამოიჩინოს. სხვის ჭირში კი ყველა ბრძენი და გონიერია.

ოქროს ცეცხლი ადნობს, ხოლო ადამიანს — უბედურება.

წმინდად დაფქვილი ხორბლით წმინდავე პური ცხვება, ასევე კაცი ჭირთათმენით იძენს გონიერებას.

ჩრჩილი, მთავარო, ტანსაცმელს ღრღნის, ხოლო კაეშანი — ადამიანის სულს. დარდი სისხლს უშრობს ძეხორციელს.

ვინც ჭირსა შიგან ადამიანს მწოდ მიუვა, თითქოს ცივი წყალი მიეწოდებინოს მცხუნვარე დღეს.

ფრინველს გაზაფხული ახარებს, ჩვილს — დედა. გაზაფხული ველმინდვრებს ყვავილებით რთავს, ხოლო შენ,

მთავარო, მოწყალეობით აცოცხლებ ყველას, ობოლთა და ქვრივთ — დიდებულთა მიერ ჩაგრულთ.

მთავარო, ბატონო ჩემო!

მიჩვენე სახე შენი, რადგან ხმა სამომო გაქვს და შესახედაობა — მშვენიერი; ბაგენი შენი თაფლად დნებიან, ხოლო შენგან მოძღვნილი — სამოთხის ნაცოფის ბადალია.

ოდეს გამხიარულდები ძვირფასად გაწყობილ სუფრასთან, — მეც გამიხსენე, გამხმარ ყუას რომ ვღეჭავ;

ანუ ოდეს ნუგბარ სასმელს მიირთმევ, — მეც გამიხსენე ნელთბილ წყალს რომ ვყლაპავ;

ხოლო ოდეს რბილ საწოლზე განისვენებ და სიასამურის საბნები გხურავს, — მეც გამიხსენე, ძველი ფლასი რომ მადევს, სიცივისაგან რომ გაგშეშებულვარ და წვიმის წვეთები, ვითარცა ისრები, გულის ფიცრამდე მსერავენ.

ნუ მომუშტავ ხელს, მთავარო ჩემო, ღარიბთათვის წყალობის გაცემისას. როგორც მცირე რამ თასი ვერ ამოხაპავს ზღვას, ასევე ჩვენი თხოვნები ვერ დასცილიან შენს სავსე სახლს.

ვითარცა ბადე არ იტოვებს წყალს, არამედ მხოლოდ თევზს, ასევე შენც, მთავარო, ნუ დაიტოვებ ოქროსა და ვერცხლს, არამედ ხალხს დაურიგე.

ხომ მშვენიერია მრავალფერი აბრეშუმით ამოქარგული ძვირფასი ქსოვილი, ასევე შენც, მთავარო, მრავალი სახელოვანი ადამიანით დამშვენებული ევლინები ქვეყანას.

ოდესღაც თავი იქო მეფე ეზეკიამ ბაბილონის მეფის ელჩთა წინაშე და არივენა მათ ურიცხვი ოქრო და ვერცხლი. მათ კი თქვეს: „ჩვენი მეფე შენზე მდიდარია, მაგრამ არა უთვალავი ოქროთი, არამედ მრავალრიცხოვანი ლაშქრით. ლაშქარი ოქროს იშოვის, ხოლო ოქროთი ლაშქარს ვერ იშოვი“.

როგორც მთავარმა სვიატოსლავმა, ოლგას ვაჟმა, თქვა, ოდეს ცარგრადზე მცირე ლაშქრით მიემართებოდა: „ძმებო, ან ჩვენ დაგვლუპავს ეს ქალაქი, ან



ჩვენ დავლუპავთ ამ ქალაქს!“ ვითარცა ღმერთი ისურვებს ისე იქნება: ერთი ასს გააქცევს, ხოლო ასი ათასს გაირეკავს. ის, ვინც ზენაარს მინდობილია, არასდროს შედრკება, ვითარცა მთა სიონისა.

ხომ ადვილია მაღალი ბორცვიდან ცხენების მწყემსვა, ასევეა ღირსეული მთავრის ლაშქარში ყოფნაც. ხშირად უთაურობა ღუპავს ლაშქარს. მინახავს: ვეება უხეცია და თავი არა აქვს. ამგვარივეა ლაშქარი კარგი მთავრის გარეშე.

ებნის ლარებს თითები ამღერებენ, სხეულს ძარღვები აძლევენ სიმტკიცეს, მუნას ურიცხვი ფესვი ამაგრებს, ხოლო ჩვენს ქალაქს — შენი მართვა-გამგებლობა.

გულუხვი მთავარი მრავალ მსახურთა მამაა: ბევრი ხომ საკუთარ მშობლებსაც მიატოვებს ხოლმე და მასთან მიდის. კარგი ბატონის სამსახური თავისუფლებას მოგაპოვებინებს, ხოლო ბოროტისა — უფრო დიდ მონობაში შთაგაგდებს.

გულუხვი მთავარი იმ მდინარესა ჰგავს, რომელიც მუხნარში უნაპიროდ მიედინება და წყურვილს უკლავს ყველას — ადამიანსაც და ნადირსაც. ძუნწი მთავარი კი ის მდინარეა, რომელიც კლდოვან ნაპირებში მიდის: ვერც შენ მოგიკლავს წყურვილს და ვერც ცხენს.

გულუხვი ბატონი გზის პირას მდებარე მტკნარი წყლით სავსე ჭასავითაა: ბევრს უკლავს წყურვილს; ხოლო ძუნწი — მლაშე წყლით სავსე ჭასა ჰგავს.

ნუ იქონიებ სამოსახლოს მთავრის კარის გვერდით და სოფელს — მთავრის სოფლის ახლოს; რადგან მისი მოურავი ვერხვზე დანთებული ცეცხლივითაა, ხოლო ნაპერწკლები მსახურებს ჰგვანან: ცეცხლს თუ გადაურჩი, ნაპერწკლებს სად დაემალები? — ტანსაცმელს გაგიწვავენ.

ბატონო ჩემო! ნუ მოაკლებ ღუკმაპურს ბრძენ ღატაკს და ნუ აღამაღლებ ცამდე მდიდარ სულელს. რადგან ბრძენი ღატაკი ნეხვის ჭურჭელში მდებარე ოქროს, ხოლო გაპრანჭული და სულელი

მდიდარი თივით გატენილი აბრეშუმის ბალიშისპირია.

ბატონო ჩემო! ნუ შემაფასებ გარეგნობით, არამედ ნახე, შიგნით როგორი ვარ. თუმცა ტანსაცმელი ღატაკისა მშობსა, მაგრამ გონება მაქვს მდიდარი. ნორჩი ასაკისა ვარ, აზრი კი მსცოვანისა მაქვს. ვითარცა არწივი, ფიქრით ცაში შევინავარდებ!

აბა დამიდგი თიხის ჭურჭელი ენის საწვეთელთან და თაფლზე უტკბეს სიტყვებს დაწვეთავენ ბაგენი ჩემი. ვითარცა თქვა დავითმა: „რაბამად ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფროის თაფლისა პირსა ჩემსა“. ხომ სოლომონსაც უთქვამს: „ენამან ბრძენთამან კეთილი იცის, ხოლო პირმან უგუნურმან მიუთხრას ძვირი“.

გონიერი კაცი რომ სადმე წარგზავნო ბევრი შეგონება არ დასჭირდება, ხოლო თუ სულელს წარგზავნი, — შენც თან უნდა გაჰყვე.

გონიერთა თვალი სიკეთის მდომელია, ხოლო სულელთა — ლხინისა.

სჯობს ჭკვიანთა კამათს უგდო ყური, ვიდრე სულელის მითითებას.

ბრძენს თუ დაარიგებ, — უბრძენსი გახდება.

მიჯნაზე ხორბალი არ დათესო და სულელთა გულში — სიბრძნე.

ქვეყნად სულელებს არცა სთესენ, არცა მკიან, არც ბელელში ინახავენ, არამედ თავისით ჩნდებიან. სულელთა შეგონება გახეულ ტიკში ღვინის ჩასხმაა.

როგორც ძაღლებსა და ღორებს არ სჭირდებათ ოქრო და ვერცხლი, ასევე სულელს — ბრძნული სიტყვა.

მკვდარს ვერ გააცინებ და სულელს ჭკუას ვერ ასწავლი.

ოდეს წიწკანა არწივს ჩაყლაპავს, ოდეს ქვა წყალში ცურვას დაიწყებს, ოდეს ღორი ციყვს შეუყეფავს, მაშინ სულელიც ჭკუას ისწავლის.

ნუთუ მიპასუხებ: ყველაფერ ამას უჭკუობა გაყბედებსო? ტილოს ზეცა ხომ არ გინახავს, არც ხელოვნური ვარ-



სკვლავები და არც ჭკვიანურად მოსაუბრე სულელი.

იქნებ ნითხრა: ძალღივით მატყუებო? მაგრამ ერთგული ძალღი მთავრებსაც და დიდებულებსაც უყვართ.

ნუთუ მეტყვი: ქურდღივით მომატყუეო? ქურდობა რომ შემძლებოდა, შენ არ მოგმართავდი. ქალი სილამაზეს მრუშობით ღუპავს, ხოლო კაცი ღირსებას — ქურდობით.

ბატონო ჩემო! ზღვა ხომ არ სძირავს ხომალდებს, არამედ — ქარი; ცეცხლი ხომ არ ახურებს რკინას, არამედ — საბერველი; ასევეა მთავარიც, — თვით კი არ ცდება, არამედ მრჩეველნი აცდენენ. კარგი მრჩეველის საშუალებით მთავარი უფრო დიდ სატახტოს იშოვის, ხოლო ცუდი მრჩეველის მიზღვით — მცირეც დაეკარგება.

ხალხური ანდაზა ამბობს: პირუტყვთა შორის თხა რა პირუტყვია, ნადირთა შორის ზღარბი რა ნადირია, თევზთა შორის კიბორჩხალა რა თევზია, ფრინველთა შორის ღამურა რა ფრინველია, კაცთა შორის ის რა კაცია, ვიზუდაც ცოლი ბატონობს, ქალთა შორის ის რა ქალია, ვინც ქმრიანია და მრუშობს, საქმეთა შორის ის რა საქმეა, რომ ღალა დანიშნულებისამებრ საკუთარი ზურგით მიზიდო.

საოცრებათა საოცრება ის არის, რომ ვინმემ მახინჯი ცოლად მოიყვანოს სარგებლის გამო.

მინახავს მახინჯი ქალი, სარკეს მიყუდებული რომ ფერ-უმარისს ისვამდა, და მითქვამს მისთვის: სარკეში ნუ იცქირები, რადგან მხოლოდ შენი სახის სიმახინჯეს იხილავ და უფრო გაავდები!

ნუთუ მირჩევ, ბატონო: მდიდარს დაესიძე და სიმამრთან სვი და სჭამეო? მიჯობს წაბლა ხარი შევიყვანო შინ, ვიდრე ავი ქალი, — ხარი ხომ უტყვია და უბოროტო. ხოლო ავი ცოლი, თუ სცემ — აღჭაჯდება, თუ ეალერსები — ამპარტავნდება, სიმდიდრეში ამაყი ხდება, ხოლო სიღარიბეში — აყვია.

რა არის ავი ცოლი? — თაღლითი

ვაჭრუკანა, ეშმაკეული მკრეხელი. ავი ცოლია ხალხის არეულობის, გონების დაბნელების, ყოველივე ბოროტების სათავე; იგია ეკლესიაში ეშმას ხარკის ამკრები, ცოდვის მოსარჩლე, კაცის დამღუპველი.

თუ ქმარი კმაყოფილია ცოლის სილამაზით, ყურს უგდებს მის ალერსიან და მლიქვნელურ სიტყვებს, ხოლო საქმეებს არ უმოწმებს — დე მას ციებ-ცხელება შეეყაროს და წყვეულ იყოს მარადის.

აჰა, ნახეთ, ძმანო, ავი ცოლი. ეუბნება იგი ქმარს: ბატონო ჩემო და ჩემთა თვალთა სინათლე! შენი ყურებაც კი მიჭირს. ოდეს მესაუბრები და გხედავ. გული მიღონდება, სხეულის ყველა ასო მისუსტდება და ძირს ვეშვები.

ისმინეთ, ქალებო, სიტყვა მოციქულ პავლესი: თავი ეკლესიისა ჯვარია, ხოლო თავი ცოლისა — ქმარია მისი. ცოლებო, მაშ იდექით საყდრებში და ევედრეთ ღმერთსა და წმინდა ღვთისმშობელს, ხოლო, თუ რაიმეს სწავლა გსურთ, ისწავლეთ შინ, საკუთარი ქმრებისაგან. ხოლო თქვენ, ქმრებო, სჯულიერად შეინახეთ ცოლნი თქვენი, რამეთუ კარგი ცოლი ძნელი საშოვარია.

კარგი ცოლი ქმრის გვირგვინი და სიხარულია, ხოლო ცოლი ავი, — სასტიკი ჭირი და ოჯახის დაქცევა. ჭია ხესა ხრავს, ავი ცოლი კი ქმრის სახლსა ჰფიტავს. სჯობს, რომ ძირგახვრეტილ ნავში ჩაჯდე, ვიდრე ავი ცოლს საიდუმლო გაანდო: ძირგახვრეტილ ნავში ტანსაცმელი თუ დაგისველდება, ხოლო ბოროტი ცოლი ქმარს სიცოცხლეს მოუსწრაფებს.

ქვის კოდვა სჯობია ავი ცოლის წვრთნას.

რკინას გადაადნობ, ბოროტ ცოლს კი ვერაფერს შეაგნებინებ, რადგან მას არც სწავლა ესმის, არც ეკლესიის პატივისცემა აქვს, არც ღვთის ეშინია. არც ხალხის რცხვენია, სამაგიეროდ ყველას ჰყვედრის და ჰკიცხავს.



ოთხფეხთა შორის რაა ლომზე სას-  
ტიკი, ხოლო მიწაზე მცურავთა შორის  
გველზე საშინელი? ყველა ამათზე ბო-  
როტი ავი ცოლია. არაფერია ქვეყნად  
ქალის ღვარძლზე უარესი. ქალის გამო  
პაპაჩვენნი აუამი სამოთხიდან გამოაძე-  
ვეს; ქალის გამო იოსებ შშვენიერი დი-  
ლეგში დაამწყვდიეს; ქალის გამო წი-  
ნასწარმეტყველი დანიელი ორმოში  
შთააგდეს, სადაც ლომები ფეხებს ულო-  
კავდნენ. ო, ბოროტო, ეშმაკის ბასრო  
იარაღო და შხამიანო ისარო!

ერთ კაცს ცოლი მოუკვდა და შვი-  
ლების გაყიდვა იწყო. ხალხმა ჰკითხა:  
რად ჰყდიო ბავშვებს? მან უპასუხა:  
თუ დედას დაემგვანენ, როცა გაიზრდე-  
ბიან თვით მე გამყიდვიანო.

მაგრამ დავუბრუნდეთ წინანდელს.

მე, მთავარო, არც ზღვის გაღმა ვყო-  
ფილვარ და არც ფილოსოფოსებთან  
მისწავლია.

ვიყავ ვითარცა ფუტკარი, სხვადას-  
ხვა ყვავილს რომ სწუწნის და ფიჭაში  
თაფლს აგროვებს.

ასევე მეც, — მრავალი წიგნიდან ვი-  
ძენდი სიტყვათა სიტკბოსა და აზრს,

მოვაგროვე კიდევ, ვითარცა ზღვის წყა-  
ლი ტიკით.

ბევრს აღარ გეტყვი, ნუ დაუშლი  
სულელს სისულელეს, რათა მასვე არ  
დაემგვანო.

გრძელ საუბარს არ გაგაბამ. გახეულ  
ტიკს არ დავემგვანები, უგუნურთ სიმ-  
დიდრეს არ ვარგუნებ.


არ დავემგვანები წისქვილის დოლა-  
ბებს, უამრავ ხალხს რომ ჰკვებავენ და  
თვით კი ხორბლით ვერ გამძღარან.

თავს არ მოვაძულებ ქვეყანას მრავალსიტყვაობით იმ ჩიტის მსგავსად,  
გაუთავებლად ერთსა და იმავეს რომ  
უსტვენს და ხალხს თავს აბეზრებს.

რადგან ხალხს უთქვამს: გრძელი  
სიტყვა უვარგისია, გრძელი მხოლოდ  
ძვირფასი ქსოვილია კარგი.

ღმერთო! მიეც ჩვენს მთავარს ძალა  
სამსონისა, სიმამაცე ალექსანდრესი, გო-  
ნიერება იოსებისა, სიბრძნე სოლომო-  
ნისა, ხელოვანება დავითისა და ამრავ-  
ლე ხალხი მის ფერხთა ქვეშე.

უფალს ჩვენსას დიდება აწ და მარა-  
დის და უკუნისით!





ლავრა აბაშიძე

## ნიკოლოზ ბარათაშვილი ფრანგულ ენაზე

დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებამ ქართველ პოეტთაგან ერთერთმა პირველმა მიიქცია მთარგმნელთა ყურადღება.

ბარათაშვილის ცალკე ლექსები არაერთხელ ითარგმნა რუსულად, ჯერ კიდევ რევოლუციამდე. რუსი პოეტების ეს ხანგრძლივი ინტერესი ბარათაშვილის შემოქმედებისადმი დავიგვირგვინდა შესანიშნავი პოეტის ბორის პასტერნაკის ბრწყინვალე თარგმანებით. ბ. პასტერნაკმა მთლიანად თარგმნა ბარათაშვილის მთელი პოეტური მემკვიდრეობა და, თუმცა მან ამ თარგმანების საუკეთესო ნიმუშებში სხვებისათვის მიუწვდომელ მწვერვალებს მიაღწია, ჩვენდა სასიხარულოდ, კიდევ გრძელდება ცდები ხელახლა თარგმნონ და ახლებურად ააჟღერონ ქართველი მგოსნის განუმეორებელი შემოქმედება.

ამის საუკეთესო დადასტურებაა ნამუშევარი ცნობილი ლენინგრადელი პოეტის მიხეილ დუდინისა, ვინაც არ დააფრთხო ბ. პასტერნაკის პოეტურმა ავტორიტეტმა და, მის შემდეგ, ხელახლა და მთლიანად თარგმნა ნ. ბარათაშვილი.

ფართოდაა ცნობილი ნ. ბარათაშვილის უკრაინული და სომხური თარგმანები, თარგმანები სხვა მოძმე ხალხების ენებზეც. ჩვენ აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

ქართული პოეზიის გაცნობისთანავე, ყველა უცხოელი პოეტი განსაკუთრებული ინტერესით იმსჯვალეა ბარათაშვილისადმი.

ბარათაშვილის ლექსები ითარგმნა გერმანულ (ბლაიხშტაინერი), ჩეხურ (ედლიჩკა), პოლონურ (პოეტების ჯგუფი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში), უნგრულ, ბულგარულ და სხვა ენებზე. მაგრამ ამ თარგმანებს უფრო შემთხვევითი, არასისტემატური ხასიათი ჰქონდა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ქართული კულტურის რუმინელი მეგობრის — ვიქტორ კერნზახის ღვაწლი, ვინაც მთლიანად თარგმნა ბარათაშვილის პოეზია რუმინულ ენაზე.

ნ. ბარათაშვილის უცხო ენებზე თარგმნის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა პოეტის დაბადების 150 წლის საიუბილეო დღეებში.

საიუბილეო კომიტეტის ინიციატივით მომზადდა ბარათაშვილის ფრანგული, ინგლისური და გერმანული პწკარედები.

ინგლისური პწკარედი სათარგმნელად ჰოლანდს გადაეგზავნა ლონდონში. მან შესძლო საიუბილეოდ ეთარგმნა ქართველი პოეტის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბარათაშვილის ლექსების გერმანულ ენაზე სათარგმნელად თბილისში გერმანიიდან პოეტი რაინერ კირში მოიწვიეს.

კირშიმა საქართველოში იმუშავა თარგმანზე ჩვენი გერმანისტების კონსულტაციით და მთლიანად შეასრულა დაკისრებული სამუშაო. რაინერ კირშის მიერ თარგმნილი ნ. ბარათაშვილის წიგნი პოეტის იუბილეს დღეებში გამოვიდა თბილისში (გამომც. „განათლება“, 1969 წ.). ნ. ბარათაშვილის ფრანგულ ენაზე თარგმნის ორგანიზაციის საკითხზე მოლაპარაკებისათვის საიუბილეო კომიტეტმა თბილისში მოიწვია „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანების“ დირექტორი მადლენ ბრონი. მ. ბრონმა, როგორც საბჭოთა ლიტერატურის მეგობარმა და ფრანგულ ენაზე გამომცემელმა, თავისი მდიდარი გამოცდილება გამოიყენა იმისთვის, რომ შექმნილიყო ბარათაშვილის პოეზიის მაღალმხატვრული თარგმანი ფრანგულ ენაზე და დროულად და გემოვნებით გამოცემულიყო იგი პარიზში.

გამომცემელმა გ. ბუაჩიძის მიერ გაკეთებული პწკარედები გაუნაწილა ცნობილ ფრანგ პოეტებს. ბარათაშვილის ბევრი მნიშვნელოვანი ლექსის თარგმნა იკისრა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ქართველმა მთარგმნელმა სერგი წულაძემ. მასვე დაევალა ფრანგული გამოცემისათვის წინასიტყვაობის დაწერა.

გადაწყდა, ფრანგული გამოცემა დაბეჭდილიყო ორ ენაზე — ქართულად და ფრანგულად (პარალელური ტექსტები). გამომცემლის აზ-



რით, ამგვარად დაბეჭდვას ორი მიზანი უნდა ჰქონოდა: ერთი, რომ იგი თარგმანის სიახლოვესა და შესატყვისობაზე დაინტერესებულ მკითხველს წარმოდგენას ორივე ენაზე მისცემდა; მეორე — ფრანგი მკითხველისათვის უცნობი ქართული დამწერლობა, სილამაზითა და ორნამენტულობით, წიგნში გრაფიკული სამკაულის როლსაც შეასრულებდა. წიგნი დროულად დაიბეჭდა პარიზში და ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისში ჩამოვიდა პოეტის საიუბილეო დღესასწაულისათვის. ბარათაშვილის პარიზული გამოცემის გარეკანს ამშვენებს ძველი ქართული ჭედურობის ნიმუშის რეპროდუქცია და ორენოვანი წარწერა: „ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი . ლ ე ქ ს ე ბ ი . ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა.“

წიგნს წინ უძღვის ს. წულაძის წინასიტყვაობა. ს. წულაძის წერილში (სულ რვა გვერდია) მოკლედაა გადმოცემული პოეტის ბიოგრაფია, ის სოციალური და პოლიტიკური გარემო, საქართველოში რომ შეიქმნა რუსეთთან შეერთების შედეგად. სწორედ ამ გარემოში უხდებოდა ცხოვრება ბარათაშვილს. ავტორი გონებამახვილურ პარალელებს ავლებს ბარათაშვილსა და მის თანამედროვე რუს და დასავლელ რომანტიკოსებთან (ლერმონტოვი, ნოვალისი, ჟერარ დე ნერვალი და სხვა).

ს. წულაძე ცალკე გამოყოფს ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“, მკითხველს მოუთხრობს, როგორ უცქერის პოეტი რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხს და უჩვენებს იმ დიდ სულიერ ტკივილებს, 1832 წლის შეთქმულების მარცხს რომ მოჰყვა თან.

წერილში ლაპარაკია, თუ რა ადგილი უჭირავს ნ. ბარათაშვილს მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში, რაოდენ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მან ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ს. წულაძის წერილი წარმოდგენას მისცემს მკითხველს ბარათაშვილის დროინდელ საქართველოს სულიერ ცხოვრებაზე და ინტერესს აღუძრავს უფრო მეტი გაიგოს დიდ ქართველ პოეტსა და მის მშობელ ქვეყანაზე.

თუ არ ჩავთვლით ჩვენი დროის დიდი ფრანგი პოეტის ლუი არაგონის მიერ შესრულებულ „მერანის“ თარგმანს, („მერანი“ არაგონმა შენიშვნებით თარგმნა და შესულია მის წიგნში „საბჭოთა ლიტერატურა“), ბარათაშვილის პოეზიის და, საერთოდ, ქართული პოეზიის თარგმნას პირველად მოჰკიდეს ხელი პროფესიონალი პოეტებმა, ფრანგული პოეტური სიტყვის აღიარებულმა ოსტატებმა და საბჭოთა ლიტერატურის თარგმნაშიც გამოცდილების მქონე მთარგმნელებმა.

ბარათაშვილის ხუთი მთარგმნელიდან ოთხი დღევანდელი ფრანგული ლიტერატურის გამო-

ჩენილი წარმომადგენელია. ესენი არიან: ე. გილვიკი, პიერ გამარა, მაქს-პოლ ფუშე და ჟაკ გოშერონი.

მეხუთე მთარგმნელი — ჩვენი თანამემამულე სერგი წულაძეა, ვისაც ჩვენი და ფრანგი მკითხველი იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანით.

ყველაზე მეტი ბარათაშვილის ლექსთაგან თარგმნა ე. გილვიკმა („ქეთევანი“, „ლამე ყაბახზე“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „ჩონგურს“, „ნაპოლეონი“, „არ უკიჟინო“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“, „ვპოვე ტაძარი“, „რად ყველრი კაცსა“, „მიყვარს თვალები“, „შენი დალალნი“, „სულ ბოროტო“).

ე. გილვიკი თანამედროვე ფრანგული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მისი ლექსები უხვადაა შესული ჩვენი დროის ფრანგული პოეზიის ყველა ანთოლოგიაში.

გილვიკის ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე და მათ შორის რუსულადაც (მთარგმნელი კუდინოვი). აღსანიშნავია ისიც, რომ ე. გილვიკს აქვს მთარგმნელობითი მუშაობის დიდი გამოცდილება. მან ფრანგულიდან თარგმნა რუსული პოეზიის არა ერთი ნიმუში, და დიდი ნაწილი ამ თარგმანებისა შევიდა პარიზში გამოცემულ რუსული პოეზიის ანთოლოგიაში.

ე. გილვიკის თარგმანები დიდ მოწონებას იმსახურებს, როგორც დედანთან სიახლოვით, ისე ლექსის მაღალი ოსტატობით.

რაოდენობით, გილვიკის შემდეგ, ბარათაშვილის ლექსების უმეტესი ნაწილი თარგმნა ცნობილმა ფრანგმა პოეტმა და პროზაიკოსმა, პუბლიცისტმა და პროგრესულმა საზოგადო მოღვაწემ — პიერ გამარამ.

მას დიდი სიყვარულით უთარგმნია ნ. ბარათაშვილის ისეთი შედევრები, როგორიცაა „სულ ბოროტო“, „საყურე“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ჩემი ლოცვა“, „სუმბული და მწირი“ და სხვა.

ხოლო ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ თარგმნა ცნობილმა ფრანგმა პოეტმა და მთარგმნელმა ჟაკ გოშერონმა.

მთარგმნელი ერთგულად მიჰყვება დედანს და დიდი ოსტატობით გადმოსცემს არაგვის ჭალების შესანიშნავ სურათს, ომის სცენასა და მეფე ერეკლესა და სოლომონ ლეონიძის მღელვარე დიალოგს.

კრებულში პოეტური მეტყველების სიფაქიზითა და ღრმა ლირიულობით გამოირჩევა მაქს-პოლ ფუშეს მიერ თარგმნილი ბარათაშვილის ორი შედევრი „ხმა იდუმალი“ და „ჩემს ვარსკვლავს“.

ნ. ბარათაშვილის დანარჩენი ლექსების, მათ



შორის „მერანის“, თარგმანი, სერგი წულაძეს ეკუთვნის.

ალსანიშნავია ს. წულაძის თარგმანის ზედმიწევნითი სიახლოვე დედანთან. ს. წულაძე ერთადერთია მთარგმნელთაგან, ვინაც ერთგული დარჩენილა ბარათაშვილის რითმისა და ყველგან შეუნარჩუნებია იგი.

რითმა დღეს ფრანგულ პოეზიაში, საერთოდ, გამოსულია ხმარებიდან. მსოფლიო პოეზიის ფრანგულ თარგმანებში რითმას იშვიათად ვხვდებით და, ამ შემთხვევაში, ნ. ბარათაშვილის ლექსების დიდი ნაწილის ურითმოდ თარგმნაჲ ქართველ მკითხველს არ უნდა შეუქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს იყოს დიდი ქართველი პოეტის ფრანგული თარგმანის ნაკლი.

მაგრამ ბარათაშვილის თარგმანის ხარისხზე, ფრანგულად ამ პოეტის გამოცემის მნიშვნელობაზე, სჯობს სიტყვა ისევ ფრანგებს დავუთმოთ. ამ შემთხვევაში ისინი უფრო კომპეტენტურნი და ობიექტურნი არიან.

ნ. ბარათაშვილის ლექსების პარიზულ გამოცემას ფრანგული პრესა ფართოდ გამოეხმაურა.

არ დარჩენილა არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი გაზეთი, საგანგებო წერილები რომ არ მიემღვნას ქართველი პოეტის ფრანგული გამოცემისათვის.

ჩვენ აქ მხოლოდ ლიტერატურით დაინტერესებული გაზეთების გამოხმაურებას დავიმოწმებთ და ისიც ფრაგმენტულად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდებოდა მთელი ფრანგული პერიოდიკის ფურცლებიდან ყველა წერილის გადმოწერა, რაც დიდ დროსა და ადგილს მოითხოვდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ხანებში, როცა ფრანგმა მკითხველმა ნ. ბარათაშვილის ტომი მიიღო, პარიზში მოეწყო ნ. ფიროსმანის გამოფენა.

როგორც ცნობილია, ფიროსმანის გამოფენამ პარიზელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და პრესაც ძალიან გულმხურვალედ და ფართოდ გამოეხმაურა.

თითქმის ყველა გაზეთი ერთმანეთს უკავშირებდა ნ. ფიროსმანის გამოფენას და ნ. ბარათაშვილის წიგნის გამოსვლას და აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნიდა ფრანგი საზოგადოების ამ პირველ შეხვედრას ორ დიდ ქართველ შემოქმედთან.

ფრანგულმა გაზეთმა „ფრანს ნუველმა“ გამოაქვეყნა ხელმოუწერელი წერილი სათაურით „საქართველოს რომანტიკოსი.“ მოგვყავს წერილის თარგმანი:

„XIX საუკუნე საქართველოსთვისაც როდი იყო რომანტიკას მოკლებული. ამის საუკეთესო გამომხატველია ერთ-ერთი უდიდესი ქართვე-

ლი პოეტი ნ. ბარათაშვილი (1817 — 1845). იგი 28 წლისა გარდაიცვალა და ვერ მოესწრო სიცოცხლეში თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნებას. ს. წულაძე ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობაში წარმოგვიდგენს პოეტს, და ეს პოეტი აღმოჩენა იქნება ბევრი ფრანგი მკითხველისათვის. ეს იყო დიდი რომანტიკული ფერების მიმართ მეტად მგრძობიარე, ნატიფი პოეტი.

ბუნებისადმი:

„პოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ,  
ადგილნი შენნი

დამაფიქრველნი,

ვერანანი და უდაბურნი...“

მარტოობისადმი:

„მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,  
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;  
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული  
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!..“

გმირობისადმი:

„მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ,  
გმირო მხცოვანო,  
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე,  
მეფევ ხმოვანო!..“

სიყვარულისადმი, ზოგჯერ ელეგიურად:

„ხან ძილსა იკრთობს,  
ხან სევდით ოხრავს,  
ხანცა ყოველ სულს ამხიარულებს,  
ხან სიკვდილს იწვევს,  
ხან შორით ოცნებს,

ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!  
არ დაიჭერებ, თუ ვით სატრფო ხარ!..“

მაგრამ შესანიშნავი რომანტიკოსის, ბარათაშვილისათვის, სიყვარული უფრო ხშირად არის სასოწარკვეთა:

„ვერლა აღმიგო სიყვარულმა კვალად  
ტაძარი!

ვერსად აღვანთე დაშთომილი

მისი ლამპარი!“

დასასრულ, დიდი ეპოპეა, შეგვიძლია ვთქვათ, ჰიუგოსებური ეპოპეა, ეს არის „ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა“ და სწორედ მისი სათაური დაერქვა ფრანგულ კრებულს.

ეს არის მეფე ერეკლეს მოღვაწეობის პოეტური მოთხრობა. და როგორც ს. წულაძე ამბობს თავის წინასიტყვაობაში:

„გრძელი დიალოგი ქართლის ბედზე არის თავისებურად განაწილებული მონოლოგი ბარათაშვილისა, ჰამლეტის მსგავსად რომ აყენებს საკითხს, თუ რა უნდა გაკეთდეს ერის გადასარჩენად“.

აქვე დაგვინთ კიდევ ერთს: მაქს-პოლ ფუშეს, პიერ გამარას, ყაკ გოშერონის და გილვიკის მიერ თარგმნილი ლექსების გვერდით, კრებულში პოეტის ნაწარმოებები ქართულადაც არის დაბეჭდილი და ჩვენ არ ვიცით არაფერი გრაფიკულად იმაზე ლამაზი, ვიდრე ქართული დამ-



წერლობა ყოფილა, არაფერი დედამიწის ზურგზე! ამ დამწერლობით მოხიბლულს აღარ გინდა ქართულის შესწავლა; ეს განუმეორებელი მშვენიერება დაჰკარგავდა მთელ თავის იდუმალებას.“

იგივე „ფრანს ნუველი“ თავის 1969 წლის 5 მარტის ნომერში კვლავ უბრუნდება ბარათაშვილს და აქვეყნებს პოეტის ოთხ ლექსს საერთო სათაურით: „ნიკოლოზ ბარათაშვილი. „ბედი ქართლისა“.

ლექსებს წამძღვარებული აქვს რედაქციისაგან პატარა შესავალი წერილი; წერილში ნათქვამია: „ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845) არის უპირველესი და უდიდესი რომანტიკოსი პოეტი ქართულ მწერლობაში. იგი ეკუთვნის პოეტების იმ კატეგორიას, ვინც იმდენად გულში ჩამწვდომად გამოთქვამენ გრძნობებს, რომ დროის საზღვრები და ენობრივი ბარიერები უძლურნი არიან ხელი შეუშალონ ჩვენს ფიქრებზე მათ ზემოქმედებას.“ ამ სიტყვებით წარმოგვიდგენს ს. წულაძე ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებს ორენოვანი (ქართულ-ფრანგული) გამოცემისათვის მის მიერ დაწერილ წინასიტყვაობაში. „ბედი ქართლისა“ გამოსცა ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ და ჩვენ ვფიქრობთ, საგულისყურო უნდა იყოს აქ წარმოგიდგინოთ პოეტის ოთხი ლექსი წიგნიდან, გამომცემელთა კეთილი სურვილით რომ დაისტამბა სწორედ მაშინ, როცა ასე ბევრს ლაპარაკობენ მეორე ქართველზე, დიდ მხატვარ ფიროსმანიშვილზე (1862—1918). იგი ნ. ბარათაშვილის უდროო გარდაცვალებიდან ოცი წლის მერე დაბადებულია და მის ნამუშევართა გამოფენა ახლახან მოეწყო დეკორაციულ ხელოვნებათა მუზეუმში“.

ამ შესავალს თან ერთვის ნ. ბარათაშვილის პორტრეტი (ლ. გუდიაშვილისა) და ერთმანეთის მიყოლებით დაბეჭდილია ოთხი ლექსი:

„მერანი“ (ს. წულაძის თარგმანი), „საყურე“, (პ. გამარას), „როს ბედნიერ ვარ“ (გილვიკი), „ხმა იდუმალი“ (მაქს-პოლ ფუშე).

ლ. არაგონის გაზეთი „ლელეტრ ფრანსეზ“ (ფრანგული ლიტერატურა) 1969 წლის 5 მარტის ნომერში ბეჭდავს ნ. ბარათაშვილის პარიზული გამოცემის ანოტაციას, აღნიშნავს, რომ ეს არის დიდი ქართველი პოეტის პირველი სრული თარგმანი ფრანგულ ენაზე, შესრულებული ფრანგი პოეტების — მაქს-პოლ ფუშეს, პიერ გამარას, გილვიკისა და გოშერონის, აგრეთვე ს. წულაძის მიერ; მასვე ეკუთვნის ამ ორენოვანი გამოცემის წინასიტყვაობაც.

„დიდი ქართველი მხატვრის ფიროსმანიშვილის (1862—1918) გამოფენა, — წერს გაზეთი, — იხსნება დეკორაციული ხელოვნების მუზეუმში. იგი დაიბადა მაშინ, როცა ჯერ ოცი

წელი არ იყო გასული დიდი ქართველი რომანტიკოსის, ნ. ბარათაშვილის სიკვდილიდან; „ლ ე კ ო ლ ე ლ ა ნ ა ს ი ო ნ“ (სკოლა დაერი) 1969 წლის ნოემბრის ნომერში წერს:

„ნ. ბარათაშვილი დაიბადა 1817 წელს, გარდაიცვალა 28 წლის ასაკში, ცხადია, მისი პოეტური ნაწარმოებები არცთუ ბევრია, მაგრამ პატარა ორენოვანი კრებული „ბედი ქართლისა“ მაინც საკმარისია იმისთვის, რომ იგი მე-19 საუკუნის ყველაზე დიდ ქართველ პოეტად მივიჩნიოთ, იგი უტოლდება რუსთაველს, პუშკინს და ლერმონტოვს. ბარათაშვილი ისეთი აღმოჩენაა, ვინაც არავითარ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეს. ლექსები თარგმნილია მაქს-პოლ ფუშეს, პ. გამარას, ჟაკ გოშერონისა და გილვიკის მიერ“.

„რ ე ვ ი უ ფ რ ა ნ ს ი უ რ ს ს“.

1969 წლის მარტი.

„პასტერნაკმა რუსულად თარგმნა ლექსები მე-19 საუკუნის დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილისა, მეტეორივით რომ გაანათა ქართული პოეზია ერთი საუკუნის წინათ და გაკაფა დღემდე დაუვიწყარი გზა. გულითადად მისასალმებელია ბარათაშვილის ნაწარმოებების ორენოვანი გამოცემა. სერგი წულაძის წინასიტყვაობა ძლიერ მკაფიოა. ხოლო მაქს-პოლ ფუშეს, პიერ გამარას, ჟაკ გოშერონისა და გილვიკის თარგმანები მოხიბლავი ლექსებისა სიყვარულზე, მარტობაზე, დიდებასა და სამშობლოზე ღრმად ამაღლელებელია და ისინი გადმოცემენ მე-19 საუკუნის საქართველოს დრამატულ ეპოქას. სერგი წულაძე გვიჩვენებს პოეტურ ხაზს, ეს ხაზი იწყება ქართული ლიტერატურის ფუძემდებლის შოთა რუსთაველიდან და ორბელიანის გავლით მიდის ბარათაშვილამდე...“

წერილის ავტორია ჟაკ ნანტი.

ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს ბ ი უ ლ ე ტ ე ნ შ ი, 1969 წლის მარტში ჟაკ შევალე წერს:

„ამ კრებულში მოთავსებულია ლექსები, დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა; პოეტი დაიბადა 1817 წელს, გარდაიცვალა 1845 წელს, განჯაში, ფილტვების ანთებისაგან. მის ლირიკაში სასოწარკვეთა და ამბოხი ერთადაა შერწყმული და ამით იგი უახლოვდება ნერვალის პოეზიას. ნ. ბარათაშვილის უმთავრესი თემა სიყვარულია, მტანჯველი სიყვარული (უსიყვარულო ყოფა, სულის ობლობა). მაგრამ სხვა თემებიც გადაჯაჭვულია ამ თემასთან: ერთობ ბოდლერულია თემა ღამისა, ბუნებასთან ერთიანობისა, თავისუფლებისა,



ამ იდეალის ერთგულებისა, თავისუფლებისა, სხვისთვის გზის გამკვლევი რომ იქნება:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

რუსულად ბორის პასტერნაკმა თარგმნა ნ. ბარათაშვილის ლექსები. ფრანგული თარგმანები გ. ბუაჩიძის პწკარედიდან შეასრულეს მ. პ. ფუშემ, პ. გამარამ, ჟ. გოშერონმა და გილვიკმა.

კრებულს წამმღვარებული აქვს სერგი წულაძის წინასიტყვაობა, რომელიც ფრანგ მკითხველს დაეხმარება უკეთ გაიგოს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ფრანგული წიგნის კრიტიკის ბიულეტენი დეკემბრის ნომერში აქვეყნებს წერილს სათაურით: „ქართული ლიტერატურა.“

წერილში ნათქვამია:

„მაღლობის მეტი არაფერი გვეთქმის ფრანგ გამომცემელთა მიმართ, ქართველი რომანტიკოსი პოეტის ბარათაშვილის (1817 — 1845) ლექსები რომ დაბეჭდეს ქართულად და იქვე დედნის შესატყვისი თარგმანიც წარმოგიდგინეს მეტწილად გილვიკისა და პ. გამარას შესრულებით... ლექსებისა და წიგნის წინასიტყვაობის წაკითხვის შემდეგ ნათლად წარმოგიდგება ნ. ბარათაშვილი, მისი ქვეყანა, მისი დრო. თავისი პოეზიით იგი როგორღაც გვაგონებს ბაირონს. სხვა მხრივაც — ორივე არისტოკრატია, ორივე კოჭლი. იმათთვის, ვინც მოკლებულია კითხვის შესაძლებლობას და სურვილი აქვს მოისმინოს ბარათაშვილის ლექსები დედნის ენაზე, გაიგოს მისი კეთილმოგანება, სასურველი იყო მიგვეცა ტრანსკრიპცია. პოემის სათაურია „ბედი ქართლისა“. ეს ისტორიული პოემა ასახავს ქართველებისა და სპარსელების ბრძოლას. მკითხველისათვის შეიძლება უფრო მეტად საგულისხმო იყოს პოეტის ლექსები სიყვარულზე, სიცოცხლის სიმწარეზე, თავისთავად ნატიფი სიმღერები რომ არის. გარდა ბაირონისა, ბარათაშვილი სხვა ინგლისელ რომანტიკოსებსაც გვაგონებს. განსაკუთრებით კოლრიჯსა და შელის.“

წაუკითხავს ნეტავ ქართველ პოეტს ისინი, ან რით არის დავალებული იგი თავისი დიდი რუსი თანამედროვეებისაგან — ლერმონტოვისა და პუშკინისაგან? გვინდა ვიხილოთ სხვა კრებულებიც, სადაც ბევრ კითხვაზე იქნებოდა პასუხი გაცემული და უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნებოდა დიდ ქართველ რომანტიკოსზე.“

საფრანგეთის, პარიზის გაზეთების გამოხმაურების გარდა ჩვენს ხელთ არის სხვა ქვეყნებში დაწერილი რეცენზიებიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ გამოცემის ირგვლივ.

ჟენევის გაზეთი „ვუაზუვრიერ“ 1968 წლის 26 დეკემბრის ნომერში აქვეყნებს ცნობას: „ბედი ქართლისა“. პოემა ნ. ბარათაშვილისა.

„ნ. ბარათაშვილი (1817 — 1845) არის უპირველესი და უდიდესი რომანტიკოსი პოეტი ქართულ მწერლობაში. იგი ეკუთვნის პოეტების იმ კატეგორიას, ვინც იმდენად ღრმად, გულში ჩამწვდომად გამოთქვამენ გრძნობებს, რომ დროის საზღვრები და ენობრივი ბარიერი უძლურნი არიან ხელი შეუშალონ ჩვენს ფიქრებზე მათ შემოქმედებას.“ მისი ნაწარმოებები ხელნაწერებად დარჩა და პოეტის სიცოცხლეში არასოდეს დაბეჭდილა: ეს ხელნაწერები შეაგროვა და შეინახა მისმა მეგობარმა ქალმა. იგი პირველად გამოქვეყნდა პოეტის გარდაცვალებიდან მხოლოდ ოცი წლის შემდეგ.

ნ. ბარათაშვილის პოეზია არის გაგრძელება ქართული პოეზიის ტრადიციების, რუსთაველიდან რომ მომდინარეობს, მაგრამ მან ამავე დროს მშობლიური ქვეყნის პოეზიაში შემოიტანა ევროპული ჰანგები და ელფერი, განმსჭვალა რა თავისი შემოქმედება ოცნებით, მწუხარებითა და ამბოხი სულით, რაც მისი ცხოვრების შინაგანი დრამიდან მომდინარეობს.

საბჭოთა მკითხველი მის ნაწარმოებებს ბ. პასტერნაკის დიდებული რუსული თარგმანებით გაეცნო და ბარათაშვილს პუშკინისა და ლერმონტოვის გვერდით მიუჩინა ადგილი“.

გაზეთს ეს ციტატები მოჰყავს წინწკლებში და ბოლოში მიუთითებს, რომ იგი ამოღებულია სერგი წულაძის წინასიტყვაობიდან, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ გამოცემას რომ ერთვის თან.

ასეთივე ინფორმაციას ბეჭდავს ლოზანის (შვეიცარია) გაზეთი „ლა გაზეტ ლიტერერი“ თავის 1968 წლის 15 დეკემბრის ნომერში.

უფრო ვრცელი გამოძახილი დაიბეჭდა კვებეკის (კანადა) ფრანგულ ჟურნალ „ეუროპ“-ში, 1968 წლის თებერვალ-მარტის ნომერში. წერილის ავტორია ლილიანა პეტროვა-ბონაი, ხოლო სათაური „ბედი ქართლისა“. იგი წერს:

„ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ“ გამოსცა ძალიან კარგი ორენოვანი კრებული ნ. ბარათაშვილის ლექსებისა, სათაურით — „ბედი ქართლისა“. ამის შემდეგ ავტორს მოაქვს მოზრდილი ციტატები ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობიდან და განაგრძობს: „მაგრამ იმისათვის, რომ ჩავწვდეთ მისი მშვენიერი ლექსების არსს, პოეტის სიდიადე კარგად უნდა ვიცოდეთ, უნდა წარმოვიდგინოთ ბარათაშვილის დროის საქართველო, ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრება, მისი ლიტერატურა, ყველაფერი, რამაც შთანთქა და ჩაფერფლა პოეტის ხანმოკლე სიცოცხლე. აღმოსავლეთ ევრო-



პისა და აზიის საზღვარზე მდებარე, შავსა და კასპიის ზღვებს შუა მოქცეული, თურქთა და ირანელთა გამუდმებული შემოსევებით ქანც-გაწყვეტილი საქართველო, მე-18 საუკუნის ბოლოს, რუსეთის მფარველობის ქვეშ მოექცა. თავისი გარდაუვალი ისტორიული ბედის გამო იგი სხვადასხვა გავლენათა შესაყარი ადგილი ხდება. სპარსეთის შუა საუკუნეების ლიტერატურის გვერდით აყვავდა ქართული ლიტერატურის „ოქროს ხანა“, რასაც მოწმობენ შავთელი, ჩახრუხაძე, და დიდი შოთა რუსთაველი — ავტორი პოემისა „ვეფხისტყაოსანი“. ჩახრუხაძისა და რუსთაველის პოეტიკის მსგავსება ლიტერატურის ზოგიერთ ისტორიკოსს აფიქრებინებს, რომ ჩახრუხაძისა და რუსთაველის სახელებქვეშ საგულისხმებელია ერთი და იგივე ავტორი. დავითისა და თამარის მეფობის ხანაში გაფურჩქნნილი ბრწყინვალე პოეტური ტრადიციები ჩაიხშო თურქთა ბატონობის დროს, როცა მათ დიდი ხნის განმავლობაში ეპყრათ დასავლეთ საქართველო. ეს ტრადიციები გაცოცხლდა მხოლოდ აღორძინების ხანაში თეიმურაზის (1589 — 1663) მეფობის დროს.

აღმოსავლეთთან და დასავლეთთან დამყარებული კონტაქტები და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა უქმნიან ახალ საფუძველს ქართული ლიტერატურის განვითარებას. ფაშვიბერტყაძისა და დ. გურამიშვილის ნაწარმოებები განმსჭვალულია მოქალაქეობრივი შეგნებით.

მაინც, მიუხედავად ნიკოლოზ პირველის ტირანიისა, რომელიც იქამდე მივიდა, რომ მოსპო ისტორიის სახელმძღვანელოებში ძველი საქართველოს დიდ მოღვაწეთა ხსენება, ყველაზე უფრო გავრცელებული ლეგენდები გადმოგვცემენ გმირების სადაგა პაპაძისა (!) და „ხალხის ქომაგის“ არსენა ყაჩაღის ცხოვრებას. ასე მომზადდა განვითარების შემდგომი საფეხური ახალი ქართული ლიტერატურისა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები არიან ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო პოეტები — ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. მათ სკოლას მიეკუთვნება რუსეთის წინააღმდეგ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ვახტანგ ორბელიანიც. ამ მარცხით გამოწვეული მწუხარება რომ მჟღავნდება რომანტიკოს მწერალთა შემოქმედებაში, ეს ფაქტია. ქართული რომანტიზმი არა ჰგავს გერმანიაში საფრანგეთის რევოლუციის შედეგად წარმოშობილ რომანტიზმს. იგი ინარჩუნებს ჰიუგოს, ბაირონისა და ჰოფმანის ტრადიციებსა და განმსჭვალულია ეროვნული დამოუკიდებლობის იდეალით. კარგად ცნობილი მოვლენაა, როცა სოციალური და ისტორიული პირობები არ არსებობს, ერის საზოგადოებრივი

ცხოვრება წინააღმდეგობას გამოხატავს იდეოლოგიასა და ხელოვნებაში. უნგრელი პოეტი დიულა იემი წერს: „იგივე მოვლენა გვაქვს პოლონურ, ჩეხურ და ყველა ხალხის ლიტერატურაში; ამ ხალხებს სამშობლო ჰქონდათ, მაგრამ სახელმწიფო აღარ გააჩნდათ. ერის სასიცოცხლო ფუნქცია ისევე იცვლება სამაგიეროთი, როგორც ადამიანის სხეულისა. როცა ერთი ორგანიზმი უქმდება, მისი ფუნქციის შესრულებას მეორე იწყებს, ბრმა კითხულობს თითებით, ყრუს ესმის თვალებით.“

ბარათაშვილი ხედავს ღამით, რადგან მისთვის ეს ღამე არ არის შავი წყვილიაღი. ეს არის გრძელი, თეთრი ღამე, სადაც ყველაფერი მშვიდია და ნათელი. პოეტი შეიძლება უსაზღვროდ გრძნობდეს სიმშვიდის მომგვრელი ბუნების თანაზომიერებას, რაც ხშირად აკლია ცხოვრებაში ადამიანს, და მაშინ მას ესმის ხმა იღუმალი, რაც მას ზოგჯერ აშფოთებს, მაგრამ აგებინებს სიცოცხლის საიდუმლოებასა და არსს.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან —

შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევცა მივდიოთ მას,  
გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი  
მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის  
არა იზრუნვოს!“

ცხოვრებაში ასპარეზის უქონლობა, — წერს სერგი წულაძე, — რეალობაზე და მოვლენათა განვითარებაზე გავლენის უქონლობა, განსაკუთრებულად, ალაგზნებდა მის მგრძობელობას. უიღბლო სიყვარულისა და სულის მტკივნეული მარტოობის თემები ასე ინტიმურადაა გადაჯაჭვული ერთიმეორეში ბარათაშვილთან:

„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,  
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას, —  
მაგრამ ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ იგი წერს:

„ნუ გგონია, ბედსა მით დამიმწარებ,  
რომ უეცრად შუქით ნისლს მოიფარებ;  
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
რომ მიბჟუტვით ნისლით გამომინათებ.“

და როცა ბარათაშვილი მოუწოდებს ქართველ ქალს — იყოს თავისი ქვეყნის მოჭირნახულე, არ დაივიწყოს დედის მოვალეობა, რომ ხვალინდელი დღისათვის ბრძოლაა საჭირო, — ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ იგი ერთადერთი არ არის ქართველ და სხვა ხალხთა პოეტებს შორის, დიდი გულისტკივილი რომ განუცდიათ. პეტეფი, ლერმონტოვი, ბოტევი, მიცკევიჩი, ბოგდანოვიჩი — იმათაც ხომ იგივე სტანჯავდა და აწუხებდა. პუშკინიც მასვე ამბობდა და გულგატეხილობას გამოთქვამდა...

მაგრამ ღრმა ტკივილის მიუხედავად, არც მას, არც ბარათაშვილს, უარი არ უთქვამთ



ეკისრათ სოციალური ბრძოლის მისია. ისინი მას „პოეტური ხელოვნების“ ძირითად კანონად მიიჩნევენ.

„დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ  
მისგან ოხერი!  
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა  
მოსისხლე მტერი!  
გასწი, მეჩანო, შენს ჭენებას  
არ აქვს სამზღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი,  
შავად მღელვარი!“

ამ ფარული ტკივილის შეგრძნებას უნდა ვუმადლოდეთ ნ. ბარათაშვილს, განსაკუთრებით მის ლირიკულ ლექსებს „ჩემს ვარსკვლავს“ (თარგმნა მ. პ. ფუშემ), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (თარგმნა ს. წულაძემ), „საყურე“, „სატრფოვ, მახსოვს“ (თარგმნა პ. გამარამ), „როს ბედნიერი ვარ“... „ვპოვე ტაძარი“ (თარგმნა გილვიკმა).

მასვე უნდა ვუმადლოდეთ აგრეთვე იმ ინტერესს, მასაც, როგორც ყველა რომანტიკოსს რომ აქვს წარსულისადმი, იდუმალ სურვილს — გაუცოცხლოს ხალხს საამაჟო წარსული და ეს წარსული გამოიყენოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში („საფლავი მეფის ირაკლისა“ — სერგი წულაძის თარგმანი, „ბედი ქართლისა“ — ჟაკ გოშერონის თარგმანი).

ბარათაშვილის პოეზია გამოხატავს ადამიანურ გრძნობათა სიმდიდრეს, იგი წერს სიყვარულზე, მეგობრობაზე, სიკვდილზე, მწუხარებაზე, სამშობლოზე, რწმენაზე. მისი პოეზია უნივერსალური ლირიკული ხელოვნებაა.

გასტონ ბუაჩიძის მიერ გაკეთებული პწკარედის მიხედვით დიდი გემოვნებით, შინაგანი მუსიკის გრძნობით თარგმნილ ბარათაშვილის ლექსებს წაიკითხავს მკითხველი და დიდხანს ექნება სურვილი, კვლავ გადაშალოს ეს წიგნი. ბუნებრივად მებადება კითხვა: „რა დღეშია ახლა ის ლიტერატურა, ასეთი შესანიშნავი პოეტი რომ ჰყავდა? ამ მწერლობას ბარათაშვილის შემდეგ ბევრი ახალი სახელი შეემატა, მაგრამ მისი დავიწყება შეუძლებელი იყო ვინ იცის, იქნებ მოგვეცეს საშუალება უკეთ გავიცნოთ ქართული ლიტერატურა?“

ჩვენ აქ დავიმოწმეთ ნ. ბარათაშვილის პარიზული გამოცემის ირგვლივ ფრანგული პრესის გამოხმაურების ის ნაწილი, თბილისში რომ მივიღეთ.

როგორც ნ. ბარათაშვილის გამომცემელი საქართველოს მწერალთა კავშირს ატყობინებს, ეს გამოხმაურება გაცილებით ფართო და მეტი იყო.

მაგრამ ის მასალაც, რაც ჩვენ აქ მოვიტანეთ

მოწმობს იმას, რომ ფრანგული პრესა, კრიტიკა დიდი ალტაცებით შეხვდა ბარათაშვილის პარიზში გამოცემულ წიგნს.

პრესა ერთხმად აღნიშნავს ნ. ბარათაშვილის პოეზიის ღრმად ფილოსოფიურობას, ორიგინალობას, ქართული რომანტიზმის თავისებურებას და მის წარმომავლობას საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარებიდან.

ავტორები ბარათაშვილს ადარებენ ბაირონს, შელის, ნერვალს, ბოდლერს, ჰიუგოს, ლერმონტოვს, მიცკევიჩს, პეტეფსა და ბოტეფს.

თავისთავად ასეთი შედარება, მე-19 საუკუნის უდიდეს პოეტებთან ნიკოლოზ ბარათაშვილს ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს ფრანგი მკითხველის თვალში და ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდი საზომით იქნა შეფასებული ქართველი პოეტის შემოქმედება.

თითქმის ყველა ავტორი, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე წერას იწყებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციების მიმოხილვით და მოიხსენიებს „ვეფხისტყაოსანს“ და მის ავტორს, როგორც ამ ტრადიციების შემქმნელსა და ქართული პოეზიის უმაღლეს მწვერვალს (თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ წერილში აშკარად ჩანს ავტორის ცოდნის უკმარისობა, არაკომპეტენტურობა, კერძოდ, ბევრ ზერელობასა და გულუბრყვილობას ამჟღავნებს პეტროვა-ბონაი თავის წერილში, როცა იგი ყურმოკრულ, მეცნიერულად დაუსაბუთებელ შეხედულებებს გვთავაზობს ჩახრუხაძეზე, ფეშანგი ფაშვიბერტყაძეზე და სხვ.

ნ. ბარათაშვილის პარიზულმა გამოცემამ თარგმანების მაღალი ხარისხით და გამოცემის მაღალი კულტურით შექმნა დიდი ინტერესი ქართველი პოეტის შემოქმედებისადმი.

ეს ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ბარათაშვილის პოეზიით. ნ. ბარათაშვილის პოეზია ფრანგმა მკითხველმა აღიქვა, როგორც შემთხვევა და გამონაკლისი კი არა, არამედ უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო და კანონზომიერი გამოვლინება. ამდენად ნ. ბარათაშვილის პოეზიამ წარმოშვა, აღძრა ინტერესი საერთოდ მთელი ქართული ლიტერატურისადმი, საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი.

ქართული პოეზიის არც ერთ წარმომადგენელს დღემდე დასავლეთში მსგავსი გამოხმაურება, აღფრთოვანებული ერთსულოვანი გამოძახილი არ რგებია წილად, თვით რუსთაველსაც კი.



ეს უნდა აიხსნას, უპირველეს ყოვლისა, ბარათაშვილის ლექსების ფილოსოფიური სიღრმით, მისი პოეზიის განწყობილებებისა და მოტივების სიანხლოვით მე-19 საუკუნის, საერთოდ, დასავლურ და, კერძოდ, ფრანგულ პოეზიასთან, რომანტიზმის იმ თვისებებით, რომელიც საერთოა არა მარტო დასავლეთის ქვეყნების პოეზიისათვის, არამედ საქართველოსა და ბარათაშვილისათვის. დასავლურ პოეზიასთან ბარათაშვილის შემოქმედების ნათესაობის ეს მომენტი ილია ჭავჭავაძემ ყველაზე ადრე შენიშნა, როცა ამტკიცებდა, რომ ქართული მწერლობის ევროპიზაცია დაიწყო ნიკოლოზ ბარათაშვილმა, მან ქართულ პოეზიას ახალი, ევროპული მიმართულება მისცაო.

ამის გარდა, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ბარათაშვილის ფრანგულად წარდგენის ღირსებებსაც, თარგმანის მაღალ ხელოვნებას.

ის გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსები თარგმნეს საუკეთესო ფრანგმა პოეტებმა, რომ ფრანგულ თარგმანში შენარჩუნებული და გადატანილი აღმოჩნდა ბარათაშვილის ლექსის ღრმა შინაარსთან ერთად ღისი განწყობილებებიც, მეტაფორებიც და მუსიკაც კი, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ კარგი პოეტის სხვა ენაზე ღირსეულად, მაღალხარისხოვნად თარგმნა მხოლოდ და მხოლოდ ისევ კარგ პოეტს შეუძლია; მხოლოდ ფრანგული პოეზიის ისეთ ოსტატებს შეეძლოთ გადმოეცათ ნ. ბარათაშვილის ლექსის განუმეორებელი შინაგანი მღელვარება და თავისებური სურნელი, როგორც არიან შესანიშნავი ფრანგი პოეტები — გილვიკი, გოშერონი და სხვები. ბარათაშვილის ფრანგულად თარგმნისა და გამოცემის მაგალითი თავისთავად თხოულობს განზოგადებას და წესად

ჩამოყალიბებას: ამის შემდეგ ჩვენ აღარ უნდა დავჯერდეთ თბილისში ჩვენი ლიტერატორების მიერ შესრულებულ თარგმანებს, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ ქართული პოეზია უცხო ენაზე თარგმნონ იმ ქვეყნის კარგმა პოეტებმა, ლექსის ნამდვილმა ოსტატებმა.

ამის შესაძლებლობა კი დღეს ჩვენ გვაქვს და დანაშაული იქნება, რომ არ ვისარგებლოთ ამ შესაძლებლობით.

ნ. ბარათაშვილის პარიზულმა ორენოვანმა გამოცემამ კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა: ფრანგ მკითხველს გააცნო ქართული დამწერლობა, უძველესი ქართული ანბანი, ჩვენს დიდ ეროვნულ სიმდიდრეს რომ წარმოადგენს.

მსოფლიოში დღეს არსებულ თოთხმეტ დამწერლობას შორის, ქართულს საპატიო ადგილი უჭირავს და არა მარტო სიძველითა და გამომხატველობის სიზუსტით, არამედ გრაფიკული სილამაზითაც. ამ მომენტს თითქმის ბარათაშვილის წიგნის ყველა რეცენზენტი აღნიშნავს და აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის ქართული ანბანის იშვიათ ორნამენტულობას, მის განუმეორებელ მშვენიერებას.

ნ. ბარათაშვილის საიუბილეო, პარიზულ გამოცემას განსაკუთრებული ამაგი დასდო ფრანგ გამომცემელთა გაერთიანების ღირეჟტორმა მადლენ ბრონმა. ქ-ნი ბრონი არა ერთხელ ყოფილა საქართველოში, იგი სიტყვით გამოვიდა კიდევც ნ. ბარათაშვილის საიუბილეო დღესასწაულზე თბილისში. მადლენ ბრონი არა მარტო სიტყვით აცხადებს თავის თავს ქართული კულტურის მეგობრად. მან დიდი საქმით — ბარათაშვილის შესანიშნავად გამოცემით — დაამტკიცა თავისი დიდი სიყვარული და ჭეშმარიტი მეგობრობა საქართველოსადმი, ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი კულტურისადმი.





## ავსტრალია

მორის უესტის ახალ წიგნში „არლეკინი“ მოქმედება ვითარდება მშვენიერად, თითქოსდა ევროპის ყველაზე წყნარ ქვეყანაში, მაგრამ რომანი გვამცნობს, რომ ამ ქვეყნისათვის უცხო არ არის თანამედროვე დასავლეთისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება: ფულადი მაქინაციები, შანტაჟი, ბავშვების გატაცება და პოლიტიკური თაღლითობა. მწერლის ჩანაფიქრით, რომანის გმირი ჯორჯ არლეკინი ამ საზოგადოების წარჩინებულთა ტიპური წარმომადგენელია. მიუხედავად ამისა, იგი სათამაშო საგნად ქცეულ პოლიტიკური მანქანის ხელში, მარიონეტია თანამედროვე ცხოვრების არენაზე.

უესტმა არც ამჯერად უღალატა თავის საყვარელ ჟანრს — პოლიტიკურ დეტექტივს. მაგრამ თუ ადრე მწერალი ოსტატობისა და ტალანტის წყალობით ახერხებდა დაეძლია კრიტიკის ბარიერი, ამჯერად საგამომცემლო რეკლამა ძირითადად გაემიჯნა რეცენზენტთა აზრს. ყოველკვირეული „ტაიმს ლიტერარი სამპლმენტ“-ი თვლის, რომ რომანში „დუნე სიუჟეტი შერწყმულია უხვად მოწოდებულ მაღალფარდოვნებასა და იაფფასიან სიმბოლიკასთან. გასაოცარია თვითონ ავტორის პოზიცია, როცა ცდილობს აღაფრთოვანოს მკითხველი არა არლეკინის მორალური შეხედულებებით, არამედ მისი ამორალობით. ეტყობა, ეს ახალი სახეობაა რომანისა, სადაც ჰერცოგები ბანკირებს შეუცვლიათ“.


ამერიკული ჟურნალი „ტაიმსი“, რომანის სტილს ასე ახასიათებს: „სირჩას ფეხი მის თითებში გადაუტყდა და სითხე სისხლის წვეთებივით დაიღვარა თეთრ ხელსახოცზე“. რეცენზენტის აზრით ეს ფრაზა განმარტებას არ საჭიროებს.

შემდეგ გვამცნობენ, რომ არლეკინი თავისუფლად საუბრობს ღრვა ენაზე და ადვილად ხიბლავს ყველა ბანოვანს; სხვათა შორის იგი გიტარაზეც უკრავს და თან ფინანსურ მაქინაციებსაც კარგად ართმევს თავს! რეცენზენტის აზრით, დანაშაულობათა, სავაჭრო და დიპლომატიური საკითხები რომანში უპასუხოდ რჩება, რაც მკითხველში ერთგვარ უკმაყოფილების გრძნობას ბადებს.

## იტალია

დავატიანი — ახალი და ძველი

„ყველაზე გამოჩენილი, ყველაზე თავისთავადი იტალიელი იუმორისტი“, — ასე დაახასიათა ჩეზარე დავატიანი მწერალმა ელიო ვიტორინიმ ჯერ კიდევ 1931 წელს. მიუხედავად ამისა, დავატიანის სატირული და იუმორისტული მოთხრობები ჩრდილში იყო მოქცეული, — უფრო მეტად მისი კინემატოგრაფიული მოღვაწეობა ფასობდა. მას სამართლიანად უწოდებენ იტალიაში „ნეორეალიზმის ტვინს“. დავატიანის კინოსცენარები მსოფლიო კინოდრამატურგიის კლასიკაში შევიდა, ხოლო ამ სცენარებზე შექმნილმა ფილმებმა საყოველთაო აღიარება მოუტანა ბროგრესულ იტალიურ კინოს. მართალია, დავატიანი-სცენარისტი ახლაც ფაქტიურად მოღვაწეობს კინოში, ბოლო ხანს იტალიაში და მის გარეთაც სულ უფრო და უფრო მეტად დაინტერესა მკითხველი მისმა ძველმა თუ ახალმა წმინდა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა. დავატიანის ბევრი მოთხრობა ხელახლა დაისტამბა. გამომცემლობა „ბომპიანიმი“, სერიით „კლასიკა“, გამოსცა მისი 30-40-იან წლებში დაწერილი მოთხრობები: „ცოტა რამ ჩემზეც ვთქვათ“, „დატაკები შეშლილნი არიან“, „მე — ეშმაკი“, „კეთილი ტოტო“, „1948 წლის მლიქვნელი“. მწვავე სოციალური სულითაა გაუღწეველი დავატიანის მოთხრობები, მიკრონოველები, სატირული პიესა — „როგორ იქმნება კინოსცენარი“, „მიღმური სიტყვა“ (ნაწყვეტები ამ წიგნიდან — „კინოსა და ცხოვრების დღიურები“ — გამოქვეყნებული იყო „ინოსტრანაია ლიტერატურას“ 1968 წლის მე-3 ნომერში). გამოიცა აგრეთვე მწერლის ლექსების ახალი კრებული. კრებულში შეტანილი ორმოცდაათი ლექსი 1972-73 წლებში არის დაწერილი.




## ერაყი

როგორც ბაღდადის გაზეთი „ალ-ჯუმჰურია“ იუწყება, აქ გამოიცა ახალგაზრდა ნო-



ველისტის ლუტფი ად-დულეიმის მოთხოვნების კრებული „სასიხარულო ამბავი“. ეს მწერლის მეორე წიგნია.


ად-დულეიმის მოთხოვნები ეხება თანამედროვე ერაყის ცხოვრების საჭირობო-ტო პრობლემებს.



## კოლუმბია

### ხორხე სალამეა სცენაზე

ქალაქ გალის მსახიობთა ჯგუფმა დადგა სპექტაკლი „კიბეებზე აფრიალებული ანძები“, გამოჩენილი კოლუმბიელი მწერლის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ხორხე სალამეას პოემის მიხედვით. როგორც ანობილი პოემა მწერლის ინდოეთში მიღებულ შთაბეჭდილებებზეა დაწერილი; იგი 1956 წელს ესწრებოდა აზიის მწერალთა კონფერენციას ქ. დელიში და კონფერენციის შემდეგ იმოგზაურა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. დამდგმელმა და მსახიობებმა შესძლეს დიდი სოციალური უღერადობის სპექტაკლის შექმნა, — ასე აღნიშნა კოლუმბიის პროგრესულმა პრესამ.



## მექსიკა

### ლეონ ფელიპეს ხსოვნა

მექსიკის ხელისუფლებისა და ზოგიერთი კულტურული ცენტრის მხარდაჭერით (მექსიკის ენის აკადემია, ლათინურამერიკელი მწერლების ასოციაცია და მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტი) მოეწყო გამოჩენილი ესპანელი პოეტი ანტიფაშისტის ლეონ ფელიპეს ხსოვნის საღამო. ესპანეთში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ლეონ ფელიპემ არ სცნო ფაშისტური რეჟიმი და ემიგრანტად წავიდა მექსიკაში.


მწერლის ხსოვნის პატივსაცემად შეიკრინენ მწერლები, მსახიობები, სტუდენტები, უბრალო მკითხველები და პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლები.

მსახიობებმა წაიკითხეს ნაწყვეტები მისი პოემებიდან, ეროვნულმა ორკესტრმა შეასრულა კანტატა „ოსვენციმი“ — პოეტის სიტყვებზე; გაითამაშეს სცენები მისი ნაწარმოებებიდან.

დასასრულ, ესპანელმა პოეტმა ხუან ლა-


რეამ წაიკითხა 1939 წელს ლეონ ფელიპეს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი — ესპანეთიდან მექსიკაში ემიგრირებული მწერლების, მსახიობებისა და ინტელიგენციის სხვა ფენების წარმომადგენელთა მანიფესტი. ეს მანიფესტი დაიბეჭდა ესპანელი ემიგრანტების უურნალის „ესპანია პერეგრინას“ პირველ ნომერში.

პოეტის ძეგლის საზეიმო გახსნას დაესწრო მექსიკის პრეზიდენტი ლუის ეჩევერია. სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი მექსიკელი მწერალი, აკადემიკოსი აგუსტინ იანესი და ესპანელი რომანისტი კამილო ხოსე სელა.



## გ ფ რ

დარმშტადტის ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიამ გამოაცხადა, რომ აკადემიის ახალ წევრებად აირჩიეს მწერლები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან: იურგენ ბეკერი, გერმან ლენცი, ერნს მოსტერი და დასავლეთბერლინელი მწერალი იოახიმ გიუნტერი. აკადემიის წევრკორესპონდენტად არჩეულია საბჭოთა მეცნიერი — ლიტერატურათმცოდნე ნ. ნ. ვილმონტი.



## ისრაელი

### რეპორტაჟი დაპურობილი ტერიტორიებიდან

როგორც გაზეთი „ზუ გადერახი“ იუწყება, გამოვიდა ცნობილი ისრაელი უურნალისტის იოსებ ხალილის წიგნი: „მამა, სად იყავი, როცა ისინი სახლს უნგრევდნენ ნადირს!“

იოსებ ხალილი (მისი ლიტერატურული ფსევდონიმია ალ-ლაზი), ცნობილია თავისი სტატიებით გაზეთ „ზუ გადერახში“, სადაც იგი ფარდას ხდის ისრაელის ხელისუფალთა პოლიტიკას დაპურობილ არაბულ ტერიტორიებსა და შიგ ისრაელში. განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება ჰპოვა მისმა სტატიამ, სადაც აღწერილია ისრაელის ციხეებში გამომწყვდეული პოლიტიკური პატიმრების მძიმე ხვედრი.

ახალ წიგნში ხალილი გვიხატავს „ოკუპაციის წინააღმდეგ და მშვიდობისათვის მებრძოლ ისრაელის ახალ სახეს“ — ასეთია გაზეთის მიმომხილველის აზრი.






# ჩვენსი ავტორები


**ვისლავა შიმბორსკაია** (დაიბ. 1923 წ.). — იგი ექვსი პატარა წიგნის ავტორია (თვითუფლის მოცულობა ერთ თაბახს არ აღემატება). საერთოდ, პოეტი ცოტას წერს, უფრო ნაკლებს აქვეყნებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ლექსების ფორმამარტივია, ლექსიკური მასალა თითქმის მთლიანად სალაპარაკო მეტყველებიდან არის აღებული, პოეტი უდიდესი სიმძაფრით გადმოგვცემს ადამიანის სულიერ სამყაროს. ვ. შიმბორსკაია მუდმივ ძიებაშია. ყოველი მისი ლექსი — ექსპერიმენტი და ალბათ ამიტომ მკითხველების ინტერესს იწვევს (სტატიისტიკის მიხედვით, შიმბორსკაიას — როგორც თ. რუჟევიჩის — ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს პოლონეთში).

ვ. შიმბორსკაიას ლექსებს საფუძვლად ლიტერატურული ტრადიცია უდევს, რომლის სათავე პოლონელი კლასიკოსების შემოქმედებაში უნდა ვეძებოთ. ეს არის დემოკრატიული, რეალისტური ტრადიცია. გარდა ამისა, პოეტი ქალი თანამედროვე ევროპული პოეზიის გამოცდილებასაც ეყრდნობა და ნაყოფიერად იყენებს მის ახალ მონაპოვრებს.



**ზ. ჰერბერტის** ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. იგი წერს თავისუფალ და გარითმულ ლექსებს, წერს აგრეთვე პოეტურ პროზასაც, რომელიც მისი ლექსებისგან ინტონაციით თუ განსხვავდება და კიდევ იმით, რომ ეს პოე-

ტური მინიატურები უფრო ინტიმური და ავტობიოგრაფიულია. ჰერბერტის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ღრმა ერუდიცია, ისტორიული და მითოლოგიური ელემენტების გამოყენება და, რაც მთავარია, ირონია. მთელი პოეზია თანამედროვეობასთანაა დაკავშირებული, ჩვენი საუკუნის სოციალურ და ზნეობრივ კონფლიქტებს ასახავს და, პოლონელი კრიტიკოსის ზ. ბენკოვსკის თქმით, „ადამიანის პიროვნებას ისტორიის უზურპაციისაგან იცავს“ ამითაა ის საინტერესო.



**იაკობ სეგელი** — ამ თავისებური მოთხრობის ავტორი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კინოხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატია. ფართოდაა ცნობილი მისი ფილმები: „იგი იწყებოდა ასე...“, „სახლი, სადაც ვცხოვრობ“ (გადაღებული ლევ კულიჯანოვთან ერთად), „მშვიდობით, მტრედებო“, „მოედინება ვოლგა“ და სხვა.

კინოხელოვნება მისი ერთადერთი გატაცება არ არის; ასევე ფართოდაა ცნობილი ი. სეგელის მოთხრობები და ოსტატურად დაწერილი მხატვრული ნარკვევები. მისი პირველი მოთხრობა „ყვავილები“ ჯერ კიდევ 1950 წელს გამოაქვეყნა ჟურნალმა „კროკოდილმა“. მას შემდეგ სისტემატურად მუშაობს პროზაში, გამოცემული აქვს ორი წიგნი.





**«САУНДЖЕ»**  
**Двухмесячный литературно-художественный альманах**  
(на грузинском языке)

№ 3

1975

Издательство «Мерани»  
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.



მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ხარედაქციო კოლეგია: მზია ბაჩრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია  
(პასუხისმგებელი მდივანი), მამალი თოდუა, ნოდარ კაპაბაძე, კარლო კალაძე,  
მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტიშვილი, რომან  
მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.

ყლა მხატვარ სპარტაკ ცინცაძისა. ტექრედაქტორი რევაზ იმნაიშვილი.



გადაეცა წარმოებას 1/IV-75  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/V-75  
ქაღალდის ზომა 70×108<sup>1/16</sup>  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,58  
ნაბეჭდი თაბახი 21,00  
ტირაჟი 10.000. შეკვ. № 379

ფასი 1 მანეთი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა-  
თა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სა-  
ხელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი,  
თბილისი, კამოს ქ. № 18.

Комбинат печати Государственного комитета Со-  
вета Министров Грузинской ССР по делам изда-  
тельств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси,  
ул. Камо № 18.